

БАЗА ДОКУМЕНТОВ
МУЗЕИ РЕСТОРАНЫ

א מ ס א צ א

თვითური ქურნალი

၃၅၉၁၆၀၈၂၀ မြတ်သနပိုင်

Nº IX

ს ი ა მ თ ე მ მ ე რ ი, 1904

6223

F10/194



ଓଡ଼ିଆ

制备方法参见 TGA-5000、TGA-5000B、TGA-5000C、TGA-5000D、TGA-5000E、TGA-5000F、TGA-5000G、TGA-5000H、TGA-5000I、TGA-5000J、TGA-5000K、TGA-5000L、TGA-5000M、TGA-5000N、TGA-5000O、TGA-5000P、TGA-5000Q、TGA-5000R、TGA-5000S、TGA-5000T、TGA-5000U、TGA-5000V、TGA-5000W、TGA-5000X、TGA-5000Y、TGA-5000Z、TGA-5000AA、TGA-5000AB、TGA-5000AC、TGA-5000AD、TGA-5000AE、TGA-5000AF、TGA-5000AG、TGA-5000AH、TGA-5000AI、TGA-5000AJ、TGA-5000AK、TGA-5000AL、TGA-5000AM、TGA-5000AN、TGA-5000AO、TGA-5000AP、TGA-5000AQ、TGA-5000AR、TGA-5000AS、TGA-5000AU、TGA-5000AV、TGA-5000AW、TGA-5000AX、TGA-5000AY、TGA-5000AZ、TGA-5000BA、TGA-5000CA、TGA-5000DA、TGA-5000EA、TGA-5000FA、TGA-5000GA、TGA-5000HA、TGA-5000IA、TGA-5000JA、TGA-5000KA、TGA-5000LA、TGA-5000MA、TGA-5000NA、TGA-5000OA、TGA-5000PA、TGA-5000QA、TGA-5000RA、TGA-5000SA、TGA-5000UA、TGA-5000VA、TGA-5000WA、TGA-5000XA、TGA-5000YA、TGA-5000ZA。

1904

ପ୍ରକାଶନତଥାବ୍ଦୀ
୩୧ମୟୀ୧୯୯୬ଫେବ୍ରୁଆରୀ
୨୬୩୩୬୫୮୮୦
୩୦୩୮୦୮୦୩୩୩

Дозволено цензурою. 28 сентября, 1903 г. Тифлисъ.

შინაარსი

	83
I.—ბერძა ქრისტიანიზმი.—(ამ წინაზე ნახული და გა- გონილი ამბავი) არბორელისა	1
II.—ბრძოლა.—(ნინონ. სთვის ნათქენაში ზღაპრებიდან), ემილ ჭოდასი (ფრანგულიდან) თ. სახუკადასი	39
III.—სვანეთის ხელოთიაზონები.—სახარებანი,—ძღ. ბესა- რითნ ნიჟარაძისა	1
IV.—ახალი ზელანდია—ინგლისის ახალშენი, თავი—XII შ. გ. მეუკეგისა.—თარგმანი ნ. აღნიაშვილისა	15
V.—ცხვ და ხალხის კოტილდლეობა.—ივ. მაჭავარია- ნისა	39
VI.—მედიცინის განვითარების ისტორიიდან.—ექი- მის ბადრიძისა	47
VII.—სურამის ციხე.—(ფიქრი დეგენდის გამო) ა. —ასი	61
VIII.—შორეული.—(1804—1879 წ.) ნანი ზურაბი- შვილისა	69
IX.—ნარევი.—1. რკინისა და ქვა-ნახშირის მაღანები.—2. ზაბა- ზების დღეობა.—3. ობლების მამა.—4. სარწმუნოებათა ის- ტორიის კონგრესი.—5. გლადიტორინის ჰომილულის განახლე- ბა.—6. 35 მეტია ორასზედ.—7. შეხინწულთა შევიწროება ინგლისში.—8. დარგას ვილა.—9. პოლონელის წერილი.— 10. როგორ ახასიათებენ იაპონელები თავის თავს.	95
	(ისილე მე-2 გვერდი)

X—შინაური მიმოსილვა.—კლასიური და ერთგუნული ანტე- რესები—ჭ. გოგიჩაძებილისა	109
XI—უცხოეთის მიმოსილვა . — 1. კომპი. -3. კლემანსოს წერილი. — 3. ირლანდია და ინდოეთი.	132

დამატება:

მოკლე მინიატური ქიმია.—სპეციალური ნაწილი . 1—16

ბერუა ქრისტესიაშვილი

(ამ წინაზე ნახული და გაგონილი აშავი)

I

გათენდა პეტრე-პავლობის დილა. გწყალობდეთ, ჩემო ბატონო, მთავარ მოციქულთა მადლი!.. ღამის ბინდ-ბუნდი ჯერ კიდევ სრულიად არ ახდოდა დედამიწასა; გამოველ სახლიდან, შევჯერ შექმაზულ ცხენზე და გავწიე სოფელ ნაზვრევისაკენ. ამ სოფელში ცოტაოდენი საქმე მქონდა, მაგრამ ისე უს საქმე არ იზიდავდა ჩემს ყურადღებას, როგორც სურვილი იმ მხრის ნახვისა. წინააღმდეგ ქართული ანდაზისა, განვიზრახე ერთი სროლით ორი კურდლლის მოკვლა. შევჯერ და გავუდექ გზასა. ეს გზა გადადიოდა მთაზე, რომელიც იქვე, ჩენი სოფლის ბოლოს, ამართულიყო. შევუდექ ნელნელა მის ამწვანებულ ფერდობასა. ღამის ნამით პირდაბანილი ბუნება სიცოცხლით სავსე, ახლად გაღვიძებულ ბავშვივით იღიმებოდა. ქოჩორა ტყით შემოსილი მთის ქედი ჯერ ისევ ნისლში იყო გახვეული; ძირს კი ეს ნისლი, უკვე დაწყებული დღის სითბო-სინათლის გავლენით, გათხელებულიყო, დედამიწას გაჰკროდა და, შეშინებულ ქურდაცაცასავით, სადღაც მიიპარებოდა. აქა-იქ ამ ნისლიდან მაღალ ბუჩქნარებს ამოეყოთ თავები; გეგონებოდათ—პატარ-პატარა კუნძულებით მოფენილი ტბა არის ჩემ წინ გადაშლილიო. არა მგონია, რომ რომელიმე ძლევა მოსილი მეფის, ანუ დიდებული გმირის გზა ყო-

ფილიუვეს ოდესმე ისე საოცნებოთ შემკული, ისე მშვენივ-
რად მორთული, როგორც იმ დილით ჩემი! უთვალავი სხვა
და სხვა ფერის ჟვავილები ტურფად მოჰქენოდნენ მთის ფერ-
დობს. მათის სურნელოვანებით გაეღინთულიყო მთელი ჰა-
რი, წმინდა, სუმბუქი, გრილი ჰაერი, რომელშიაც დრო გა-
მოშვებით სულგანაბული დასრიალებდა ცელქი ნიავი. ხან
ერთისა და ხან მეორეს მხრიდან ოდნავ წამოუბერავდა ამ
„მინდვრის კეკლუცთა“ სამთავროს და იმავე წამს მთელი ეს
თვალგაუწვდენელი კრება ჟვავილებისა ბრუნდებოდა ჩემსკენ,
ლამაზ კომწია თავებს ემხიანად იხრიდა, პირლიმილით სალამს
მაძლევდა, საიდუმლო ტიკტიკით „დილა მშვიდობისას“ მეუ-
ბნეოდა. ჩემ წინ რეზინის ბურთივით მარდათ მიხტოდა კაი
ამბების მოციქული, მარად სასიმოვნო სტუმარი, სწორედ
ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაცები. როგორი
უშნო-ულაზათო ხმა აქვს ამ წყეულსა!.. მაგრამ რომელი
ფრთოსანი მგოსნის გალობა და სტვენა ასიმოვნებენ ქართ-
ველი კაცის გულს ესოდენ, როგორათაც ეს ერთგვარი, თა-
ვისუფალი და მარად მხიარული ჭაბჭახი კაცებისა?.. სიამოვ-
ნებით ვაცქეროდი მის დაულალავ მოძრაობას და ხმამაღლა
მიგდახოდი უკანიდან: კაი ამბავი, კაცები, კაი ამბავი!.. შენ
პირ შაქარი, ოქროს ნისკარტი!.. ერთ წამს ჩერდებოდა, თავს
უკან იბრუნებდა, თითქო ამ სიტყვებს ყურს უგდებსო, მერ-
ჩე ისევ აგრძელებდა ხტუნაობას და მხიარულის ჭაბჭახით მიჰ-
ქროდა გატკეცილ ბილიქზე; მირბოდა, თითქო წინა კა-
ციაო... გატაცებით, განუწყვეტლივ ხმაურიობდა და ამით
თითქო მთელს თავის ნაცნობ-ნათესაობას ატყობინებდა უცხო
მგზავრის მიახლოვებასა. და ისმოდა ყოველ მხრიდან სიცო-
ცხლით სავე განუწყვეტელი ქრიამული, კიკეიკი, გალობა,
სტვენა...

მზისა და აღგილ-მდებარეობის წყალობით ჩემ წინ თითქმის ყოველ წამს იცვლებოდა სურათი. ერთი მეორეზე უმშვენიერებისი სანახობა ჩნდებოდა ჩემს გარეშემ... უცებ ვიგრძენ სველი, ნოტიო შემოდგომური სიცივე. ჩემმა მერანმა

უკვე ნისლისა და დაბურული ტყის სამფლობელოში შემიყვანა. ორ ნაბიჯზე კაცი ვერაფერს ვერ გაარჩევდა. ბურუსში გახვეული უზარმაზარი ხეები მოჩვენების მსგავსად უეცრად იმართებოდნენ ჩემ თვალ-წინ და ამგვარადვე უეცრად ჰქონდნენ ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ. მთის უმაღლეს ქედზე ვიყავ ასული, როდესაც აღმოსავლეთის მთებიდან შემ თავი ამოჰყო. მისი უთვალავი სხივები ბწყინვალებით მოეფინნენ ცასა და ქვეყანას, მთასა და ბარსა, ტყესა და მინდორს. მეუფება ნისლისა შეირყა, თავით ბოლომდე შეინძრა. სამხრეთიდან წამოუბერა სასიამოვნო თბილმა ნიავმა და წამს ეს ამოდენა ზღვა ბურუსისა თოვლიერით გაადნო, გაათხელა, პატარ-პატარა ნაწილებათ დაჰგლიჯა. გამოიჩნდნენ ჯერ კინ-წიროები ხეებისა, მერმე ტოტები. გადიშალა გასაოცარი, კალმით აუწერელი სურათი: ზღვა, მლელვარე მოუსვენარი ზღვა ნისლისა და ბურუსისა, და მის მშვიოთვარ ტალღებზე მოტივტივებული უზარმაზარი, დაუსრულებელი ტყე. ამ ტყის ნამით ბანილ ფოთლებს მოჰფენოდნენ მზის ბრწყინვალე სხივები, ნიავისაგან ირხეოდნენ, კანკალებდნენ, თრთოდნენ და გაპქონდათ სწორეთ ისეთივე თვალის წარმტაცი და გულის ამგზნები ბრწყინვალე ლაპლაპი, მოელვარე ციმციმი, როვორიც ზამთრის უმთვარო ლამეში ვარსკვლავებით მოქედილ მოკრიალებულ ცასა. გავიდა ორიოდ წამიც და სურათმაც ხელახლა იცვალა ფერი. ძალზედ გათხელებული ნისლი ძირს დაეშვა, დედამიწას გაეკრა, მაგრამ მზის ნათელი სხივები არც იქ სტოვებდნენ მოსვენებითა: ძლევა-მოსილ რაზმებათ ესხმოდნენ თავსა, შეუბრალებლად ჰგლევდნენ, აქეთ-იქით ჰქონტავდნენ. ნისლისაც თითქო თავზარი დასცემოდა: გზა და კვალი ვეღარ გაეგნო... ხან აქეთ მოსრიალებდა ფეხაკრეფით, ხან იქით. ერთგან რო ბუჩქებში ძვრებოდა, თითქო ემალება ვისმეო, მეორე ადგილას მაღლა, ხის ტოტებისაკენ, მიქრიოდა, მათ შორის იუზებოდა; შემდეგ იმედ-გადაწყვეტილსავით განათებულ ლაუგვარდ სივრცეში აღიოდა და კომლივით იფანტებოდა ჰაერ-

ში. ამ დროს მთელი ეს უსაზღვრო ტყე მოსე წინასწარმე-
 ტყველის მაყვლოვან ბუჩქს წააგავდა; ტყეს კომლი ასდიოდა;
 თითქოს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ კი არ იწვოდა.

გადავდგი კიდევ ორიოდ ნაბიჯი და შემდეგ დაკეშვი
 მთის მეორე, აღმოსავლეთის, ფერდობზე. ახლა ჩემ თვალ-
 წინ გადიშალა ფართო, ტრიალი მინდორი, საესე სხვა და
 სხვა გვარის მოსავლითა. მთელი მინდორი: როგორც ნათესი
 მიწები, ისე მოუხნავი ველი, როგორც უთვალავი, აქა-იქ
 გაფანტული ბუჩქები, ისე ასწლოვანი ბებერი მუხები ხასხას
 მწვანეთ ღალანებდნენ, თვალის წარმტაც სინაზით ელვა-
 რებდნენ. ზედ შუა მინდორზე მარდათ გარბოდა პატარა მდი-
 ნარე. მის ანკარა წყალს უხვად მოჰფენოდნენ მზის ნათელი
 სხივები და ახავერდებულ ნაპირებ შორის სარკესავით გაჰ-
 ქონდა ლაპლაპი. უთვალავ ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობის
 ფერხულში ჩვენი მდინარეც ჩაბმულიყო: ლურჯად მოკაშვა-
 შე პატია ტალღებს ახლიდა ერთმანეთს, სცემდა ნაპირებს,
 ისროდა აქეთ-იქით მარგალიტ წინწელებს, ხტოდა, მღეროდა,
 თამაშობდა. ერთგან რომ დარბაისლურის სიღინჯით ჩუმათ,
 წყნარათ მიბრძანდებოდა, მეორე ადგილს ფიცხი ვეფხვივით
 მიხტოდა, ციბრუტივითა ტრიალებდა, დაგვიანებულ მგზავრ-
 სავით მიეშურებოდა. ისმოდა ხან გაჯავრებული შხეული,
 მუქარით სავსე ბუტბუტი; ხანაც საიდუმლოებით მოცული
 ნაზი, წყნარი ჩურჩული, თითქო ეალერსება ვისმეო... მერმე
 უცებ არღვევდა სიჩუმეს: ხელახლა იწყებდა ხმა მაღალ შრი-
 ალ-შეუილსა, და ამ დროს მისი მხიარული, სიცოცხლით სა-
 ვე ჩერიალ-ჩუხჩუხი მთელს მინდორს ეფინებოდა და ჭიკჭიკ-
 გალობასთან შეერთებული ბუნების დიდებულ ღალადებათ
 ისმოდა. ოხ, ბუნებავ, ბუნებავ!... რა კარგი რამა ხარ, შე
 დალოცვილო!!

II

შუა დღე ცოტა გადასული იქნებოდა, როდესაც მე შე-
 ვედი გზაზედ მღებარე სოფელ ნამგალაში. აქედან სულ ნა-

ხევარ საათის სავალი გზა-ლა მექნებოდა დარჩენილი, ამიტომ არ ვეშურებოდი. როცა ცხენმა მდინარისაკენ გაიშია, აღვი-რი მივუშვი. იგი წინა ფეხებით ჩადგა წყალში და იწყო გუ-ლიანად მისი სმა. სწორეთ ამ დროს იქვე ახლო ვენახი-დან შემომექანიზებოდა ქართული სუფრული, მას მიჰყა ხევური. მაღალის, საგანგებოდ შემუშავებულის, ხმით დაი-ძახა პირველმა, მაგრამ არც მეორე, მოძახილი, ჩამორჩა მას უკან: მჭექარე ვაუკაცურის ხმით დასძახა და გრძნო-ბით დააკრიალა მოხდენილი სიმღერა. ბანი ისეთის ძლი-ერებით გუგუნებდა, რომელსაც ხუთ-ექვს კაცზე ნაკლე-ბი ვერ მოახერხებდა. გავიდა ორიოდ წამიც და უცებ, უალაგო ალაგას, შესწყდა სიმღერა. მეც ის იყო დავაპირე ცხენის გამოტრიალება გზისაკენ, როდესაც წინ გადმომიდგა ლაზათიანად ჩატარებული, კარგა ხანში შესული, წა-მოსადევი გლეხი და საუცხოვო სიტყვა-პასუხით მომიბრუნდა:

— ყმაწვილო, ამ პაპანაქება სიცხეში, შუა დღის გულ-ზე, მგზაერობა არც სასიამოვნოა და არც სასარგებლო!. ჩა-მობრძანდით; მზის გადახრამდე აქ ჩვენთან ჩრდილი იჩრდილეთ, ლხინი ილხინეთ, და მერმე გზა მშვიდობისა მოგცეთ უფალმა!. ჩამობრძანდით, შენი ჭირიმე!. მგონია, ე ჩემი ბიჭების სიმღე-რის უგდებდით ყურსა... ოლონც გვეწვიეთ და, ემ წმინდი გიორგის მადლს გეფიცები, უკეთს სიმღერებს ვიტყვი და ვათქმევინებ იმათაც.—თეთრ თავა ბერიკაც გაოცებით და სიამოვნებით გადავხედე. მისი მაღალი შუბლი წლოვანებას ძალზე დაენაოჭებინა. მსხვილი ერთმანეთზე გადაბმული წარ-ბები მთელ მის სახეს მრისხანების ელფერს სდებდნენ, მაგ-რამ საკარისი იყო ერთი შეგეხედათ ამ წარბებ ქვემოდან მამა-შვილურის სათნოებით გამომზირალ თვალებისთვის, რომ ეს შე-სხდულობა წამს სრულიად გაზქრალიყო. „ეს ძევლი დროე-ბის ნაშთია, ამისთანა გლეხები, ვეონებ, ბევრი აღარ უნდა იყვეს ამ უამაღ ჩვენს ქვეყანაში,“ — გავიფიქრე გულში და გადმოვხტი ცხენიდან.

— მეტის-მეტად უზდელი უნდა იყვეს ის კაცი, რომე-ლიც გაექცევა შენისთანა მასპინძელს! — სიკილით ვუთხარი

ბერიკაცს და გავუშვირე ხელი... გლეხმა მაგრა ჩამომართვა ხელი და მხიარულად წარმოსთქვა:

— აი, გადღევრძელოს ღმერთმა!. მაშ წამობრძანდი, შენი ჭირიმე!

— წავიდეთ, მაგრამ ჯერ შემატყობინე—ვინა ხარ, ბიძია?. რა გვარი ხარ?.—ბერიკაცმა ჩაიცინა; მერმე აღვირი გამომართვა და მიპასუხა:

— ვინა ვარ! მე ვიცი მთავარმართებელი ვარანცოვი ვიქნები!.. ბერუა ქრისტესიაშვილი გახლავარ!

მეც გავეცან, და როდესაც ჩემი გვარი წარმოვთქვი, ბერიკაცი მომიახლოვდა, დამატერდა და მერმე სასოებით გადი-წერა პირჯვარი...

— ერთი ეს მიბრძანე, შენი ჭირიმე, გაბრიელისა რა ხარ? შვილი ხო არა ხარ იმისი?

— დიახ, დიახ, ბერუა, შვილი გახლავარ გაბრიელისა.

ბერუა ქრისტესიაშვილმა კვალად გადიწერა პირჯვარი და დალონებით იწყო ისე, თითქო თავისითავს ელაპარაკებათ ..

— ღმერთმა აცხონოს, სასუფეველი დაუმკვიდროს!.. მე და ის დიდი მეგობრები ვიყავით... აი დიდება შენთვის ღმერთო!. რა ნაირა ჰგავს იმ ცხონებულსა!. გულმა ტყუილად კი არ გამიწია... მერმე აიღო თავი მაღლა, წამიავლო ხელი და მამაშვილურის ალერსით მითხრა:

— წამოდი, შვილო, წამოდი!

ვენახის კარებში წინ მოგვევება ერთი ჭაღარა შერთული გლეხი. ამან ცხენი ჩამოართვა მოხუცებულსა და იქვე ახლო ამწვანებულ ბაღახზე დააბა.

ჩვენ შევიარეთ ვენახის კარები, გავცდით საგანგებოდ შემუშავებულ, ყოველნაირ მწვანილეულობით საესე ბოსტან-სა და მივადექით ერთ უზარმაზარ მუხას. ტოტები აქეთ-იქით გავწიეთ და შევედით მუხის ქვეშ. ჩემს გაოცებულ, აღტა-ცებულ თვალს წინ გადეშალა საოცნებო სურათი. კალისა-ვით მორგვალებულ, ხელის გულივით სწორე ადგილზე ამარ-თულიყო უზარმაზარი მუხა. მისი მრავალი ვეებერთელა

ტოტები ზოგი ამაყად წასულიყვნენ მაღლა-მაღლა და დაუ-
სრულებელ ლაქვარდ სივრცეში მედიდურად ირხეოდნენ,
შრიალებდნენ; ზოგსაც აქეთ-იქით განჩე წაელოთ თავები;
უთვალავი სქელი ფოთლებით დაბურული პაწია ტოტები და
ყლორტები ვეღარ შეემაგრებინათ: მათის სიმძიმით ძირს და-
ზნექილიყვნენ, ჟედამიწამდე დაშვებულიყვნენ, და ამნაირად
შეეკრათ კარავი, ზღაპრული დევ-გმირების კარავი, ყოვლად
შემძლებელ ბუნებისაგან საოცრად შემზადებული მარად მო-
მოძრავ, ცოცხალ ნაწილებისაგან. ბევრიც რო გეცქირათ მა-
ღლა, აქეთ-იქით ვერსად ვერ შეამჩნევდით მცირეოდენ მზის
შუქსა, ვერას გზით ვერ დაინახავდით სულ პაწაწკინა ლაქვარდ
სივრცეს ცისასა... უთვალავის ყლორტებითა და ფოთლებით
ისე სქლად იყო დაბურული, რომ მთელი კვირა რო ეწვიმ-
ნა, ერთი წვეთიც არ ჩამოვარდებოდა აქა. ძირს მთელი დედა-
მიწა ტურფად ახავერდებულ პრასა ბალახით იყო დაფენილი.
ამ სუფთა, რბილ და სურნელოვან მწვანე ხალიჩაზე გაშლი-
ლი იყო გრძელი ლურჯი სუფრა, სავსე მრავალის სხვა და
სხვა ნაირის სასმელ-საჭმელებითა. სუფრის ერთ გვერდზე
იდგნენ შვიდი-რვა ერთმანეთის მიმდევნო, ერთმანეთზე უკე-
თესი ყმაწვილი ბიქები; სუფრის მეორე გვერდზეც ამგვარად-
ვე ჩამწკრივებულიყვნენ რავდენიმე ლამაზი შავთვალწარბა
გოგოები. თავში იდგა ღრმად მოხუცებული მანდილოსანი,
ბოლოში სამი ოთხი წლის მარად მომლიმარი, და როგორც
ეტყობოდა, ეშმაკი და კუდიანი გოგონა. მოხსენებულ მანდი-
ლოსანს ერთ მხარეს უდგნენ უკვე ხანში შესული დედაკაცე-
ბი, ხოლო მეორე გვერდზე აგრეთვე ორი ჭაღარა შერთული
გლეხები. როდესაც მთელს ამ საზოგადოებას თვალი გადა-
ვავლე, ერთმა გარემოებამ მიიპყრა ჩემი ყურადღება: რო-
გორც ბიქები, ისე გოგოები სახითა თუ ჩაცმა-დახურვით სა-
კვირვლად წააგავდნენ ერთმანეთს. თავის დაკვრით, „გა-
მარჯვებით“ მივესალმე ყველა იქ მყოფთ და მერე მივუბრუნ-
დი ბერუასა:

— ბერუა, ერთი ეს შემატყობინე, თუ ღმერთი გწამს: ამდენი ესე ერთმანეთის მიმდევნო, ერთმანეთის მსგავსი გო-გო-ბიქები საიდგან შეგიგროვებია აქა?

ამ კითხვაზე ბერიკაცმა კმაყოფილებით ჩაიცინა... და-ნარჩენთ შორის კი გაჩნდა შეკავებული სიცილ-ფრუტუნი და ფრთხილი მუჯლუგუნების ცემა.

ბერუამ ხელი წამავლო, სუფრასთან მიმიკეანა. თავის ადგილი ხელახლა დაიკირა და მეც გვერდზე მომისვა. სხვებ-მა მოგვბაძეს ჩვენ: ყველანი შევუდექით პურის ჭამას.

III

მოხუცმა მასპინძელმა პირჯვარი გადაიწერა, პური გა-ტეხა და შემდეგ თავაზიანად მითხრა:

— მიირთვი, შვილო, მიირთვი!.. ნამგზავრი ხარ და პუ-რი გეშიება. ჩვენც ეს არის ეხლა დავსხედით სუფრაზე... მღვდელ-ღიაკვანიც დავპატიჟე, მაგრამ ამ მობრძანდნენ: ალ-ბათ, მეორე სოფელში წავიდნენ ტაბლების საკურთხებლად. მართლა, ბიჭო იორდანე, მოდი აქა, შვილო!.. აამსე ღვინით ორი დიდი დოქი: ერთი ღვდლიაანთ მიართვი, მეორე დია-კვნიაანთა. ამის შემდეგ ბერუამ აამსო ყანწი, პირჯვარი გა-დიწერა, საერთო სადღეგრძელო დალია, ყველანი დაგვლო-ცა: პეტრე და პავლე იყვნენ თქვენი შემწე-მფარველიო, იმათ-მა მადლმა დაგასწროთ მრავალს ამ დღეს ბეღნიერათაო. რო-დესაც ეს სადღეგრძელო ყველამ ჩამოვირიგეთ, მაშინ ბერი-კაცი მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა:

— აი, ახლა-კი, როცა ე ჩვენ კუჭებს საიმედო დედა-ბოძები მივეცით, ახლა მოგახსენებ წელანული შენი საკით-ხის პასუხსა:

— აი, ეს მარცხნივ რო მოხუცებული მიზის, ეს არის, უკაცრაული პასუხია, ჩემი ჯალაბი, ჩემი ხორქშანა, მთელი ოჯახის დიდი მოამაგე, ქირსა და ლხინში ჩემი ერთგული მე-გობარი. მე და ამან რო ჯვარი დავიწერეთ, თითქმის არა

გვებადარა, მაგრამ ამისმა დედაკაცობამ, დაუღალავშა შენებამა და მოწარმართეობამ მაღლე ოჯახი გამიჩინა და ამ ოჯახში დოვლათს მკვიდრი საძირკველი ჩაუგდო. ამ ბოლო დროს, საწყალი, ცოტა დამიყრუვდა, მაგრამ მაინც ყოჩალია: ჯერ კიდევ კარგათ მოსძლებს... უამისოთ ღმერთმა ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს!.. ორმოცამდე ფუტკრის ძირი გვყავს და ამათი მოვლა-შენახვა მარტო ამას აბარია.

ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული ხორეშანა ღიმილით შესცემოდა ქმარსა. გრძნობდა, რომ მაზედ ლაპარაკობდა. ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ცუდს არაფერს იტყოდა და ამიტომ თითქმის ყოველ სიტყვაზე ნელნელა თავს უქნევდა.

— ი, ე გვერდზე რო გიზის,—გააგრძელა კვალიდ ბერუამ,—ეგ ჩემი უფროსი შეილია. მუშაობაში მე და ეგ დიდხანს ვჯიბრობდით ერთმანეთსა, მაგრამ ამ ბოლო დროს კი მაჯობა, ძალზე დამრია ხელი. დღეს მაგაზე მოუღალავი და მარჯვე მუშა მთელს ამ შხარეში არ მოიპოვება. მეტ სახელიდ „მიწის მგელს“ ეძახიან, ნამდვილი სახელი კი ზურაბაა.

— ჩემი ჯალაბის ქვეით რო ქალი ზის, ეს ემა მიწის მელის ცოლია. კაი ალალ-მართალი და დოვლათიანი დედმამის შეილია. და ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: მამა ნახე, დედა ნახეო... ესეც ჩინებული დედა-კაცია... ღმერთმა ყოველ ჩემის მოკეთეს მისცეს ამისთანა მოსაქმე ადამიანი. პურის ცხობა და სადილ-ვახშის კეთება ამას აქვს ჩაბარებული.

— გვერდზე რო ქალი უზის, ის ჩენი ქეთევანია, ჩენი მარდი, ყოჩალი ქეთევანი. ისე ტრიალებს ოჯახში, როგორც კაი ჯარა! რაც კი იქ ჩოხა-შარევალი გვაცია, სულ მავის ხელით არის მოქსოვილ-შეკერილი. გარდა ამისა, ეგ არის ოსტატი ყველა ე ჩენი გოგოებისა: ასწავლის წერა-კითხვასა, ჭრასა და კერვასა, წინდებ-ჩულქებისა და ქისების ქსოვასა.

— ქეთოს პირდაპირ რო ქონდრის კაცი ზის, ის ჩემი მეორე შეილია. ზაქარა ჰქვიან სახელათა. ბიჭო, ზაქარო,

მოდი აქა, შვილო.—ამ სიტყვებზე ზაქარა მარდათ წამოხტა
და მოხუც მამას გამოეკიმა წინა. ბერუამ ხელი წამომკრა და
დაბალის ხმით წამომჩურჩულა: აბა, ერთი შეხედე მაგასა!—
ამის თქმა ჩემთვის სრულიად არ იყო საჭირო, ისედაც აღტა-
ცებით შევცექეროდი ამ დევ-გმირ ვაჟკაცია. სწორე მოგახსე-
ნოთ, ამაზედ წამოსადეგი, მოხდენილი ვაჟკაცი მასუკან აღარ-
სად შემხვედრია.

— დაჯექი, შვილო, დაჯექი... უთხრა ბერუამ შვილსა,
და მერმე გააგრძელა: ეგ არის სანაქებო ხელოსანი: მაგის
გათლილი გუთნით რო მთელი ხმელეთი გადააბრუნო, გუ-
თანი მაინც უზიანო დარჩება. მაგის დადგმული ურემი ორ-
პირსა და კავკაცში ორას ფუთ ბარგს გადიტანს და გადმო-
იტანს. ამასთანავე, გათქმული ფალავანია და თოფ-იარალის
ხმარებაც ჩინებულად იცის. მეფების დრო რო იყვეს, და-
რწმუნებული ვარ, კეთილშობილებას მალე მიიღებდა თავის
ვაჟკაცობითა.

— ზაქარას გვერდზე რო სამი ბიჭი ჩამწკრევებულან,
ისინი ე ჩემი ზურაბას ბიჭები არიან; იმათ ქვევით რო ოთხი
ბიჭი ზის, ისინი ზაქარას შვილებია. ამათში ორი ცხვარს
უვლის, ორი საქონელსა, ერთი ღორებს დასდევს და დანა-
რჩენი ორიც შინ ოჯახში წაღმართობენ, უფროსებს ეშვე-
ლებიან.

— ბიჭების პირდაპირ რომ გოგოები გამოქიმულან, იმა-
თში სამი ერთი ძმისაა, სამიც მეორესი. უფროს გოგოებს
შინაური ფრინველის მოვლა აბარიათ...

— აი, სულ ბოლოში რო პაწია გოგონა კუნტია, ის
ჩემი საკუთარი შვილია, ჩემი ეშმაკი და კუდიანი მარიკაა!..
შვილო, მანდ რათ წასულხარ? მოდი აქა, მოდი... აკა სულ
მუდამ ჩემთანა ზიხარ ხოლმე! პაწია გოგონამ საჩქაროზე მო-
ირბინა, მორიდებით შემომხედა და დაბალის ხმით წარმო-
სთქვა:

— დიდი-დედამ გამგზავნა: სტუმარს დაუთხე ადგილიო.

ბერუამ ხელი მოხვია ენა ქარტალა გოგონას, სიყვარულით ჩაიკრა გულში და მერმე თავის გვერდით მოისვა.

— ერთი გათხოვილი ქალი მყავდა, — მითხრა დალონებით ბერიკაცმა, — ამის მუცელს გადაჲყეა საწყალი. ბავშვი მაშინვე მე წამოვიყვანე და მას აქეთ აქ იზრდება.

— გარდა ყველა ამათი, — გააგრძელა კვალად მოხუცებულმა, — ორი პატია ჩიტუნა გოგო-ბიჭი აკვნებში ბრძანდებიან. ესე, ჩემო ბატონო, ვინც კი ვინ არიან აქა, ყველანი ჩვენი — მე და ხორებანას — შვილები და შვილის შვილები არიან. სულ ოცდა ორი სული ვართ. ძველად ესეთი დიდი ოჯახი ხშირი ყოფილა თურმე... ჩემ პატარა ბიჭობაში ერთი ოჯახი მახსოვეს: ორმოც სულზე მეტი ტრიალებდა შიგა. ამ ჩვენს დროში კი ესეთი დიდი ოჯახები, ვვონებ, იღარც კი სადმე არიან... ესე და ამ ნაირად... როგორც მოგახსენეთ, აქ ყველანი ერთი ოჯახის შვილება ვართ. შენ კი, როგორც წელან გეტყობოდა, ბევრი ამათგანნი სტუმრები გეგონნენ, არა?..

— დიახ, დიახ, მართალია!... ვუპასუხე... ზოგი უცხონი მეგონნენ... ღმერთმა გამრავლოთ, უმეტესად გაგაძლიეროთ... სულით და გულით ვინატრი, რომ აწინდელი თქვენი ერთობა, თანხმობა და სიყვარული დიდხანს, დიდხანს გაგრძელებულიყოს!...

— მადლობელი გახლავართ, შენი ჭირიმე, — მადლობელი!.. გადლეგრძელოს ღმერთმა!.. მოისმა აქეთ-იქიდან...

IV

ხელახლა შევუდევით სმასა და ჭავას. საუცხოვოთ მომზადებული მსუქანი დედლის ჩიხითმა ჩამოგვირიგეს ქაშანურის ჯამებითა. ამას მოჰყვა ცხვრის ხაშლამა, მერმე ბურვაკის ხორცი და ბოლოს გემრიელი მცვრიანი მწვადები. ყველა ამ საჭმელებს ფეხდაფეხ მოსდევდა ცოტა მომჟავო, თხელი. მაგრამ ციცცივი, სასმელად ჩინებული წითელი ღვინო, და

ყოველ ნაირ საქმელ-სასმელზედ უფრო მეტად მოსაწონი სანა-
ქებო ნამდვილი ქართული, ძველი და ახალი სიმღერები.

— ბიჭო, სიმონა, გაიქე, ერთი ბარი მოარბევინე, —დაი-
ძახა მასპინძელმა, —ეს ლვინო როგორდაც კუუაში აღარ
მიჯდება.

სუფრიდან წამოხტა ერთი ყმაშვილ ბიჭთაგანი და თვა-
ლის დახამხამების უმაღლ მოიტანა ბარი. მოხუცებულმა თვა-
ლით ანიშნა ზაქარას. ჩვენი ქონდრის კაცუნაც მაშინათვე
წამოხტა ფეხზე, ბარი გამოართვა სიმონას და მუხის ძირში,
ჩდილოეთის მხრივ, იწყო მიწის თხრა.

— მინდა — ერეკლე მეფის ლვინო დაგალევინოთ!.. მით-
ხრა მხიარულად ბერიკაცმა.

— როგორ ერეკლე მეფის?.. ერეკლე მეფის ლვინო ჩვენ
დრომდის როგორ მოახწევდა?.. ვიკითხე მე გაკვირვებით.

— არა, ლვინო კი არა, ქვევრს მოგახსენებთ ემ ქვევრსა
ჰქვიან ნეფ ერეკლეს ქვევრი.

— ნეტა საიდგან, როგორ დარქმევია მაგ ქვევრს ეგეოი
საპატიო სახელი?.. იქნება იცოდე!

— როგორ არა!.. გამიგონია: დიდმა ბატონშა ხშირად
იცოდა ხოლმე ამ ანბის თქმა. ერთხელ თურმე ლეკი შემო-
ესია ამ მხარეს. დიდ ბატონს ვეღარ მოესწრო ლაშქრის შე-
გროვება; ამდგარიყო და მთელი თავისი ოჯახითა და ამ სო-
ფლის მცხოვრებლებით, აგერა, აიმ ციხეში შესულიყო. ლე-
კი მოვიდა თურმე და ყოველის მხრიდან ალყა შემოარტყა
ამ ციხეს. შეეტყო ეს ანბავი ნეფ ერეკლეს და იმავე წამს
შეარდენივით გამოფრენილიყო ის სულით განათლებული.
შეაღარისას მოვიდა თურმე და ეხლა ის შემოერტყა ლეკებს
გარეშემო. იყივლა თუ არა პირველი მამალმა, გავარდა მე-
ფის თოფიცა. ეს ყოფილიყო ნიშანი და მაშინათვე საშინე-
ლის ყიფინით დაერივნენ ქართველები ლეკებსა. დიდმა ბა-
ტონშაც საჩქაროზე იცნო თურმე მეფის თოფის ჰექა და ისიც,
როგორც ლომი გამოვარდა ციხიდან. ხმალდახმალ შემოუ-
ტიეს ორის მხრიდან და თავზარ დაცემულ ლეკებს სულ მუხ-

რი გაავლეს თურმე. ლეკების ბელადი, ვიდაც გალეგა, თიც თონ ერეკლე მეფეს გადმოეგდო ცხენიდან.

— აი, დიდება შენდა ღმერთო!.. წამოიძახა ზურაბამ,— ე ჩვენ სოფელში რო გალეგაშვილები არიან, იქნება იმ ბელადის შთამომავლები იყვნენ?

— არა, შეილო, — უპასუხა მოხუცებულმა, — როცა მტრის წინამძღვრები ტყვეებათ მოჰყვებოდნენ ხოლმე და ქრისტიანობას იღებდნენ, ჩვენი მეფეები კეთილშობილებასა, ყმასა და მამულს აძლევდნენ თურმე... ეს ჩვენი გალეგაშვილები კი გლეხები არიან... გამიგონია: მაგათ ერთი ბოროტი და მოუსვენარი პაპა ჰყოლიათ... ამ კაცისთვის მეტ-სახელად „გალეგა ლეკი“ დაერქმიათ. მერე იმის შვილებზედაც გადმოსულა ეს სახელი... მაგათი ნამდვილი გვარი თითისტარა-შვილია. ეს ნამდვილი გვარი დავიწყებას მისცემია და მეტი-სახელი კი გვარად გადაჭრევიათ...

— მერე, ბერუა, მერე? ქვევრს როგორლა დარქმევია ერეკლე მეფის სახელი?. მოვაგონე მე.

— ჰო, დიახ!. იმას მოგახსენებდით.. ლეკები რო სულ ამოქმედათ, დიდ ბატონს ეთხოვა მეფისათვის და სადილათ დაეპატიქნა... ამ მუხის ქვეშ გაეშალათ სუფრა.. აგერა აიმ ქვაზე იჯდა თურმე ნეფ ერეკლე... მოხუცებული მიტრიალდა უკან და ხელი გაიშვირა ერთი გაოლილი ქვისაკენ. მე წა-მოვდექ, მივედი ამ ქვასთან და დავათვალიერე. მუხის შიგ ძირში ორ მის ვეებერთელა ფესვებს ზურგი ჰქონდათ მიწის ზემოთ ამოშვერილი. ამ ფესვებ შუა, ვინ იცის როდის, ჩაუდვიათ სუფთად გათლილი ოთხუთხი, ლურჯი მაგარი კლდის ქვა. ფესვები გაზღილან, მძლავრად შემოხვევიან ქვასა, თი-თქო ნდომებიათ მისი დაფშვნეტა, მაგრამ უკანასკნელიც გა-სჯიუტებია, დასდგომია მაგრა და პირიქით თვით შემჯდარა იმ ფესვების კანსა და ხორცში. ამ ფამად ისეა გამაგრებული მათ შორის, რომ მცირეოდენ საძრაობასაც კი ვერ უზამთ, მთელი გუთნეულიც რომ მოუბათ..

— დიახ, ჩემო ბატონო, — განაგრძო კვალად მოხუცებულ-მა, როდესაც დავბრუნდი სუფრასთან: — სადილზე ამ ქვევრის ღვინო მიირთვა თურმე წევ ერევლებ და ძიებ მოწონა. ამ დროდან მოხსენებულ ქვევრს იმ კურთხეულის სახელი დარქმევია.

— გაუ, სჩანს, ბერუა, ეს ვენახი შემდეგ გიყილნია იმ დიდი ბატონის მემკვიდრეებისაგან?

— დიახ, დიახ!.. ეს ვენახი, ერთი სამოციოდე დღის სახნავ-სათესი მამული, ცოტაოდენი ტყე და საძოვარი მაგათა-ნა მაქვს ნაყიდი. ღმერთმა ააშენოთ!. ერთი ოთხიოდე დღის კარგი ნაფუზარი დიდმა ქალბატონში მაჩუქა. ამ მიწაში ეხლა შშევნიერი ვენახი მაქვს გაშენებული. შარშან ერთი ვიღაც აღუკანტი მოიყვანეს ამ ჩემთა ბედოვლათმა ბატონიშვილებმა, იმ ვენახს შემოუარეს, მერე მე დამიბარეს და მითხრეს: ეს ვენახი უნდა ჩვენ დაგვიბრუნო, თორემ გიჩივლებთ და წა-გართმევთო. მე, რასაკვრელია, უარი ვუთხარი. მაშინ ი აღუ-კანტმა მკითხა: რა საბუთის ძალით გიქირამს ეფ მამულაო?. მისამარას ნებაყოფლობით აიღე მაგ მამულზე ხელიო, თო-რემ საჩივრამდე თუ მიღგა საქმე, მთლად შენს მამულზე გი-ჩივლებთ და საერთოდ ყველადან ხელს დაგაბავინებთო. არც ამ მუქარას შევუშინდი.

— მთელი ოცდა ათი წელიწადი ვიყავი მაგათსა მოუ-რავათა, — განაგრძო კვალად ბერიკაცმა ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ: — იქნება კიდევაც დავრჩენილიყავ, მაგრამ, რაკი დიდი ბატონი გარდაიცვალა და ეფ უბედური ბედოვლათები სახლ-ში დაბრუნდნენ, ყველაფერი უკულმა დატრიალდა მაგათ ოჯახში... იმასაც დიდი ვალი დარჩა და ახლა მაგათ უმატეს და უმატეს.. ქალაქში რაც კი რამ სასახლეები და ბაღები ჰქონდათ, სულ ვალში დაეყიდათ. მერე აქაურ მამულებს მიჰ-ყვეს ხელი.. ძვირფასი მთა და ბარი ნახევარ ფასად ჰყარეს აქეთ-იქითა. ბევრი ვეჩიჩინე, ბევრი ვარიგე, მაგრამ ჩემი ერთ-გულობისათვის მუქარისა და უშვერი ლანძლვა-გინების მეტს ვერავერს ვიღებდი... ავდექი მეცა და დავანებე თავი. ოჯახი

იღუპებოდა და მე რილასთვის უნდა გავჩერებულიყავ იქა... ფული მქონდა შეგროვილი, ღმერთმა ხომ იცის, ალალ-მართლა-თა... და ამ ფულით შევიძინე მაგათგან ის მამულები, რო-მელიც წედან მოგახსენევით. არა მონია, რომ ღმერთმა ეს ცოდვათ ჩამითვალოს!.. ათასი გარეშენი, ცხრამთის იქიდან გადმოთრეულები ყიდულობდნენ მაგათ მამულსა და ჩემზე ხომ უფრო უპრიანი იყო...

— მამა ჩემი, მოდი მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ, სტუმარშა არ მოგვიწყინოს; — დაიძახა ზაქარამ... აი ქვევრიც მოხდილია და აბა ერთი დასკაშნიკეთ ციცივი ღვინოი... ამ სიტყვებთან ერთად სველ-სველი ჩარექაც გაუწოდა ტო-ლუმბაშა... .

მოხუცებული დაფაურდა, თითქო შერცხვა გაბმული ლაპარაკისაო. ქუდი მოიხდა და ხელსახლცითშუბლიდან ოფ-ლი მოიწმინდა; მერმე გაშვერილი ჩარექა ჩამოართვა შვილსა, მთელ სუფრას თვალი გადაავლო, პირჯვარი გადიწერა და წარმოსთქვა:

— ღმერთო მალალო და პატიოსანო წმინდაო გიორგი, ღვთის შშობელო დედავ და პეტრეპავლობის მაღლო და ხა-ლო!... თქვენ იყავით შემწე-მფარველი მთელი საქრისტია-ნოსი, ჩემი ოჯახის, ჩემი სტუმრისა... შეიწყალეთ ჩვენი მა-მაპაპანი, ყველანი, ვისაც ამ ვენაში უმუშავნია; ვისაც ეს ქვევრი ჩაუგდია და ამ ქვევრის ღვინო გულის წმინდით და-ულვევი!!.. დალია, და მერე მე გადმომცა სველი ჩარექა. მეც მოკლეთ გავიძეორე ტოლუმბაშის სადღეგრძელო, დავ-ლიე და გადავეც ზურაბას. ზურაბამ ჩარექა გადასცა ზაქარა-სა. უკანასკნელმა აამსო ჩარექა და მიართვა ისევ მოხუცე-ბულს. ქილებმა და ახალგაზდა — წვერილფეხობამ პატარა ყან-წებით დალიეს. ბერუამ ახლა ჩემი სადღეგრძელო დალია, ჩა-რექა ზურაბას გადასცა და მხიარულად დაიძახა:

— აბა, კატო, შვილო... ერთი მრავალი დაიძახე... შენებური მრავალამიე, შვილო!

ჰაერში გაისმა ნაზი მაღალი ხმა ზურაბას უფროსი, გა-
სათხოვარი ქალისა. მიძახილი უთხრა იორდანემ, ზაქარიას მეო-
რე ბიქმა... სხვებმა დააგუგუნეს ბანი. ჩინებულმა ქართლურმა
მრავალგამიერ იწყო მოხდენილად, ხმა შეწყობილად გრიალი.
ეშეში შესულ გასათხოვარ ახალგაზდა ქალს ფუნთუშა ლამა-
ზი ლოკუები თურაშაული ვაშლივით დაებროწა; კუნაპეტი-
ვით შავი თვალები სიცოცხლის ნაბერწკლებით აევსო. ბანმა
თავიდოდებით ძლიერად დაიგუგუნა, მაგრამ მთქმელიც არ
ჩამორჩა უკანა: ზარივით წკრიალა ხმა ეშეიანად მოეფინა ძირს
სუფრას, ზემოთ სურნელოვან გაკრიალებულ ჰაერსა და მაღ-
ლა, მუხის უთვალავ ყლორტებსა და ფოთლებ შორის იწ-
ყო ტრიალი. ამ ხმაზე გაღვიძებულმა ნიავმა თავისი პაწია
ფრთხები გაშალა, აქეთ-იქით მარდათ გაისრიალა, მწვანე ხასხა-
სა ფოთლებს ფთხილად შეეხო და ნაზი შრიალი დააწყებინა.
ეს შრიალი ფიანდაზათ გადეშალა წინ ლამაზი მომღერლის
ხმასა. სულიერი და უსულო ბუნება ერთმანეთს გადაეხვივნენ
და შეერთებულის ძალით თავიანთ გარეშემო უმაღლესი სი-
ტკბოება და კმაყოფილება მოჰყონეს.

სიამოვნებით აღტაცებულმა ბერიკაცმა ჩაახველა, ხმა
ამოიწმინდა, ზურაბას გადახედა და, მართალია ცოტა დანერ-
ჩეულის, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალის და ვაჟკაცურის ხმით
შემოსახა ხეური. ზურაბამ დასძახა. ბანმა ხელახლა იწყო გუ-
გუნი. მოხუცებული გამხიარულდა, წელში გასწორდა, ყმაწილ-
კაცობა მოიგონა და ძველებურად დასჭყივლა თავის უფროს
შვილსა, დასჭყივლა და ჩააკრიალა:

„ქსნის ხეველები შეითქვნენ:
გარდვიქცეთ მტკიცე ძმანიო!.
ჩაუხტეთ მუხრანბატონსა,
თავს დავაქციოთ ბანიო;
შეუხტეთ, გამოვიტანოთ
თვალ-მარგალიტი, ლალიო...
მოვტაცოთ, წამოვიყვანოთ
თვალშუშუნ თეთრი ქალიო.

ხევურს მოჰყვა სუფრული, შემდეგ სოქვეს ძველი ქართული სიმღერები: ყურშაო, ჩანგურო და სხვანი. ბოლოს წამოვიშალენით სუფრიდან და დავაბით ფერხული. აქ პირველს ამბობდნენ ზურაბასი და ზაქარას უფროსი ბიჭები. მათ-პაპის გავლენა ცხადათ ეტყობოდა მათ საუცხოვო ხმასა და კილოს! ფერხულს, როგორც ჩვეულებაა, მოჰყვა მოხდენილი, ცოცხალი ცანგალა, რომლის დროსაც ამათმა გოგო-ბიჭებმა კაიხანს სცდკვეს და ურბინებს ლეკური.

V

გათავდა საღილი, ალაგდა სუფრა. ქალები და წვრილ-ფეხობა ვენახიდან გავიღნენ. ჩდილ ქვეშ რბილ და სურნელოვან მწვანე ბალაზე წამოვწექით დანარჩენი, ესე იგი ბერუა თავისი ორი შვილით, მე და სამი ახალგაზდა საქორწილო ბიჭები: ორლანე, სვიმონა და დათიკა. ესენი ხშირადა დებოლნებ ფეხზე და სველი ჩარექით მოჰქონდათ ჩვენთან ცივ-ცივი წითელი ღვინო. როცა ჩარექა ჩემთან მოვიდა, მე ხელმეორედ ვისურვე ერთობა ძველი ოჯახისა და მოკლედ, ორიოდე სიტყვით, განვმარტე—რა ვნება და დიდი ზარალი მოაქვს გაყრა-გაყოფას, რომელიც ასე ხშირდება აწინდელ საქართველოში. ამ სიტყვებს ბერუა გულის-ხმიერებით უგდებდა ყურსა; ერთ წამს კიდეც შევამჩნიე, რომ მის გონივრულ ჩაფიქრებულ სახეს რაღაც მოსალოდნელმა შიშის შავმა ღრუბელმა გადაურბინა, მაგრამ ბერიკაცმა დაუპატიჟებელი სტუმარი მალე მოიშორა თავიდან, იმედიანად გასწორდა წელში და მტკიცედ წარმოსოქვა:

— ფიქრი არ არის! სინამ მე და ე ჩემი შვილები ცოცხლები ვართ, ჩვენს ოჯახს არა დაუშველება-რა. როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, დანარჩენთ უნდა იზრუნონ მისთვის. მათ სულსა და სინიდისს მოეკითხებათ, თუ ამ ოჯახს რაიმე ზიანი მოუვიდა.

— საქორწილო ბიჭები რამდენი გყავთ, ბერუა, წელსა?.. დავეკითხე ზე.



ბერიკაცი ცოტა ჩაფიქრდა, დინჯად გაიღიმა და მიპასუხა:

— მიგიხვდი, შვილო, მიგიხვდი მაგ საკითხის აზრსა!.. საქორწილო ბიჭები ი ესენი არიან!.. და ხელი გაიშვირა იქ მყოფ ყმაწვილ ბიჭებისაკენ. სამი ქორწილი მოხდება წელს ჩვენ ოჯახში, სამი ახალი უცხო შვილი შეემატება მას. როგორ შევხვდებით, როგორ მოვურიგდებით და გავიტანო ერთ-მანეთს, ამაზე ბევრჯელ ჩავთიქრებულვარ. და ყოველ ამგვარ შემთხვევაში ნუგეშათ ორი რამ ამიჩნდება ხოლმე: პირველი ის გახლამთ, რომ ჩემი ოჯახის საფუძველი კარგა მაგრა დგას. ოჯახი მომეტებულად მაშინ ირყევა, როცა ნაკლებულება და სილარიბე ეპარება; როცა საქმელ-სასმელი ისე შემცირდება, რომ ერთ ლუკმა პურს ორი და სამი პირი წაეტანება. ჩემ სახლ-კარს, ღვთის მაღლით, ამ მხრიდან საფრთხე არ მოელის: ას დღიურზე მეტი სახნავ-სათესი მამული გვაქვს; დაუმატოთ ამას ორი დიდი, ჩინებული ვენახი... ახლა ცოტა-ოდენი ფულიც გვიჰყავის დარღუბლის კიდობანში!.. მეორე ხიფათი ჩემს ოჯახს ახალი რძლებისაგან მოელით. თუ ღმერთმა ინება და ჩვენი შესაფერი რძლები შეგვხვდნენ, ხომ კარგი; თუ არა-და, მაშინ საქმეს სხვანაირად უნდა მოვლა, სხვა წამლის ხმარება იქნება საჭირო! ხომ იკით, ბიჭებო, ის წამლი?... გასძახა ბერუამ შვილი-შვილებს.

— რომელ წამალს ანბობ, პაპა, რომელსა?.. გაისმა რამდენიმე ხმა.

— ჰავაი, თქვე ცულლუტებო, თქვენა!.. დაგავიწყდათ განა?.. იმ წამალს ვანბობ, რომელიც თქვენმა მამებმა მიართვეს თავიაანთ ახლად მოყვანილ ცოლებს... ახლა?.. მიხვდით თუ არა?..

— მივხვდით, მივხვდით!.. სიცილით დაიძახეს ბიჭებმა. ზურაბასა და ზაქარასაც პირლიმილი გადეფინათ.

— თუ საიღუმლო არაფერია, შეიძლება მეც შევიტყო ი თქვენი, როგორც სჩანს, უებარი წამლის ამბავი?.. შევეკითხე ოჯახის უფროსს.

— რატომ, შვილო, რატომ!.. — წარმოსთქვა უკანასკადლა, — საიდუმლო აქ არაფერია... პირიქით, სასარგებლო საქმე, რაც უფრო გახმიანდება, ის უფრო კარგია! ბევრჯელ მითქვამს ეს ანბავი და დღესაც, რატომ, მოგახსენებთ. ბერუა წამოჯდა, საბასოთ მოემზადა...

— ბიჭო, დათიყა, — დაიძახა მან, — მოდი ერთი ჩარექა ღვინო მომიტანე, ყელი როგორლაც ამომეხრანწა... დათიყამ საჩქაროზე აასრულა ბძანება მოხუცებულისა. ამან დალია, დაგვალევინა და მერმე იწყო.

VI

ერთ წელიწადს ამ ჩემმა ზურაბამ მოიყვანა ცოლი, მეორე წელიწადს ზაქარამა. ამნაირად, თითქმის ერთსა და იმავე დროს ორი უცხო შვილი დატრიალდა ჩვენს ოჯახში. წინაპირველიად ეს ორი ახალგაზდა ქალი როგორლაც ვერ მორიგდნენ ერთმანეთში. ნაცვლად ერთობისა და სიყვარულისა, ისინი გამოუქნელ მოზერებივით იწევდნენ აქეთ-იქით. ერთხელ, დიდ შაბათ საღამოს, — შეგეწიოთ წმინდა აღდგომის მაღლი!.. — მე და ამ ჩემმა შვილებმა ჩავიცვით ახალი ტანისამოსი, ჩაეცემულ ჯიბეში თროლი წითელი კვერცხი, კალმუხის ბუხრის ქუდებში თითო კელეპტარი ჩავირჭეთ და გავწიეთ საყდრისაკენ. დაკლული ინდოური, ყვერულები და დედლები გასაკეთებლად და მოსახარშათ ჩაგაბარეთ ქალებსა და ვუთხარით: აბა, ქალებო, დაამზადეთ ყველა ეს და მერმე თქვენც წამოდით ეკლესიაში... ქვევრს კი თითონ ჩვენ მოვხდითო. გავედით სახლიდან. მოელი კარმიდამო ჩვენი საყდრისა დღესავით იყო განააგებული. ყმაწვილ ბიქებს ქალიდან მოეტანათ დიდრონ დიდრონი ხმელი კუნძები, მიეწყოთ ერთმანეთზე და წაეკიდებინათ ცეცხლი. ცეცხლის ალი სისწაფით მოსდებოდა ამ კუნძებს და სასიამოვნო გუზგუზით ღადღადებდა წითლადა. ნააღრევი გაზაფხულის ცივი ღამე იყო. ახლო-მახლო მთებზე ჯერ კიდევ არ იყო თოვლი სრულიად გამდნარი, ამის

გამო აქედან კარგა საგრძნობელი სიცივის სუსტი მოდიოდა. მოწმენდილ ცაზე სავსე, გაბადრული მთვარე იდგა, ბეჭნიერ საქრისტიანოს ისეთის კმაყოფილებით გადმოსცემოდა, რომ გეგონებოდათ, ისიც და მისი პაწია შვილებიც—გარსკვლა-ვებიც—ქრისტეს აღდგომას დღესასწაულობენ. ამ მიზეზების გამო იმ ღამეს სიცივე კარგა ღაზათიანად იკბინებოდა, ამიტომ ცეცხლი ჯერ კიდევ გემრიელი იყო. დართული, სიხარულით გატკრციალებული გოგო-ბიჭები ჩამდენსამე რიგათ შემოხვეოდნენ ამ მდევების ჭიაკოკონას, უკრამდნენ დაირასა და მუზიკას და მარდის ცქრიალით უვლიდნენ ლეკურსა. მივედით ჩვენცა. მოელი სოფლის მცხოვრებელთ აქ მოყარათ თავი. ორმად მოხუცებული, თმა-თეთრა ბერიკაცები, შუა ხან-ში შესული, ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცები და ახლად წევრ-ულვაშ იკოკრებული სანეფო ბიჭები ერთმანერთში არე-ულიყვნენ. მოთამაშე გოგო-ბიჭებს სალტასავით შემოვერტყით გარეშემო და გავაბით ძველებური, მამაპაპური ფერხული. მე მაშინ ჯერ კიდევ კაი ჯავარზე ვიყავი; ამოვახველე, ამოვი-წმინდე ყელი და შემოვახე; წმინდა გიორგი ცხოველო, ცხოველო!.. ჩემ პირდაპირ ფერხულში იდგა ოთხმოცი წლის ბერიკაცი თევდორე ნიჩიტაშვილი. გაიგონა თუ არა, ბატონი, ჩემი ხმა, ამ მოხუცებულს რაღაც დაემართა: სახე, თვალები გაუბრწყინდა, წელში გასწორდა, თავი აიღო მაღლა და დამძახა: შენ სალოცავად მოველო, მოველო!.. იმ ბრწყინვალე დღესასწაულსა ვფიცამ, რომ დღესაც კი ერუ-ინტელი მივლის ძარღვებში, როცა ი დალოცვილის ხმა მა-მაგონდება. იმ ხელა ბერიკაცმა ი'ე დაიჭექა, როგორც მე-ხმა. წინაპირველი დ თითქმ ყველანი შევკრთით!.. ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ თევდორე ერთ დროს განთქმული მომღერალი იყო; მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთხელ, ნადი-რობის დროს, უცაბედათ კაცი შემთაკვდა, მისი სიმღერა აღარავის გაგვეგონა. ესე გაატარა თითქმის ოცი წელიწადი, და გვეგონა, რომ თევდორეს სიმღერა დაავიწყდა და ხმაც წაერთვაო. მაგრამ დაილოცოს ღვთის სამართალი! რაც კი

ნამდვილად იმისაგან ჰქონია კაცს მიცემული, ის ადვი-
ლათ აღარ წართმევია!.. მცირე ხნის შეკრთმას მალე მოჰ-
ყვა საერთო აღტაცება. ბანმა ისეთის ძლიერებით დაიგრია-
ლა, თითქო მთა და ბარი ირყევაო. მე ბევრით უნცროსი
ვიყავ თევდორეზე, ამიტომ თავი გამოვიდე, შემოვიკრიბე ძა-
ლა და დავკივლე: შელონებულსა ჩემ გულსა, ჩემ გულსა!..
„შენი ჭირიმე, ბიჭო ბერუა, შენი“.. დამიძახა მოხუცებულმა
და უფრო მეტის ძალით შესძახა: შენი წყალობა მოეო,
მოეო!.. ოცი, ოცდა ათი კაცის ბანი გრიალებდა, გუგუნებ-
და და ჩვენც, ამისაგან ფრთებ შესმულნი, მაღლა და მაღლა
ავდიოდით, ახალგაზღებზე უფრო მეტად ვბუქნავდით,
ვკუნტრუშობდით და თანაც სხვა და სხვა კილოზე ვატრია-
ლებდით ხმას. აქ ბერიკაცი გაჩიტდა, თავი ძირს დახარა და
დალონებით გვერდზე გაიქნია ხელი... მერე ჩარექა მოითხოვა,
დალია და დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— არა, შვილო, არა!.. ღმერთ ერწმუნე, რომ ბევრში
ძველი დრო სჯობდა ახალსა... სადღაა ეხლა ესეთი დროს
გატარება!.. ამნაირად მიგებება ბწყინვალე დღესასწაულისა?..
ან სადღა არიან ამ ჩვენ დროში მოხუც თევდორესთანა,
დიდ-დედა დარეჯანასთანა, ან თუნდა ზედადგრიაანთ ტეტიას-
თანა ადამიანები?.. მდევები იყვნენ, მდევები ის დალოცვი-
ლის შეილები... ღვთის წინაშე, დროც კი ისეთი იყო მაში-
ნა... ხალხი თითონ ზრუნამდა თავის თავზე... თავადი, აზ-
ნაური, ღვდელი, ერი — ყველანი დღე და ღამ იარაღში ისხ-
ლნენ და გამწარებით ებრძოლენ მტერსა... ეს გამუდმებული
ბრძოლა, თავ-გამოდება გმირებსა ჰბადამდა, ვაუკაცებსა ზდი-
და... ეხლა? ეხლა საყოველთაო სამსახური აღარაფრისა გვაქს,
ამიტომ დაკარგულია ერთობაცა, სიყვარულიცა, ერთმანეთის
გატანაცა... ყველანი ცალ-ცალკე გავრბივართ. ყველას ჩვე-
ნი საკუთარი თავი გაგვჭირვებია და ამისგამო მხოლოდ ჩვენ
თავზე ვზრუნავთ. გმირები და ვაუკაცები ქანდრის კაცუნეე-
ბათ გადაიქცნენ!..

— არა, მამაჩემო,—სთქვა ზაქარაშ და ულვაშე გადისეა ხელი,—საქმე არც ეგრეა, როგორც შენ ამბობ!.. მოხუცე-ბულმა ჩაიცინა, მერე მიუბრუნდა ზაქარას და უთხრა:

— მე, შვილო, საერთოზე ვლაპარაკობ... თითო-ორთ-ლა შეიძლება ეხლაც გამოვიდნენ წარჩინებული ვაჟკაცები, მაგრამ ორიოდ-სამი რა ანგარიშში ჩასაგდებია, როცა მთელ ქვეყანაზე ლაპარაკობ?

მეც მინდოდა მეთქვა რამე მოხუცის შეხედულობის წინა-აღმდეგ, მაგრამ, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, უკან დავდექ-ბერიკაცი ძველ დროს აქებდა, იმ გარემოებათა და ვითარე-ბასა, რომელთა განხორციელება თვითონ იყო... ასეთ შემ-თხვევაში დაწყნარებული ბაასი უეუძლებელიც არის და უსარ-გებლოცა!..

VII

ბერუამ კვალად ჩამოგვიტარა თავისი ჩარექა და შემ-დეგ იწყო გაგრძელება შეწყვეტილი ამბისა: ფერხულს, როგორც წესია, მოჰყვა ცანგალა. ამდროს ქალებიც წა-მოლნენ წინა. შელერებულმა გოგო-ბიჭებმა იწყეს ცეკვა-თამაში. უცებ ქალების მხრიდან საცეკვაო წრეში გამო-ვიდა ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული მოხუცი დარეჯანა. ეს დედაბერი თევდორეზე თუ არ უფროსი, უნცროსი მაინც არასოდეს არ იქნებოდა. ღმერთმა აცხონოს!.. მთელს ამ ჩვენს მხარეში ის იყო ბებიაცა და ექიმიც. მე მგონია, რომ ღვთის საწყენ სიტყვათ არავინ ჩამომართმევს, რომ ხმა მაღლა ვა-ღიარო: ის ცხონებული უფრო კარგათა გვწამლობდა, სინამ ეხლანდელი განათლებული დოხტურები. დიდი-დედა დარე-ჯანა ყოველ დღე და ყოველ წამს ჩვენში ტრიალებდა, ყვე-ლის კარგად გვიცნობდა. რა გვრგებდა, რა იყო ჩვენი მა-წყინარი, როგორი თვისებისა და ხასიათისანი ვიყავით, ყვე-ლი ეს კარგათა ჰქონდა შესწავლილი და დახსომებული. ავად-მყოფი ისე მიდიოდა იმასთან, რომ არც გული უკანკალებდა,

არც თავრეტი ესხმოდა და უველაფერი ავიწყდებოდა შიშისა-
გან. ეხლანდელი დოხტურები სწორედ ნაჩალნიკებსა ჰგვა-
ნან... შარშან წელის ტკივილი დამჩემდა. ვითმინე, სინამ
ძიელ არ შემაწუხა, მერე კი ავდექი და წავედი დოხტურთან.
შევედი თუ არა საავადმყოფოში, ფერშალმა უკანვე გამომაგ-
დო, თანაც ისეთი დამჭიყვლა, რომლის მსგავსი პრისტავისა-
განაც არ გამიგონია. ფეხები მტვრიანი გაქვს და გაიწმინდეთ.
ავასრულე მისი ბრძანება და მერე ისევ უკანვე შევედი... პა-
ტარა ხანს უკან გააღეს მეორე თოახის კარები და შემიყვა-
ნეს დოხტურთან. სკამზე იჯდა გადაწოლილი, თვალებზე სა-
თვალეები აეფარებინა და ისე გამოიბრვინებოდა, როგორც
მგელი. სტოლზედაც რაღაც გაპრიალებული დანები, ჩაქუჩე-
ბი, სხვა და სხვა ფერის ქაღალდები და წიმლები დავინახე.
გეფიცებით ღმერთსა, რომ ამხელა კაცი შევშინდი: გულმა
ძალზე დამიწურ ჩაქუჩივით ცემა... რა გტკივაო?.. დამიძახა
რუსულად დოხტურმა... ამისხნეს იმის ნათქვამი, მაგრამ ისე
ვიყავ გადარეული, რომ წელის მაგივრად გული წამოვიდახე.
საჩქაროზე გადამხადეს გული. მოვიდა ახლო დოხტური და,
გულის ცემა რო დაინახა, რაღაც წაიბზუკუნა. შორიდან ყუ-
რი მამადო გულზე და მერე მითხრა: არც არაყი, არც ღვი-
ნო აღარ დალიოვო... გვერდაზე ფეხით არ ახვიდეთ, ბევრი
არ იმუშაო, არ გაჯავრდეთ, თორემ გული ისე გაქვს დაზია-
ნებული, რომ, თუ ესენი არ შეისრულე, მალე მოკვდებიო...
წამალიც მამცეს პატარა შუშითა. ის შუშა იმავე საავადმყო-
ფოს კედელს მივანარცხე, შევჯექ ცხენზე და წამოველ სახლ-
ში. ერთი კვირის შემდეგ თავის თავად გამიარა წელის ტკი-
ვილმა. ეხლა რამდენსაც ღვინოს და არაყს დავლევ ხოლმე,
იმდენ ჩვენებურ ლოცვა-კურთხევას უკვზავნი იმ ვაჟბატონებს.
შერწმუნეთ, რომ ჩვენ დარეჯანას ესეთი სულელური შეცდო-
მა არას დროს არ მოუვიდოდა. ის ცხონებული ხომ კარგათ
გვიცნობდა, მაგრამ სინამ ავადმყოფს დაწვრილებით არ გა-
მოჰკითხავდა, არ გაშინჯავდა, წამალს ერთ კაბლსაც არ მის-
ცემდა. ამასთანავე იყო ჩინებული, ჭირსა და ლხინში ნათე-



საურად გამოსადევები, გამოცდილი ადამიანი. ვგონებ, ასეთ-
გორც აქ, ჩვენში, ისე რამდენსამე ახლო-მახლო სოფლებ-
ში ისეთი არავინ მოიპოვებოდა, რომელზედაც ამ პატიოსან
ადამიანს რაიმე სიკეთე, ამაგი არა ჰქონოდა დათესილი. ამი-
ტომაც ყველას უყვარდა ისა და ყველანი— ღიდი თუ პატა-
რა, ქალი თუ კაცი,— მას ეძახოდნენ „დიღი-დედა დარე-
ჯანასა“. აი სწორეთ ამ ბებრულუნა დარეჯანამ გაიძრო
ფეხიდან ქოშები, ქათიბი გაისწორა, გაშალა ხელები
და კოტად ყელმოლერებულმა მარტათ დაუარა ლეკური. მის
გამოთამაშებას მოჰყება საერთო მხიარულება; ცანგალა გაცო-
ცხლდა, ტაში გაძლიერდა. უცებ შესდგა ჩვენი დარბაისელი
მოლეკურე და ვიღასაც მძმედ დაუკრა თავი. მივიხედე იქით
და დავინახე ზედადგრიანთ ტეტია. ტეტიაც კარგა ხნიერი
ბერიკაცი იყო: სამოცდა ათს მიტანებული იქნებოდა. ტან-
დაბალი, ძვალ სხვილი და ძარღვიანი კაცი იყო. ხშირი ჭა-
ლარა წარბები მუდამ მრისხანებით ჰქონდა შეკრული. გალი-
მებულს ძნელათ თუ დაინახავდა მას ადამიანი. სიარული იცო-
და ღინჯი, აუჩქარებელი. ლაპარაკის დროს ღიდი, მორგვის-
ოდენა თავი მუდამ ძირს ჰქონდა დახრილი და იქიდან ისე
გამოიბლვირებოდნენ მისი თვალები, თითქმ მთელს ქვეყნიე-
რობას საშინელ დასჯას უპირებს მათი პატრონიო. სოფელ-
ში ის ყველას ეჯავრებოდა. ტეტია რომ სუსტი, უღონო კა-
ცი ყოფილიყო, ეჭვი არ უნდა, ამ სიძულვილის გამოაშკარა-
ვებას სოფელი არ დაუგვიანებდა: სისაცილოთ აიგდებდა და
უსაქმო გოგო-ბიჭებისაგან მოსვენება აღარ ექნებოდა. მაგრამ
დღეს ვის ება თავი ცოცხალი, რომ მისთვის გაებედნა რამე?!.
ამაზედ ღონიერი, უშიშარი და გამბედავი ადამიანი იმ ძველ
დროშიაც კი არავინ არ მინახავს. სამოცი წლის კაცმა ბარე
სამჯერ გაითხოვა ჭიდაობაში ხიზაბარელი.. სახელოვანი ფა-
ლავანი მოერიდა. სადღაც ეწვნია მისი მდევური ღონე და
მას აქეთ „შორ და მშვიდობით“ არჩევდა მასთან საქმის და
ჭრიასა. ამისთანა დევგმირი კაცისა, რაღა თქმა უნდა, არა
თუ ქალებსა და ახალგაზღობას, ღიდ კაცებსაც კი გვეშინო-

და: მომავალი რომ დაგვენახა, გზას ავუქცევდით ხოლმე, ლაპარაკისა და მუშაობის ღრის ვერიდებოდიდ. სამუდამოთ უცოლ-შვილოთ დარჩენილი, დედაკაცებს ზიზღით უცქეროდა. საზოგადოთ სასმელი ეჯავრებოდა, მაგრამ თუ როგორმე მოხდებოდა და ჯიბრით დაიწყებდა სმასა, ორ-სამ თუნგ ღვინოს ისე გადაყლაპამდა, თითქო აქ არაფერი ანბავიაო.. ლხინი, ყოველნაირი ღრის გატარება ჭირივით ეჯავრებოდა; მაგრამ იმ აღდგომა ღამეს ისიც მოსულიყო საყდრის კარებზე, ისიც გაეტაცა საერთო მხიარულებასა და წარბ გაშლილი ჩამდგარიყო ხალხში. როცა მის წინ დიდი-დედა დარეჯანა შესდგა და თავის დაკვრით სათამაშოთ გაითხოვა, მან ჯერ მთელი სახით გაიღიმა, მერე გაჯავრებით ჩაიქნა ცალი ხელი და გადასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი. შესწყდა უცებ ცანგალა, შესდგა ტაშისცემა, ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე: მთელმა იქ მოსულმა ხალხმა სული განაბა.

— რას გაჩუმდით ხალხო? დაიძახა მოხუცებულმა დარეჯანამ, — გააჩარეთ ცანგალა, დაუკარით ტაში!.. ამ დაბახებამ გამოაფხიზლა ხალხი; საჩქაროზე გაისმა სიმღერა, მას მოჰყვა ტაში. დარეჯანამ დაურბინა, მას გაპყვა ტეტია. მოხუცი დედაბერი სუმბუქ ჰეპლასავით მარდათ დახტოდა, ტეტია-კი ძლივს ამოძრავებდა თავის ღონიერ და ტლანქ ფეხებსა. ერთ ადგილზე შეჩერდა და დათუნიასავით უშნო-ულაზათოდ იწყო ყუნცული.

— არიქა, დიდი-დედა, — იძახოდა აქეთ-იქიდან ახალგაზლობა; — ყოჩალათ დაუარე, ყოჩალათ, დიდი-დედა... ტეტიამ არ გაჯობოს!...

— არიქა, შენი ჭირიმე, ტეტია!.. ყვიროდნენ მეორე მხრივ გაყმაწვილებული ბერიკაცები... მარდათ დაუარე... არ შეგვარცხინო!! შენებურად, ერთი შენებურად დაჰკა მაგრა ფეხი, შეკრთი და შეიკუნტრუშე!.. ერთი ქართული ანდაზა ანბობს: „შეაქეს მურია და შეაქამეს მგლებსა“-ო. ჩვენ საწყალ ტეტიასაც სწოდედ იმ მურიას საქმე დაემართა. ჩვენმა ძაბილმა წააქეზა, გააბრიყვა. მართლა დაჰკრა ღონივრად

დედა-მიწას ფეხი და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, ისკუპა, ძირს დაშვების დროს როგორლაც უცაბედათ ფეხი ფეხს წი- მოიკრა და უცებ ამოდენა ხალხში აგუზგუზებულ ცეცხლის წინ გულალმა კი გაიშხლართა! მაყურებელთ აქამომდეც ძლივს ეჭირათ სული კბილითა, ახლა კი ვეღარ შეიკავეს თავი: წასკდათ გულიანი სიცილი და ხარხარ-კისკისით გაი- ფანტნენ აქეთ-იქითა. ჩვენი შერცხვენილი მოლეკურე კი ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე, ერთი მგელივით დააკრაჭუნა კბი- ლები და, რაკი ახლო-მახლო ვეღარავის მოჰკრა თვალი, ძუ- ძუნძულით გასწია შინისკენა.

VIII

ესე მხიარულად— სიმღერასა და ცეკვაში, სიცილსა და ხუმრობაში გავატარეთ მთელი ის ღამე. ტრედის ფრად რომ ინათლა, მღვდელ-დიაკვანიც მობძრანდნენ და გაისმა ზარის წკრიალიცა. უფრო ხნიერი, დარბაისელი ხალხი გავყევით მათ და შევედით საყდარში. მცირე ხნის შემდეგ შემოსილი მღვდელი გამოვიდა ტრაპეზიდამ, აიღო ერთი დიდი ძველი ვერცხლის ჯვარი, რომელიც მეფების დროს სალაშეროდ გასულ ჯარს მიუძღვიდა ხოლმე წინა, დაუძახა თევდორეს და იმას მიასვენა გულზედა; მერმე მე დამიქნია თავი, მომცა წმიდი გიორგის, ძვირფასი თვლებით შეკედილი, ხატი და და- მაყენა თევდორეს გვერდზე. შემდეგ სხვებს, ჩვენი ხნის კა- ცებს, დაუძახა და ამათაც ყველას თითო ხატი მისცა. ავა- ნთეთ კელაპტრები და გამოვედით კარზე. აქ დაგვხვდა მთელი ჩვენი სოფლის დიდი თუ პატარა, ამათაც ყველას ანთებული სანთლები ეჭირათ ხელში. ქუდები მოეხადათ და მხიარულის მოკრძალებით შემოსცეკროდნენ წმინდა, სასწაულთ-მომქმედ ხატებსა. მშვენიერი მაღალი ხმით იწყო გალობა მღვდელმა- „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილის და- მთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებე- ლი.“ იწყო გალობა და გაგვიძლვა წინ ლიტონიის შემოსა-

ვლელიად. ჩვენც მივძახეთ ბანი და ღალადებით გავყევით უკანა. როდესაც შემოუარეთ საყდარსა და მის კარებ წინ შევჩერდით, მღვდელმა ხმა მაღლა დაიძახა: ქრისტე აღსდგა, შვილებო, ქრისტე აღსდგა!.. და ხალხმაც ერთხმით დაიგრიალა: ჰეშმარიტად აღსდგა, მამაო, ჰეშმარიტად!.. და ეს გრიალი მოფეინა მთელ ჩვენ სოფელსა, მის მინდორსა და ველს, მის მთა და ბარსა! დილა იყო მშვენიერი!.. მართალია სიცივე ცოტა იკბინებოდა, მაგრამ პაერში ისეთი მყუდროება სუფევდა, რომ ჩვენს ანთებულ კელიპტრებს თავისუფლად გაუდიოდათ გუზგუზი. ცაზე მთვარე აღარა სჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი მოქედილი იყო ურიცხვი ბეღვრიალი ვარსკვლავებითა. პატარაობისას გაგონილი მქონდა,— ვარსკვლავები ანგელოზების ოთახებიაო. თუ ეს მართალია, არა მგონია, რომ იმ ღამეს სამოთხეში კიდევ დარჩენილიყვნენ ანგელოზები! ყველანი ცაზედ გამოსულიყვნენ, დაედოთ თავიანთ ლამაზი ოთახის ფანჯრები და მხიარულად იცქირებოდნენ ჩვენსკენა. გლეხეაცობას ეხლაცა სჯერა და წინად დიდი ბატონისაგანაც გამიგონია, რომ აღდგომა ღამეს, როცა ადამიანები ქვეყანაზე ლიტონის უვლიან, ცაშიაც მაშინ ანგელოზები ფერხულს აბმენ, უკრავენ ტაშს, გალობენ და თამაშობენ. გამიგონია აგრეთვე, რომ აღდგომა ღამეს ცაზე უმტვერო ქაღალდივით თეთრი ბატკანი გამოჩნდება ხოლმეო. დიდ-დედა დარეჯანისა და მასთან რამდენსამე სხვებსაც ერთხელ კაი ხანს ეცქირათ ესეთი ბატქნისათვის. ანბობენ: როცა ეს ბატკანი ლამაზად, გარკვევით სჩანს ცაზე, იმ წელიწადს აუარებელი მოსავალი მოვა ქვეყნისერებაზეო... და თუ მკრთლად გამოჩანს, ისე თითქო ღრუბელშია გახვეულიო, მაშინ უძმინდო, უმოსავლო წელიწადი მოვაო... როგორც წესია, სამჯერ შემოვუარეთ ეკლესიას და მერე შევედით შიგნით. როცა წირვის გამოსვლა მოახლოვდა, გამოვიხედე საყდრის კარგბილან და ჩემ ჯალაბს თავით ვანიშნე:—ღრომა მეთქი. ისიც მაშინვე წავიდა შინა და პატარა ხანს უკან მოიტანა ხონჩა, რომელზედაც ელაგა სამიოდ-ოთხი ლავაში და პურე-

ბი, ერთი თევზში წითლად შეღებილი კვერცხები, მოხარშული ბატქნის ბეჭი, ორი კელაპტარი ცოტაოდენი საქმლითა და ერთი მოზღიული დოქი ღვინითა. გამოვართვი ეს ხონჩი და ნელნელა გაესწიო სასაფლაოსაკენ. სულ ასილე ნაბიჯი იქნებოდა იქამდისინ და მთელი ეს გზა სავსე იყო მიმავალ ხალხითა. ამათაც ყველას სავსე ხონჩები ეჭირათ ხელში და ჩემსავით ესენიც თავიანთ მიცვალებულთა საფლავების საკურთხებლად მიღიოდნენ. მივედი ჩემი დედ-მამის საფლავებთან, ავანთე კელაპტრები: ერთი მამის საფლავზე დავამაგრე, მეორე დედისა. ამათ შუაში ჩავდგი ტაბლა-ზედაშე. მოძღვარმაც დიდხანს არ გვალოდინა! ოლარ ჩამოვალებული საცეცხლურის კმევით მობრძანდა, დასდგა შუა სასაფლაოზე და იწყო „ქრისტე აღსდგა“-ს გალობა. როცა გალობა გაათავა, ნაღვლიანად შემოვალო თვალი მთელ სასაფლაოსა და მერმე მაღალის, რიხიანის ხმით შესძახა: გარდაცვალებულნო, საფლავსა შინა მდებარენო, გიხაროდენ თქვენცა!.. ქრისტე აღსდგა!.. აღსდგა მაცხოვარი და დაითრგუნა სიკვდილი!.. აღსდგა ქრისტე და დაიკუა ბჟენი ჯოჯოხეთისანი!.. აღსდგებით თქვენცა უკანასკნელსა მას დღესა!!.. მღვდლის უკანასკნელ სიტყვებზე მთელს ტანში ქრუანტელმა დამირბინა!.. და როცა ის გაჩუმდა, ვიგრძენ, რომ მთელი სასაფლაო შეირყა, თითქოს დედა-მიწა ინძრაო. ამავე წამს მომესმა საფლავებიდან ერთი ღონიერი ამოქშენა, სწორეთ ისეთი, როგორც ამოიქშენს ხოლმე ხანგრძლივის ძილის შემდეგ ახლად გამოლვიდებული. რაღაცნაირმა შიშმა და კრძალვამ შეიძყრო მთელი ჩემი ჰქუა-გონება. გაშეშებული ვიდექი და თვალ დაკუყეტილი დავცექროდი ჩემი მშობლების საფლავებს; დავცექროდი და მეგონა: ი ან ახლა, ან ახლა გადაიშლება მიწა აქეთ-იქით და საფლავებიდან თავებს ამოჰყოფენ ჩემი საწყალი დედმამა მეთქი... მღვდელმა ყველას სათითაოდ გვიკუროთხა საფლავები და მერმე დავბრუნდით ჩვენ ჩვენ სახლებში.

IX

სამივ მამა-შვილები შევედით სახლში. დერეფნიძანვე
დაივიძახე ხმა მაღლა: ქრისტე აღსდგა! — კეშმარიტად აღ-
სდგაო! გვიპასუხა მოწყენილის ხმით მხოლოდ ხორე-
შანმა.

— აბა, ერთი პირი გაგვახსნილებინეთ, — წარმოვსთქვი
მე... ქალები სადღა არიან?

— ეხლავე, ეხლავ! მიპასუხა იმანვე... და იწყო რაღაც
უხერხულად, აჩქარებით ფუსფუსი: იქ ქვაბს შეუკეთა შეშა,
თუმცა არავითარი შეკეთება არ უნდოდა; აქ ზედადგარჩე
გაასწორა ტაფა, რომელიც უამისოთაც სწორე იდგა. ქალები?
ქალები, ჩემო ბატონო, მიმსხდარიყვნენ აქეთ-იქით კედლების
ძირას და, ინდოურივით აფხვერილები, უბლვეროდნენ ერთმა-
ნეთს. ჩავხედე ქვაბებს! შიგ მოუხარშავი ინდოურის მეტი
ჯერ არაფერი სჩანდა. მეწყინა და გაჯავრებით დავიძახე:

— ეს კაი ანბავია?! აღდგომა დღეს ოჯახში რომ პირის
გასახსნილებელი არაფერი გქონდეს, განა იმაზე მეტი უხეი-
რობა კიდევ შეიძლება?. რა ანბავია ესა?

— რა ვიცი!.. მიპასუხა იმანვე დაღონებით; ამ ჩემ რძ-
ლებს ერთმანეთისა რაღაც ეწყინათ. შელაპარაკდნენ, თი-
თონაც გაიშამეს ბედნიერი დღე და მეცა. მერმე გასხდნენ
ეგრე აქეთ-იქით და ხელი აღარაფერჩე არ წამომახმარეს.
მაგათი იმედით არა გჩქარობდი და როცა მარტოკა დავრჩი,
იმაზედ მეტი ვეღარა მოვასწარი-რა!

მე შევხედე ჩემ შვილებს. ზურაბა მიუხსლოვდა თავის
ცოლსა და უთხრა:

— დედაკაცო, ეს რა ანბავია?. რა ეშმაკის ჯორჩე შემ-
ჯდარხარ ბედნიერ დღესა? რატომ არა შევიმზადებიათ-რა?

— მე შენი რძლის მოახლე არ გახლავარ! უპისუხა სო-
ფიომ ბუზლუნით.



— შენ რალა მოგსვლია, ქალო?. დაუძახა ახლა ზაქა-
რამ თავის ცოლსა,—რატომ ხელი არაფერში არ წაგიშველე-
ბია ამ მოხუცებული აღამიანისთვის?.

— ჩემ სამშობლოს აქ, შენი რძლის მოსამსახურეთ როდი
გამოვუგზავნიგარ!. დაიძახა ახლა ქეთომა... ის ქალბატონივით
იჯდეს და მეკი საჭმელები გამზადო?.

— მე უფროსი რძალი ვარ და შენ უნცროსი.. უფროს-
უნცროსობის მადლი გაგიშურეს შენა! — დაიწიკვინა პირველმა.

— ზედ შეუახე რო გაიპატრო, არ გიუფროსებ, არა!.
ჩემ სამშობლოსთან გუდა მშიერა მამიშენის ოჯახი სახსენებე-
ლიც კი არ არის!. თუ უფროსობაზე მიდგა საჭმე, მე უფრო
შემშვენის უფროსობა, სინამ შენა.. შეპყვირა მეორემ.

— დაჩუმდით! შემოუტიე ორივეს..

— მე მაგასთან ცხოვრება არ შემიძლიან!. დაიძახა პირ-
ველმა.

— არც მე მინდა მაგასთან ცხოვრება!. თუ დღესვე არ
გავიყარენით, ხვალვე მე ჩემ გზას მოვნახამ!. მიპანა მეორემ.

ხელახლა შევხედე ჩემ შვილებს. ესენი გააფთრებულ
ლომებივით იდგნენ და თავ-თავიანთ ცოლებს შებლვეროდნენ.

— რას იტყვით, ბიჭებო, ამ ანბავზე? შევეკითხე მათ.

ორივე გატრიალდნენ და დერეფნიდან თითო მოქნილი
იფნის სახრე შემოიტანეს და მითხრეს:

— აი მაგათი წამალი!

სწორე მოგახსენოთ, მიამა! მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის
შემდევ სხვა აზრზე დავდექი. სახრეები გამოვართვი და გვერ-
დზე გადავყარე.

— მოდით, დაავლეთ თქვენ თქვენს ცოლებს ხელი და
მომყევით უკან, ვუბანენ ჩემ შვილებს. მაშინავე მივიღნენ,
სტაცის ხელი და თუმცა წინააღმდეგობის გაწევას ცდილობ-
დნენ, მალე იყადრეს მორჩილება. აიყვანეს ხელში და გამომ-
ყვნენ უკან. მე გავედი ეზოში, გავალე პურის ამბარი და ვუთ-
ხარი ბიჭებს:

— შეპყარეთ აქ ეგ თავლაფიანი ტარტაროზები, ეგენი!.

ორივენი შევაბძანეთ ბნელ ამბარში და გამოვუკეტეთ კარი. მერე შევბრუნდით სახლში, მივეშველენით ჩვენს ბებერ მზარეულს და მალე მოვამზადეთ სანაქებო სადილი. იმავე ამბრის წინ გავშალეთ სუფრა, მოვხადეთ ქვევრი, შემოვუსხედით გარეშემო სუფრასა და შემოვძიხეთ სხვა და სხვა სიმღერები. ამ დროს მობძანდა მღვდელიც, გვიყუროთხა სუფრა და როცა ჯვარის სამთხვევლად მივედით, მან გაოცებით მიიხედმოიხდა და იკითხა ჩვენი რძლები. მე, რაღა თქმა უნდა, არაფერი არ დაუმალე მოძლვარსა. ვუამებე ყველაფერი და ბოლოს მოვახსენე:

— მე ჩემი მოვალეობა შევასრულე, მამაო! ახლა თქვენ იცით და თქვენმა მოვალეობამ!.

— მეც ვიცი, ბერუა, ჩემი მოვალეობა,—ბძანა კეთილმა მწყემსა;—ქრისტიანული დარიგება და, შემდეგ სინანულისა, მიტევება... აი ჩემი მოვალეობა!

მღვდელი მივიდა ამბართან, გააღო კარები და ცხარე ცრემლით მტირალ ქალებს მამაშვილურის დაყვავებით უთხრა:

— გამოდით, შვილო, გამოდით კარზედ!. იმავე წამს მორჩილებით წამოდგნენ და გამოვიდნენ ამბრიდან. მღვდელმა, უფალმა ნათელი მოჭოინოს იმის სულსა, მისცა მშვენიერი დარიგება, ამთხვევინა ჯვარზე, მერე ერთმანეთს აკოცნინა, დალოცა და უთხრა:

— ამ წმინდა ჯვარის წინაშე დასდევით, შვილებო, პირობა, რომ შეიყვარებთ ერთმანეთს, ვითარცა ღვიძლი დები, იშრომებთ თანხმობით და იცხოვრებთ მშვიდობითა და მყუდროებით. ეს ბრწყინვალე დღესასწაული იყვეს თავდები თქვენი პირობისა და მისმავე მადლობა შევაძლებინოთ ამ პირობის წმიდათ შესრულება!..

ქალებმა დასდევს ესეთი პირობა და, უშველოს ღმერთმა მათ მშობლებს, სწორეთ რომ სანაქებოთ ასრულებენ მასაქეთ ამ პირობასა...

— პატარაობისას დიდ რამეთ მიმაჩნდა, პაპაჩემო, ეგ შენი უებარი წამალი, ახლა კი, ჩემის კუუთ, ბევრი არაფერია!.. დაიძახა უცებ დათიკამ... მოხუცმა წარბი შეიკრა, თავი აიღო მაღლა და მრისხანებით გადახედა ამ სიტყვების მთქმელს. ზურაბმაც და ზაქარამაც გაოცებით დაუწყეს ცქერა დათიკას.

— როგორ?.. აბა, ერთი კუუა გვასწავლე... ქალაქში ნამყოფი ბრძანდები და, რაღა ეჭვი უნდა, ჩვენზე მეტი გე-ცოდინება!... უთხრა დათიკას ბერუამ... დათიკა არ შეკრთა, პაპას გაბედვით შეხედა თვალებში და თამამად წარმოსთქვა:

— ისე რომ შიშითა და მონური მორჩილებით, სახრითა და მუშტით არიფერი საქმე არ გაკეთდება საფუძვლიანათა. ესეთი საქმე ტალახით აშენებულ კედლებსა ჰგავს: სინამ ან წიხლს არვინა ჰკრამს, ან წვიმა-ქარიშხალი არ დაჰკრამს, სინამ იდგება, მაგრამ საკმარისია რაიმე შემთხვევა დაატყდეს თავსა და ეს ჩვენი კედელიც მაშინვე გადაინგრევა...

— მიჰქარამ, დაუყვირა გაჯავრებით მოხუცებულმა,— მაშათა დგას ესე მაგრა ჩემგან აშენებული კედელი, თუ ის ტალახით არის აშენებული?

— იმიტომა, რომ მაგ შენი კედლისათვის წიხლის კვრა ჯერ ვერავის გაუბედამს... და ვერ გაუბედამს იმტომა, რომ კველანი ამ ოჯახში შიშ ქვეშ ვიმყოფებით. ყველგან ბატონ-ყმობა გადავარდა და ჩვენ სახლში კი ისევ ძველებური ბატონ-ყმობაა!.. ღლეს აქ ყველანი სწორეთ ისე შემოგცერიან, როგორც ერთ ღროს შენ შესცეკროდი შენგან ქებულ დიდ არამხადა ბატონს თონიკე ქედმაღალაშეიღსა, რომელიც ლუკმა-ლუკმა ასჩენს თავისავე გლეხებმა, ალბად, კაი კაცობრისათვის!..

— ჰაი, შე შეჩვენებულო, შე წყეულო, შენა!.. გაბრა-ზებით შეჭყვირა მოხუცმა და წამოვარდა ზეზე...

— დაიცა, მამაჩემო, დაიცა!.. უთხრა მამას ზაქარამა,—
მაგ ვაუბატონის მორიგება მე მომანდე... წაბრძანდეს ეს სტუ-
მარი!.. ვუჩვენებ თავის სეირსა... დათიკა წამოდგა ფეხზე.
იორდანე და სვიმონა ამოუდგნენ აქეთ-იქიდან. ცხადათ სჩან-
და, რომ ესენი თანაგრძნობით უცქეროდნენ დათიკას.

X

ამ დროს მუხის ქვეშ თავი შემოყო ერთმა გლეხმა, რო-
გორც აღმოჩნდა, ამ სოფლის გზირმა,— და ბერუას რაღაც
დაწერილი ქაღალდის ფურცელი გაუწოდა...

— რა არის ეგა, პეტრე?.. იყითხა მოხუცებულმა.

— რა ვიცი! — უპასუხა გზირმა, — მამასახლისმა მამცა,
ქრისტესიანთ ბერუას მიუტანე: სუდშია დაბარებულიო.

— როგორ-თუ სუდში!. გაკვირვებ-გაჯავრებით წამოი-
ძახა ბერუამ; სუდში რა მესაქმება?. ხომ არ გადარეულა ი
მამასახლისი?!. ქაღალდი გამოვართვი პეტრესა: სასამართლოს
უწყება გამოდგა. წავიკითხე და არ მესიამოვნა მისი შინარ-
სი! თავაღნი — თემურაზ, შალვა და მანუჩარ ქედმაღლაშვი-
ლები უჩიოდნენ ბერუა ქრისტესიაშვილს მუხნარეულის ვენა-
ხის შესახებ: ჩვენია და იმას ტყუილად უჭირავსო. ამ ამბავ-
მა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ მყოფ
ქრისტესიაშვილებზე, და მომეტებულად კი ოჯახის უფროს
ბერუაზე. ფერი ეცვალა, ჭირის ოფლა დაასხა, ნაღვლიანად
შემომხედა და დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— ჩემ დღეში სუდი თვალითაც კი არ დამინახამს. მუ-
დამ ისე ვერიდებოდი, როგორც ურია ღორის ხორცა!. და,
დახე ერთი რა უქნიათ მაგ წყეულებსა!. მუქარა აუსრულე-
ბიათ!! მოხუცებულმა გადახედა ზურაბასა და უთხრა:

— ბიქო, ზურაბო, შენ უნდა წახვიდე, შვილო, სუდში მე არ შემიძლიან..

— არა, მამაჩემო, — უპასუხა ზურაბამ, — ჩემი საქმე არ არის სუდებში სიარული! არა გამეგება-რა და, გაკეთების მა-გივრად, სულ ერთიანად გავაფუჭებ საქმესა.

მოხუცებულმა ახლა ზაქარიას შეხედა, მაგრამ ამან სიტ-ყვაც აღარ დააცადა; ცივი უარი უთხრა:

— ვერც მე წავალ, მამაჩემო, სუდში!. იქ კი ნუ გამ-გზავნით-და თუ გინდათ, — სამთავე ძმებს ერთ დღეს დავჭრი თავებსა!. სთქვა ზაქარიამ და გაბრაზებით დაიდო ხანჯალზე ხელი.

— არა, მამაჩემო, — წარმოსთქვა დინჯალ, აუჩქარებლივ დათიკამ, — მაგათ ჩაძალლებას არც მე გავექცევი, მაგრამ ეს სა-ქმე სხვა რამეს მოითხოვს და არა ხანჯლის ტრიალსა. იმათ საქმე ზაკონით დაუწყვიათ, ჩვენც ზაკონს უნდა მივმართოთ. ზაკონს ზაკონი უნდა, სტატიას სტატია!

მოხუცებულმა შემომხედა და თავის ქნევით დაბალის ხმით მითხრა:

— ხედამ ამ ავაზაკ სათოვეს, როგორა ლაპარაკობს?. აი მაგისთანა სიტყვები შეგვძლვნა მაგისმა ქალაქში წოწიალმა! შევხედე დათიკას და, საკვირველია, მხოლოდ ეხლა შევნიშნე მისი კინტოური ჩატა-დახურვა: კინტოური წულები, უბე დაშვებული შავი შარვალი, შავი მოკლე ჩოხა და ამ ჩოხაზე შემორტყმული დიდ ბუშტებიანი ვერცხლის ქამარი.

— ეტყობა, ხშირი სტუმარია ეს ვაჟბატონი ქალაქისა?. დავეკითხე დაბალისავე ხმით ბერუას.

— თორმეტი წლისა იყო, როცა პირველად სახლიდან გაგვექცა, — მიპასუხა მან. მთელი წლის ძებნა-ჩხრეკის შემდეგ მივაგენით კვალსა, მერე კიდეც ვიპოვნეთ: ქალაქში ჩასუ-

ლიყო და იქ ერთ აღუკანტს მოსამსახურეთ დასდგომიდა, იმ პირობით კი, რომ წიგნი ესწავლებინათ. წამოვიყვანეთ, მაგრამ ხელმეორედ გაგვექცა; იმავე აღუკანტთან მისულიყო. სამჯერ თუ ოთხჯერ მოვიყვანეთ და ეგ ხელახლა ქალაქშივე გარბოდა. ავდექით ჩვენცა და მივანებეთ თავი. მას აქეთია იქა გდია!. სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მოვა ესე; დაგვხედამს და წავა ისევა!. ეს ორი წელიწადია, ვიღაც ავლაბრელ სირაჯთან არის თურმე.

— ჩვენ,— დაიწყო კვალად დათიკამ, — ხვალვე ქალაქს უნდა წავიდეთ და ჩემი ნაცნობი აღუკატი ვნახოთ. მე რო იმასთან ვიყავი, მახსომს, სწორეთ ესეთი საქმე აიღო ერთი გლეხისა, გაარაზბორა სუდებშია და ბოლოს მოიგო კიდეცა. ისე კი არა, საყველ-ჰუროთ: დღეს ისეა და ხვალ სხვანაირათა; არა!. „საესემათ“ მოიგო.

— მარტოკა შენ წახვალ, თუ სხვაც იქნება საჭირო?. ჰკიოთხა მოლაპარაკეს ზურაბაშ.

— არა,— მიუგო დათიკამ, — მარტოკას მე ვინ მენდობა, პაპა ჩემიც უნდა წამოვიდეს.

დათიკას ყველანი შეურიგდნენ. დაგსხედით და ჩაფიქრებით ვიწყეთ სჯა-ბაასი ახლად წამოყენებულ სავაგლობო საგანზე. ამ ბაასის დროს დათიკა თავის ცოდნით, გამოცდილებით და, გომეტებულად, გაბედულობით პირველობდა. გადასწყვიტეს: ხვალვე შესდგომოდნენ საქმეს. მზე დასავლეთის მთებს ეფარებოდა. მოვიდა ჩემი წასელის დროცა. ნაღვლიანის გულით გამოვეთხოვე ჩემს სტუმართ-მოყვარე მასპინძლებს და გავწიე სოფელ ნაზერევისაკენ. ზენა-ქარი ამოვარდნილიყო. ტრიალ მინდორზე რომ გავედი, ღონივრად დაუბერა; შავი საავდრო ღრუბლები საიდგანლაც წამოშალია და იქამომდე მოწმენდილ ლაქვარდ ცაზე მრისხანებით გაპუანტა. პატარა ხანს უკან გაისმა ქუხილის გრიალიცა. მე მაინც არა ვჩერა რობდი: მივდიოდი ნელნელა დაფიქრებულ-დალონებული...

როცა წვიმის წინწკლები დამეცნენ, გამიკვირდა!.. მე მეგონა, რომ ამ ქარიშხალსაც, ქუხილსაც და ღრუბლებსაც ჩემთან არავითარი საქმე არ ჰქონდათ, რომ იგინი მხოლოდ ბერუა ქრისტესიაშვილის ოჯახის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, მის გარეშემო იკრიბებოდნენ..

არბორეული.

1904 წ. მარიამ ბისთვის 24-ს.

გრძოლა

ნინონასთვის ნათქვაშ ზღაპრებიდან

ემილ ჭალასი

(ფრანგულიდან)

ვინ იცის, რამდენი მხის სხივი, რამდენი ფერადი ყვავი-ლები უნიხავს შენს თვალებს, რამდენი სურნელება შეგიყნოსი! ნინონა, ნუ თუ არ მოგბეზრდა ეს საუკუნო, დაუსრულებელი გაზაფხული? სად გაგონილა სულ მუდამ სიყვარული, სულ მუდამ ხოტბა და ქება-დიღება თექვსმეტის წლის ქალის ოცნებისა! ჩემო ავგულო გოგონა, საღამოთი, ის-ის არის, ვარდის კოპტიაობასა და ჭრიკინის უდარდელობაზე ლაპარაკს გავიბამ თუ არა, შენ იძინებ. რომ მოგეწყინება, დაპუქავ შენს დიდრონს საუცხოვო თვალებსა; მეც, რაკი შენის თვალებს ცქერა იღარ შემეძლება, ენა მებმება, ვდუმდები, ვეღარ ვათავებ დაწყებულს ამბავსა.

მაგრამ დამაცა, ნინონ, შენს ზარმაც თვალებს გაგახელინებ. ერთი ასეთი საშინელი ზღაპარა გიამბო, მთელი კვირა თვალები ვერ მოხუქო. შენ ყური დამიგდე! მეტად ხანგრძლივის ლიმილის შემდეგ შიში სამურია ხოლმე.

I

ოთხმა ჯარის კაცმა გამარჯვების შემდეგ, საღამოზე კა-
რავი დასცეს ბრძოლის ველზე, ერთს მიყრუებულს კუთხეში.
დღე და ღამე გაიყარა. ოთხივე მხიარულად შეექცეოდნენ
ვახშამს, შკვდრებ შორის.

შუაში ცეცხლი ენთოთ, ცხვრის ხორცს გაღვივებულს
ნახშირზედ შეწვას არცყი აცდიდნენ და უმადვე ჰყლაპავდნენ.
მოწითალო ალის სინათლე ბუნდად ანათებდა ოთხსავე და
მათს ვეება აჩრდილს შორის სტყორცნიდა. უამ და-უამ შკრთა-
ლი აჩრდილი გადაურბენდა მათს გვერდით დაყრილს თოფებს,
და ბნელაში მძინარე კაცები გამოჩნდებოდნენ, თვალლია-დარ-
ჩენილები.

ჯარის-კაცები მაღიანათ ხარხარებდნენ, არც კი ამჩნევდ-
ნენ მათკენ მოშტერებულ თვალებსა. დარდ-ნაღველის ამშლე-
ლი დღე იყო. არ იცოდნენ, ხველე რას მოუტანდათ, დღესა
ვართ დასვენებული და კარგათ გავატაროთ დროვო.

ღამესა და სიკვდილს მოეცვა ბრძოლის ველი, მათი დიდი
ფრთხები მდუმარებასა და შიშის ზარს აბერტყავდა იქაურობასა.

ჭამას რომ მორჩინენ, გნეისმა დამღერა. მისი რაკრაკა
ხმა მდუმარესა და ბნელს ჰაერში სწყდებოდა; მხიარული სიმ-
ღერა მისს ტუჩქზე უპუსთან ერთათ ქვითინებდა. ჯარის
კაცს თვითონვე უკვირდა,—ე რა უცნობ სიმღერას გმღერიო!
უფრო ასწია ხმას. უცბათ ბნელაში საშინელი კივილი გაისმა,
გულის შემზარავი.

გნეისი გაჩუმდა, გაოცებული. ელბერგს უთხრა:

— მიდი, ნახე, ე რომელმა მკვდარმა გამოილებია?

ელბერგმა მუგუზზალი იღლო და წავიდა. მუგუზზლის სინა-
თლეზე ამხანაგები რამდენსამე წუთს თვალს ადევნებდნენ.
ჰეედავდნენ, რომ ელბერგი რამდენჯერმე დაიხარა, თითქო
მკვდრებს ეკითხება რასმეო; ჰეედავდნენ, რომ თავისის ხმლით
ბუჩქებს მისწი-მოსწია, მერე თვალთაგან მიეფარა ამხანაგებსა.

— კლერიკინ, — უთხრა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გნეის მა, — ამ სალამოთი მგლები დაწრწიან: წადი, ნახე, ელბერგი რა იქნა?

კლერიკინიც გაჰქრა დამის სიბნელეში.

გნეისი და ფლემი, ლოდინით გაჯერებულები, ფარიჯებში გაეხვივნენ და მიფერფლილ ცეცხლის პირას დაწვნენ. ისის იყო უნდა ჩაძინებოდათ, საშინელი კივილი კვლავ მოესმათ. ფლემი ხმა-ამოუღებლივ წამოდგა და ოზის ამხანაგის კვალს გაჰყვა ბნელაში.

გნეისი მარტოკა დარჩა. შეეშინდა, შეეშინდა იმ შავის წყვდიაღისა, რომელშიაც ტანჯვის ხმა მოისმოდა მამაკვდავისა. ცეცხლს შეშა დააყარა, იქნება, სინათლეში შიში გამიქაროსო. ცეცხლს წითელი იყო ავარდა, სისხლის მგზავსი; მიწას ნათელი მოეფინა განიცრადა და რგვალიდ; ამ სინათლის წრეში ბუჩქები უცნაურს ფერხულში ჩაებნენ; მკვდრები-კი, ბნელაში რომ ეძინათ, თითქო უხილავი ხელი მიეკარათ, ჰკრთებოდნენ.

გნეისს სინათლისა შეეშინდა. ანთებული ტოტები მიჰყარ-მოჰყარა და ფეხით ჩააქრო. როცა უარესათ ჩამობნელდა, შეჰკრთა, შიშმა შეიპყრო, მომაკვდავის გმინვა-კვნესა არ გავიგონოვთ. წიმოჯდა, მერე აღვა — ამხანაგების დასახახებლად. თავისის ხმისა შეეშინდა, — ვაი თუ ჩემს ხმაზე ცხედრებმა ყურადღება მომაჟილონო!

ამოვიდა მოვარე. გნეისს თავზარი დაეცა, მოვარის მერთალი შუქი ბრძოლის ველს რომ მოეფინა. სინათლეშე ყველაფერი გამოჩნდა; გამოჩნდა საშინელი და საზარელი ველი. აოხრებული მინდორი, მკვდრებითა და ნამტვრევებით დაფარული, თვალ წინ გადაეშალა, თითქოს სინათლის სუდარით არის დაფარულით; ხოლო ეს სინათლე დღისა კი არ იყო, ღამესი იყო და სიბნელეს ანათებდა. სიბნელე კი ხელუხლებელი რჩება, ჩუმი, გულის გამხეთქი.

ზეზე გაჩერებულს გნეისს შუბლზე ცივმა თულმა დაასხა. იფიქრა, მოდი გორაკზე ავალ და გურთალ მნათობს ჩავაქრო-

ბო. თავის თავს კითხა: კარგი-და, ე მკვდრები რაღას უცდიან, რატომ არ დგებიან და გარს არ შემომეხვევიან, ხომ კარგა-თა მხედავენო? მოელის ტანით ააცახცახა უნძრეველ გვამების ყურებამა და, რაღაც საშინელის უბედურების მოლოდინში, თვალები დახუჭა. ქუსლს ქვეშ რაღაც უცნაური სითბო იგრძნო. დაიხირა; დაინახა სისხლი, წვრილათ მიწანწკარებდა მას ფეხებ ქვეშ, ზედ უვლიდა კენჭებს და მხიარულათ მილუკლუკებდა. სისხლი სიბნელიდან გამოდიოდა, ერთს ხანს შუქი მოეფინებოდა მთვარისა, მერე ისევ სიბნელეში დაიმალებოდა, თითქოს შავეანა გველია და ბოლო-მოულებლათ მიიკლაკნებათ. გნეის-მა უკან დაიხია, თვალების დახუჭვაც-კი ვერ მოახერხა: ზარ-დაცემული, თვალებ-დაჭუეტილი მიშტერებოდა სისხლის წანწკარსა.

ხედავდა, სისხლი ზევით-ზევით იწევდა, განიერდებოდა; სისხლის წყარო მდინარედ იქცა და მდორეთ და დამშვიდებულად დაიწყო დენა, ასე რომ ბავშვსაც ზეეძლო ზედ გადამხტარიყო. მდინარე აზვირთდა. ყრუ ხმაურობით მოჰვირავდა მიწაზე, ნაპირებზე მოწითანო ქაფსა ჰყრიდა. ნიავლვარი, ბოლოს უზარ-მაზარ ტბად იქცა.

ტბას ცხვრები მოჰვინდა; საკვირველი ის იყო, ამდენი სისხლი როგორ გაედინა ქრილობებსა, რომ მისმა ტალღებმა მკვდრების ატივტივება შეიძლეს!

გნეისი უკან-უკან იხევდა, აზვირთებულს ტალღებს თავს არიდებდა. ნაპირებს ველარ არჩევდა, ეგონა, მთელი მინდო-რო ტბათ გადაიქცაო.

ერთბაშათ, იგრძნო, რომ კლდეს მიეყრდნო და იძულებული შეიქმნა გაჩერებულიყო. მისს მუხლებს სისხლი მიეკრა. წყალს მკვდრები მიჰქონდა, ვვერლით გაუვლილნენ და თით-ქო დასკინიანო; თვითეული ქრილობა მათი პირად იქცეოდა ხოლმე და მისს ლაპირობას დასკინოდა. თავს ძალა დაატანა გნეისმა, წელში ვასწორდა, კლდის წვერს მოებლაუჭა, მაგრამ წვერი კლდისა მოსტყდა, გნეისი დაეცა და მისი მხრები სისხ-ლის ტალღაშ დაპირარა.

მთვარე, ფერ მკრთალი და მღუმარე, დაჭყურებდა ამ სისხლს ზღვასა, მისი სხივები შიგ საუკუნეთ ინთებოდა. ცა სინათლე ეფინებოდა, ვეება სუდარა, წყვდიადისა და სიმწარის გოდება კვნესისაგან მოქსოვილი, თითქოს დაღებული პირია უფსკრულისაო.

ტალღა ზევით ზევით აღიოდა და, ბოლოს, თავისის ქა- ფით გნეისს ტუჩები შეულება.

II

განთიადისას ელბერგმა გნეისი გამოაღვიძა, რომელსაც ქვახე თავი დაედო და ისე ეძინა.

— ძმაო,— უთხრა ელბერგია,— ბუჩქნარში ვზა დავკარგევი და ხის ქვეშ რომ ჩიმოვჯექი, ძილი მომერია, ისეთი უცნაური სიზმარი ვნახე, — გამომეღვიძა და მაინც კიდევ თვალწინ მიდგას.

ქვეყნიერობა ახალი გამნილი იყო. მთელი ზეცა თითქო მთლად ღიმილად არის ქცეულით. ჯერ ისევ უმანკო დედა- მიწა მაისის მზის სხივისაგან ჰშვენოდა, ქალწულის მსგავსი, უბიწო ბალახი მწვანეთ ღადღადებდა, თან ისეთი ღიღი რამ გაზრდილიყო, რომ ჩევნის დროის უუდიდეს მუხებს აქარბე- ბდა; ხეები ისეთის ფოთლებით შემოსილიყო, რომლის მსგავსს ჩევნს ღრუში ვერავინა ნახავს. მთელის ბუნების ძარღვები ზრდისა და სიცოცხლის წყაროთი იყო სავსე და ეს წყარო სიცოცხლისა ისე უხვი იყო, რომ მცენარეებს არა სჯერდე- ბადა, — შედიოდა კლდეთა გულში და კლდეებსა ზრდიდა.

ცის კიდური უშფოთველი იყო, გაბრწყინებელი. ჩვენი წმინდა დედა-ბუნება იღვიძებდა. ბავშვებით, ყოველ დიღა მუხლ-მოდრეკილი მადლობასა სწირავდა უფალსა მზის სხივის- თვის და ზეცამდე მთელს თვისს სურნელებასა ჰგზავნიდა ხო- ლმე, მთელ თვისს საგალობელსა, საუკხავო სურნელებასა, გამოუთმელად ტკბილს, სანეტარო საგალობელს, რომელიც ჩემთა გრძნობათა ძლიერს ესმოდათ, იმდენათ დიადის ღვთიუ- რის ძალით იყო აღსავსე შთაბეჭდილება იგი.

დედა-მიწა მშვიდი და ნაყოფიერი, ადვილათ იძლეოდა ნაყოფსა. ხეხილი ყველგან ხარობდა, პურის ყანები გზის პირებსა ჰქარგავდა, როგორც ქორფა ჭინჭარი, ჰაერს ეტყობოდა რომ აღამიანის ოფლი და ზეცის სუნთქვა ჯერ კიდევ არ შეერთებულიყო. მარტო ღმერთი მუშაობდა თვის შეილთათვის.

აღამიანი, ფრინველის მგზავსათ, ზეცით გამოგზავნილ საზრდოთი იკვებებოდა. დადიოდა ღმერთის მადლობასა სწირავდა, ხეს ნაყოფს მოსწყვეტდა, ნაკადულს წყალს დაეწაფებოდა, საღამოს ხეების ქვეშ იძინებდა, ხორცი ეზიზლებოდა, სისხლის გემო არ იკოდა; მხოლოდ ის საჭმელი მოსწონდა, რაც მზისა და ცვარისაგან იყო დამზადებული.

ამგვარად, აღამიანი უმანკოებით იყო აღსავსე და ევ მისი უმანკოება ბუნების დანარჩენ ნამოქმედართა მეფეთა ხდიდა. ყველგან მშვიდობა სუფევდა. მთელი სამყარო რაღაც სიწმინდით, სისპერაკით იყო მოსილი და საღმრთო მშვიდობა ნანას ეუბნებოდა. ფრინველი უშიშრათ დაფრინავდნენ, ტყე სამალებ ადგილათ არ იყო გადაქცეული. ყველა ღვთის გაჩენილი სულიერი მზის სინათლეზე ცხოვრობდა, ერთს ხალხს შეადგენდა, ერთად-ერთს კანონს ემორჩილებოდა — სათნოებას.

ამ არსებათა შორის დავდიოდი, ამ ბუნების შორის ვტრიალებდი და ვგრძნობდი, ღონეც მემატება და უკეთსათ ვარ-მეთქი. მძიმეთ ვსუნთქავდი ღვთიურის მადლით შეზავებელ ჰაერსა, რაც ჩვენს მოშამულ ატმოსფერის დავშორდი და ერთბაშათ ამ სამოთხე ქვეყანაში გადავსახლდი; სწორეთ იმ ნეტარებით ამევსო არსება ჩემი, რა ნეტარ მდგომარეობასაც მღვიმე-მაღაროში მომუშავე თავისუფალ ჰაერზე გამოსვლის დროს ჰვერძნობს ხოლმე.

სიზმართა ანგელოზი ჯერ ისევ მარწევდა. ჩემი სული ტყეში შევიდა და იმ რა დაინახა:

ძირ ნაყარ ფოთოლში ჩამალულ საცალფეხო ბილიკით ორი კაცი მიდიოდა, ერთი წინ და მეორე უკან. წინ მიდი-

ოდა უმცროსი, უდირდელად მიიმღეროდა და ოლერსიანთ უყურებდა ყოველ ბალის. ხანდისხან უკან მოიხედავდა და თანამგზავრს გაულიმებდა. ამ ღიმილში ისეთი, როგორლაც გამოუთქმელი, სიტკბოება იხატებოდა, რომ მივხვდი, ეს ორნი ძმანი უნდა იყვნენ-მეთქი.

მეორეს პირი მოეკუმა, თეალებში სიბოროტე ეხატებოდა. შურიანად უყურებდა ყმაწვილის ზურგს, აჩქარებით მისდევდა და ხანდისხან წაიფორხიალებდა კიდევაც ასე იტყოდით, მსხვერპლს მისდევსო, ხოლო მსხვერპლიკი არსად გაურბისო.

დავინახე, უფროსმა ხეს ტოტი მოსტეხა, ჯოხი გააკეთა ტლანქი, მერე, თითქო ეშინიან, თანამგზავრი არ დამეკარგოსო, გაიქცა, ჯოხი კი თავისს ზურგს უკან დაჭმალა. ყმაწვილი, ის-ის იყო, ჩამოჯდა, რომ დეეცადნა. უფროსი ძმა რომ მიახლოვდა, ადგა და შუბლში აკოცა, თითქო დიდი ხანია ერთმანეთი არ უნახავსთო.

ისევ გზას გაუდგნენ. მზე ჩასავალს იყო. ახალგაზდა კაცი მა ფეხს მოუჩქარა. შორიდან დაინახა უკანასკნელის ხეების უქით, მინდვრის ნაზი მოხაზულობა, ჩამავალის მზის სხივებით დაოქროვებული. ბოროტის სახის კაცს ეგონა, გაქცევას აპირებსო, და ჯოხი ამართა.

ამ დროს ძმა მობრუნდა, მხიარული სიტყვა წაქეზებისა ტუჩებზე გაეყინა,— ჯოხმა თავი გაუტეხა და სისხლი თქრიალით წამოსქდა.

ბალახმა, რომელზედაც დაეცა პირველი წვეთი სისხლისა, შეშინებით მიწაზე დააღვენთა. შეშინებულმა, აკანკალებულმა მიწამ შესვა ეს წვეთი სისხლისა; გარნა გულიდან ხმა ამოხდა ზიზღისა და ბილიკის ქვიშამ ქაფად აღმოანთხია საზიზღარი სასმელი.

მომავდავის ყვირილზე სულიერნი არსებანი იქით-აქეთ დაიქაქსენ თავზარ-დაცემულნი. ვინ სად შეჰყო თავი, ვინ სადა. შარა გზას კი ყველანი მოერიდნენ; ზოგნი ჯვარედინ გზაზე ჩასაფრდნენ და მძლივრნი სუსტებს დაერივნენ. ვხედავდი, ჩუმათ როგორ ილესავდნენ კლანჭებსა და კბილებსა. დიდი ავაზაკობა გაჩნდა ბუნებაში.

თვალ-წინ გამოქროლეს საუკუნო მტრებმა: ძერა მერცხალსა ჰქვდა, მერცხალმა ფრენით ჭია დაიჭირა, ჭია მძოვრს დააჯდა. ჭიიდან დაწყობილი ვიდრე ლომამდის, ყველა სულიერმა არსებამ იგრძნო შიში. სამყარომ თითქო კუდზე იქბინაო და დაუსრულებლიდ თავის-თავს წეწვა დაუწყო.

თვით ბუნება შიშის ზარმა იიტანა და კარგა ხანს იმანჭი იგრიხებოდა. ცის ვიდურს ბინდი გადაეკრა. წყლები ბოლო-მოულებელის ქვითინით ეშვებოდნენ თავქვე, ხეებს ამის შემდეგ ტოტები ატყდებოდათ და ყოველ წელიწადს მიწას თავისის დამკუნარის ფოთლებით იძინებდა!...

III

ელბერგი რომ დაბრუნდა, კლერიანიც მოვიდა. თვისს ორს ამხანაგს შუაში ჩაუჯდა და უთხრა:

— რაც ახლა უნდა გიამბოთ, არ ვიცი, სიზმარი იყო თუ ცხადი, ამიტომ რომ სიზმარი საშინლად ჰგვანდა ცხადსა, და ცხადიც უფრო მეტადა ჰგვანდა სიზმარსა.

სამყაროს შუაზე გზა მიღიოდა და მე ამ გზაზე ვიდექ. გზის აქეთ-იქით ქალები ჩამომწკრივებულიყვნენ და ხალხი მიღი-მოდიოდა.

გზა შავის ფრალაქნით იყო დაფენილი. ფეხები მიუსურდებოდა, — ფილაქნზე შავი სისხლი დავინახე. ორად დაქანებულ გზის შუაზე წითელისა და სქელი წყლის რუ მიჩხრიალებდა.

მივდიოდი; ხალხი ირეოდა. ხან ერთ ჯგუფთან მივიდოდი, ხან მეორესთან; თანაც ვაკერებდებოდი, სიცოცხლე რა გვარად მივირავდა ჩემს გვერდით.

ერთს ალაგას მამები თვისს ქალებსა მსხვერპლად სწირა-ვდნენ; მათს სისხლს ვიღაც საზარელ ღმერის დაპირებოდნენ. ქერა თავები ქალებისა სამსხვერპლო დანის ქვეშ იხრებოდნენ და სიკედილის ავბარზე ფერი ეკარგებოდათ.

მეორეგან, აკან ვალებული და ამაყი ქალწულები თავს იკლავდნენ, ოლონდ კი ნამუსის ახდას თავი დავახწიოთო. სა-მარე მ თს სიქალწულეს თეთრ სუდარასავით ეფარგებოდა.

კიდევ იქით, საყვარლები ხეეწნა-კოცნის დროს სიცოც-
 ხლეს ესალმებოდნენ. შეყვარებული ქალი თავის მარტო-
 ლბას დასტიროდა, სული ხდებოდა, თვალები ზეირთებისაკენ
 დაეშტერებინა, და ამ ზეირთებს მისი გული თან წაეღოთ.
 მეორე შეყვარებული ქალი თავის საყვარლის ხელში მომკვდა-
 რიყოდა წყალში იძირებოდა, საყვარელთან ერთად საუკუნოთ
 გადახვეული.

სულ იქით, ადამიანნი, სილარიბითა და სიბნელით გაჭი-
 რებულნი, თავიანთს სულებს უკეთეს ქვეყანაში ჰგავნიდნენ,
 რათა იქ ეპოვნათ თავისუფლება, რომელსაც სააქოში ამაოდ
 დაექებდნენ.

ყველგან ამ ქვეყნის ძლიერთა სისხლის ნაგალი რჩებოდა
 ფილაქნებზედ. ზოგი მმის სისხლში მიაბიჯებდა ფეხებსა, ზოგი
 კიდევ თავის ბატონისაში. მტრიან გზაზედ მათი გასისხლიანე-
 ბული კვალი წაუშლელად რჩებოდა.

ქურუმნი თავისს მსხვერპლთა ჰხოცავდნენ, მერე, მათის
 მოთახთახე შიგნეულისაკენ უაზროთ თავდახრილნი, ყველას
 არწმუნებდნენ, ამ შიგნეულით ზეციურ საიდუმლოებას ვიგე-
 ბთო. თვისის ანაფორის ქვეშ დამალული ხმალი დაჭირდათ
 და ღვთის სახელით ომს უქადგებდნენ ხალხსა, ხალხიც უჯე-
 რებდა მათს სიტყვებსა. შეუტევდნენ ხოლმე ერთმანეთსა და
 ერთი-მეორეს მუსრს ავლებდნენ, უუფავდნენ, რათა უფრო მე-
 ტად ედიდებინად საერთო მამა ზეციერი.

მთელი კაცობრიობა დაითრო და საზიზდარ სისხლით გა-
 უწმინდურებულ ფილაქნებზე ეცემოდა. თვალები დაეხუჭნა,
 ხელში ორივ მხრივ მჭრელი მახვილი აელო და ბნელაში
 ყველას იძერებდა და ჰხოცავდა.

გრილი სიო განადგურებისა და მუსკრისა ხალხს უბერავ-
 და და მერე შორის, მოწითალო ბურუსში, ინთქებოდა. ხალხიც
 მირბოდა, საზარელი გრიგალით ატაცებული. ერთი აურზაური;
 წეწა-გლეჯა იდგა. თან იტანდა ფეხ-ქვეშ ყველას, ვინც ძირს
 ვარდებოდა და უკანასკნელ სისხლიდან იცლებოდა. ბრაზით
 სული უგუბდებოდა, სწყევლიდა ცხედარსა, როცა ამ უკანას-

კნელს ოონე ერთმეოდა კვნესა-გმინვისა, შებრალების სათხოვ-ნელადა.

სასხლისა სვამდა დედა-მიწა, ხაჩბადა სფამდა; მეტად არ ეზიზლებოდა მისს გულისა ეს სითხე. სიმთვრალისაგან გონ წა-რთმეულ არსებასავრთ, დედა-მიწა ლაფითა ძღებოდა.

ფეხს მოვუჩქარე, ჩემი ძმები არა ვნახო-მეთქი. შავი გზა ისევ იშლებოდა, იმგვარადვე განიერი, როგორც წინად იყო; ნაკადულს, რომელსაც მე მივყვებოდი, სისხლის ტალღა თით-ქო რომელღაც უცნობ ზღვისაკენ მიაქვსო.

რაც უფრო მივდიოდი, ვხედავდი, რომ ბუნება თან-და-თან იღრუბლებოდა, საზარელი სახე ედებოდა. ვაკე-მინდორთ ღრმად პირი დააღეს. უნაყოფო, მწირ ქედებთა და ჩამობნე-ლებულ ვაკეთა შორის სალი-კლდენი მოსხანდნენ. სერები მაღლდებოდა, ვაკე თან-და-თან ძირს იწევდა; ქვა მთად იქცა, ვაკე—უფსკრულად.

აღარსად ბალახი, აღარსად ხავსი! დაღონებული კლდეე-ბი-ღა როსხანდა, მზის სხივით გათეთრებული, წყვდიალით მო-ცული, საზარელ ძირებითა. ამ სამარისებრივის სიჩუმით მო-ცულ კლდეთა შორის გზა გადიოდა.

ბოლოს, გზამ ერთბაშათ მიუხვია, და საზარელ ადგილას მოვყენე.

თხი მთა ერთმანეთს მძიმეთ მისწოლოდა და მათს შუა ვეება აუზი გაჩენილიყო. მათი ჩამოშალაშინებული და მისხ-ლეტილი გვერდები, მდევთა საბლის მგზავსად ამართულები, გარეშემო შემოხვევოდნენ აუზს, უზარ მაზარ ჭის დამსგავსებულს, ჭის—განიერს, ცის კიდურამდის მიღწეულს.

ამ ჭის ნაკადული უერთებოდა და სისხლით იყო ხავსე. ეს ზღვა სისხლისა შშეიდი და სქელი, ნელ-ნელა უფსკრული-საკენ იწევდა. ისეთი შეხედულობა ჰქონდა, თითქო ქვის კა-ლაპოტები სძინავსო; ღრუბლები ცისა შიგ ალისფერად ბრჭყვია-ლებდა.

მიეხედი, ძალმომრეობით დაღვრილი სისხლი სულ აქა ჰეროვდება-მეთქი. მას აქედ, რაც პირველი ადამიანი იქნა

მოკლული, თავის ცრემლს ამ უფსკრულში აღვენთებდა, ცრე-
მლიც ისე უხვად დენილა, რომ ეს უფსკრული პირთამდე
მოუყრია.

— იმ ლამეს დავინახე, — სთქვა გნეისმა, — ნაკადული ამ
დაწყევლილს ტბას არ უერთებოდა.

შიშის ზარმა ამიტანა, — განაგრძო კლერიანმა, — მიუუახ-
ლოვდი ნაპირას და თვალით ტალღების სიღრმე გავზომე.
მათს ყრუ ხმას ყური რომ ვათხოვე, მიეცვდი, — მიწის შუა
გულისაკენ მიდის-მეთქი. მერე კლდეებს მივაპყარ თვალები,
ჭის გარშემო აზიდულებს, და დავინახე, რომ ტალღები
მათს მწერვალებსა სწვდებოდა. უფსკრულიდან ხმა მომესმა:
„ტალღა, ზავით რომ იწევს ხოლმე, მანამდე ივლის, სანამ
წევრამდე არ ავა. მერე ისევ აიწევს, ამ დაწყევლილ აუზიდან
მდინარე გადმოხეთქს და მინდვრებზე გაიშლება. მთანი მო-
ქანცებიან ტალღებთან ბრძოლითა და ძირს დაიწევენ. მთე-
ლი ტბა მოედება ხმელეთსა და წაპრლვნის. ამ გვარად, ხალ-
ხი დაიხოცება, მათის მამების მიერ დაღვრილ სისხლში
დაიხრჩობა“.

— ეს დღეც მოახლოვებულია, — თქვა გნეისმა, — ტალღე-
ბი წუხელ ძალიან მალლა იყო ასული.

IV

მზე ამოდიოდა, კლერიანმა თვისის სიზმრის თქმა რომ
გაათავა. ჩრდილოეთით ბუქის ხმა მოდიოდა, — დილის ნიაგს
მოჰქონდა. ჯარის კაცებს, მინდორში გაფანტულებს, დროშის
ქვეშ შესაგროვებლად იწვევდა ეს ხმა.

სამი ამხანაგი აღგნენ და თავიანთი თოფები იიღეს, წაყი-
დნენ, ჩამქრალ ცეცხლს უკანასკნელად შეხედეს; უცბათ
ფლემი დაინახეს, მათკენ მიმავალი, — მტვრისგან გათეთრებული
ფეხები მაღალ შამჩარში ეხლართებოდა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, საიდან მოვედი, — სთქვა ფლემ-
ბა — ისე გამალებული მოერბოდი. რამდენისამე საათის განმავ-



ლობაში ხეები გაშმაგებულის ფერხულით მომდევდნენ უკანა. ჩემის ფეხების ხმა ნანასავით მეწვეთებოდა ყურში. უნებურად თვალები მეხუჭებოდა, სულ მოვრბოდა; ერთ წუთსაც არ შევ-ჩერებულვარ და ისე ზეზეურად დამეძინა. უცნაური სიზმარი ვნახე.

ერთშაბათ გულსაკლავად გახრიოკებულ სერზე მოვექეცი. ცხარე მხე მაღალ კლდეს აკერდა, ფეხის ტერფი სიარულის დროს მეწვოდა. ვეშურებოდი სერზე ასვლასა.

სიარულს მოვუჩქარე; დავინახე სერზე ერთი კაცი ამოდი-ოდა, მძიმედ. თავზედ ეკლის გვირგვინი ედგა, მხრებზე მძიმე ტვირთი დასწოლოდა და სისხლის ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზედ. ძალიან უჭირდა სიარული, ყოველ ფეხის გადადგ-მაზე წაიბორდი კებდა ხოლმე.

მიწა თონესავით იყო გახურებული და მისის საცოდაო-ბით ვიწოდი. ერთს ხესთან მივედი, სერზე, და იქ ლოდინი დავუწყე. დავინახე ჯვარი მოჰქონდა. თავს გვირგვინი ედგა ეკლისა, ილის ფერი ტანისამოსი ეცვა ტალახში მოსვრალი, — მივხვდი, მეფე არის-მეთქი.

უკან კარისკაცები მოსდევდნენ და მახვილებსა სცემდნენ, როცა სიარულს მოუკლებდა. კლდის თავზე რომ ავიდნენ, ტანთ გახადეს და ჯვარზე გააკრეს, ლურსმებმა ორივე ხელი გაუჭრა და გაუსისხლიანა. მერე ფეხი ფეხთან მიუტანეს, იმა-ნაც გადაჯვარედინა, და ერთის ლურსმით ჯვარზე მიამაგრეს.

პირაღმა იწვა, ჩუმად და ზეცას შესცექროდა. თვალ-თაგან გაღმოცვინული ორი კურცხალი დაწვზე გადმოუ-გორდა, თვითონ არც კი ამნენვდა ამ კურცხლებსა და მის ბაგეთა მორჩილსა და თავმდაბალს ღიმილში იკარგებოდა.

ჯვარი აღმართეს; ტანის სიმძმემ ჭრილობა საშინლად გაუმწარა, მესმოდა მისი ძვლების ჭახა-ჭუხი, ჯვარმული გააურეოლა, მერე ისევ ზეცად აღაპყრო თვალი.

მე კი შევცექროდი. მისის დიდებულის სიკვდილის მნა-ხეელმა ვსოქვი: „ეს კაცი მეფე არ არის-მეთქი“. შემებრალა საშინლად და ჯარის-კაცებს დავუყვირე, გული გაუგმირეთ და მალე მოულეთ ბოლო-მეთქი.

ჯვარზე ჩიტუნია შამოჯადა და გალობა დაიწყო. სევდანი იყო ხმა ჩიტუნიასი, ქალწულის ტირილასაცით მეწვეთებოდა ყურში.

„სისხლი ალა წითლად ჰდებავს, — ჰკალობდა ჩიტუნია, — სისხლი აალისფრებს ყვავილსა, სისხლისაგან ღრუბელსაც წითელი ფერი გადაეკვრის ხოლმე. ქვიშაზე დავჯეპ, ფეხები სისხლით შემელება; ფრთებით მუხის ტოტებს მივეკარე — და ფრთები გამიწიტლდა.

„შემომხედა წმინდანი; უკან გავყევი. ვიბანე წყაროზე და ბუმბული გამეშმინდა. ვგალობდი: „ნამი მკვლელობისა არ გაგაცოდვილიანებსთ.“

დღეს-კი ამას-ღა მღერი: „სტიროდე, გოლგოთის ჩიტუნიავ, დასტიროდე შენს ბუმბულსა, იმას სისხლით ნაპკურებსა, განც უბეში გიხურებდა და გიფარავდა. მოვიდა, ჩიტუნიები უნდა განებანა,—და, ოხ-მე! — აღამიანნი იძულებულს ჰკოფენ თავისის ქრილობის ნაშით აპკუროს საცოდავი ჩიტუნიები!...

„იმდი მეკარგება. დავსტირი ჩემს შებლალულს, სისხლში მოსვრილ ბუმბულსა. სად ვიპოვო, ქრისტე, შენი ძმა, რომ თეისი ლეინის ტანისამოსი გამიხსნას? ოხ, საცოდავო მასწავლებელო! შენი შვილი რომელი განბანს ჩემს ბუმბულსა, შენით სისხლით შეღებილსა“.

ჯვარცმული ყურს უგდებდა ჩიტუნიასა. ნიავი სიკვდილისა მისს წამწამებს მიეკარა, — სიკვდილის წინა წამებში იყო, ტუჩები ეკუმებოდა. თეალნი ჩიტუნიას მიაპყრო, თავმდაბლურის საყვედურით სავსე; ტუჩებზე ღიმმა გადაურბინა, იმედსავით სპეტაკმა.

ნაშინ ხმა-მაღალი ყვირილი აღმოხდა ბაგეთაგან. თავი გულზე დაჰკიდა. ჩიტუნიაც გაფრინდა ქვითინით. ცა გაშავდა, მიწა ინძრა სიბძელეში.

მე მაინც მიერბოდი, მძინარე.

ირაერავა. მინდორ-ველი იღვიძებდა, მხიარულად თავს აღწევდა დილის ნისლსა. იღდრის შემდეგ ცა უფრო მოისარკა, მწვანე ფოთოლს ღონე უფრო მოემატა და ხასხასი დაი-

წყო. გარნა ბილიკის ორივე მხარე იმავე ეკლებით იყო მოფენილი, ტანს რომ მიოსებდნენ; იგივე გაფხვებული და მაგარი ქვები მეყარა ფეხ-ქვეშ; იგივე მცურავები დაფოფხავდნენ ბუჩქებში და გავლის დროს მაშინებდნენ. წმინდანის სისხლმა ძველს ქვეყანას ძალრვებში დაურბინა, გარნა ახალგაზდობის უმანკობა და უფოდველობა კი არ დაუბრუნდა.

ჩიტუნიამ თავზე გადამიტრინა და ჩამოშძახა:

— იცოდე ძალზე ვიტანჯები. ვეძებ და ვერ მიპოვნია იმდენად წმინდა წყარო, რომ შიგ ტანის დაბანვა შემძლოს. შეხედე, დედა-მიწა დღესაც გუშინდელსავით ავგული და ბოროტია. იქსო მოკვდა და ბალახი არ აჰყვავდა. პო, იცოდე, ერთი ადამიანი მეტი მოპკლეს.

V


ბუქის ხმა არ შეწყვეტილა, ჯარის-კაც იხმობდნენ, გზას უნდა შეუდგეთო.

— ძმებო,— სთქვა გნეისმა,— სამარცხვინო ჩელობაა ჩვენი ხელობა, ჩვენ-მიერ დახოცილების აჩრდილმა ძილი დაგვაფრთხო. მეც, თვეენსავით, დიდხანს ვიტანჯე, დიდხანს მიგუძლებოდა სული. აი, ეს ოცდაათი წელიწადია, ადამიანთ ვხოცავ,— ძილი მინდა, მოსვენება, ჩვენს ამხანაგებს თავი დავანებოთ. ისეთი ადგილი ვიცი, სადაც კაცი აკლიათ, გუთნის გამღოლი. გინდათ, ჩვენის ოფლით ესჭამოთ პური ჩვენი?

— გვინდა,— უბასუხეს ამხანაგებმა.

ოთხივემ დიდი ორმო გათხარეს კლდის ძირში და თავიანთი თოფები შიგ ჩამარხეს. მერე საბანაოდ მდინარეზე წავიდნენ; შემდეგ ოთხთავ ერთმანეთს ხელი-ხელს ჩაჰკიდეს და ბილიკის მისაქციელს მიეფარხენ.

თ. სახთავა.



სვანეთის ხელობრივი

სახაჲებანი

სამწუხაროდ, თავშივე უნდა აღვნიშნო, რომ სვანეთის ხელობაზერებისა ჩვენ დრომდე ერთ შეოთხედსლა თუ მოუღწევია; სამი მეოთხედი კი ან დრო-უამს მოუსპია ან და კერძო პირებს გადაუტანიათ სვანეთიდან: ქუთაისს, ტფილისს, პეტერბურგსა და მოსკოვს და შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ მე მხოლოდ ამ ქალაქებში მეგულება.

როდესაც სვანეთში ქრისტეს სწავლა აღყვავებული ყოფილა, რასაც ცხადათ ამტკიცებს მრავალი ეკლესიები და მათი ძვირფასი ხატ-ჯვარი, მაშინ თითოეულს საყდარს ჰქონია ყველა საღვთო წერილის წიგნები ტყავზე დაწერილი. ამ 30 წლის წინეთაც რომ შესულიყვათ რომელიმე მიყრუებულ სოფლის ეკლესიაში, კუთხეში ან თავისებურ საწიგნეებზე ნახავდით გროვა-გროვად დაწყობილ საღვთო წერილის წიგნებს პეტერბურგში დაწერილს ყდიანსა და უყდოს; ახლა კი დიდ სოფლების შუაგულ ეკლესიაშიაც ვეღარ ჰპოულობთ მათ. მანუსკრიპტები ან აფუშულ-დამპალან ანა და ვისაც მოუსწროია, წაუღია. როდესაც სვანეთის ძველი სასულიერო წოდება შეგნებული ყოფილა, სკოლის თავისი საქმე და სმენია თანამდებობა, მაშინ იგი ფრთხილად სდგომია საღვთო წერილის მანუსკრიპტებსაც; მეტო როდესაც იგივე სასულიერო წოდება თავის მოვალეობის ცოდნით დაქვეითებულა, მანუსკრიპტებსაც ფასი და პატივი დაჰკარგვიათ. შემდეგ დროებში

დაბეჭდილი საღვთო წიგნებიც შემოსულია და უმეცარ ჰაპებს, ძველის სასულიერო წოდების წარმომადგენელთ უვარებისად უცენიათ ძვირფასი ხელთნაწერები და ალალაბედზე მიღდიათ. ამიტომაც არის, რომ დღეს, რამოდენიმე სახარების გარდა, რომელიმე ძვირფასი მანუსკრიპტი ფურცელ-ფურცელად არის დაშლილ-დაგლეჯილი და მიყრილ-მოყრილი ეკლესიის მტვერ-ნაგავში, ასე, რომ ეკლესიაში ხელთნაწერის ძებნის დროს ნაგავში წაატყდებით მთელ ან ნახევრად დახეულს ფურცელს, სადაც შესანიშნავნი ძველი დროის მოღვაწენი გრი, ივანე, სოფრონ, ილარიონ, მიქაელ, გაბრიელ, გრიგოლ და სხვანი აღნიშნავნ, რომ მათ ესა და ეს ოთხთავი, გულვანი და სხვა დაუწერიათ ამა და ამ მონასტერში, მოუგიათ სახსრად სულისა თვისისა დასაცველად მეფეთა ჩვენთა ღვთივ დიდებულისა ადრენესე კურა-პალატისა და ღთივ ბოძთა ნაშობთა მათთა დუვთ ერის... და სულისა მეფეთა ჩვენთათვის არსებისა, ღთისა, აშოტისა, ან ბაგრატ-კურაპალატისა და სხვათა—წაატყდებით—ვიმეორებ—და გული გიკვდება კაცს, რომ მთელი ოთხთავი-სახარება—ამდენი ნაღვაწ-ნაშრომი ზემოხსენებულ დაუვიწყარ ჰირთა, არსადა სჩანს, იგი ან დამპალა, ან მღილს დაუხრია ანა და სულ გამქრალა და ნიშანად მისის ოდესლაც არსებობისა მტვერში ობლათ შენახულა მთელი ან ნახევარი ფურცელი. ჩვენდა სავალალოდ, რუსეთის მთავრობის მიერ დადგენილ სამღვდელოებასაც სრული უყურადღებობა გამოუჩნია სვანეთის ხელთნაწერების შესახებ. ეტყობა, იგიც არაფრად აფასებდა ამ ძვირფასს განს ჩერის ისტორიისას, თორემ, სხვა რომ არა იყოს, ის მაინც შეეძლო სამღვდელოებას, რომ მის დრომდე დაშთენილ ხელთნაწერებისათვის წვრილი ბაწარი შემოხვია და ისე დაეწყო ეკლესიის რომელსამე საიმედო ადგილის და ამითი დაეცვა იგინი დაკარგვა-გაფუჭებისაგან. მაგალითები, სამწუხაროდ, სულ სხვას გვეუბნებიან. 1892 წ. ერთ ეკლესიაში საარაყე ქვაბში დაგდებული ვნახე ძვირფასი სახარება მე-Х საუკუნისა და იგივე ქვაბი სავსე იყო არჩევის რქებით, დაძველებული ხატ-ჯვარის ნამტვრევებით და

სფანეთის ხედონაწერები

სხვა და სხვა ხურდა-მურდით. ამგვარი არა სანატრელი მდგო-
მარება იყო მიზეზი, რომ გრაფინა უვაროვისა თხოულობ-
და სვანეთის ხელონაწერები მოსკოვს გაეგზავნათ. ამ მოკლე
სიტყვაობის შემდევ პირდაპირ შევუდგები ხელონაწერების
აღწერასა. ამ სტატიაში შევხები მხოლოდ სახარებებს, რა-
საკვირველია, პერგამენტზე დაწერილებს.

ა) ჰადიშის სახარება.

სოფელი ჰადიში მდებარეობს მთა ოვეთნულდის ძირში,
რომელსაც სიმაღლე 16 ათასი ფუტი აქვს. ეს სოფელი გან-
ცალკევებულათ ძევს, ასე, რომ განგებ თუ არ მიღის, გზათ
ვერსათ ვერ მოხვდებ კაცი. უმახლობელესი სვანეთის სო-
ფელთაგანი შორავს მას 9 ვერსით. ამჟამად ჰადიში 16
მოსახლეა; ძველად კი მეკომურთა რიცხვი 60 ყოფილა. გა-
დმოცემით ხალხი ამზუსვეტილა რომელდაც ეამიანობის დროს.
მართლაც, რომ ძველად აქ მრავალი მოსახელე ყოფილა, ამას
უტყუარად ამტკიცებს ბევრი დანგრეული ნამოსახლარი და
ექვსი ეკლესია, რომელთაგან ხუთი განადგურებულია და მა-
რტო ერთი არის შტატის ეკლესიაზე ზედმიწერილი. აქ სულ
ორი გვარის კაცები არიან ნავერიან-ავალიანები და ქალდა-
ნები. ეს უკანასკნელნი თავის თავს სამეგრელოდამ გაღმო-
სულად ჰაბდი და ვითომ მათი უწინდელი გვარი ქარდავა
უნდა ყოფილიყო. მაცხოვრის ეკლესია, რომელშიაც ზე-
მოხსენებული სახარება ვნახე, სოფლის თავში სდგას. მის სამ-
ხრეთის კედელზე შიგნით ზედ კარგთან დახატულია საერო
ტანისამოში კაცი, რომელსაც ბეჭვიანი ქუდი ახურავს და
თავთან ხუცურის ასო-მთავრულით აწერია: ქე შე შქლ
ჩეგიანი არ¹⁾. დასავლეთის კედელზე სამი კაცის სურათია,
საერთსავე ქართულს ტანისამოში; არც ერთს ქუდი არ ახუ-
რავს. მათ ახლო წარწერა არსად არ არის; მხოლოდ თავს
ზემოთ დახატულია სამი ეკლესია.

ჰადიშის სახარება ერთ შესანიშნავ ხელონაწერთაგანია
მთელს სვანეთში. მისი სიგრძე შვიდი ვერშოკია, სიგანე 6^{1/3},

¹⁾ გვარი ჩეგიანი ეხლაც არის სუანეთში.

ხოლო სისქე 31/2 ყდიანათ. ფურცელი აქვს 394; ამათში სა-
 ხარების ტექსტს 386 ფურცელი უჭირავს, ორი ფურცელი
 ტექსტისავე ხელით დაწერილს, ხოლო მინიატიურებს, მახა-
 რობლებს და ესრულ წოდებულ „კანონს“ 6 ფურცელი. სა-
 ხარება სქელს ტყავზეა დაწერილი ასო-მთავრულის ხუცუ-
 რით. სახარება ჩასმულია ტყავ გადაკრულ ხის ყდაში. ეტყო-
 ბა, ძველი ყდა შემდეგში განუახლებიათ და მეორეთ აკინძვის
 დროს ძაფის მაგიერ კანაფის მომსხო ბაწარი უხმარიათ. ისიც
 ცხადად სხინს, რომ მის მეორეთ ამკინდავს ტექსტის ამოკით-
 ხვა ან სულ არ სცოდნია ანა და, თუ სცოდნია, ძლიერ ნაკ-
 ლებათ. ეს მტკიცდება მით, რომ ფურცლები რიგზე კი არ
 მისდევენ ერთი მეორეს, არამედ არეულ-დარეულად, რასაც
 ქვემოთ ცხადად დავინახავთ. სახარების წინა ყდაზე ვერც-
 ხლის უბრალო ჯვარია მიწედილი რვა ლურსმით. პირველი
 ფურცლის წინა გვერდი დაუწერელია; მეორე გვერდზე კი და-
 ხატული ყოფილი ექვსი სურათი, რომელთაგან მარტო მათი
 მახარობელი გამოიკანობა; დანარჩენი სურათები წაბლალუ-
 ლან. მეორე ფურცლის პირველ გვერდზე დახატულია წე-
 მარკოზ, ხოლო ამავე ფურცლის მეორე გვერდზე ლუკა და
 წე იოვანე. ამათ შემდეგ ორ ფურცელ ნახევარზე ანუ
 ხუთ გვერდზე დაწერილია „კანონი“ და მეექვსე გვერდზე
 საყდრის სურათია გამოყვანილი. მინიატურები და მახარო-
 ბელთ სურათები ოქროთი ყოფილან მოვარაყებული. მახა-
 რობლებს სახარებანი უჭირავთ ხელში. ეკლესიის სურათს
 მოსდევს სახარების ტექსტი. ფურცელი ორ სვეტათ არის და-
 ყოფილი; თითოეულს სვეტში 16 სტრიქონია, 1 სტრიქონში
 კი 11—15 ასომდეა დატევნილი. ამნაირად ფურცლის გვერ-
 დი შეიცავს 32 სტრიქონს, ხოლო მთელი ფურცელი 64-ს.

მეორეთ ამკინდავის უმეცრებას უნდა მიეწეროს, რომ
 თავში, მათეს სახარების წინ, ჩაკინძულია ლუკას სახარებიდ-
 გან მე-23 თავი და პირველი სტრიქონის 46 მუხლიდან მხო-
 ლოდ ესლა სწერია:... ვასული. მერმე ახალი სტრიქონით
 იწყება ორმოც და მეშვიდე მუხლი:

ვა იხილა ასის თავ-
მან რად იგი იქმნა
აღილებდა ღა და
თქა ნანდკილვე
კაცი ესე მართა
ლ იყო

და თავდება ოც და მეოთხე თავის პირველის მუხლით:
წერთ შატათსა შას შესთოვად განთიად მო...
მეორე ფურცლის პირველ გვერდიდან იწყება:
სახარებად შა... (მათესი *)

მათეს სახარება უკლებლივ დაცულა, თუმცა რამდენიმე ვრცელი—სხვა სახარებებში ჩაუკერია იმკინბავს და უჭირავს 120 ფურცელი და ერთი გვერდი. ამ 120 ფ. 29 ფურცელი არშეიბ შემოჭრილია, 14 ფ. თაგვ-მღილისაგან მოხრილ-მოტკვერილია.

მე-121 ფ. მეორე გვერდზე იწყება:

ପାତ୍ରଙ୍ଗଦାତା ମାନ୍ୟତାଧିକାର

ამ სახარების 76 ფურცელი ერთათ არის აკინძული და თავდება მე-15 თავის მე-45 მუხლით. ამ თავის ბოლო და მე-16 თავის ფურცელი ჩაკინძულია ლუკას სახარების მე-80 ფ. შემდეგ მე-16 თავს აკლია მეშვიდე მუხლიდან ბოლომდე. მარკოზის სახარებაში 16 ფურცელი არშიებ შემოჭრილია.

ყველაზე უფრო არეულია ლუკას სახარების ფურცლები. ეს სახარება რიგისამებრ მოსდევს მარკოზის სახარებას, მაგრამ იწყება მე-6 თავის მე-49 მუხლის უკანასკნელის სიტყვებით:

၁၃၁၈ ၂၇၉ ၁၉၆၀ ၁၉၆၁ ၁၉၆၂ ၁၉၆၃ ၁၉၆၄

პირველი თავი ამ სახარებისა ზედ წარწერით: სხრბა
ლუკაში მოთავსებულია მე-74 ფურცელს შემდეგ, ხოლო მა-
თეს სახარების მე-23 თავი წინ არის ჩაკინძული. ლუკას სახა-
რება შესდგება 108 ფურცლიდან, ამათგან 16 ფურცელი

^{*)} სათაურები ყველგან წითელი მელნით არის დაწერილი.



არშიებ ჩაჭრილია. ამას მოსდევს იოვანეს სახარება, რომლის მუხლის მისამართი დარღენილი მარტო... ანესი, რადგან მდიდარი უხრია ამ აღილას ფურცელი. პირველი თავიდგან ათი მუხლი მოთავსებულია ერთ გვერდზე; მერმე ამ თავსა და მის გარდელებას შეა ჩაკინძულია შვიდი ფ. ლუკას სახარებისა; შემდეგ ისევ გრძელდება იოვანეს სახარება მე-33 მუხლის უკანასკნელის სიტყვებით:

არს რომელმან ნათელ გრუს სოჭლითა წითა. აქედამ სჩანს, რომ პირველ თავს აკლია 23 მუხლი. ეს სახარება შეიცავს 81 ფურცელს, რომელთაგან შვიდი არშიებ შემოჭრილია. იოვანეს სახარების ბოლოს ფურცლის მეორე გვერდზე აწერია ტექსტისავე ხელით:

სტოვასა მას აღსა-
მაღლებელისასა
ევანგელის მარ
კოზის თავისად

და მოყვანილია მე-14 თავის ოც და ცაშეტი მუხლიდან და თავდება მე-48 მუხლის დასაწყისის სიტყვებით: და მოვიდა მათა... ამის შემდეგ სახარების ტექსტი აღარ არის; ყოფილა კი ტექსტისავე ხელით დაწერილი სამი გვერდი, მაგრამ პირველი გვერდის პირველივე სვეტი ვინმეს წაუშლია ბოლომდე და ნუსხურის ხუცურით დაუწერია; შემდეგ რატომ-დაც ნახევარი სვეტი ამ ნუსხურისაც წაუფეხებათ. სამწუხაროდ, ამ ორ ფურცელს კიდეები შემოხეული აქვთ, რადგან ივინი ამოგლეჯილი ყოფილან სახარებიდან, და მე ცალკე ვნახე სპილენძის ქვაბში მიკუჭნული. ამ ფამად ეს სამი გვერდი შენახულან ამნაირად:

პირველი გვერდი
პირველი სვეტი.

რენი

თქათე

ხრეს სუშე

წ გრინავსა შ-

სახარების ტექსტის ხელით

სახელითა არსება დაუბ-დბლისა
უ-დ წ-ისა სამებისათა: მხ-ბითა: უ-დ წ-ისა
ლთ-ის მშობლ-ისათა: შეწევნითა და
წყლ ბითა წ-თ ა მთვნგლსთოადთა
მხ-ბითა და შეწევნითა უ-ლთა წ-თა
ეთა: მე ნ-კ-ლს ოდესმე ჯუმათისა
მმსხ-ლის ყოფილმან: უღირსმ-ნ და
ს-ლითა სწყ-ლბლმ-ნ: ფ-დითა ხარკ
ებითა აშენენ(?) ლ-ნ კლარჯეთისა
მონასტერნი შევიარენ და შევკრ
იბენ წ-ნი ესე წიგნი პ-დ წ-ა ესე სახ
არებაში ოთხთავი: და მრვლ....
და კელთ კანონი: მმართა: წიგნი და...

ნუსხური

ხუცური

ამისი გაგრძელება ამავე სვეტზე სულ თოთხმეტი სტრი-
ქონი წაფხეკილია.

ამავე გვერდის
მეორე სვეტი

ლთა: ხე*)

წსა:=რაზ=შობ
თასა=ჩა ქ-მ
ოკუეო შეგვწყლენ
ერთობით ა-ნ
მწერა ამისი მიქაელ
ლოცვასა მომიქს
ეთ და შემინდვეთ...
ოკუბე ჩემი
და მმოსელიცა: მიქ...
დიაკონი მომიხსენე...
წ-სა ლოცვასა თქნს.
ო-ი მფარველ გ...
ყლ-თა ერ

ასო მთავრულის ხუცურით,
რომლითაც დაწერილია სახა-
რების ტექსტი; ასეა სულ
ბოლომდე.

მეორე გვერდის
პირველი სვეტი
. აწისა

*) ხაზ გასმული ასოები წითელი მელნით არის დაწერილი.

მეოხებითა
 სა ღ-თისა მშობე
 . . . სახთა და წ-ის
 . . . ნათლის მცემე
 . . . ახთა და წ-მ
 . . . ათა მახარე
 . . . ლთავთა და
 . . . ლთა წ-თა მისთ
 . . . ახთა ლირს ვიქ
 . . . ენ მე გლახაკი
 . . . ოფრონ აღსროვ
 ლებად წ-ა ამ
 . . . წიგნსა სახ
 . . . ასა ოთხ.
 ამავე გვერდის
 მეორე სვეტი.
 . . . ოკაწ-ე...
 ლიერთ... ათა
 ჩემთავთა
 სალოცველად ყ-ლ
 სა ამის კრებოვლი
 სათვა და ყ-ლთა
 ნათეავთა ჩ-ნ
 თა კორციელად
 და სალოცველა
 დ მეფეთა ჩ-ნთა
 ღ-თივ დიდებოვლი
 სა აღრნესე კოკ
 რა პალატისა
 და ღ-თივ ბოძთ
 ა ნაშობთა შა
 თთა დ-ვთ ერის
 (მესამე გვერდის პირველი სვეტი)

სეგნეტის ხედონაწერები

.... სა და მეოკლე
 თ... და ნაშობთა
 მ... თთა თვე
 და სალოცველადსო
 კლთა გარდაცვ
 ავალებოკლთა
 თვეს ს-ლსა მამისა
 გრიგოლისა ს-ლსა
 მამისა გაბრიელ
 ისსა და ყლთა ძ
 მათა ჩ-ნთა გარ
 დაცვოლებოკლთ
 ა თვეს და სოკლთა
 მეფეთა ჩ-ნთა თვე
 არსენისა *) ღ-თისა ა
 შოტისა და ყ-ლთა
 თვესთა და გარდაცვ
 ალყოკლთა თვე
 . . . ვინცა ლირს იქმნ
 . . . ალმოკითხვა
 დ და მსახოვრება
 დ წ-ა ამას სახა
 რებასა მოგვკე
 . . . ეთ წ-თა შინა ლო
 . . . ვათა თქვენთა ჩ-ნ
 . . . ა ყ-ლნი ჩ-ნი წერილი
 . . . რიან რ-ა თ-ქვნცა
 . . . განიჭოს ღ-ნ კეთ
 . . . საოკუპნოვე
 . . . ერთობით
 . . . მცა ვართმა

*) ეს მეფე ცნობილი არის სატორიაში.

• • • ცათასა

ოისა ჩენი

ჰადიშის სახარების ტექსტი ენის, ორთოგრაფიისა და აქა-იქ აზრის მხრითაც რამოდენსამე განსხვავებას წარმოადგენს თანამედროვე სახარების ტექსტან. ით რამოდენიმე ამისი ნიმუშიც.

ჰადიშის სახარება

იოანე მახარ ათავიდგან

დასაბამითგან იქმნა

და მისა გარეშე არა რამ იქმნა

რაღა რამ იქმნა...

მის მიერ

ნათობს

და იყო კაც ერთ

წამებად

მის ნათლისათვე

მის გამო

1823 წ. მოსკოვში დაბეჭდილი სახარება.

პირველთაგან შეიქმნა

და თვინიერ მისა არცა ერთი რა

იქმნა, რაოდენი რა იქმნა...

მის თანა

სჩანს

იყო კაცი

მოწამედ

ნათლისა მისთვის

მისგან

მომავალსა

სოფელსა ამის იყო

ლუკას მე-23 თავიდგან:

ასის თაოვმან რამ იგი იქმნა

თუ ნანდვილვე კაცი ესე

მართალ იყო

და ყულნი რწი მოსროვლ
იყვნეს ხილოვასა მას და რად
იგი იქმნა იცემდეს მკერდ
სა და გარე უკუნიქცეოდეს
შორს განრე
მოსდევდეს მას.

პირველი თავიდგან:
მსაქოვლებასა ზედა კვრინტსა
მომავალი

სოფელსა შინა იყო.
ასისთავმან მან საქმე ესე
იტყოდა ჭეშმარიტად კაცი ესე
მართალი იყო.

და ყოველნი მათთანა მისრულნი
და რომელთა იხილეს ხილვა ესე
და საქმენი ესე იცემდეს მკერძა
მათსა და წარვიდოდეს.

შორით
შეუდგეს მას
მთავრობასა ასურეთს კვირინესა
მასვე ადგილსა
იტლმს

ბ თავითგან
ბრძანებულ
და მოიყვანეს მშობელთა მათ
მკართა თვესთა
განუტოო მანად შენი ოომს-
გავსად სიტყვისა შენისა
მამად მისი და დედად მისი
გ თავიდგან
უფლებასა ტიბერია კეისრისასა
მსაჯულებასა პონტოელისა პილატტსა
მარკოზისა თავიდგან

ესახა

მასვე სოფელსა

იერუსალიმას

უწყებულ

და შეკვანებასა მას მამა დედისა მიერ

მკლავთა ოვისთა ზედა

განუტევე მონა შენი მეუფეო

სიტყვისაებრ შენისა

იოსებ და დედა მისი

ტიბერის კეისრისასა მთავრობასა

პონტოელისა პილატესა

ისაია

წარვავლინებ ანგელოსსა ჩემსა

განმზადოს გზად შენი წე პირსა შენსა

განმზადეთ გზად დაწრფელს

ჰყოფდით ალაგთა მისთა

იყო იოანე ნათლის მცემელი

უდაბნოსა და ქადაგებდა ნათლის ცემასა...

დავმადცით გარდამოესმა

. . . შენ მთნავ

და მოკნოვსვე

გამოცდად

კაფარნაომ

ჰეროდე

ჰაბრაამ, აბრაამ

წარვავლინო ანგელოსი ჩემი

განმზადეს გზანი შენნი წინაშე შენსა

განმზადენით გზანი უფლისანი

და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

იყო იოანე უდაბნოსა და ნათელს სცემდა და

ქადაგებდა

და ხმა იყო ზეცით... შენ სათნო გიყავ

და მეყსეულად

სეანეთის ხელთნაწერები

გამოიცდებოდა
კაპერნაუმ
იროდე:
აბრაამ...

სრული შედარება ტექსტისა მომეტებულს განსხვავებას აღმოაჩენს, აღბათ, მაგრამ მე კი ეს ამ უამად ვერ მოვახერხებ.

ძევლის ხელნაწერების არშიებზე კაცი ხშირად წააწყდები რომელსამე საინტერესო მინაწერებს. ჰადიშის სახარება მოკლებულია ამას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორსამგან მინაწერებს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ. ი ერთი ამგვართაგანი ნუსხურის ხუცურით დაწერილი:

ლ'ო გვედრია ცვლი ათანასესი ფ'დ ცოდვილისად დღე-სა შას განკითხვისა და ს'ლსა ბროლისა ჩ'მისასა ნუ მისცემ მავნებელთა ჩემთა ა'დ შემიწყალე ესრებისათს შისა წ'თა ანგზთა შ'ნთა ოხითა გამარინე მტრებისა საფრთხეთნ ვინ აღმოიყითხოს მსცა მოწყლე ექმენ.“

ლ'ნ აღიდოს აღშისა სოფელი, ლ'ნ შეუნდოს ივანეს მუმუჩიანსა ა'ნ.“

სამი მინაწერიც მხედრულის ანბანით არის. სამივე წარმოადგენს პირობას აღიშსა და მულახს შუა საერთო მთის თაობაზე. ეს მთა დღესაც საერთოთ არის და ხშირად გამოიწვევს აყალ-მაყალს ზემოხსენვბულ ორ სოფელთა შორის.

დასასრულ დასხენ, რომ ეს სახარება, რომელზედაც ასე გრძლიათ გავაძით ბაასი, არავის უნახავს გარდა გრძონია უვაროვისა, რომელმაც რამოდენიმე ადგილი და სურათები ფოტოგრაფიით გადააღებინა.

ბ) მესტიის სახარება.

მესტიის საზოგადოებას სვანეთის შუა ადგილი უჭირავს. იყი ითვლება თავისი მდებარეობით და ლამაზის შენობებით ლამაზ საზოგადოებათ მთელს სვანეთში. აქ იყო (ამ უამად უკვე დანგრეული) სვანეთის სხვა ეკლესიებთა შედარებით

დიდი ეკლესია წლის გიორგის სახელზე. ამ ეკლესის კუთვნილება იყო ის სახარებაც, რომლის აღწერასაც ხელს მივყოფ.

სახარება ტყავ გადაკრულ ხის ყდაშია ჩასმული. წინა და უკანა ყდაზე ჯვარია გამოყვანილი ვერცხლის თავრგალა ლურსმებისაგან, რომელთ რიცხვი წინა ყდაზე 190 არის, ხოლო უკანაზე 166. ყდის ზურგი სახარებას სიძველისა გამო მოსცილებია და ამიტომ არის, რომ მისი ფურცლები აფუშული, არეულ-დარეულია. სიგრძე სახარებისა ყდიანათ ექვსი ვერშოკია, სიგანე ხუთი. თვით სახარების ტექსტის სამას ოთხი (304) ფურცელი უჭირავს. ამას გარდა ოთხ გვერდზე ოთხი მახარებელია დახატული, შვიდი ფურცელი „კანონს“ უკავია მინიატიურბითურთ, ერთი გვერდი დაწნილ ჯვარს

წარწერით: ჯი წა და ერთ გვერდზედაც დახატულია
სასოი მ...ნთი

დიდი და მშვენიერი ეკლესია უწარწეროთ. კიდევ ორ ფურცელზე მოთავსებულია სახარების სასწავლები, შვიდზე „თხრობად“ ორზე წარწერა და ორზედაც: ევსებიოს კარპიონის საყვარელსა ძმასა ოლისა გიკითხავ.

სახარება, რასაკვირველია პერგამენტზე დაწერილი ასო მთავრულით. ანბანი ერთობ ლამაზია, სიღილით ბევრზე მომცროვა ჰადიშის სახარების ალფავიტზე. ფურცლის გვერდი ორად იყოფა; თითოეულს სვეტში ცხრამეტი სტრიქონია, სტრიქონში 15—17 ასომდეა მოთავსებული თავთავის აღგილებზე აწერიათ: წ. სახრება თავი მათბეი, წ. სახრება მარკოზისი, წ. სახარებად ლოვკახი, წ. სახარება იოვანბეი იმ ფურცლის მეორე გვერდზე, სადაც თავდება იოვანეს სახარების ტექსტი წვრილ ნუსხურის ხუცურით აწერია:

ღ ბა ღ ა დაქსრულა
წ ა ესე წიგნი სხრბისად
ო რ ი კ ქ ე მოწყალებითა
შენითა შეიწყალე და ადი

დე სულიერად მონად შენი
მომგებელი წ' დისა ამის
წიგნისად ი' ლნ იშხნელი ა'ნ იყავნ

შემდეგ მოთავსებულია „თხრობა“ ერებისათვს (?) და შემ-
შხადებელთა სსერიტელისა ამისთვის გ' ხმაცხვ-ლბლისა რ' განაგდ
მაშ-მნძისა მ' რ' რ' განაგებს ჭმონებს და იღუწის (ეს წითელი შელ-
ნით არის დაწერილი) „ეპლესია დიდო საზეპუროდ დახინებისა მის
ზ' ცოდსა ზიარო“ და სხვა, რომელიც გაგრძელებულია, რო-
გორც ნათქვამია შეიძს ფურცელზე და ბოლოს მობმული:

რლ' ისა თ' სუ მე საწყალ
ობელმ'ნ და ყლთა შ' ს მკ
უდრთა სფლისათა ნა
ნაკლო ლევამ'ნ და უნა
ნელმ'ნ გლაბაკმან ილა
რიონ ძემ'ნ მასორისმან
ი. . . ნელ ეპიზკოპოზ
მ'ნ მოვიგე წ' ესე თ
თხთავი და აღვაწ'ე
რიე ყ-ლითა სრულებითა რ' ფ დი
წადიერებითა სურვილი და სი
ყუარული მაქუნდა
ამისა მიმრთ და შევი
ყუარენ თხრობანი ესე
და ესეცა მსგავსად ხა
ლისა ჩემისა რომელი ჰატი
ეთა მ'თ ზემო კსენებუ
ლთა დაკსნასა გუაოწყებს
და კეთილთა მთ მხსნელისა
ჩ'ნი მ'რ' ყოფლთა გუახარებს
და შერადვიყუარე ვიღუაწ'ე
მოგებად და აღვწერე ლავრ
ასა შ'ა კხ'ლსა წ' დის წინამრბდისა
იოვანესა ოშეს კლთა ვლახა

კისა გბრლ გრის ძმისწულისად
 თა ქრონიკუნსა სწგ.: სა...
 სალოცველად და სადიდებე
 ლად ღთივ მრწმუნეთა მფთა
 ჩნთა ბგრტ კურაპალატისა
 და დდისა მათისა მრმ დელოფ
 ლთ დედოფლისა ა-დნ ღ-ნ.
 სალოცველად და სალხინებე-
 ლად საწყალობელისა სლისა
 ჩემისა და სა... თსთა
 ჩემთა ცცხლთა და მც...
 ლემლთასა და სალოცვე
 ლად ძმისა ჩემისა იოვანესა
 და შვილთა მისთა მასო
 რისა და გრისთ-ს აშ გევედ
 რები ყლთავე რნი იმახო
 რებდეთ და აღმოიკითხვი
 დეთ წ-ა ამას წიგნსა ვხენე
 ბულმცა ვარ წთა შა ლცვ
 თა თქნთა.
 აშ რადესაცა ვის მიზეზი
 სა გზით წ-ა ესე წიგნი ვის
 თნაცა მოიწიოს და შემო
 გივრდეს და ჩემ-დადვე არა
 მოაწიოს და მე გამომავ
 უას განა თუ მე თვო და
 ოტეო ვის და მივსცე სა
 ლოცველად ჩემდა
 მას გამოავუას
 (კრულ) არს სტუითა
 დაუსაბამოესა ღთისახთა
 ექუსთა კრებათა მაღლითა
 ე პტრი

აქთა ჯითა წთა მოციქუ
 ლთა მდლითა იოვანე ქ
 ართლისა:: ქ: ჯითა და
 ვინცა ვინ ესე ჩემი დაწე
 რილი საქმით აღასრულოს
 ჯა აქუს ღთისაგრძ და ჩემ
 გლახაკისაგრძ
 აწ გევედრებით ყლთა რი შე
 დგომითი შდ ღირ იქმნეთ და
 გულის ვმაყავთ პოვნად
 სარგებელისა ნამუშაკევისა
 ამისგნ ჩნისა რ მეშინის ნუ
 უკუე და არღარა საძიებელ
 იყო ამირერთვან დიდი ესე საიდ
 ომლოდ კსნისა ვინამთვნ აწ
 ვეუწყი ეს წწტყლბათა
 აღსრულებდ და მიღრევილა
 რდდე და შეურცხო ოქრუხ
 სიშმიდე წე მდებარე არს ძლთა
 და მარგალიტი დაითრგუნვის დრ
 თა მრ გრნა ოქრუხ ოქრუხ არ
 ს და მარგალიტი ღრ რთა მრღათუ
 დაითრგუნვის იხილეთ გნყა
 . . . ლება შს მრგლტისა და ღრთა
 ყავთ კსენებდ ჩნი კთლი და მიით
 უალეთ გულს მოდგინებდ რა
 თქვენ და ჩნ ნაყფრ ვიპენეთოისა
 ჩნისაივ ქსა მს გამოჩინებსა მის
 სა დბა თნა სამარადისომთა მმთ
 ერთარსებითა სლისა წდი
 სახთა უკუნი
 თი უკე
 ან

მე განგებ გადმოვწერე თავიდამ ბოლომდე ზემოთ შესანილი წარწერა, რაღაც მას სულ მოკლე ხანში მოელის სრულიად წაშლა-გაქრობა. დღესაც მისი წაკითხვა ერთობ ძნელია უბრალო თვალით და ხშირად საჭირო ხდება გამადიდებელ მინის მოშველება. მეორეც ისა, რომ ამ გრძელი წარწერიდამ განსვენებულს ბაქრაძეს ერთი ადგილი დაუსტამბავს თავის სტატია „Сванетия-ში*“ და სხვათა შორის ერთი დიდი შეცდომა შეჰპარვია, თშევის მაგიერ განსვენებულს ფიზა უწერია და ამ ორ შესანიშნავ ლავრათა შუა ხომ ერთობ დიდი მანძილია.

ზემოთ ნაჩვენები პირველი მიზეზი მაიძულებს, რომ მოვიყანო სრულად აგრეთვე სახარების არშიებზე ყველა ხუცური მინაწერები და რამოდენიმე მხედრულიც. ამ უკანასკნელის ხელი ალაგ ალაგ ისეთი უცნაური მოხაზულობისაა, რომ პირველს შეხედვაზე კაცს ეგვიპტის ჰიეროგლიფები გვონია. მინაწერები მომეტებულად მესტიას ან სეტის კევის შანაურ ცხოვრების მხარეებს შეეხებიან; მაგრამ ზოგიერთებს საზოგადო ინტერესიც აქვთ, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

მდ. ბესარიონ ნიუარამე.

(დასასრული იქნება)



ახალი ზელანდია

ინგლისის ახალშენი

(თარგმანი)

XII *)

საადგილ-მამულო კანონმდებლობა ახალ-ზელანდიაში

„ახალ ზელანდიის საადგილ-მამულო კანონ-მდებლობა წარმოადგენს ერთ ფრიად საინტერესო და გამჭვიულ პოლიტიკურ ცდათაგანს, რომლებ-საც აქსიტრალიის კოლონიებში ახდენენ“.

Epps, Land systems of Australasia.“

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ახალ ზელანდიის ინგლისის მფლობელობასთან შეერთების შემდეგ, ესე იგი 1840 წ. ესრედ წოდებულ ვაიტანგის ხელშეკრულობით მეტროპოლიის სახელით გუბერნატორმა აღუკრძალა კერძო პირთ მაორებისაგან მიწის ყიდვა და გამოუცხადა, რომ ყველა წინეთ მომხდარი ნაყიდობა გაუქმდებულია, ვიდრე დამტკიცებული არ იქნებიან ამისათვის განვეძ დანიშნულ პირებისაგანო. ჩვენ ვიცით აგრძეთვე, რომ ეს გან კარგულებანი მაორთა ინტერესების უზრუნველ ყოფისათვის გამოიიცნენ და რომ მართლაც მთავრობა ათ-ავერ, ოცჯერ და ზოგჯერ ასჯერაც და მეტჯერაც იმცირებდა იმ მიწებს, რომლებზედაც მყიდველნი მფლობელობის უფლებას აცხადებდნენ. და ბოლოს ვიცით ისიც, რომ გუბერნატორები შემდეგშიაც ყოველთვის მხარს უჭერდნენ მაორებს,

*) იხ. „მოამბე“ № VIII, 1904 წ.

რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ხოლმე კოლონიელთა რის, რომელთაც არასგზით არ სურდათ მიხვედრილიყვნენ იმას, რომ მაორებს, როგორც მკვიდრთ, ეკუთნოდათ ის აუარებელი მიწა-წყალი, რომელიც ან ოდნავ დასახლებული ან სრულებით დაუსახლებული იყო დატოვებული.

იმისდა მიუხედავად, რომ კოლონიელები უკმაყოფილონი იყვნენ, მთავრობას მაინც თავის ქცევისთვის არ უღალატნია მაორთა შესახებ. თვითონ ყიდულობდა მიწებს ადგილობრივ მკვიდრთაგან მათ ენის და ჩვეულებათა მცოდნე განსაკუთრებულ პირთა საშუალებით. მთავრობისაგან მიწების შესყიდვა საზოგადოდ არავითარ მითქმა-მოთქმას და არც უკმაყოფილებას არ იწვევდა, გარდა იმ უბედურ შემთხვევისა, რომელმაც 1860 წ. ომი გამოიწვია, რომელმაც ათს წელიწადს გასტანა; ამ ხნის განმავლობაში ყოველი სყიდვა შეჩერებული იყო. მანამდე კი მთავრობამ შეიძინა თითქმის 6,000,000 აკრი ჩრდილოეთ კუნძულზედ, მთლად სამხრეთი და ესრედ წოდებული სტიუარტის კუნძულები (1864 წ.).

1870 წლიდგან, როგორც ვიცით, იწყება კოლონიის საწარმოვო ძალთა სწრაფი განვითარების ხანა; გაპყავთ რკინის გზები, ხელს უწყობენ გადმოსახლებას (იმიგრაციას) ეკროპიდან და სხვა და სხვა. ამ დროიდან იწყება მიწების ხელმეორედ შესყიდვა მაორებისაგან. ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში უყიდნიათ სულ თითქმის 7,560,000 აკრი, რაშიაც 20,000,000 მანათი მიუციათ. როგორც ვხედავთ, ახალ ზელანდიის მთავრობას მიწა-წყალი მუქთად როდი რგებია.

ჩვენ ვიცით, რომ 1870 წლის შემდგომ სიტყვა „მთავრობა“-ს სრულებით ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რაც გუბერნატორ ხობსონის, ფიცროის და გეის დროს. რაკი ყოველივე მთართველობათი ძალა ფაქტიურად თვით კოლონიელების ხელში გადავიდა, მათ ხელშივე გადავიდა საადგილ-მამულო პოლიტიკის მართვაც, მაშისადამე, მაორებისაგან შესყიდულ სახელმწიფო ადგილების ნაწილ-ნაწილად გაყიდვის მოწესრიგებაც. იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ 1875 წლამდე ახალი

ზელანდია წარმოადგენდა ფართო უფლების მქონე თვითმმართველობიან ექვს (შემდეგ ცხრა) პროვინციის ფედერაციას. ამ უფლებათა შორის 1856 წლიდან მიეცათ მათ სხვა უფლებაც, რომლის ძალით ეძლეოდათ ნება პროვინციაში მყოფ სახელმწიფო მიწების მართვისა. თვითულს პროვინციას თავისი განსაკუთრებული პირობები ჰქონდა მიწების გაყიდვის შესახებ, რის გამოც საძნელოდ მიგვაჩნია ამ პირობების სათითაოდ აღნუსხვა. საადგილ-მამულო კანონმდებლობის აქ გვარი არევდარევა თვით კოლონიელებისათვის უხერხული იყო. ეს გარემოება გახდა, სხვათა შორის, იმ ერთ მიზეზად, რომელმაც პროვინციების გაუქმება და მთელის ახალშენისათვის ერთის მთავრობის შედგენა გამოიწვია (1875 წ.), რომლის ხელშიაც სახელმწიფო მიწების გაწეს-რიგებაც გადავიდა.

ახალ ზელანდიაში სახელმწიფო მიწების საქმეს განავებს განსაკუთრებული სამინისტრო *), რომლის ვამგებელს თვალსაჩინო ადგილი უვირავს ესრედ წოდებულ მინისტრთა კაბინეტში; ხშირად ამ მოვალეობას ასრულებს პირველი მინისტრი. მინისტრს თანაშემწედ ჰყავს სამინისტროს მუდმივი მდივანი, რომელსაც მიწათ-მზომლობის უმთავრესი ინსპექტორი ეწოდება. ამ ფაქტი ამ თანამდებობას ასრულებს პერსი სმიტი. რადგან მუდმივი მდივანი, რაც უნდა პოლიტიკური პარტიები შეიცვალოს, იგი მაინც თავის ადგილზე რჩება და კარგად უნდა იკნობდეს, როგორც საადგილ-მამულო კანონებს, ისე მტკიცედ შეთვისებულ ძირითად პრინციპებს სამინისტროს მოქმედებისას, ამიტომ ახალ ზელანდიის საადგილ-მამულო კანონმდებლობის დასახასიათებლად ყველაზე საუკეთესო იქნებოდა მოგვეყვანა, რამდენადაც შესაძლებელია მოკლედ, იდგილები თვით პერსი სმიტის წერილიდან, რომელსაც „საადგილ-მამულო კანონმდებლობა ახალზელანდიაში“ ეწოდება.

„ახალ ზელანდიის საადგილ-მამულო კანონმდებლობა,— სწერს სმიტი, — გაწესრიგებულია ესრედ წოდებულ 1892 წლის

*). „სახელმწიფო შიჭათა და მიწათმზე მელ სამინისტროდ“ იწოდება.



«Land Act»-ით, რომელიც შემდეგ შეკეთებულ და შევსტულ იქნა.»

იმ როგორ გამოხატავს სმიტი მოკლედ ამ კანონებს. „სახელმწიფო მიწები განაწილდებიან სამნაირად.“

1) ის მიწები, რომლებიც საქალაქო და სასოფლო საზღვრებშია. ასეთი მიწები შეიძლება მხოლოდ საჯაროდ (აუკუონით) გაიყიდოს; ქალაქისა არა ნაკლებ 200 მანეთისა, სასოფლო-კი არა ნაკლებ 30 მანეთისა (თითო) აკრი (დესეტი-ნისა 0.37 ანუ ერთ მეტამეტზე მეტი).

2) ქალაქის სამზღვრებს გარედ მდებარე მიწები. ესენიც იყიდება საჯაროდ და არა ნაკლებ 20-ის მანეთისა აკრი *).

3) სასოფლო მიწები. ესენი—ორნაირა: პირველ ხარისხისა უნდა გაიყიდოს არა ნაკლებ ათი მანეთისა, მეორე ხარისხისა—2 მ. 50 კ. აკრი. ეს მიწები იყიდება და იცემა იჯარით „ჩაწერით“ და საჯაროდ (აუკუონით) **)

„სასოფლო მიწის ნაჭერი, რა ფრივადაც უნდა იყიდებოდეს“ „ჩაწერვით“ თუ საჯაროდ, არ შეიძლება, რომ 640 აკრს აღემატებოდეს, თუ იგი პირველ ხარისხისაა, თუ მეორესა—2000 აკრს. არავის შეუძლიან იყიდოს პირველ ხარისხის სახელმწიფო მიწა 640 აკრზე და მეორე ხარისხისა—2000

*) ამ მინიმალურ ფასის დანიშნით და საჯაროდ გაყიდვით მთავრობას უნდოდა თავიდგან აეცილებინა ის ბოროტმოქმედებარი, რომელ-ნიც თავს იჩენენ ხულმე მიწების სხვაფრივ დაფაქტის და გაყიდვის დროს და აგრეთვე ამ გზით ხარისხას, ეს იგი ხალხს, სავსებით უნდა აეღო ბაზარზე არსებული ფასი იმ მიწებისა, რომელიც უფრო დასაბლებულ ნაწილებშია, რადგან მიწის ფასის აწევა დამოკიდებულია მოელის ხალხის შრომით შექმნილ პირობებისაგან. გარდა ამისა, მარტველობაში უნდა ვიქონიოთ ისცე, რომ ახალ ზელანდიის მთავრობის მიზანია, ამ გვარ გაყიდვით ხელი შეუწყოს დაუსახლებელ ადგილების დასახლებას და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრით სარგებლობას და არა რაც შეიძლება სახელმწიფო მიწების მეტი გაყიდვა.

**) კანონი სასტიკად სჯის ყოველგვარ შეთქმულებას, რომელიც საჯაროდ გაყიდვის დროს ხელს შეუშლის ფასის აწევას.

აკრზე მეტი; ამ ანგარიშში შედის ის შიწაც, რომელიც მეიდვებს უკვე აქვს მოღაპარა გების უამს.

„ერთ და იმავე დღეს ჩაწერილნი ერთ და იმავე დღოს ჩაწერილებად ითვლებიან და თუ ერთ და იმავე მიწის ნაკრის შეძენა რამდენიმემ მოისურვა, უპირველესობას კენჭი ახვე-დრებს.“

„მიწების ყიდვისათვის ჩასაწერი დრო საჯაროდ ცხად-დება თავის დროზე და ჩაწერილს შეუძლიან შეიძინოს მიწა შემდეგ ნაირად:“

1) საკუთრებად—ფულის ნალდად მიცემით. „ამასთანავე ერთი მექუთედი ჩაწერისათანავე ჰარდება და დანარჩენი ერ-თის თვის განმავლობაში. მაგრამ გადაწყვეტით მყიდველის სა-კუთარ უფლებაში მხოლოდ მაშინ გადადის შეძენილი მიწის ნაკერი, როცა იგი რამე გაუმჯობესობას შეიტანს მასში არა უგვიანეს შვიდის წლისა და ლირებულობით (საშუალოდ) არა ნაკლებ 10-ს მანეთისა თითო აკრზე პირველხარისხის მიწე-ბისათვის და ხუთის მანეთისა—მეორე ხარისხოვანისათვის, ესე იგი პირველ ხარისხოვან მიწის მყიდველმა (აკრი—10 მ.) უნდა დახარჯოს მის გაუმჯობესობისათვის უკანასკნელი იმ-დენივე, რამდენიც მიუცია მასში; მეორე-ხარისხოვან მიწის პატრონმა კი—უკანასკნელი ორჯერ მეტი (აკრი 2 მ. 50 კ.) ვიდრე თვითონ დაუჯდა იგი. ამ გვარ წესდებით ახალ ზელან-დის მთავრობას ჰსურდა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ხელი შეეშალა სპეციულიაციისათვის.

კანონი „გაუმჯობესობად“ სოვლის შემდეგს: ჭაობების ამოშრობას, ტკიების გაწმენდას, ხეების დარგას, ბალების გა-შენებას, ნიადაგის დრენაჟს (ზეალაგის ქვეშ არხების გაყვანას), გზების გაყვანას, ჭების ამოღებას და სხვა და სხვა, ერთის სი-ტკიებით ყოველისფერს, რასაც შეუძლიან ნიადაგის ნაყოფიე-რობის მატება, და ყველანაირს სასარგებლო შენობების აგებას.

2) დროებით იჯარის პირდებზე. ჩაწერილს პირს შეუძლიან აიღოს მიწის ნაკერი 25 წლის იჯარით, ამასთანავე ათი წლის შემდეგ მოიჯარადრეს შეუძლიან, როცა კი მოისურვებს, თუ

შეასრულა ზოგიერთი განსაკუთრებული ამისათვის პირობები და შეტანილი აქვს მამულში საჭირო „გაუმჯობესობანი“, შეისყიდოს იჯარით აღებული მიწის ნაკერი, ამ შემთხვევაში, მიწის ხარჯის დაგვარად სრულად შეაქვს მისი ფასი. მოიჯადრეს უფლება აქვს ყიდვის ნაცვლად დროებით იჯარა სამუდამო (იხილე ქვემოდ) იჯარად შესცვალოს.

„დროებით მოიჯარადრეს წლიურად შეაქვს საიჯარო გადასახადი მიწის ნაკერის ღირებულობის 5%. მოიჯარადრე აუცილებლად უნდა სცხოვრობდეს იჯარით აღებულ მიწაზედ და სხვა და სხვა „გაუჯობესობანი“ უნდა შექმნდეს (პირობანი ნაჩვენებია ქვეით).

3) სამუდამო იჯარის პირობებზე. „მიწის შეძენა 999 წლის იჯარით ან როგორც ჩვეულებრივ ამბობენ „სამუდამო“ იჯარით. ამ გვარ იჯარაში საიჯაროს ახდევინებენ მიწის ღირებულობის ფასის 4%., მასთანავე მოიჯარადრეს არ შეუძლია არასოდეს სახელმწიფოსაგან იჯარით აღებულ მიწის დასაკუთრება“.

„როგორც დროებით, ისე სამუდამო იჯარით შიწების შეძენა შეუძლიანთ ორს და რამდენიმე პირს ერთად“. პირობანი შესახებ ცხოვრებისა და მიწების გაუმჯობესობისა ორივე გვარ იჯარის დროს შემდეგია:

„მოიჯარადრე მოვალეა დასახლდეს იჯარით აღებულ მიწაზედ არა უგვიანეს 4-ს წლისა იჯარის დაწყებიდან, თუ მიწა ჭაობიანი ან ტყით დაფარულია და თუ მიწა საცხოვრებლად ასე თუ ისე მოხერხებულია, მაშინ არა უგვიანეს ერთის წლისა. დროებით იჯარის დროს მოიჯარადრე მოვალეა გამოით იცხოვროს აღებულ მიწაზე ექვს წელიწადზე არა ნაკლებ და სამუდამო იჯარის დროს კი არა ნაკლებ ათის წელიწადისა“.

„ჩვენში არსებულ საადგილ-მამულო კანონმდებლობის ძირითად პრინციპებში, — ამბობს პერსი სმიტი — გამოითქვა საზოგადოებრივი აზრის სხვა და სხვა მიღრეკილება-მიმართულებანი, რომელიც ნელ-ნელა მწიფდებოდნენ და მხოლოდ ამ ბოლო დროს მიიღეს თავიანთი უკანასკნელი ფორმა. ჩვენის საადგილ-

მამულო კანონმდებლობის უმთავრეს და არსებით მუხლად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ მას უნდა მიწის საკუთრების უფლება მარტო სახელმწიფოს შეურჩინას და სამუდაშო იჯარით ასარგებლებინოს იმ პირს, რომელსაც უკირავს ესა თუ ის მიწის ნაკერი. მთავრობის ის სურვილი, რომ მარტო თვით სახელმწიფოს შერჩენოდა მიწის საკუთრების უფლება, ახალ ზელანდიაში უფრო ცხადად გამოითქვა, ვიდრე ავსტრიალიის სხვა ახალშენებში. საჭირო ვადაც იმდენად ხანგრძლივია, რომ ამ იჯარას ჩვეულებრივ „სამუდამო“ იჯარას ეძახიან. მართლაც ამეამად სახელმწიფო მიწები უმეტეს ნაწილად 999 წლის ფადთ იძლევიან იჯარით. საიჯარო გადასახადი იანგარიშება მიწის დაფასებულ ღირებულობის მიხედვით და შემდეგ არც მატულობს და არც ხელმეორედ ფასდება. ამ პირობებით აღებული იჯარა საკუთრებასავითაა, რადგან იჯარით აღებული მიწა შეიძლება გაიყიდოს კიდეც, დაგირავდეს, უანდერძოს და სხვა და სხვა.“

პერსი სმიტის ამ უკანასკნელ სიტყვებს უნდა დაემატოს, რომ იჯარით აღებულ მიწების გადაცემა შეიძლება მხოლოდ ესრედ წოდებულ „საადგილ-მამულო კომიტეტის“ თანხმობით, რომელიც სახაზინო მიწების სამინისტროს ადგილობრივ სააგნტოს წარმოადგენს. ამ გვარი თანხმობა ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ახალი მოიჯარაღრეც აკმაყოფილებს იმავ საზოგადო პირობებს, რასაც ძველი მოიჯარაღრე, ესე იგი, — თუ იგი მესაკუთრე ან მოიჯარაღრე არ არის იმდენ მიწისა, რომელიც ახლად აღებულ მიწასთან ერთად აღემატებოდეს ნებაღართულ ზომა-რაოდენობას. აგრეთვე უნდა სრულდებოდეს სხვა პირობანი ცხოვრების შესახებაც და სხვა და სხვა.

აქედან ვხედავთ, რომ სამუდამო იჯარის, დროს ხაზინის მესაკუთრობა უბრალო ფიქურა (მოგონება) კი არაა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობის მხრივ ნამდვილად ისეთი დიდად მნიშვნელოვანი უფლება, რომელიც ნებას აძლევს სახელმ-



წიფოს დაიტაროს თვით კანონის ძირითადი მიზანი დაპატიჟებისაგან *).

„რაღან ახალ ზელანდიაში ყველა მიწები, სამუდამო იჯარით გაცემულებიც, იხდიან საადგილ-მამულო გადასახადს, ამიტომ აღარ საჭიროებენ დრო-გამოშვებით საიჯარო მიწების დაფასებას საიჯარო გადასახადის მოსამატებლად, რაღან სახელმწიფოს საშუალება აქვს აიღოს თავისს სასარგებლოდ ნაწილი მიწის „უშრომოდ მატებულ“ ღირებულობიდან იმავე საადგილ-მამულო გადასახადის საშუალებითვე **).

აქესნათ რას ნიშანას მიწის „უშრომოდ მატებული“ ურებულობა. მამულის ღირებულობის „უშრომოდ“ ანუ „დაუმსახურებელ მატებას“ ეძახიან იმ შატებას, რომელიც ხდება იმ პირის შრომის გარეშე, რომელსაც ეკუთვნის ღირებულობაში აწეული საკუთრება. განვმარტოთ ნათქვამი მაგალითით: რკინის გზის გატარება ან ხიდის გაყვანა საზოგადოების ხარჯით ერთბაშად ასწევენ ხოლმე მათ მახლობლად მდებარე აღგილების ღირებულობას. ამ გვარადვე მოქმედობენ საზოგადოდ ყოველი გვარი გაუმჯობესობა მიმოსვლისა, მოსახლეთა მატება და სხვა-და-სხვა. ელემენტარული სიმართლე მოითხოვს, რომ ის საზოგადოება, რომლის ხარჯითაც კეთდება ყველა ეს მამულების ღირებულობის ამწევი შენობანი (რკინის გზები, ხიდები, გზა-ტკეცილები), უნდა სარგებლობდეს თუ მთლიად არა, ნაწილად მაინც, იმ ნამატ ღირებულობით, რომელიც შეიქნა შედეგად ზემოდ ნაჩვენებ ცვლილებებისა.

აი, ამიტომ იყო,— ამბობს რიგსი,— რომ როცა ახალ ზელანდიის პარლამენტში სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის თაობაზე მსჯელობას შეუდგენენ, რადიკალური პარტია დაუი-

*) პერსი სმიტის ცნობებს ვავსებთ რიგსის და ეპის თბზულებები-ბიდან.

**) საჭიროა ვსთქვათ, რომ გადასახადის რაოდენობის გამოსააჩვა-რიშებლად მხედველობაში არ იღება ის მატება მიწის ღირებულებისა, რომელიც გამოწვეულია მოიჯარადრეს სხვა-და-სხვა გაუმჯობესობაზე გა-წეულ ხარჯისაგან.

ნებით თხოულობდა, რომ საჯარო საფასი სახელმწიფო შეწებზე დრო-გამოშვებით გადაშინჯულ ყოფილიყო და თუ საკირო იქნებოდა, აწეულიყო ეს საფასი იმის მიხედვით, რომდენიდაც იწეოდა მიწის ღირებულობა გარეშე მოიჯარადეს გაწეულ ხარჯისა და შრომისა.

რადიკალების ამ სურვილს არ ელირსა განხორციელება, მაგრამ იგივე მიზანი ისე თუ ისე მაინც მიღწეულ იქნა ესრედ წოდებულ საადგილ-მამულო გადასახადის საშუალებით. შემდეგში მკითხველებს გავაცნობთ უფრო დაწვრილებით სახელმწიფო ხარჯის (ბევარის) და სხვა გადასახადების სისტემის ამ (ახალშენში) კოლონიაში, ამ უამაღ კი ვიტყვით, რომ ახალ ზელანდიაში ყოველგვარ საადგილ-მამულო გადასახადისაგან განთავისუფლებულა ყველა, ვისი მამულიც, საკუთრებაა იგი თუ სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული, — ლირს 5000 მანეთზე ნაკლებ. ის კი, ვისი მამულიც ამაზე მეტი ლირს, იხდის გადასახადს მამულის ღირებულობის მიხედვით, ამასთანავე ის მამულის პატრონი, რომელიც კალონიაში არა სკოვრობენ, გარდა ამისა იხდიან ცოტაოდენ დამატებით გადასახადსაც. „ეჭვი არაა, — ამბობს ამის გამო რიცსი, — რომ პროგრესიული საადგილ-მამულო გადასახადი შემოღებული იყო უმთავრესად იმიტომ კი არა, რომ ამ გზით ისე მოეწყოთ საქმე, რომ ყველას თანაბარი მსხვერპლი მოეტანა საზოგადოებისათვის, — თუმცა კი ამ მოსაზრებასაც ჰქონდა თავისი გავლენა, — არამედ უფრო იმიტომ, რომ ეს კანონი ხელს შეუწყობდა დიდ მემამულეების დანაწილებ-დაქუცმაცებას, რომლის მესაკუთრეები დიდად მოვებულნი დარჩენ იმ აუარებელ ხარჯის მეოხებით, რომელიც ახალ ზელანდიის მთავრობამ 70 და 80-იან წლებში კოლონიის საწარმოვი ძალთა წარმატებაზე გასწია.

დავუბრუნდეთ სმიტის წერილს.

„ესრედ წოდებული „საუკუნო იჯარა“, ცხადია, სასარგებლოა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ცოტაოდენს გარდა სახელმწიფო მიწები პირვანდელ მდგომარეობაში არიან და არაგვარ შემოსავლის მოცემა არ შეუძლია.

ლიანთ, თუ რიგიანად არ დამუშავდა. აქედან ცხადია, რომ მომავალ მოსახლესათვის უფრო აღვილია რაც ფული მოეპოება, იჯარით აღებულ მიწის შეკეთებას და საჭირო შენობის ავებას მოანდომოს, ვიდრე თვით მიწის საკუთრებად შეძენას. განსაკუთრებით ეს ღარიბ და ხელმოკლე კაცისათვისაა უფრო ძვირფასი, რომელსაც თანხაც მხოლოდ თავისი მაგარი მკლავები აქვს და მაინცა და მაინც შეუძლიან გაიკეთოს სახლი და იყოლიოს საქონელი, რაც, რასაკვირველია, თითქმის ხელმიუწდომელი იქნებოდა მისთვის, სახელმწიფო მიწები რომ საკუთრებად იყიდებოდეს.“

მიწის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ყოველს ჩაწერილს შეუძლიან შეიძინოს, იმ მოსაზრებით დაწესდა, რომ ამით ხელი შესწყობოდა წვრილ მესაკუთრეთა კლასის გამრავლებას; კანონისაგან განსაზღვრულ ზომის ფარგალში ყველას შეუძლიან შეიძინოს იმდენი მიწა, რამდენიც მას ესაჭიროება. პირველ ხარისხის მიწა, როგორც ნათევამი იყო, განისაზღვრება 640 აკრით (250 დესეტინით), მეორე ხარისხისა კი—2000 აკრით (750 დესეტინით); ანგარიშში შედის ის მიწაც, რომელსაც უკვე მფლობელობს ან იჯარით აქვს აღებული ჩაწერილს პირს. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა სამინისტრო ამას სასურველად პოვებს, ეს ზომა-რაოდენობა შეიძლება შესამჩნევად შემცირდეს.

„არსებული სააღვილმამულო კანონი მოქმედებს 1892 წ. ნოემბრიდან. მოვიყვანოთ ცნობები იმის დასახასიათებლად, თუ როგორ გამოიყენეს ეს კანონები პრაქტიკულად. ამ ცნობებიდან დავინახავთ ჩვენ, თუ როგორ შეიძინეს კერძო პირებმა სახელმწიფო მიწები და რა პირობებით, რომელთა არჩევანში ჩაწერილს სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. (ცნობები შეეხება 1898—1899 წლ.)

1) საკუთრებად, ფულის ნაღდად მიცემით შეუძნიათ 114 ნაკერი მიწა, ზომით 17,824 აკრი.

2) დროებით იჯარის პირობებზე, გამოსყიდვის უფლებით (საუკუნო იჯარის პირობებზე შეცვლის უფლებით) შეუძნიათ 458 ნაკერი მიწა, ზომით 109,950 აკრი.

3) სამუდამო იჯარით—362 ნაკერი, ზომით 99,26⁹ აკრი.

აი, ამ გვარია ეს კანონები, რომლებიც აწესრიგებენ და-
სამუშავებლად გამოსალეგარ სახელმწიფო მიწების შეძენის სა-
ქმეს. ახალ ზელანდიის საადგილმამულო კანონმდებლობამ დი-
დი გავლება იქონია ავსტრიალიის სხვა ახალშენებზედაც, რომ-
ლებმაც ახალ ზელანდიის საადგილმამულო პრინციპებს მიბა-
ძეს და ზოგიერთი მათგანი კიდევაც შორს წავიდა მასზე. ასე,
მაგალითად, ახალ-სამხრეთ ვალისში (ავსტრიალია) სახელ-
მწიფო მიწის ნაღდათ ყიდვის დროსაც კი საჭიროა არაც
თუ მამულში გაუმჯობესების შეტანა, არამედ მასში ცხოვ-
რებაც.

ახალ ზელანდიისათვით ავსტრიალიის სხვა კოლონიებმაც
განსაზღვრეს სახელმწიფოსაგან გასასყიდლად დანიშნულ მიწის
ნაკრის ზომა. მაგრამ არც ერთმა (ახალშენმა) კოლონიამ ვერ
გაბედა საძოვრად გამოსადევ მიწების განსაზღვრა. ახალ ზე-
ლანდიაში კი ამ გვარივე მიწის ნაკრები განსაზღვრულია.

ეხლა გადავიდეთ ამ გასაოცარ ახალშენის სხვა ცდებზე.
აქაც იძულებული ვართ ისევ სმიტს მივმართოთ.

„1892 წლის საადგილ-მამულო კანონმდებლობა,—ამბობს
პ. სმიტი, —აგრეთვე ნებას აძლევს ესრედ წოდებულ „სოფლის
ამხანაგობათა“ არსებობისას“. ამ ამხანაგობათა შესახებ კანო-
ნი ამბობს, რომ თუ რამდენმამე პირმა—რიცხვით არა ნაკლებ
12-სამ შეადგინა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება,
ამ გვარ ამხანაგობას ეძლევა უფლება სახელმწიფო მიწების
გამგე სამინისტროსთან შეთანხმებით აირჩიოს სახელმწიფო მი-
წის ნაკერი 11,000 აკრზე არა უდიდესი. ამხანაგობის თვი-
თეულმა წევრმა უნდა აიღოს თავის წილად არა ნაკლებ 200
აკრისა, უდიდესი წილი კი, რომელიც შეიძლება ამხანაგმა
იქონიოს, განსაზღვრულია 320 აკრით. ამ გვარი მიწები ეძლე-
ვა ამხანაგობას საუკუნო იჯარით იმავე პირობებზე, როგორც
კერძო პირებს, რის შესახებ ჩვენ უკვე ნათქვამი გვქონდა
ზევით.

„ჯერ კიდევ 1885 წელს ახალ ზელანდიის კანონმდებლობისაგან ნებაღართული იყო ამ გვარი „სოფლის ამხანაგობანი“ და კიდევად ნება ეძლევათ ეს იჯარით აღებული მიწები შემდეგში შეისყიდონ და დაისაკუთრონ. ეს კანონი შეუცვლელად დარჩა და ეხლაც ძალიან ხშირად სარგებლობენ ამით საამხანაგო სოფლების დასაარსებლად.“

„დღემდე (31 მარტი 1899 წ.) 812 პირს აქვს შედგენილი ამ გვარი ამხანაგობანი და მათგან აღებულ მიწების რაოდენობა ეთანაბრება 143000 აკრს. ბევრი ამ სოფლებთაგანი, რომელებიც კარგ პირობებში მოჰკვნენ, საუკეთესო მდგრადი მარეობაში არიან; ბევრი კი, რომელნიც განაპიროს არიან და უხეირო მიმოსვლა აქვთ, ძლივ-ძლივობით ირჩენენ თავს.“

აი კიდევ რა გვარად აგვიწერს მინისტრად ნამყოფი რიცხი საადგილ-მამულო კანონმდებლობის ერთ ცდას, რომელიც გვაძლევს არამცუუ უმთავრეს ცნობებს თვით კანონის შესახებ, არამედ გვაცნობებს იმ გარემოებებსაც, რომელთაც გამოიწვიეს ამ კანონის შექმნა.

1886 წელს იმ დროს სახელმწიფო მიწათა მინისტრად ნამყოფი ჯონ ბალლენის გაბედულად შეუდგა უსაქმობისაგან დიდ გაკირვებაში ჩაკიცნულ მუშებისაგან სოფლების გაშენებას. ამ მხრივ ახალშენის სხვა და სხვა კუთხეში ამოარჩია მიწები სახელმწიფოს კუთვნილებიდან და წვრილ-წვრილ 20—50 აკრიან*) ნაქრებად დაჲყო. ეს მიწის ნაქრები მიეცათ მუშებს სამუდამო იჯარით და მიწის ღირებულობის 5% საიჯარო გიდასახადით. შეუძლებელ მოსახლეს შეეძლო საიჯარო გადასახადი ნაწილ-ნაწილ ორის წლის განმავლობაში გადაეხადა; გარდა ამისა დაურიგდათ ფული სესხად პირველ მოსაწყობად, სათესლეს, სამეურნეო რარალის, შენობის მასალის, საკუების და სხვა საჭიროების შესაძენად. 1887 წელს ზოგიერთი კოლონიელი სასტიკად ჰკიცხავდა ბალლენს ამ ცდისათვის, მისი პოლიტიკური მტრები სიხარულით უთითებდნენ

* 71/2—18 დესიატინამდე.

ზოგიერთ სოფლის მარცხზე, თუმცა მეორე წილი ამ სოფლებისა მშენებირად მოეწყო. ამ უამაღ ამ სოფლების მცხოვრებთა რიცხვი 5000-მდეა და უჭირავთ მიწა სივრცით 37000 აკრი, საშუალო ზომა კი მიწის ნაკვთისა არის 24 აკრი.“

მოსახლეთა უმრავლესობა თავის საკუთარ მიწის დამუშავების გარდა, გარედაც გადის ქირით სამუშაოდ, მეტაძრე ცხვრის კრეპისა და მკის დროს; ზოგიერთი ფაბრიკებშიაც სდგება. საერთო ჯამი (სუმმა) მთავრობისაგან მოსახლეთათვის მიცემულ დახმარებისა ეთანაბრება 270,000 მან., რომლიდანაც 30.00 მან. უკვე გადაუხდიათ. გარდა ამისა აქნობამდის მოსახლეებს გადახდილი აქვთ, როგორც საჯარო გადასახადი და შემწეობად მიცემულ ფულის პროცენტი—სულ 270,000 მან. მოსახლეებისაგან იჯარით აღებულ მიწებში შეტანილი გაუმჯობესობანი დაფასებულია 1,300,000 მანეთად, რომლითაც სრულებით უზრუნველ ყოფილია ის სესხი, რომელიც მთავრობამ გასცა მოსახლეებზე.“

როგორც გვიამბობს ავსტრიელი პუბლიცისტი ეპსისი, ახალ ზელანდიის ამ „ცდამ“ ავსტრიალიის კოლონიების დიდი ყურადღება მიიქცია, ასე რომ ორმა მათგანმა კიდევ გაგზავნა კაცები ახალ ზელანდიის ცდის შედეგის შესასწავლად. შესწავლის შემდეგ ამ გაგზავნილმა კაცებმა აცნობეს, რომ ჰირველად ცდას მარცხი მოსვლია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსახლეებს არ გაუთვალისწინებიათ ის შრომა, რომელიც მათ შოელოდათ, ეს მოსახლეები პირველ შემთხვევაშივე სტოვებდნენ მიწას და გადადიოდნენ ქალაქად.

დავუბრუნდეთ ისევ სმიტის წერილს.

ამ უკანასკნელ წლებში ეს არის ეხლა აწერილ „სოფლების“ გაშენების და წინედ აწერილ „სასოფლო ამხანაგობათა“ ნაცვლად გახშირდა ესრედ წოდებული „გაწმენდილ მიწებზე მოსახლეობა“. უსაქმოდ დარჩენილებისათვის რომ. საქე გაეჩინათ, სახელმწიფო მიწების სამინისტრო ურიგდებოდა მუშათა ჯვალებს გამოეწმინდათ ესა თუ ის ტყიანი მიწა, გამოწოთ ტყე და ჩაეთესნათ შიგ ბალახი. შემდეგ ეს გაწმენდი-



ლი მიწა (იყოფებოდა) ნაწილდებოდა პატარ-პატარა „ფერმებათ“⁴ და ეძლეოდათ სამუდამი იჯარით იმავე მუშებს, ვინც გაწმინდა ის მიწა და საიჯარო გადასახადი იანგარიშებოდა გაწმენდაში დახარჯულ ხარჯის და მიწის ღირებულობის მიხედვით. 1899 წლამდე გაშენდა 45 მოსახლეობა და მიწა, რომელიც მათ უკირავთ, ეთანაბრება თითქმის 74,000 აკრს. ამ გაწმენდილ მიწის ნაკრებზე სკხოვრობს 513 ოჯახი, სულ კი 1900 სული. მათ უკვე გადაუწმენდიათ და დაუთესიათ ბალახეულობით 20814 აკრი მიწა. ვიწების ტყისაგან გაწმენდაში 1899 წლის მარტამდე მთავრობას მიუკია 573,290 მანეთი. საზოგადო ღირებულობა ყოველისფრის, რაც კი მიწის გაუმჯობესობას შეეხება — აღწევს 842,590 მან. საშუალო ზომა მიწის ნაკრისა, რომელიც თითო მოსახლეზე მოდის, 10 აკრია“.

როგორც სჩანს სახელმწიფო მიწების მინსტრის სიტყვიდან, რომელიც მან 1893 წ. ზემოდ აღწერილ კანონის თაობაზედ წარმოსათქვა, მას განზრახვა ჰქონდა დახმარებოდა იმ შრომის მოყვარე მუშებს, რომელთაც სახსარი არ ჰქონდათ საკუთარი სამეურნეო ოჯახი გაეჩინათ. ამისათვის მათ შეძლება ეძლეოდათ აელოთ თავიანთი ხელფასი იმავე მიწების გასუფთავებით, რომლებიდანაც მათ შემდეგში მიიღეს პატარ-პატარა ფერმები სამუდამო იჯარით.

ახალ ზელანდიის მთავრობის ამ გვარ კეთილ აზრს და მოქმედებას შემდეგში მაინც დაბრკოლება დახვდა: სახელმწიფო მიწა ალარ ეყო დასარიგებლად, ვინაიდგან უწინ კერძო პირთათვის განსაზღვრული არ იყო მიწის შეძენა და შეეძლოთ შეძინათ, ვის რამდენიც უნდოდა, ამიტომ ბევრი შეეცადა ესარგებლნა იაფის ფასით და შეიძინეს უზარ-მაზარი მიწები იმ საიმედო მოლოდინში, რომ ფასებში იიშველნენ. როგორ დაახწია თავის ახალ ზელანდიის მთავრობამ ამ გაქირვებულ მდგომარეობას? ამის პასუხს ვპოულობთ სახელმწიფო მიწების მინისტრის მუდმივ მდივნეს წერილშივე.

„სხვათა შორის, ზემოდ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ მთავრობას უძნელდებოდა სახელმწიფო მამულებში იჯარით გასაცემად გამოსადეგარ პატარ-პატარა ნაჭრების შოვნა, უფრო კი იმ ადგილებში, სადაც ეს მიწის ნაჭრები უფრო საჭირო იყო, ესე იგი უკვე დასახლებულ ადგილებში, სადაც ხშირად შეხვდებით დიდ მამულებს, რომლის პატრონებიც ამუშავებდნენ მათ დაჭირავებულ მუშების საშუალებით*). ამ გვარ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო მიწების ახლანდელმა მინისტრმა ჯონ მაკ-კენზიმ შეიტანა პარლამენტში განსახილველად ესრედ წოდებული „დასახლებისათვის მიწების შეძენის კანონის“ კანონ-პროექტი.“

ამ კანონის ძალით, რომელიც პარლამენტისაგან მიღებულ იქმნა, მთავრობას ნება ეძლეოდა შეეძინა კერძო პირებისაგან მიწები შემდევში პატარ-პატარა, არა უდიდეს 320 აკრისა (110 დესეტინისა, ნაჭრებად დასანაწილებლად).

ამ კანონის ძალით მთავრობამ უკვე შეიძინა რამდენიმე მამული, დაყო პატარ-პატარა ნაჭრებად და გასცა სამუდამო იჯარით, რომელთა საიჯარო გადასახადი ეთანაბრება 5% იმ თანხისას, რომელიც შესდგება მიწის ლირებულობის და გამიჯვნაზე, გზის გაყვანაზე და სხვაზე გაწრულ დანიხარჯისაგან ერთად.

„თითქმის ყველა ამგვარად შეძენილი მამული კარგად მოწყობილია, მციდროდ დასახლებულ ადგილების მახლობლიად მდებარეობს, რისგამო სახელმწიფო მიწების მოიჯარად-რეებს საშუალება აქვთ მეზობლადაც გარეშე საქმე იქნიონ. 1894 წელს კერძო პირებისაგან მიწების შეძენისათვის

*) სმიტი ამობს, რომ ამგვარი დაბრკოლებები უფრო ხშირად წვდებათ მოხუც კოლონიელთა შეილებს, რომლებიც დაეძებენ თავიანთ მშობლების მახლობლად პატარ-პატარა ნაჭრებს საკუთარ ოჯახის მოსაწყობად.

მთავრობას ნება მიეცა დაეხარჯა 2,500,000 მან. (სულ პირ-ველად 1892 წ.—500,000 მან. იყო). 1897 წელს ეს თანხა გახდეს 5,000,000 მან. წელიწადში. მიწის ნაკრის რაოდენობა კი, რომელიც შეუძლიან იქონიოს თითო პირმა, განსაზღვრულია ზემოსხენებულ 1892 წლის კანონით.⁴

1894 წელს ახალ ზელანდიის კანონმდებლობაში შევიდა ახალი პრინციპი—მთავრობას მიეცა უფლება ძალით შეისყიდოს ხოლმე დიდი მამულები მარტო იმ შემთხვევაში, თუ მემამულე ნებაყოფლობით არ მოურიგდება მთავრობას ფასში ან სხვა სყიდვის პირობებში, ან როცა მანისტრთა გადაწყვეტილებით ამა თუ იმ შემულის შექენა აუცილებლად სასურველია ნაწილ-ნაწილად დაყიდვისათვის. ჯილდოს რაოდენობას, რომელიც მემამულეს ეძლევა შექენილ მიწაში, ნიშნავს განსაკუთრებული სასამართლო, რომელიც შესდგება უმაღლეს სამსაჯულოს ერთი წევრის და ორ მის მმანაბეჭისგან, რომელთ შორის ერთს მთავრობა ნიშნავს, მეორეს კი თვით მამულის მესაკუთრე. მაგრამ აქნობამდის მამულის ამ გვარიად ძალით შესყიდვისა მარტო ერთი შემთხვევა იყო და მთავრობამაც ძერჩიანად გაანაწილა იგი წვრილ-წვრილ ნაკრებიად დასაყიდლად.

ესტოვებთ რა ზოგიერთ დაწვრილებითი ცნობებს შესახებ 1896 წლის კანონმდებლობისას, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაეადვილებინა პატარ-პატარა ნაკრების შექენა იმ პირთათვის, რომელთაც სურდათ ჰქონდათ საკუთარი მიწა-წყალი, უფრო საყრდენებოდ მიგვაჩნია ზოგიერთი ახალი ცნობები შესახებ მიწის კერძო პირთაგან გამოსყიდვის კანონისა და თუ როგორ გამოიყენეს ეს კანონი ახალ ზელანდიაში. ეს ცნობები ამოკრეფილია „მიწების შემსყიდველ განსაკუთრებულ კომისიის“ მოხსენებიდან.

საანგარიშო წლის განმავლობაში (1889 წლ. 31 მარტი—1899 წ. 31 მარტამდე) კერძო პირებმა კომისიას შეაძლია მიწის განმავლობაში და მათ გადაწყვეტილების შემსყიდვის განსაკუთრებულ კომისიის მიერთონ. ეს კომისია კანონის მიზნად და მათ გადაწყვეტილების შემსყიდვის განსაკუთრებულ კომისიის მიერთონ. ეს კომისია კანონის მიზნად და მათ გადაწყვეტილების შემსყიდვის განსაკუთრებულ კომისიის მიერთონ.

ლიეს შესასყიდველად სულ ზომით 534,682 აკრი მიწა. აქედან კომისიამ 47,192 აკრი უვარგისად სცნა და უარი გამოუცხადა, დანარჩენს გულდასმით გაეცნო და აქედანაც მარტო 215,585 აკრის შეძენა ურჩია მთავრობას. სულ წარსულ წელს და ამ უამად კომისიამ სცნო ვარგისად 24 მამული. მთავრობისაგან შეძლეული ფასი 13 მემამულემ მიიღო, რომლის რაოდენობა 5,811,150 მან. ეთანაბრება. დანარჩენ თერთმეტ მემამულეთა შორის საშვა სრულებით უარი განაცხადა მთავრობისაგან შენაძლევ ფასზე, სხვებს ჯერ გადაწყვეტით არა უთქვამთ-რა.

სულ თავდაპირველიდგანვე ამ კანონის ძალაში შესვლიდან შეუძენიათ 62 მამული, ზომით 256,829 აკრი, მათი ნაყიდობა დამჯდარა 12,506,470 მან.; 538,620 მანეთი დაიხარჯა გზების გაყვანაზე, გამიჯვნაზე და აღმინისტრატიულ ხარჯებზე, მაშასადამე სულ დახარჯულა 13,045,090 მან.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, თითქმის მთელი ნაიდი მიწები 1304 მოსახლეს გაეცა იჯარით (სათვალავ-ში არ შედიან ოჯახის წევრნი), რომლებსაც შეაქვთ თითქმის 600,000 მან. საიჯარო გადასახადი; მთავრობა კი მიწების კერძო პირებისაგან შესყიდვისათვის აღებულ ვალის სარგებელს იხდის 425,000 მან., ისე რომ ფინანსიურ მხრივადაც ეს ოპერაცია მთავრობისთვისაც უსარგებლო არ არის.

1899 წელს 31 მარტს ახალ ზელანდიაში თითქმის 16,600 სახელმწიფო მოიჯარადრე ითვლებოდა, რომელთაც ეჭირათ 15 მილიონ აკრამდე მიწა და იხდიდნენ ორ მილიონ ნახევარ მანეთზე მეტს საიჯარო გადასახადს. ამ მთავრობისაგან იჯარით აღებულ თხუთმეტ მილიონ აკრიდან ორი მესამედი მარტო საძოვარებადა გამოსადევი.

ადგილ-მამულის განაწილებას, მათ რაოდენობას და ზომას ჩვენ დავინახავთ შემდეგ ცხრილიდან, ანგარიში ეხება 189^{8/9} საანგარიშო წელს.

თვითეული ფერის რაოდენობა	მათი რიცხვი	რა ზომის ადგილი უჭირდეს
1-დან —	10-მდე	18230
10 „ —	50 „	11426
50 „ —	100 „	7276
100 „ —	200 „	9164
200 „ —	320 „	5584
320 „ —	640 „	5555
640 „ —	1000 „	1946
1000 „ —	5000 „	2589
5000 „ —	10000 „	369
10000 „ —	20000 „	220
20000 „ —	50000 „	175
50000 „ —	დანართი	105
		62,639
		34,386,268

„აქედან სჩანს, რომ ფერმების ბევრი წილი (59%), სახელდობრ 37,000, წარმოადგენენ 1-დან—1000 აკრიან ფერმებს, 46,000 ანუ 74%—შესდგებიან 1-დან—200 აკრიან ფერმებისაგან და 80^{1/2}%—1-დან—320 აკრიან (150 დესეტინა) ფერმებისაგან. 320 აკრზე მეტიანი ფერმა კი სულ 10,959 ანუ 18% ითვლება, საიდანაც ვხდეთ, რომ საშუალო ზომის ფერმები უფრო ვითარდებიან. 320 აკრიანი მამულები საზოგადოდ წარმოადგენენ საძოვრებს და ამიტომ არის, რომ მათი სივრცე ბევრად აღემატება საშუალო ფერმების საერთო სივრცეს და, როგორც ვიცით, შეადგენს ერთს მესამედს მოელ ექსპლოატაციისათვის გამოსადევ მიწებისას.

აგსტრალიელ პუბლიცისტს ეპეს საინტერესო ცნობები მოჰყავს შესახებ 1891 წელს 19,397,529 აკრ მიწიდან, რო-

მელიც სამეურნეო ხმარებაში იყო, 7,000,000 იჯარით იყო აღებული და თითქმის $12\frac{1}{2}$ მილიონი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, რომლიდან მეტი წილი (7,000,000 აკრი) სულ 584 პირს ეკუთვნოდა და თითო პირზე 5000 და მეტი აკრი მოდიოდა (საშუალოდ 12000 აკრი მესაკუთრებზე). დანარჩენი მიწა განაწილებული იყო ამ რიგად: 1,675 პირს ეჭირა 2,145,000 აკრი—1000 აკრიდან—5000 აკრიან ნაკრებად (საშუალოდ 1280 აკრი), 41,518 მესაკუთრებზე კი საშუალოდ მოდიოდა 78 აკრი თითოზე.

მამულების ამ გვარ უთანასწოროდ დანაწილებას კოლონიელებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს, რასაც მაღე საადგილმამული პროგრესიული (თან და თანობითი) გადასახადის შემოღება მოჰყვა, რომლის მიზანი იყო სხვილ მამულების დანაწილებისთვის ხელი შეეწყო და ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1892 წლიდან იწყება კანონმდებლობითი ზომები, რომლებიც საზღვრავენ თითო პირის უძრავ ქონების რაოდენობას. ეს კანონები ნებას არ აძლევენ იყიდონ კიდევ მიწა იმ პირთ, რომელთაც უკვე აქვთ საქმიოდ, და სამაგიეროდ ხელს უწყობენ უადგილმამულო და ხელმოკლე მყიდველებს მიწები შეიძინონ.

ზემოდ მოხსენებული ცნობები კერძო ადგილმამულის განაწილების შესახებ საკმიოდ ხსნიან და, გვვინია, ამართლებენ კიდეც ახალ ზელანდიის მთავრობის იმ გვარ გაბედულ ნაბიჯს, როგორიც არის სხვილ მამულების ძალით შესყიდვა იმ შემთხვევაში, როცა ეს შესყიდვა მცხოვრებთა უმრავლესობის კეთილდღეობისათვის არის საჭირო.

და ბოლოს ჩვენ ვიცით, რომ იმ შეცდომის შემდეგმა სინანულმა, რომელიც სახელმწიფო მიწების კერძო პირებზე მიყიდვით ახალ ზელანდიის მთავრობამ ჩაიდინა, აიძულა იგი ეს თავისი შეცდომა იმით გაესწორებინა, რომ შემოიღო ესრედ

წოდებული „სამუდამო იჯარა“ (999 წლით), ამასთანავე ამ-
 გვარ იჯარის შემოღებით მთავრობას უმთავრესად სურდა ყო-
 ველის გზით ხელი შეეწყო, რომ მცხოვრებთა უმრავლესობას
 მიწა შეეძინა და მომავალშიც თვალყური ედევნებინა, რომ ეს
 საკუთრება არ გადასულიყო იმ პირთა ხელში, რომელნიც ისე-
 დაც საკმარისად უზრუნველყოფილნი იყვნენ მამულით.

ნ. აღნიაშვილი.

ტყე და ხალხის კეთილდღეობა*)

იყო ღრო, როდესაც ტყის ჩეხა ხალხის განვითარებას და განათლებისკენ წინსვლას შველოდა, რადგან მიწის შესამუშავებლად საჭირო იყო ტყის ამოგდება. ტყის გაჩეხა ძნელი საქმე იყო, დიდს შრომის საჭიროებდა, და ამიტომ სწვავლნენ ან ხეებს ირგვლივ ქერქს აცლიდნენ (ჩრდილოეთი ამერიკა). დაბურულ ტყის ალაგის ხალხის მსაზრდოებელი ყანა ჩნდებოდა და ნაღირობის და მეცხვარეობის წილ ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა მეურნეობა.

პირველ ხანებში ტყის გაჩეხაზედ იყო დამყარებული ადამიანის განათლება. დღეს კი ისე გავანადგურეთ ტყეები, რომ შეიძლება ამ გარემოებამ თვით განათლებაც შეაფერხოს.

ჰავა ქვეყნისა ტყეზედ არის დამოკიდებული. ტყე აგროვებს წვიმის წყალს და ისევ მდინარეს უბრუნებს და მერმე ჰაერს. თავის ფოთლით და ფესვით ტყე აჩერებს წყალს და უშლის მწრაფლ დენას. საერთოდ ტყიან ალაგს გაცილებით მეტი წვიმი მოდის, ვიდრე უტყეოზედ, და რაც უფრო ხშირი ფოთლიანია ტყე, მით მეტს სინესტეს იკავებს.

რაც უნდა სიცხე იყოს, ტყეში მაინც გრილა. ვიურტემბერგში, მაგალითებრ, ტყეში 8 გრადუსით უფრო ნაკლები სიცხეა, ვიდრე ტყის გარედ. ტყე იზიდავს წვიმის ორუბლებს და თავის სიგრილით წვიმით არწყვევინებს ქვეყანას. იგივე ორუბლები რომ უტყეო მხარეს მოხვდნენ, ისე გადივლიან:

*) D-r F. Rednault: déboisement et décadence.

რომ ნაშს არ გააგდებენ. მალტის კუნძულზედ ერთიანად გა-
ჩეხეს ტყეები, რომ ბამბის დასათესად მეტი მიწა ჰქონიდათ;
და აქამდე იყვავებულს ქვეყნას იმისთანა გვალვა დაუყენეს,
რომ ოლარ იციან, წვიმა რა არის. წმ. ელენეს კუნძულზედ კი,
სადაც დიდად ზრუნავენ ტყის გაჩენას, დღეს ერთი ორად მე-
ტი წვიმა მოდის, ვიდრე ამ ასის წლის წინად. აგრეთვე ეგვიპ-
ტეში: მას შემდეგ, რაც იქ ტყის გაჩენას შეუდგნენ, წვიმაც
უფრო და უფრო ხშირად მოდის.

კიდევ კარგი, თუ ტყე ვაკეში იჩეხება: ტყიან მთითვან
მაინც საქმარი წყალი ჩამოვა ნათესების მოსარწყავად. მდინა-
რე პო იტალიაში, განგი ინდოეთში მილიონობით ხალხს
აცხოვრებენ, რაღან სათავე ტყიან მთებში აქვთ. მართალია,
ვაკეში ტყის ამოგდება ჰავასა სცვლას; მაგ. ლანგდონუში და
პროვინციების უწინ შშვენივრად ხარობდა ფორთოხალი და დღეს
ოლარ ხარობს; მაგრამ ოლონდ ტყიანი მთა ჰქონდეს ვაკეს,
უტყეოდაც არა უშავს-რა, რაღან მთით მომავალი წყალი მო-
სწყავს და საქმარისს მოსავალს შესძენს.

უტყეოდ ვაკე მაშინ წახდება, როდესაც ოხნარი ნიადა-
გი აქვს. წყალს მცენარე რომ ოლარ შეისვამს, ჭაობად დად-
გება, აშმორდება, აყროლდება და ხალხის მავნე ციებ-ცხელე-
ბის ბუდედ იქცევა. საფრანგეთში მეთხუთმეტე საუკუნეს გა-
ჩეხეს დომბის ტყეები და მას შემდეგ იზრდება და იზრდება
ჭაობი. დომბში რომ უწინ მრავალს და უემდლებელს ხალხს
უცხოვრია, დღევანდლამდე დარჩენილი ეკლესიების დიალი ნაშ-
თები ამტკიცებენ. დღეს თითო ამ ნაშთში დაეტევა, რაც მთელ
დომბში ხალხი ცხოვრობს.

პირიქით, ჭაობიანს ალაგს რომ ტყეს გააჩენენ, ჰაერი
იშმინდება, ციებ-ცხელება ისპონა და ოდამიანისთვის კვლავ
უვნებელ ბინად ხდება. რომის მინდორი და ტოსკანის ჭაობე-
ბი იმიტომ გასაღდნენ, რომ ტყით შეიმოსნენ.

ქვეყნა მაშინ იღუპება, როდესაც ტყე მთაზედაც გაიჩ-
ხება. წვიმა იქნება უწინდებურად ხშირად მოვიდეს მთაში,
მაგრამ წყალი საშინელი სისწრაფით ჩამოირჩენს ტიტველ მთას

და თან წაიღებს მთის სამოსელს—მცენარის მასაზრდოებელ მიწას, რომელსაც აღარ იმაგრებენ ხის ფესვები. ჯერ გატიტ-ვლდება მთა, მერმე დასკდება, დაიშლება და კლდითა და ქვიშით, უზარმაზარ ლოდებით და ქვებით დაჭვარავს ქვემოდ მდებარე სახნავ-სათესს. ამოდენა ლოდს ვინ მოიტანდა ამ მინდოოში, თუ არ მდევო? გაიკვირვებს ადამიანი, თავის ნაწარმოების შედეგს რომ ნახავს.

თავი რომ მიანებონ გაჩეხილ მთას, კიდევ კარგი: ბუნება თავისას იზამს, ნორჩ მცენარით შემოსავს, გაზრდის და ტყედ აქცევს. მაგრამ არა; შეუშვებენ შიგ საქონელს, გაათელინებენ, ძირიანად მოაკორტნინებენ მცენარეს და მიწას ნიაღვარის წალენებად გახდიან.

ვაკეს რალა მოუვა, მთა რომ გაიჩეხება?
გვალვა, სიმშილი და ხალხის ამოწყვეტა.

გაავდრდება, უცბად იმისთანად მოვარდება გოგოების სა-
თამაშო ნაკადული, რომ ქვეყანას წალენებს. ჩამოვარდება ვა-
კეში, მოედება სოფელს, იქ სახლს დაანგრევს, იქ ვენახს გა-
მოუღრუნის ძირს, იქ საქონელს დაახრჩოს. ტყიან მთიზგან
მომავალმა მდინარებაც იცის ადიდება, მაგრამ ის ნელა მოდის,
თან მიწის გამაპატივებელი ლამი მოაქვს და გზა-გზა სტოვებს.
ნილის, ან გარონის ადიდება ღვთის წყალობად მიაჩნია ხა-
ლხს, რადგან არავითარი სასუქი არ შეერგება მიწას ისე, რო-
გორც ამ მდინარეთა ლამი. მოტიტვლებულ მთით მოვარდ-
ნილი წყალი კი სხვაა: თან მიაქვს, რასაც მოხვდება, და ამწვა-
ნებულ მინდვრის და სავსე ვენახის ალაგას რიყესა სტოვებს
და ქვიშას.

გაიჩეხა მთაში ტყე და დაიმშა ქვეყანა: გაავდრდება—წა-
რლენაა, არა და—გვალვა. მინდვრის მორწყვა შეუძლებელია,
რადგან მდინარე ვაშრა, ან ძლიერს უვანავს წვეთ-წვეთად.
რიყიანი მშრალი ხევი-ლა მოჩანს იმ ალაგს, სადაც უწინ ხო-
მალდები დადიოდნენ.

მთა რომ გაიჩეხება, ვაკეში ხალხი დაიმშევა...

II

აქ ახალი არაფერია. დიდი ხანია ამასვე სჩივიან კაცობრიობის უკეთესნი შვილნი—დემოკრიტი, თეოფრასტი, სენეკა, შემდეგ ქრისტიფორე კოლუმბი, ლეონარდო და ვინჩი, ბერნარ და პალისი¹⁾ და სხვანი. „მიკვირს, ღმერთმან იცის, ამბობდა პალისი, ადამიანის უგუნურება! თითქო ქვეყნიურ თავის დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ დასწვას, გაჩეხოს, გაანადგუროს მამა-პაპათაგან დაკრძალული ტყეები. უგნურებაზე დეტია ჩვენი დაუდევრობა, ღვთის რისხვა, და ქვეყნის აოხრება, რადგან საცა ტყე გაიკაუება, ვეღარც რამე ხელობა იხეირებს.“

შედეგ ბიუჭაჭონი სწერდა ამავე საგანზედ. ბერნარდენ დე სენპიერი ტიროდა—ლილ დე ჭრანსში ტყეები გაჩეხეს და მდინარეები დაუშრესო. ჩვენ დროში ტყის დაცვასა და გამრავლებაზედ სწერდნენ ვალორი, კარიიერი, ბოდრილარი, კლავე, ელიზე რეკლიუ, უანნელი, მაგრამ ვინ არის მსმენელი? როგორც სენეკისი არავის რა ეყურებოდა, ისე ამათი, და დღესაც ისევე დაუნდობლად სწვენ და სჩეხენ, როგორც უწინ.

არა ერთი ძლიერი ერი აიგავა მიწის პირიდგან მარტო იმიტომ, რომ ტყის გაფთხილება არ იცოდა. ისრაელს, ასსურეთს, საბერძნეთს, კართაგენს და რომის იმპერიას ომებმა კი არ მოუღეს ბოლო! მიზეზი მათის დაცუმის და სიკვდილისა მათშივე მოიპოვებოდა: როდესაც წყალი დაშრება, ყანების წილ მოტიტვლებული უზაყოფო მინდორი-ლა დარჩება; ერი იხიზნება, იშლება და კვდება.

მოსემა სთქვა—პალესტინა წყაროთა, მდინარეთა და ტბათა ქვეყანა არისო. იმოდენი პური მოდის, ქერი, შერია, ყურძენი და ლელვი, რომ ადამიანი უშრომლადაც უზრუნველყოფილია. მეფე დავითმა რომ თავისი ხალხი ანუსხა, 1,100 ათასი ვაჟეკაცი ჰყავდა, ქალებისა და ბავშვების გარდა, თუმცა იუდის, ლევის და ბენიამინის შთამომავალნი არ ჩაუთვლია.

საღლაა მეჩმე მოსეს დროინდელი პალესტინა და მისი
მცხოვრები? ტყუილად კი არ ამბობს ლამარტინი იერუსალი-
მის შესახებ: მთა რომ გაიჩეხება, ვაკე გახრიოკდება და უდა-
ბნოდ იქცევაო!

ესვე მოუვიდა არაბეთს, რომელსაც ერთ დროს ბეღნი-
ერი ეწოდებოდა. ყვავოდა და ხალხით სავსე იყო. ასსურუ-
ლი ზედწარწერანი მოგვითხრობენ — ეფრატზედ ყოვლად ძლი-
ერი, მდიდარი სამეფოები იყო — კინდანა და სუჰი; მაგრამ მათ
ალაგს დღეს ქვიშიანი უდაბნოს მეტი აღარა მოიპოვება რა.
ასსურბანიპალმა ნეჯიდში და ჰეჯაში ძლიერი ქალაქები და-
იძყროთ. ქვიშალა არის დღეს ამ ქალაქების ალაგს. იემენში
იემენში მარიაბის და საბორას ნაადგილევში იმისთანა შენობათა
ნაშთები მოსჩანს დღესაც, რომ იქაურს მეუდაბნოვე არაბს
ვერც კი წარმოუდგენია, რომ ადამიანის ხელით ყოფილიყოს
აშენებული.

უცნაური სანახავია ქვიშიან უდაბნოში დიდებულ ქალა-
ქების ნაშთი; უცნაური სანახავია, მაგრამ მეტად ხშირი. თურქის-
ტანში გნებავთ, ალეირში, ტუნისში, სპარსეთში, პერუში.
უდაბნო — ადამიანის გაჩენილიაო, ამბობს ბოპი.

III

პირიქით, ტყის გაჩენა ქვეყნის აყვავების და გამდიდრე-
ბის მიხედვით. ამერიკაში — ტყიან კოლორადოში და ნებრასკა-
ში — მრავალი ხალხი სცხოვრობდა. ტყე გაჩეხეს, ქვეყანა და-
იშშა, ხალხი დაიქსაქსა. ეხლა ამერიკელები იქ ტყეებს აჩენენ
და უნაყოფო, ყოვლად უვარგისს მიწას, საძოვრად და სახნა-
ვად აქცევენ.

ასევე მოიქცნენ ფრანგები ტუნისში, სტაქსის მინდორ-
ში, სადაც დღესაც ხედავს კაცი ღიღებულს ნაშთს ძველის
ქალაქებისას. თაზღრაში 100 ათას სულზედ მეტი მცხოვრები
უნდა ყოფილიყოს; ამას მოწმობს ამ ქალაქის ცირკი და ტა-
ძარი. სუფლეტაში 20—25 ათასი; სილიუმში — 12—15; ოე-

ლეპტაში—50—60. აქ ქალაქებ შუა პატარ-პატარა ქალაქები იყენენ—ბარარი, მასკლიანა, მენეეერი, მენოეეზედ, მონიანი და მრავალი სოფლები. მაგრამ არაბებმა გაკაფეს და ძირიანად ამოაგდეს ზეთის-ხილის ტყეები და გააუდაბურეს მდიდარი ქვეყანა. დღეს ფრანგები და პატრიონენ აქაურობას, ტყის გაჩენას შეუდგნენ და ნელ-ნელ უწინდელივით აყვავებენ უდაბნოს.

ტყე რომ გაიკაფება, მარტო ადამიანი კი არა, თვით ცხოველიც იღუპება. ნინევის მიდამოებში იმისთანა ტყეები იყო, სწერია, რომ თუტმეს მესამე სპილოზედ ნაღირობდა 1700 წ. ქ. შობამდეო. ალექსირში ქვაზედ ძველებური ზედწარწერანი იპოვნეს და ზედვე გამოხატული სპილო, უირაფი და მარტორქა. კართაგენელებს სპილოები ჰყავდათ და სამუშაოდ ხმარობდნენ. დღეს კი ისე გამოიცვალა ამ ქვეყნების ჰავა, რომ სპილოს ხსნებაც აღარ არის.

საბერძნეთის ისტორიაც კმარა ჩვენი აზრის დასამტკიცებლად. სახელგანთქმული და ძლიერი საბერძნეთი დღეს ერთ ათას კ და უხალხო ქვეყნად არის ქცეული. ძლიერი რომ იყო, დიდი ტყეები ჰქონდა და მდინარეები. არგოსის მინდორს თავს დასკუეროდა ევგენის მთა — ტყით და საძოვრებით შემკული. დღეს ეს მთა მოტიტვლებულ პიტალო კლდეს-ლა წარმოადგენს. მინდორს ელეფტერიონი და ასტერიონი რწყავდა, დღეს ამ მდინარეებში წყალს მარტო ივდარში ნახავს კაცი. არგოსის მინდორი განთქმული იყო თავის ცხენებით, ჰომერი ილიადაში შეიღვარ ისხენიებს მის საძოვრებს; დღეს კი ისეა დამწვარი აქაურობა, რომ აღარავითარ მოსავალს აღარ იძლევა. „ორაკული აღარას გვითხრობს, სწერს პლუტარხი, რადგან ისე გავჩერეთ ტყეები, რომ ბინა აღარსად დავუტოვეთო! ამოწყდა ხალხი, რომ გაჭირდეს, სამ ათასს მეომარს ძლიეს-ლა მოვაგროვებთ.“ „ეპირისას არ ვიტყვი, ამბობს სტრაბონი, რადგან ერთიანად ამოწყდა ხალხი და ჩვენს ნაოხარში რომაელი ჯარები დგანან.“

დღეს უდაბურია სარდინია, მაგრამ რომაელებმა რომ დაიჭირეს, სავსე იყო ჩალხით, და მდიდარი — ყოველგვარ მოსავ-

ლით. დალმაციაში ორი მილიონი მცხოვრები იყო, როდესაც ვენეციელებმა დაიპყრეს, მაგრამ გაჩეხეს ტყეები და დაღუპეს ქვეყანა.

ისპანიისთანა ძლიერი და მდიდარი მე-XVII საუკუნეში არც ერთი ქვეყანა არ იყო. მაღრიღში 400 ათასი მცხოვრები ითვლებოდა. პლინის სიტყვით, მდინარე ელბა წინად იმისთანა ღრმა იყო, რომ დიდ მანძილზედ აღიოდნენ ხომალდები. გვადალკვიფირზედ 1350 წელს კორდოვამდე აღიოდნენ გემები; მანზანარესში—მაღრიღდამდე. ეხლა კი თუ ავდარი არა, ამ მდინარეში დასალევი წყალიც არ მოიპოვება ისე ძვირის შიდა ისპანიაში წყალი, რომ კირის ასარევად ღვინოს გაიმეტებს არაგონელი და წყალს კი არა. მიზეზი ადვილი გასაგებია: ტყეს კი არა, ხეს ვერსადა ნახავთ. და სადაც უწინ აღამიანის მაცხოვრებელი ყანა იყო, დღეს დამწვარი, უნაყოფო ხრიოკი-და არის და ისეა დადაგული მთელი კასტილია, რომ ანდაზად იმბობენ— მწყერი რომ კასტილიაში შევა, თავის საგზალ ხორბალსაც თან წაიღებსო.

IV

რაც უწინ იყო, ის ეხლა ხდება და სრული აოხრება მოელის იმ ქვეყანის, რომელიც ტყეს გაჩეხავს. ტყიან ქვეყანაში ხალხიც ჯანმრთელია, სიცოცხლის ხანგრძლივობაც მეტი, მომაკვდავიც ნაკლები და დაბადებაც მეტი, ვიდრე უტყეოში. საფრანგეთი რომ ავილოთ მაგალითად, უბრალო ანგარიშით დავრწმუნდებით, რომ მცხოვრებთა რაოდენობა მატულობს იმ მაზრებში, რომელშიც ტყეს თვით მართებლობა უგდებს ყურს, და ძველებურად აღარავის ანადგურებინებს; პირიქით, იმ მაზრებში, რომელშიც ტყეს სჩეხენ და სწვავენ, მეცხოვრებთა რაოდენობა სულ უკან-უკან მიდის. 1891 წელს საფრანგეთში 10505 კაცით მეტი მოკვდა, ვიდრე დაბადა, და ეს ზარალი სულ მთლად უტყეო მაზრებმა შესძინეს ერს. 1892 წელს სიკვდილი აღმატა დაბადებას 20040 კაცით;

აქედგან უტყეო მაზრებს ეკუთვნოდა 16028. საერთოდ კი 100 ათას კაცზედ უტყეო მაზრებში წელიწადში 164 კვდება და ტყიანში კი მხოლოდ 18, ესე იგი ცხრაჯერ ნაკლები.

შვეიცარიაში ძვალსა და რბილში გაუჯდა ხალხს ის ჰე-
 შმარიტება, რომ უვინც ხეს წააქცევს, კაცსა ჰკლავს“ და
 სასტიკ კანონშდებლობის გარდა ოვით ხალხი უფთხილდება და
 იცავს თავის განძს. გერმანია, საფრანგეთი, იტალია და რუ-
 სეთიც შეუდგნენ ამ მხრივ ზრუნვას, მაგრამ ხალხის უფრო-
 ბასთან და გაჭირებასთან ვერა გაუწყვიათ რა. გაჭირება კი იმ-
 დენი ადგას ხალხს, რომ თავისავე მაცხოვრებელს წალს და
 კავალს სჭრის, რომ თითო-ორთოლა გროში აიღოს. ამის ხელს
 უწყობს საშენებელი ხე-ტყის სიცირე და, თუ სასტიკი ღო-
 ნისძიება არ იქვენა მიღებული, მალე მოტიტვლდება სამოთხის
 დარი ჩვენი მთები, დამწვარი მიწა კუჭს ვეღარ გაგვიძლობს
 და აქეთ-იქით დავიქმნავს გებით ლუკმა-პურის საშორად.

ივ. მაჭავარდანია.

მედიცინის განვითარების ისტორიიდან

(ვუძვნი ექიმ თაფურიას ხსოვნას)

1796 წელიწადი აღნიშნულია მედიცინის ისტორიაში, ეს ის წელიწადია, როდესაც ჯენერმა პირველად ბავშვს ყვავილი აუცრა. ეს დიდებული წელიწადი უნდა აღნიშნულ იქნას მთელ კაცობრიობის ისტორიაშიც, რადგან აქედან იწყება ბრძოლა სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენთა წინააღმდეგ. განვლო მას აქეთ ერთმა საუკუნემ მეცნიერთა განუწყვეტილ შრომისა და კიდევაც უქმნა გამოგონილი გადამდებ სენთა აურა სხვა და სხვა გვარ გამკურნავ შრატითა.

თითქმის ყველას ექნება გაგონილი, რომ უცეტესი ნაწილი გადამდებ, ეგრედ წოდებულ ინფექციურ, ავადმყოფობათა მით არის შესანიშნავი, სხვათა შორის, რომ თუ ადამიანმა ერთხელ როდისმე გადიტანა რომელიმე ამ სენთავანი, მერმისში უცნებელი ხდება ამ სენის შხამიღან, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „მოიხდის“. ზოგიერთი კი, როგორც ყვავილი, წითელა და საოფლე ფრიად იშვიათია, რომ მეორედ შეხვდეს ადამიანს. აი ეს იყო დედა-აზრი, რომელიც დაიდვა საფუძვლათ აცრისთვის.

სანამ ჯენერი ყვავილის აცრას შემოიღებდა, ეს სენი საშინელ დიდ უბედურებას და საცოდაობას ახდენდა; მკითხველი ეხლა ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა შიშის ზარს სცემდა ადამიანს ამ სენის გაგონება; ათასობითა და ათი ათასობით იულიტებოდა ხალხი, არც მდიდარი და არც ლატაკი ვერ გა-



დურჩებოდა ამ სენს, თვით მეფენიც კი იხოცებოდნენ; ერთ-
სიტყვით, არავითარი ღონისძიება არ იყო ყვავილის მოარუ-
ლისგან გადასარჩენად.

ვინც კი მორჩებოდა ამ სენისგან, ვაი იმისთანა მორჩენას! ძლიერ ხშირად სამუდამოდ დასახიჩრებული რჩებოდა.

რასაკვირველია, მაშინაც ცდილობდნენ რაიმე ღონის ძი-
ება მიეღოთ ყვავილის წინააღმდეგ. ერთად ერთი საშუალება,
რომელსაც მიმართეს, ის იყო, რომ სცდილობდნენ მსუბუქ
ავადმყოფისაგან გადაეტანათ ყვავილის ჩირქი საღ აღამიან-
ზე; ამით ეგონათ მეორე პირიც ადვილად გადიტანდა ყვავილი!
ხოლო, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდის იყო: ხან მართ-
ლა ამ გვარად გადატანილი ყვავილი ძლიერ მსუბუქად მო-
ჰკიდებდა ხელს, ხან კი ძლიერ? მძიმედ, ასე რომ ხშირად
სიკვდილითაც გათავდებოდა ამ გვარი აცრა:

ჯენერის მიერ შემოღებული აცრა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩირქი ყვავილიან ავაღმყოფიდვან კი არა გადააქვთ, არამედ ხბოდვან. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ყვავილით ხდება ავათ არა მარტო აღამიანი, არამედ ზოგიერთი პირულყვიც, და თვითეულ მათგანს ეს სენი სხვა და სხვა ნაირად აჩნდება: ასე, მაგალითათ: მაშინ როდესაც ცხვარს მძიმე ნიშნები აჩნდება და მთელ სხეულზედ ყვავილს დააყრის, ძროხა სრულებით მსუბუქად გადიტანს ამ სენს, მხოლოდ ძუძუებზედ-ლა და ყრის და უსიცხოდ გაუვლის.

ეხლა რომელიმე ცხოველიზანაც კი რომ აიღოთ ყვავილის ჩირქი და მით აუცრათ თუნდ ადამიანს, თუნდ სხვა ცხოველს (რომელიც კი ყვავილით ავად ხდება), დარწმუნდებით, რომ ამ გვარად აცრილი არსება არასოდეს ხელ-მეორედ აღარ გა-ხდება იად ამ სენით.

ამ გვარად ჯენერის მიერ შემოღებული აურა იმაზი
მდგომარეობს, რომ ასაკურელათ ჩვენ ვხმარობთ ძროხის ყვა-
ვილის ჩირქს, ხოლო ძროხის და ოდამიანის ყვავილის შუა ის
განსხვავებაა, რომ ძროხის ყვავილის ჩირქის შხამი ბევრად
უფრო მსუბუქი და სუსტია, ვიდრე ოდამიანის ყვავილისა; ეს

განსხვავდება წარმოლგა იმით, რომ ყვავილის შხამშა ძროხის სხეულში განვლით დაჰკარგა თავისი ძალა.

რომ მართლა ადამიანის და ძროხის ყვავილი ერთი და იგივე სენია, სხვათა შორის, იქიდგან სჩანს, რომ ჩვენ ადამიანის ყვავილის ჩირქით შევგიძლიან ძროხას შევყაროთ ეს სენი, ხოლო ამისთვის საჭიროა ცოტაოდენი მოსიმნება, რადგან ადამიანიდან ადამიანზე უფრო ადვილია ყვავილის გადატანა, ვიდრე ადამიანიდან ძროხაზე. ადამიანიდან ძროხაზე ამგვარად გადატანილი ყვავილის ჩირქი ბევრად უფრო სუსტია ადამიანის ყვავილის ჩირქზე, მაგრამ აცრისთვის მაინც უფარგისია, რადგან აცრილ ადამიანს შეიძლება მაინც გაუქმნელდეს და რომ უფრო სუსტი შეიქმნეს და აცრისთვისაც გამოსადევი იყოს, საჭიროა რამდენისამე ძროხის სხეულში გავატაროთ. რამდენიმე ძროხის სხეულში განვლით ყვავილის შხამი არა მარტო სუსტდება, არამედ ჰაერით გადადების თვისებასაც ჰკარგავს. აქედან მეღიცინა იმ დასკვნას დაადგა, რომ ძროხის ყვავილი—ვაქცინა—უნდა იყოს ადამიანის ყვავილი გადასული ძროხაზე და მის სხეულში განვლით შეცვლილი.

ჯენერის მიერ შემოღებული აცრა ყვავილისა შეიქმნა იმის მაგალითი, თუ როგორ შესაძლებელი ყოფილა მივცეთ ადამიანის სხეულს ისეთი ძალა, რომლის წყალობით რომელიმე გადამდებმა სენმა ვერა დააკლო რა მას; ისეთ თვისებას ადამიანის სხეული მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას განგებ შევყრით ისეთ გადამდებ სენს, რომლის მომწამლავი ძალა უკვე დასუსტებულია.

ამ გვარად შემოვიდა აცრა—ვაქცინაცია... ეხლა ვაქცინაციას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს: ვაქცინაცია ნიშნავს რომელიმე ინფექციური—გადამდები ავადმყოფობის შესუსტებულ საწამლავის გადატანას, აცრას საღს ადამიანზე.

ეს ახალი საშუალება ბრძოლისა ყვავილის წინააღმდეგ შეიქმნა სამაგალითო, რომლითაც ისარგებლა დიდებულმა პასტერმა და პირველად აღმოჩენილი იქმნა მის ცოტით ავადმყოფობის აცრა.



პირველად თუ რას მიაქცია პასტერშა ყურადღება, ეს ის
იყო, შეიძლება თუ არა როგორმე შეამციროს ადამიანმა უმთავ-
რესი საწამლავის ძალა გადამდებ აფალ-მყოფობისა.

აი, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ამაზე არის დამყარებული ყოველი აცრა.

რა არის ეს საწმლავი ძალა გადამდებ ავალ-მყოფობისა? ეს არის ცოცხალი არსება, რომელიც აღმოჩენილია მიკროსკოპის საშუალებით, სახელით მიკრობები, ესე იგი პატარა არსებანი. უმეტეს ნაწილს სხვა და სხვა გადამდებ სენს აღმოუჩინეს საკუთარი მიკრობები, დანარჩენებსაც, იმედია, აღმოუჩენენ.

ამ გვარი შესუსტება მდგომარეობს ამ მიკროორგანიზმების ძალის შემცირებაში. პირველად პასტერმა შეასუსტა ქათმის ჭირის, ეგრედ წოდებული, ქათმის ხოლერის საწამლავი. რომ ავიღოო ერთი წვეთი ამ ჭირით ავად-მყოფის ქათმის სისხლი და გავშანჯოთ მიკროსკოპში, დავინახავთ შიგ მრავალს — მრავალ მიკრობებს, რომლებსაც ჩხირის მგზავსება. აქვთ ოი, ამ მიკრობებიდან წარმოსდგება ეს ავადმყოფობა. ეს მიკრობები არა მარტო სისხლშია, არამედ ყოველ სხეულის ნაწილში. საკმარისია მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი შეუშხაპუნოთ საღქათამს კანის ქვეშ, ქათამი მაშინვე ავად გახდება და 2 საათის შემდეგ მოკვდება. როგორც ხედავთ, ქათმის ჭირი ძლიერ გადამდებია. რადგან პასტერმა განიხრახა ამ ჭირის მიკრობის შესუსტება, მაშასადამე, ისე უნდა მოეხერხებინა რომ როგორმეც ცალკე მიეღო ეს მიკრობები.

მიკრობების განცალკევება შეიძლება ამ გვარად: ქიქა-ში უნდა ჩავასხათ ბულიონი, შეიძლება ქათმისაც იყოს, მღა-შე და წმინდა ფერისა; ბულიონში საკურისია ერთი წვეთი კირიანი ქათმის სისხლი მიუმატოთ, რომ ცოტახნის შემდეგ ურიცხვი მიკრობი გამრავლდეს. ამგვარ ხელოვნურად გამრავ-ლებას მიკრობებისას — კულტურას — მოშენებას ეძახიან. ამ-გვარი კულტურა-მოშენება სხვა მიკრობებისაც შეგვიძ-ლიან მოვამზადოთ. ერთი წვეთია საკირო ამ ბულიონიდ-

გან, რომ ქათაში 12 საათში მოჰკლას. ეხლა პასტერი მა განიზრახა ამ მიკრობების ძალის შესუსტება. შესუსტა კი დეც აზგვარად. საჭიროა, რომ ის ბოთლი, რომელშიაც ბულონი ასხია მიკრობებით, იღეს იმისთანა აღგილას ჰაერზე, საღაც 33° C-ია, ესე იგი შრალ ჰაერზე. საჭიროა აგრეთვე, რომ თავი ახდილი ჰქონდეს ბოთლს, რათა ჰაერი თავისუფლად ჩადიოდეს. მაშინ ამგვარ მოვლენას შევნიშნავთ პირველ კვირაში: თუ ავიღეთ ბულიონიდგან და ივუცერით ქათმებს, იმ დღესვე დაიხოცებინ; მაგრამ რამდენს კვირის უფრო მეტს დავაცლით ბულიონს ამ შრალ ჰაერზე ყოფნას, იმდენი უფრო მეტი მომწამლავი ძალა მოაკლდება; ასე რომ რამდენიმე კვირის შემდეგ აცრილი ქათმები აღარ დაიხოცებიან და ბოლოს ავათაც კი აღარ განდებიან. ეს იმას კი არა ნიშნავს, როს მიკრობები დაიხოცენ, არა, მხოლოდ მათ თავისი ძალშ მოაკლდათ ამ შრალ ჰაერზე ყოფნის დროს. ამგვარად პასტერმა დაგვანახა, რომ შესაძლებელი ყოფილა გადამდებ ავათ-მცოფობის, საწამლავის ძალის დასუსტება.

როდესაც პასტერმა გამოარკვია და კიდევაც დაამტკიცა ეს ორი ზემოხსენებული კითხვა, შემდეგ ამისა მიაქცია ყურადღება ცოფით ავათ-მცოფობის შესწავლას.

როდესაც პასტერი შეუდგა ამ სენის შესწავლას, შემდეგი ცნობები ჰქონდათ ცოფზე: რომ ცოფი გადამდები—ინფექციური ავათმცოფობაა, მომწამლავი ძალა ცოფინ პირუტყვის დუშშია, შხამი ნაკერძნი გადადის. რადგან შხამი ცოფიან პირუტყვის დუშშია, რასაკვირველია, მას მიაქციეს ყურადღება; მაგრამ, სამწუხაროდ, ცოფიან პირუტყვის დუშში შრავალ გვარი მიკრობებია, ასე რომ ეს მიკრობების მრავალ გვარობა ხშირად უშლის ცოფის შხამის მოქმედებას აცრის დროს.

ამიტომ ჯერ იმისთანა აღგილი უნდა ეპოვნათ ორგანიზმი, საღაც მხოლოდ საწამლავი ყოფილიყო და სხვა მიკრობები არა. ამ გვარი აღგილი აღმოჩნდა თავის ტვინი და ხერხემლის ტვინი და საზოგადოდ ნერვები. რომ ამ გვარი პი-

რუტყვის ტვინი ავილოთ და დაფეხჩეოთ, ხოლო შემდეგ სპირტი ში დავალბოთ რამდენსამე ხანს, ეს სპირტი გამოიტანს ამ ტვინიდან ყოველივე შხამს. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მხოლოდ ეს სპირტის გამონაწევი შეუშხაპუნოთ საღ ძალს, რომ ცოფით ავათ გახდეს; დუში კი ყოველთვი როდი გამოიწვევს ცოფს.

მიიღო რა ამგვარად პასტერმა ცოფის შხამი, ჯერ გააძლიერა ცოფის შხამის ძალა ამ რიგათ; აუცრა ერთს, ერთი-დგან გადიტანა მეორეზე, მეორედან მესამეზე და ამგვარად ერთი მეორეზე გადიტანა ცოფის შხამი.

ამ აცრის დროს ვხედავთ რომ ეს ცოფის საწამლავი თან-და-თან ძლიერდება; ასე მაგალითათ პირველ 14—18 დღის აცრის შემდეგ გამოაჩნდება ცოფის ნიშნები, ხოლო რამდენ უფრო მეტ აუცრით, იმდენად უფრო აღრე გამოაჩნდება ცოფი; მეორეს უფრო აღრე ვიდრე პირველს; მესამეს მეორეზე აღრე, ასე რომ ბოლოა იქამდინ მივალთ, რომ უკანასკნელს მეექვსე დღეზე გამოაჩნდება ცოფი, ამაზე აღრე აღარ შეიძლება ცოფის გამოჩენა, მაშასადამე, მისი გაძლიერება.

აი ეს გაძლიერებული ცოფი აიღო პასტერმა, როგორც ნიმუში ნამდვილი ცოფის საწამლავისა, და ამას დაუწყო შედარება.

ჩვენ ვნახეთ, რომ ცოტაოდენი მაინც ამგვარად გაძლიერებული ცოფის შხამი საკმარისია ცოფის გამოსაწვევათ. შემდეგ პასტერმა აიღო ამ ტვინის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის მეექვსე დღეზე გაცოფიანებულ ცხოველს, ესე იგი რომელსაც უძლიერესი ცოფის შხამი აქვს, და დადგა 25 R^o-ის მშრალ ჰაერზე, ასე რომ ჰაერი თავისუფლად უვლივს. აქაც შევნიშნავთ, რომ რამდენი დღე გადის იმდენი უფრო ძალა აკლდება და ბოლოს თოთხმეტი დღის შემდეგ, სრულებიდ დაჰკარგავს თავის მავნებელ ძალას.

ამის შემდეგ თვით აცრა ძლიერ ადვილი შეიქმნა: ჯერ საჭიროა დავიწყოთ აცრა სუსტიდან და გადავიდეთ მძლავრ საწამლავზედ, ასე საჭიროა პირველად შევუშხაპუნოთ ასა-

ცრელ ძალს მეთოთხმეტე დღის ტვინიდან, რომელიც სურ-ლებით დაკარგული აქვს ძალა; მეორე დღეს — მეცამეტე დღის, შესამე დღეს — მეთორმეტე დღის, ასე თან-და-თან სულ უფრო შძლავრი და ძლიერი შხამით ვუკრათ ძალს: ამგვარი აცრა ისე იმოქმედებს ძალზე, რომ ბოლოს ნამდვილი, ცოფიანი პირუტყვის ტვინის გამონაწევი რომ შეუხაპუნოთ, სრულებით აღა იმოქმედებს მასზე. ასე ამგვარად ძალმა მიიღო „იმუნი-ტეტი“, ესე იგი ამ ავათ-მყოფობამ დაჰკარგა ყოველივე თვისი გავლენა ამ პირუტყვზე. თუმცა პირუტყვზე ცდამ მშვენივ-რად ჩაიარა, მაგრამ ადამიანზე გამოცდა მაინც საძნელო და გასაბედავი იყო.

პირველად აუცრეს პასტერის ინსტიტუტში 1885 წ. ყმა-წვილს მეისტერს, რომელიც ცოფიანმა ძალმა ძლიერ დაჰბინა. საბეჭნიეროდ, ამ აცრამ მშვენივრად ჩაიარა, მეისტერი განიკურნა. იმ აქედგან იწყება ცოფის აცრა ადამიანზე.

მას აქეთ მრავალმა მიიღო შვება ამ საშინელ სენისაგან. უშხაპუნებენ ხან მარჯვენა და ხან მარცხენა გვერდში თხუთ-მეტი დღის განმავლობაში. მხოლოდ მარტო პარიზის პასტე-რის ინსტიტუტში, როგორც სტატისტიკიდგან სჩანს ოთხი წლის (1885—1889) განმავლობაში 6870 კაცს აუცრეს. მას აქედ, რასაკვირველია, ყოველ წლივ აცრილთა რიცხვი მატუ-ლობს, ეხლა თითქმის სოფელი არც კია, რომ ცოფიან ძალ-ლის დაჰბენილი ადამიანი მაშინვე არ გაჰვზავნონ უახლოვეს ასაცრელ სადგურში. თბილისშიაც არის ამგვარი სადგური.

თუმცა ესეთი საშუალება აცრისა დიდებული იყო, მაგ-რამ ამაზე შეჩერება მაინც არ შეიძლებოდა. ამგვარად აცრა შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი სენისა, როგორიც არის ცოფით ავათმყოფობა, ესე იგი ისეთი სენისა, რომლის შხა-მით სხეული მხოლოდ ნელ-ნელა იწამლება, და თითქმის ერთი თვის შემდეგ გამოაჩნდება დაჰბენილ ადამიანს ცოფის პირვე-ლი ნიშნები.

ხოლო რაც შეეხება სხვა გადამდებ ავათ-მყოფობათ, უნ-და ვსოდეთ, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ ამა თუ იმ

გადამდებ სენის ნიშნებს, როდესაც ადამიანის სხეული უკვე მოწამლულია ბაკილების შხამით, ამიტომ ასეთი ავათ-მყოფის აცრას ამავე მიკრობების დასუსტებული შხამით არავითარი კე-თილი შედეგი არ ექნება; მაშასადამე, საჭიროა სულ სხვა გვა-რი აცრა. აცრა ისეთი სითხით, რომელმაც გაანელოს ისეთი შხამი, რომლითაც უკვე მოწამლულია სხეულის ნაწილები და შიგნეულობა.

გავიდა ხანი და ასეთი აცრაც შემოღებულ იქმნა.

თან-და-თან გამოირკვა, რომ იმ ცხოველის სისხლში, რო-მელმაც გადიტანა რომელიმე გადამდები სენი, ჩნდება ისეთი ნივთიერება, რომელსაც შეუძლიან განკურნოს სხვა ცხოვე-ლი ამავე სენისაგან.

ეხლა რომ ცხოველს სისხლი ხამუშვათ და შევკრიბოთ ჭურქელში, ვნახავთ, რომ პირველად წარმოადგენს წითელ სით-ხეს, შემდეგ კი შედიდება ისე რომ ჭურქლიდგან არც კი გადმოიღვრება, ცოტა ხანი კიდევ დავტოვოთ, შევნიშნავთ, რომ ეს შედედებული სისხლი შეიკუმშება, დაპატარავდება, ეხლა რომ მას ხელი მოვუჭიროთ ჩალის ფერს სითხეს გამოვა-დენთ. ეს სითხე არის შრატი. აი ამ შრატშია ის გამ-კურნავი ნივთიერება, რომელიც ჩნდება ცხოველის სისხლში, როდესაც იგი მოიხდის გადამდებ სენს. აი ამგვარი თვისე-ბის შრატის აცრით შეიძლება მოვარჩინოთ სხვა ცხოველი შე-კურობილი ამავე სენით.

ამგვარი აცრა კიდევ იმითია ძვირფასი, რომ სრული ლონისძიება გვაქვს ბლომად მუვამზადოთ ასაცრელი შრატი მხოლოდ ერთი ცხოველის სისხლიდგან; საჭიროა მხოლოდ ყოველი სისხლის გამოშვების შემდეგ დავასვენოთ ცხოველი და დრო მივცეთ გამაგრდეს.

რომ მკითხველისთვის უფრო გასაგები იყოს, ჩვენ, სანამ შრატის მომზადებაზე უფრო დაწვრილებით დავიწყებდეთ, ორიოდე სიტყვას საზოგადოდ გადამდებ სენის შესახებაც ვი-ტყვით.

გადამდები ავათ-მყოფობანი განიყოფებიან ორ დიდ ჯგუ-
ფათ: პირველს ჯგუფს ეკუთვნიან ის ავათ-მყოფობანი, რომ-
ლებთა მიკრობები მრავლდებიან სხეულის მხოლოდ ერთ აღ-
გილას, აქ ესენი მსწრაფლ მრავლდებიან და გამოაქვთ შხა-
მი—ტოქსინი, რომელიც აქედგან გადადის სისხლში და სწამლავს
მთელ სხეულს. მეორე ჯგუფს კი ეკუთვნიან ისინი, რომლების
ბაცილები სნეულის ყველა ნაწილებში ერთბაშად მრავლდებიან,
ასე რომ ამგვარი სენით შეპყრობილი ცხოველის სხეულიდან
რომ ამოსქრათ რომელიმე ნაწილი და მისკროს კოპით გაშინჯოთ,
ნახავთ, რომ უჯრედებთა შორის აღგილები გატენილია მი-
კრობებით.

იქნება ზოგიერთს არ ჰქონდეს გაგონილი, რომ ჩვენ შე-
გვიძლიან ხელოვნურად გავამრავლოთ და მოვაშენოთ სხვა-
და-სხვა გვარი ბაცილებისა, ზოგიერთ მსაზრდოვებელ ნივთიე-
რებაზე: ბულიონზე, კარტოფილზე და სხვ. ჩვენ ადვილად შე-
გვიძლიან დაგრამუნდეთ იმაში, რომ ეგრედ მოშენებულ შხა-
მიან ბაცილებს მართლა შხამი გამოაქვთ: ამისთვის საჭიროა
ამ სითხის გაწურვა, ისე კი რომ ამ გაწურულს ბაცილები არ
გაჰყენეს. ეხლა ეს გაწურული სითხე რომ ცხოველს შეუშხა-
პუნოთ კან-ქვეშ, ნახავთ, რომ ეს ცხოველი გახდება ავათ სწო-
რედ იმ გადამდები სენით, რომლების გამოწვეულია ამ ბაცი-
ლების შხამი. სხანს აქედგან, რომ სენი გამოწვეულია არა ბა-
ცილებით, არამედ მათ მიერ გამოლებულ შხამით.

გვითხველმა რომ უკედ გაიგოს მოვიყვანო, ხუნაგის ასა-
ცრელ შრატის მომზადების აღწერას: ხუნაგი არის ერთი სა-
შინელ სენთაგანი, უფროს ერთ შემთხვევაში იგი სწამლავს
ბავშვებს, არა ერთი ათასი დედა აუტითებია ამ სენს, ამ სე-
ნით გარდაცვალებულ ბავშვთა რიცხვის რაოდენობა ნათლად
მოწმობს მის შხამის სიძლიერეს.

ერთად ერთი ადგილი, სადაც მრავლდება ხუნაგის ბაცი-
ლები, ეს ყელია, აქ მრავლდება და გამოაქვს შხამი, რომლი-
თაც იწამლება მთელი სხეული. შხამი იმდენად ძლიერია, რომ
ამ სენით შეპყრობილი ჰქარგავს გრძნობას, ეწამლება შიგნე-

ულობა, უსუსტდება გულის მოძრაობა და მაღე სრულებით სწყდება. ისეთი საშუალება საჭირო, რომელიც უვნებელი ჰყოს ის შემთი, რომელიც უკვე დატრანსლებს სხეულში, გაანელოს მისი ძალა და მდგვარად გადაარჩინოს სხეულის უჯრედები ამ შხამით მოწამვლას.

მაშინ ის ბაცილებიც, რომლებიც ხუნაგიანის ყელში იმყოფებიან და შხამი გამოაქვთ, სრულებით უვნებელი შეიქნებიან, შეიქნებიან ისეთი უშიშარი ადამიანისთვის, როგორც სხვა შრავლი უშამო ბაცილები, პირში და სხეულის სხვა ნაწილებში მყოფი.

ამ შრატის მოსამზადებლათ საჭიროა ბულიონზე ხელოვნურად მოვაშენოთ ეს ბაცილები, ცოტა ხნის შემდეგ ვნახავთ, რომ ხუნაგის ბაცილები ძლიერ გამრავლდნენ და მათთან გამოიტანეს შხამიც. ეხლა გავწუროთ ეს სითხე მოშენებულ ბაცილებით ისე რომ განაწურში მხოლოდ შხამი მივიღოთ — ტოქსინი. ეხლა ამ სითხით, რომელშიც მხოლოდ ბაცილების შხამია, — ტოქსინი უნდა ავუცრათ ცხენს, რომ ამ აცრით ცხენის სისხლში გაჩნდეს ის გამკურნავი ნივთიერება, რომლის შესახებ ზემოდე ვსთქვით.

ამისათვით საჭიროა ცხენს კან ქვეშ ვაპკუროთ ეს ტოქსინი ჯერ პირველად ძლიერ მცირე, მერმე კი თან და თან ვუმატოთ, ხოლო ყოველი შეპკურების შემდეგ ცხენს უნდა ვაცადოთ რომ ცოტაა ღონესე მოვიდეს, რადგან ყოველი შეპკურების შემდეგ ცხენი ძლიერ სუსტდება. ბოლოს ცხენის სხეული ისე შეეჩრდა ამ შხამს, რომ შესძლებს თავისუფლად გადიტანოს გაცილებით უფრო მეტი შხამი, ვიდრე პირველად ვაპკურეთ.

ეხლა ცხენის სისხლში გაჩნდა ისეთი ნივთიერებაც, რომელიც შესძლებს განკურნოს ცხოველი, შეპკურობილი ხუნავით. ამის დასამტკიცებლათ საჭიროა ავილოთ იძლენი შხამი ხუნაგისა, რამდენიც საჭიროა, რომ მოჰქლას ზღვის გოჭი, ეხლა ამ შხამს რომ შესაფერა აცრილი ცხენის შრატი მიუმატოთ აურიოთ ერთად, და შევაპკუროთ გოჭს კან ქვეშ, ზღვის გოჭი

უკნებელი დარჩება. აშენაა რომ აცრილ ცხენის შრატი გამკურნავი ყოფილა, შრატში ისეთი ნივთიერება ყოფილა, რომელიც ანელებს შხამს, ამ ნივთიერებას „ანტიტოქსინი“ ჰქვია.

როგორც კურჯელში არეული შხამი და აცრილი ცხენის შრატი ერთმანეთს ძალას უქრობენ, ესევე უნდა მოხდეს აღამიანის სხეულშიაც.

როდესაც ხუნაგიან ავათმყოფს ვაპკურებთ ამ გვარად მომზადებულ შრატს, შრატის ანტიტოქსინი შეუერთდება იმ შხამს, რომელიც ხუნაგიანის სისხლში დატრიალებს, და ამით შხამის ძალა სრულებით ჰქრება, აღამიანის სხეული სრულებით თავისუფლდება და რჩება. რამდენიმე საათის შემდეგ, შენიშვნავთ მოქმედებას ამ შეპკურებულ შრატისას ავადმყოფზე: აქამდის უგრძნობელი ავადმყოფი მოდის გონს, უკლებს სიცხეს, სუნთქვა და მაჯის ცემა უკეთდება, ბოლოს სრულებით რჩება.

რაც უფრო ადრე მოვმართავთ შრატის აცრას, მის უფრო მაღა მორჩება ხუნაგიანი, ხოლო თუ შხამში უკვე განადგურა სხეული უჯრედები და სრულებით მოაკლო სიცოცხლის ენირგია, შრატი ვეღარას უშველის.

მეცნიერ Hibbert-ის დაკვირვებიდან 2428 ხუნაგით ავადმყოფზე სჩანს, რომ როდესაც ავადმყოფს პირველ დღესვე შეაპკურეს შრატი, მხოლოდ 2,2% სიკვდილისა იყო, მეორე დღეს 7,6%, მესამე დღეს 17,1%, მეოთხე დღეს 23-8%, ხოლო მეხუთე დღეს კი 33,9%.

ესთქვათ ოთახში ხუნაგით ერთი ბავშვი გახდა ავად, დანარჩენებს რომ ამ შრატით აუცრათ, ხუნაგით აღარ გახდებიან ავად. მაშეს ეს შეორე თვისება ყოფილა ამ ასაცრელ შრატისა. ესთქვათ, ერთი ბავშვიგახდა ავად ამ სენით, სხვების მოშორება კი რომელიმე მიზეზის გამო შეუძლებელია, ან გლეხის სახლში, სადაც ყველანი ერთ ოთახში სცხოვრაბენ, ესეთი აცრა სხვებს გადაარჩენს ხუნაგისიგან.

ეს სითხე შეგვიძლიან ჩავთვალით როგორც საუკეთესო მავალითი იმ გამკურნავ სითხისა საზოგადოდ, რომელიც მომ-

ზადებულია ბაცილების მიერ გამონაღებ შხამზე—ტოქსინზე. ხოლო ამზადებენ ისეთ ასაკერელ სითხესაც, რომელიც თვით შხამიან ბაცილებისაგან შესდგება. ასე მაგალითად კონის მიერ გამოგონილი სითხე „ტუპერკულინი“, რომლითაც ეს მეცნიერი სცდილობდა განეკურნა კლექიანები, არის კლექის ბაცილების გლიცერინის გამონაწურავი; ხოლო სინამ-გლიცერინით გაძოსწურავდნენ ამ ბაცილებს, საჭიროა მათი დახოცვა, რომამით ბაცილებს წინანდებური შხამი მოაკლდეთ.

შავი ჭირის ასაცრელი სითხეც მომზადებულია ამ სენის ბაცილებზე. როდესაც შავი ჭირის ბაცილები უკვე ხელო-ვნურად გამრავლდნენ ბულიონზე, საჭიროა რომ ეს ბუ-ლიონი ბაცილებით რამდენიმე ხანი დარჩეს ცხვლ ჰაერზე ამ გვარად შემუშავებული ბულიონში ბაცილები იხო-ცება და მაშასადამე სითხეც ჰარგავს თავის შხამის სიძლიერეს აღმოჩნდა, რომ ამ ბულიონიდან მომზადებული ასაცრელი სითხე არა სწამლავს ცხოველს, ხოლო ამასთან აძლევს მას ისეთ ძალას და თვისებას, რომლის წყალობით მას შეუძლიან უვნებლად გაუქმოს შავი ჭირის შხამს და ავათ არ გახდეს. ხავკინის, რომელმაც ეს აცრა შემოილო, მოხსენებიდგან სჩანს, რომ სიკვდილი შავი-ჭირისაგან ამ აცრის გავლენით თითქმის ორჯერ მცირდება. აცრილს ეს ძალა 4—6 თვემდინ რჩება.—ხოლერის ასაკერელი შრატიკ თვით ბაცილებისაგან მოამზადა იმავე ხავკინმა. ხავკინმა ჯერ გააძლიერა ხოლერის მომწამლავი ძალა გადატანით ერთ ზღვის გოჭიდან მეორეზე, ასე რომ ბოლოს ხოლერის ბაცილების შხამს ოჯახი უფრო მეტი ძალა მოემატა. შემდეგ აიღო ამგვარად გაძლიერებული ხოლერის ბაცილები ისეთ შუშაში, რომელსაც ჰაერი თავისუფ-ლად უვლიდა + 39°-სა; რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ბაცი-ლებს მოაკლდა შხამის ძალა

ასეთი დასუსტებული ბაცილებით აცრა აძლევს ცხოველს ძალას უმნიშვნელოდ გადიტანოს უფრო ძლიერ შხამიანი ბა-ცილებიც ხოლერისა; სრულებით უვნებელი ხდება ხოლერი-საგან.

ռհմա մըլնոյերմա յրտո տցուս գանձացրոծանի յարցա ծլումօճ ցածրապա ամ ջարագ ճասլությեծովո եռլյարուս ծալուլցի լա ծոլուս թատո և այլու ուս Շյշիցո թատ Շեմեն, հռմ հոգեսաւ նամցուլո Շեմունո եռլյարուս ծալուլցի լուլուս տան լաւազ- նցես, սրյուլյանուտ չանսալնո ճարհեցն.

եռլյարա լորդատո եռնաց մոցացրոնցին. առ հոգուր: եռ- լյարուս ծալուլցի մրացլուց մեռլում յրտ նախուլնի—նա- թլուց յանու, եռլու պյուլցան յու ուժալու մուցու և այ Շեմուն, հռմելու պյու ծալուլցին ցամույցին. ամուրու ծեցրմա և լուած ցամուցրուս ույտու ասւորյու սուտե, հոգուրու պյու առուս եռնաց ասսուրյուն.

չյեր-չյերոնմուտ յու զեր ցամուցրոնատ լա մուշինալցինատ ամ ցարու սուտե.

եռլու Lasarus-մա աելուած եռլյարութան մռահենուլ ալամու- նուս սուսելուս Շհարւնի ալմուհինա ույտու տցուսցա, հռմուս լիու- լունմուտ ամ Շհարւս Շյշուլունան ցածրահինուս նկատու եռլյա- րուտ պյած ցածրումուսացան. յու տցուսցա Շյրհեցա եռլու Շհարւս մեռլում և սյուլ համենսամյ կը ուրաս.

Buschastad-ո լուած Շյշությունու եռլյարուս ծալուլցինուտ պյուրա նկատու գոյնու, եռլու ամուս Շհարւուտ յու ցանցուրնա եռ- լյարունան լուսուրյուն, տյումու ասյտ պյուրաս յարցու Շյրհեցու մուշու, մացրամ ալամուննեց չյեր զեր ցամուցրոնատ ցամուլու ասյտու պյուրաս.

գուզու ցանսեցցեան ամ ուր ցար պյուրուս մռահուս: տցուտ ծալու- լունմուսացան Շյմլցար սուտեուտ ու Շհարւուտ. հռմելու պյու- րէտ լուսուրյուն սուտես, հռմելնիուլ ճասլությունու ծալուլցի- նու, լուսուրյուն Շյշացրու սյենուտ պյած եցեցա, եռլու յու մլույր մեսնակած լա հռմելու պյուրէտ, մուս սուսելնի ույցնս ույտու աեալ տցուսցաս, հռմելու պյուրէտ ցամունեն մուս սուսելնի նուցույրյունաս, հռմ- լուս լիուլունմուտ յու մյուրյու ալար ցամուց պյած ամ սյենուտ. ամս չյցուա— “պյուրէտ ու մասնակած”.

եռլու մանուն յու, հռմելու պյուրէտ լուսուրյուն, իշեն մեռ- լում և մասնակած սուսելնի ցամուրնացու նուցույրյուն ամա ու ամ սյենուս. սուսելնի արացուտար աեալ տցուսցաս—մալաս, հոգուր պ-

პირველ აცრილი, არ იძენს არც ეხლა, მას არ შეუძლიან
 შეჰქმნას ისეთი ნივთიერება, რომელმაც მეტმისში გადაარჩინოს
 იგი ამ სენით მეორედ ავად გახდომისაგან.

მინამ არ გახდება ავად ეს ცხოველი, სინამ მის სისხლში
 დატრიალებს კიდევ ეს შეშხაპუნებული შრატი თავისი გამკურ-
 ნავი ნივთიერებით, შემდეგ კი, როდესაც ეს შრატი გამოილე-
 ვა, ცხოველი, თუ შემთხვევა იქნება, ავად გახდება ხელ-მეო-
 რედ ამ სენით.

ამის ჰქვია „პასსივური იშმუნიტეტი“

საზოგადოდ აცრამ შეჰქმნა ახალი ხანა მედიცინაში, მან
 გაააღვილა ბრძოლა სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენთა წინააღმ-
 დეგ, ამით ბევრად გაუადვილდა აღამიანს ბრძოლა არსებობი-
 სათვის და მასთან შეუმცირდა მას ტანჯვა-ვაება.

აღამიანი ბელნიერებას შეცნიერებისაგან უნდა მოელო-
 დოსო, ამბობს მეჩნიკოვი და ამის დამატებიცებელი საბუთები
 უკვე გვაქვს!

ექიმა ბადრიძე.

სურამის ციხე

(ფიქრი დებუნდის გამზ.)

საქართველოს მტრებისაგან დასაცველად შეფეს ციხე უნდა
აეგო სურამში. მაგრამ არ იქნა მისი აგება: რამდენჯერაც კედ-
ლები არ ამოიყვანეს, იმდენჯერ დაინგრა. ვეზირი, რომელ-
საც მინდობილი ჰქონდა ციხის აგება, სასოწარკვეთილებაში
ჩავირდა და არ იცოდა, რა ექმნა. პოლოს, ხალხის რჩევით
მკითხავს მიჰმართა, და მკითხავმა უთხრა, რომ სურამში მცხოვ-
რებს ახალგაზდა ვაჟკაცს დედის-ერთა ზურაბს თუ ჩაატანთ
კედლებში, ციხეს ააშენებთ და არასოდეს არ დაინგრევათ. ვე-
ზირმა შეასრულა მკითხავის რჩევა და ციხე მშეიდობით დაამ-
თავრა. უბედური დედა შემდეგ ამისა ყოველ დღე ციხესთან
მოდიოდა და ტირილით მოსთქვამდა:

სურამისა ციხე
სურვილითა გნახე
ჩემი ზურაბ მანდ არის
კარგი შემინახე.

ამას ერთი ვერსია ლეგენდისა დასძენს, რომ მკითხავმა
მსხვერპლად ზურაბი შურისძიებით ამოარჩია.

ასეთია ეს შინაარსით მოკლე, მაგრამ დედა-აზრით მრა-
ვალმნიშვნელოვანი ლეგენდა. ლეგენდაო, ამბობს ერთი ფრან-
გის მწერალი, არ არის სწორი გამოხატულება იმ სინამდვი-
ლისა, რომელსაც იგი გადმოგვცემსო, ხოლო არის თვით სინამ-
დვილე, ხშირად მეტად ცოცხალი და ნაყოფიერიო. მართლაც,

ლეგენდას დიდი მსგავსება აქვს აზრის სინამდვილის შესრულებაში ნიჭიერად დაწერილ რომანთან. როგორც რომანში, ისე ლეგენდაში ნამდვილ ფაქტებსა ვერ ვიპოვით, მაგრამ მათში დახატული ცხოვრება, ფსიხოლოგია მომქმედ პირთა და ერთსა თვით სინამდვილეა. ეს ჩვენი ლეგენდაც არ წარმოადგენს რომელსამე ისტორიულ ფაქტს, მაგრამ შეიცავს ისეთ დედა-აზრს, რომელიც ხალხს დაუსკვნია თვის ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების გამოყდილებით და რომელიც დაუდვია მას ცხოვრების პრინციპად.

მართლა რა არის ამ ლეგენდის დედა-აზრი?

თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ლეგენდა შექმნა იმ ხალხმა, რომელმაც გამოსთქვა, რომ „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, ადვილად მივხვდებით, რომ ხსენებულის ლეგენდით იმავე ხალხმა ამ თქმულების ანტიტეზა გამოსთქვა და გვიჩვენა, რომ „ციხე შიგნიდან აშენდება“ კიდევამ.

რომ უფრო ნათლად გამოვარკვიოთ ეს აზრი ლეგენდია, საჭირო გავითვალისწინოთ, რა მდგომარეობაში შექმნა იგი ქართველმა ხალხმა.

თვით გეოგრაფიული მდებარეობა საქართველოსი, რომელიც წარმოადგენდა შარა გზის ძევლით ერთა მსელელობისათვის, მიზეზი იყო იმისა, რომ საქართველოს ყოველის მხრიდან განუწყვეტლად ესეოდენ მტრები. ისტორიის წინა დროს რომ თავი დავანებოთ, თვით ისტორიულ ხანაში ვხდედავთ, რომ საქართველოს შემოსიერ ერთი მეორეს შეძლევ და აბევდნენ ხაზარნი, ბერძნენი, რომაელნი, ოსნი, სპარსენი, სარკინოზნი, მონგოლნი, თათარნი, თურქნი, ლეკნა და სხვ. და სხვ. ამ უთვალავი მტრების წყალობით არ იქნა, ვერ მოისვენა საქართველომ: დრო-გამოშვებით დამყარდებოდა ცოტა ხნით ზოგიერთი ბედნიერი მეფის დროს დამოუკიდებელი სამეფო, მაგრამ შეძლევ უფრო მძლავრი მტერი დაამხობდა სამეფოს და ხალხი ისევ სხვისგან ან დამონებული, ან დამოკიდებული მაინც რჩებოდა. ეს იყო მუდმივი სურათი საქართველოს წარსულისა. ასეთი მდგომარეობა ქვეყნისა იღწერა დ. გურამი-

შვილმა, რომელიც მე-XVIII საუკუნეში ეგრე მოსთქვამდა
ქართლის ბედს:

ქართლის ჭინსა გერვინ მოსთველის,
თუ არ ბრძენი, ენა მჭერი!
იყქლი დგარმდად გარდაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის პერი.
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზი, დღიდვი, დიდი, ქისტი,
სრულად ქართლის მტერი იყვნენ,
უველამ წაჟარა თვითო ქიშტი!

მუდმივი გასაჭირი ჩვენის ქვეყნისა წარსულში დაასურა-
თა კიდევ ილია ჭავჭავაძემ:

შას აქეთა,* ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგაა ქარქეშში სმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ძველისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი.
შას აქეთა თხს-კუთხივ მტერი
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ.

ამ განუწვეტელის ბრძოლის საჭიროებამ საქართველო
შექმნა საომარ ბანაკად, მხედართა სამეფოდ, სადაც „მოქალა-
ქობა“ და „ერობა“ (ეს სიტყვები ხომ ნეოლიგიზმებია ქარ-
თულში) არ იყოდნენ, სადაც „ხუცურს“ (წერაში) უპირდა-
პირებდნენ არა „სამოქალაქოს“, არამედ „მხედრულს“; სადაც
სალამი გამოიხატებოდა „გამარჯობით“, სადაც პოეტები და
მემატიანები მუდამ შენატროდნენ ფიზიკურ ღირსებას: „ახო-
ვანი“, „მაღალი“, „ტანადიო“; სადაც ხალხი წარმოადგენდა
საომრად გამზადებულ ჯარს როგორც გარეგნობით, ისე ცხო-
ვრების მოწყობილობით და ზნე-ჩვეულებით. მაგალითად ავი-
ლოთ საქართველოს ორი განაპირა ნაწილის მცხოვრები—ხევ-
სური და გურული. შეხედეთ მათ ტანისამოსს, რომლითაც
იყინი წარმოადგენენ საომრად გამზადებულ ჯარის კაცებს, თა-

* სამეფოს დაარსებიდან.

ვიდან ფეხებამდე შეიარაღებულებს. გურულს, სხვათა შორის, ჰკიდია სამარილე, თოკი და სხვა ამისთანა მოწყობილობანი. შესანიშნავია აგრეთვე მისი „კეცა“, რომლის შემწეობით იგი ყოველთვის ცხელ მქადას სჭამს როგორც შინ, ისე გარედ. მას სამართლიანად შეუძლია სთქის: „რაც გამაჩნია, ყოველივე თან დამაქვს“ (omnia mea tecum porto). ცხადრა, რომ უკანასკნელ დრომდე ყოველი ქართველი მუდამ საომრად გამზადებულ ჯარის კაცს წარმოადგენდა და არა „მოქალაქეს“. მისი ცხოვრება მიმდინარეობდა ქალაქებში კი არა, „ციხეებში“ და „კოშკებში“. ქალაქები თუ იყო, ციხე მაინც იქვე უნდა ყოფილიყო. მართლაც, ისტორიულ დოკუმენტებში ერთად ვკითხულობთ „ციხე-ქალაქს“.

ამ რიგად ციხე იყო საქართველოს სამეფოს, მისი ცხოვრების, მისი თვით-არსებობის სიმბოლო. ციხის აშენება მოაწევებდა სამეფოს გაძლიერებას, თვით-არსებობის განმტკიცებას მტერთა ძალის წინააღმდეგ. თუმცა საქართველო დასუსტებული იყო მტერთა სიმრავლის გამო, მაგრამ თავისი ციხის აშენება მაინც მხოლოდ თავის ძალ-ღონით უნდა ეკისჩნა, რადგან სხვისი იმედი არსაიდან იყო. ასეთ დასკვნამდი იტალია მივიდა მე-XIX საუკუნის შეორენახევარში, როცა სხვისი (საფრანგეთის) იმედი გაუცრუვდა თავისი განთავისუფლების და გაერთიანების საქმეში. მხოლოდ მაშინ დასძახეს დიდებულმა მამული შვილებმა, რომ „იტალია თავის ბედს თვითონ მოაწყობს“ (Italia fara da se). ქართველმა ხალხმა კი ეს ქეშმარიტება შეიგნო იმ დროს, როცა სურამის ციხის ლეგენდა შექმნა. დიდის ხნის მოწმემ იმისა, რომ მისგან დაწყებულ ციხის კედლები მუდამ ირლვეოდა სახურავის დადგმამდე, დაბოლოს დარწმუნდა, რომ ამის წინააღმდეგ მიღებული უნდა იყოს არა ჩვეულებრივი საშუალება, რომ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში მამულის სარგებლობა მოითხოვს ყოველი მამული შვილისაგან არა მარტო ჩვეულებრივ ცოდნას, ჩვეულებრივ მუყაითობას, არამედ არა ჩვეულებრივ გმირობასაც; რომ ასეთ განსაცდელისაგან ხალხს იხსნის და მის ციხეს ააშენებს მხო-

ლოდ მამულიშვილთა გმირობა, მათგან თავგანწირვა; რომ ამი-
სათვის მამულიშვილი მზად უნდა იყოს უმსხვერპლოს თავის
ერის საერთო საქმეს ყოველივე, რაც მისთვის ძვირფასია:
დედამ—შვილი, დამ—ძმა, ცოლმა—ქმარი და სხვ., რომ წიგე
მხოლოდ მაშინ აშენდება და მტკიცე იქნება, თუ მამულიშვი-
ლი მზად იქნება თვით ჩაეკიროს ციხის კედლებში, თუ დედა
მზად იქნება თავისი ერთად-ერთი შვილი შესწიროს ამ ციხის
აშენებას.*). უკიდურესი გაქირვების დროს მამული თხოულობს
თავის შეილებისაგან, რომ მათ უმსხვერპლონ არა თუ თავისი
სიცოცხლე, არამედ სახელიც და პატიოსნებაც. ეს აზრი გა-
ტარებულია ერთ ლეგენდაში, სახელად „თამარ“, რომელიც
დაბეჭდილია ფრანგულ უსრინალში—La nouvelle Revue 1881 წ.

ეს ლეგენდა, რამდენადაც გვახსოვს, ამბობს, რომ თამა-
რი თავის დამარცხებული ერის დასახსნელიად ღამე შევიდა
ძლევა-მოსილ სპარსელთა ხანის კარავში და თავის სათნოება
უმსხვერპლა, მაგრამ ამით შეიძლო ხანის მოკვლა და მამულის
განთავისუფლება. მოქმედება სწარმოებს ბაქოში, და თუმცა
ქართველთა სახელი არ იხსენება ლეგენდაში, მაგრამ უკეცე-
ლია, რომ ლეგენდა ქართველთა ბედს გამოხატავს. მისი სიუ-
ჟეტი იმდენად წააგავს სუმბათაშვილის „ლალატს“, რომ შე-
საძლებელია ვითიქროთ, რომ ჩვენმა ავტორმა იცოდა იგი ლე-
გენდა.

არა თუ მამულის სიყვარული და მისი ბედი, არამედ ყოვე-
ლივე მაღალი და ამაფრთოვანებელი აზრი, იქნება იგი კაცთა-
შორის ტრფიალება, სარწმუნოება, თუ რაიმე იდეალი, თხოუ-
ლობს კაცისაგან თავგანწირულ ერთგულებას, როგორც გვიჩვე-

*) ჩექი ლეგენდის მსგავსი ლეგენდა, როგორც ამბობს ერთ ადამი-
ლას გერცენი, ჰერონია სერბებსაც, იმ განსვავებით კი, რომ კედლებში
დედის-ერთა გაის მაგიერ ჩაუტნევიათ ახალგაზდა დედა, რომლის ძეძუები
მის ძუძუმწოვარი ზეილისათვის კედლებში ჩაუტანელი დაუტოვებით.
ცხადია, რომ ორსავ ხალხს ერთნაირ მდგომარეობაში ერთნაირ ლე-
გენდა შეუქმნია.

ნებს ყველა დიდებულ ერთა ფანტაზია და თვით ისტორიული ფაქტები.

ჯერ გავისხვნოთ ჩვენი და სხვა რაინდულ ერთა ზღაპრები, სადაც სატრფო მოითხოვს თავის მოტრფიალესაგან, ეს და ეს საგმირო საქმე ჩაიდინე და მხოლოდ მაშინ იქნები ჩემი სიყვარულის ღირსიო. ასეთი საგმირო საქმე მოსთხოვა თინათინმა აეთანდილს უკვდავი რუსთველის რომანში.

თვით იეგოვამ მოსთხოვა აბრამს თავის სარწმუნოების და-სამტკიცებლად შვილის შეწირვა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ აბრამ მზად იყო შესვერპლისათვის, უარ-ჰყო მისი მსხვერპლი.

საბერძნეთის მითოლოგით პრომეთესშა თავისი თავი შესწირა კაცობრიობას, რომლის საკეთილდღეოდ ღმერთებს ცეცხლი მოჰვარა.

რომაელების თქმულებით, ბრუტმა სიკვდილით დასჯა თავისი ღვიძლი შვილები, რომელთაც მამულს უღალატეს.

თვით იესო ქრისტემ შესწირა თავისი თავი კაცობრიობას და სხვებისაგანაც ითხოვდა თავის მოძღვრებისათვის უზომო ერთგულებას:

„რომელსა უეკარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა დირსად; და რომელსა უეკარდეს ქე ანუ ასედი უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა დირს.—და რომელმან არა ადიდოს ჯვარი თვისი და შემთხვედებეს მე, იგი არა არს ჩემდა დირს.—რომელმან მოაპოვს სულა თვისი, წარიქემიდგის იგი; და რომელმან წარიქემიდგის სულა თვისა ჩემთვის, მან ჭროვოს იგი.“

სახარებისავე სიტყვებია:

„უფროს ამისა სიეკარელი არა არს, რათა დადგას კაცმან სული თვისი შოუასთათვის.“

ამ სიტყვებითვე დაახასიათა აბრამ კათალიკოზმა ღიმიტრი თავდადებულის ღვაწლი, როცა ეს დიდებული მეფე ქართველთა საკეთილდღეოდ თავის განსაწირავად მიღიოდა.

გავისხვნოთ ეხლა ორიოდე ფაქტი ახალი ისტორიიდან.

სატრანგეთის დიდი რევოლუციის დროს რომ დადგა უამი უწინდელი ცხოვრების ერთიანად შეცვლისა და განახლე-

ბისა, და ამ განახლებას რომ ბრძოლა დაუწყეს ძველის წეს-წყობილობის მომხრეებმა, სამშობლო დიდ განსაცდელში ჩა-
ვარდა და მოითხოვა თავის მამულიშვილებისაგან უფალავი
მსხვერპლი. ამ განსაცდელის დროს შესანიშნავმა მამულიშვი-
ლმა დანტონნა წამოიძახა: „გაქრეს ჩემი სახელი, დაიღუპოს
ჩემი რეპუტაცია, ოღონდ კი საფრანგეთი თავისუფალი იქ-
მნასო!“.

ეს სიტყვები თოთქმის უცვლელიდ განიმეორა წარსულ
საუკუნეში იტალიის სახელოვანმა მამულიშვილმა კავურმა,
რომელიც იტალიის გაერთიანებისა და აღდგენის ერთი უმთა-
ვრესი მოღვაწეთაგანი იყო. მამული რომ განსაცდელში იყო,
იგი ხშირად ეუპნებოდა თურმე თავის მეგობრებს: *Perisca il
mio nome, perisca il mia fama, purché l'Italia sia*.

თავგანწირვის ძალა ნათლად გამოხატა საფრანგეთის მწე-
რალმა კორნელმა: „ვისაც უნდა ან მოკვდეს ან გაიმარჯვოს,
იგი იშვიათდ დამარცხდებაო“ *Qui veut mourir ou vaincre,
est rarement vaincu*) და მისი აღმაფრენი და დიადი ხასიათი კი
რესტველმა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახე-
ლოვანიო!“.

ხოლო თავგანწირვას და მსხვერპლს რომ შერჩეს ასეთი
ძალა და ხასიათი, საჭიროა რომ იგი თავისუფალი და ცნო-
ბიერი იყოს, ესე იგი თავის გამწირავს და მსხვერპლის მომ-
ტანს შეგნებული უნდა ჰქონდეს სარგებლობა თავის მსხვერ-
პლისა და სიდიადე იმ საგნისა, რომლისათვის იგი თავის ნე-
ბით სწირავს თავის თავის ანუ თავის უძვირფასეს სულიერ სა-
უნჯეს: უამისოდ მისი მსხვერპლი იქნება უსულო და უმნიშვნე-
ლო ზეარაკი და საგანი მისი მსხვერპლისა —საზარელი კერპი
მოლობი.

სამწუხაროდ, სწორედ ამ მხრით არის ჩვენი ლეგენდის
აზრი ბუნდოფანი და გამოურკვეველი. ლეგენდა არას ამბობს
არც ზურაბის თავგანწირვისას და არც დედა მისის მხრით
შეილის დათმობისას მამულის საკეთილდღეოდ. პირიქით, ლე-
გენდა ამბობს, რომ ზურაბი მსხვერპლი იყოთ მკითხავის შუ-
რის ძიებისათ.



ეს უკანასკნელი სიტყვები სრულებით უკარგავს ლეგენდისა. თავის მრავალმნიშვნელოვან აზრს, თავის დიდებულ და ამაფრთოვანებელ ხისიათს.

ენახოთ, რამ გამოიწვია ასეთი განმარტება ლეგენდისა. ლეგენდის ავტორი მთელი ხალხია, რომელიც უამთა განმავლობაში იცვლება სულიერად. მასთან ერთად იცვლება მისგან შექმნილი ლეგენდა. ხშირად მომხდარა, რომ კერძო ავტორს შეუცვლია აზრი თავის ნაწარმოების შესახებ: მწერალს დაუწევია თავისი დიდებული ნაწერები, მქადაგებელს უარ უყვითავისი წარმოთქმული დიადი აზრები. თვით სახელოვანი ფიდიასი, რომელიც ზევსის ქანდაკების დასრულების შემდეგ თურმე პირქვე დაემხო თავის ქმნილების წინაშე და თაყვანი სცა მას, მაგალითია იმისი, რომ ხშირად ავტორი ვერ უძლებს თავის საშემოქმედო ნიჭეს. აქ ფიდიასს მაინც ესმოდა აზრი თავის ქმნილებისა, რომელიც მხოლოდ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე თვითონ ეგონა.

ჩვენს ხალხს კი სრულებით დავიწყებია აზრი მისგანვე შექმნილის ლეგენდისა. ლეგენდა შეცვლილა ხალხთან ერთად.

როცა ლეგენდა შექმნა, ხალხი იმ ჩრდენის იყო, რომ ერი, რაც უნდა პატარა იყოს, უძლეველი იქნება და მტერი გარედან ვერას დააკლებს, თუ ყოველი მისი წევრი შეიგნებს საერთო საქმის და კეთილდღეობის სიდიადეს და მზად იქნება შესწიროს მას თავისი თავი და ყოველივე, რაც კი გააჩნია. ეს აზრი რომ გამოსთქვა, ხალხი სულით ძლიერი და იმედ-მოსილი იყო. როცა კი ეს აზრი ხალხმა დაივიწყა და მისოვის იგი გაუგებარი დარჩა, და მსხვერპლი ზურაბისა და დედა მისისა ახსნა მხოლოდ შეურითა და ინტრიგებითა,—მაშინ ხალხი სულით უძლური და იმედ დაკარგული-და იყო. ამ მდგომარეობაში ხალხმა ირწმუნა, რომ საკუთარის ძალით ველარს შეესძლებთ და სხვისი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ციხე მხოლოდ გარედან აშენდებაო“...

შორე-სანდი^{*}

(1804—1876 წ.)

„მსოფლიო ისტორია, მგონია, ვერ დაასახელებს მეორე ქალს, რომელსაც ასე უხვად ჰქონდეს ბუნებისაგან მინიჭებული შემოქმედებებითი ნიჭი,“ ამ სიტყვებით ახასიათებს დანიის კრიტიკოსის ბრანდესის საფრანგეთის შესანიშნავ მწერალ ქალს ელენ-სანდს, რომლის მრავალ-ფეროვანი, აზრით და გრძნობით სავსე თხზულებანი და აგრეთვე მრავალ შთაბეჭდილებით მდიდარი ცხოვრება იზიდავდა ყურადღებას მისის თანამედროვე განათლებულ საზოგადოებისას საფრანგეთში და საზღვაო გარედ. მისმა ცხოველმა ნიჭმა სიკვდილის საზღვარიც გადაიარა, და მისი სახელი სამარადისოდ დარჩება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ხშირად ამბობენ, ქვეყნიერებას ქალი განაგებსო, მაგრამ ნამდვილში კი ბუნება მეტად ძუნწად იქცევა ქალის მიმართ: ისტორიულის თუ ფიზიოლოგიურის პირობების ბრალია (ამის გარჩევაში ჩვენ აქ ვერ შევალთ), ცხადია, რომ კაცობრიო-

^{*}) ამ წერილის დასაწერად ჩვენ მიემართეთ შემდეგ წყაროებს:
Sainte-Bernie—Causeries du lundi J. Lemaître des contemporains IV ტომი. Brunetière. Evolution de la poésie lyrique Taine Derniers essais de critique et d' histoire Stephen-Paul. Trois grandes figures. G. Pelissier-ს წერილი საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც პეტი-დე-ულევილის რედაქციით არის გამოცემული და ბრანდე სის—საფრანგეთის ლიტერატურა—რომანტიკული ეპოქა (რუსულად).

ბის ისტორიაში ქალის სახელი მეტად ცოტაა დარჩენილი; კიდევ უფრო ნაკლებია ისეთი, რომლის ნიჭის მეცნიერების თუ ხელოვნების ასპარეზზედ გამოეჩინოს თავი.

მართალია, ძველ და ახალ აღთქმაში, ბერძენთა და სხვა ძველებურ ხალხთა ისტორიაში, აგრეთვე შუა და ახალ საუკუნეებში ჩვენ შევხვდებით მშვენიერებით საესეს, სულის საუკუნეთებო მისწრაფებებით შემკულს ქალთა ტიპებს, აგრეთვე ამაყის, უსაზღვრო თავმოყვარეობის, შეურყეველ ხასიათის და ენერგიის პატრონ ქალებს, მაგრამ გენიოსი ქალი არსად სჩანს, ვერ შეხვდებით ჩვენ მას, რაც უნდა დიდის ყურადღებით დავაკვირდეთ კაცობრიობის ისტორიის გრძელს გზას.

ამ უკანასკნელის რამოდენსამე საუკუნის განმავლობაში ნამეტნავად XVIII საუკუნის და XIX-ს დასასრულში განგებამ საფრანგეთს მიანიჭა დიდი მნიშვნელობა და ზედგავლენა ევროპიულ ხალხთა ცხოვრებაზედ, მათ პოლიტიკასა და კულტურაზედ.

სხვა უპირატესობასთან ერთად საფრანგეთს შეუძლია იამაყოს იმით, რომ არც ერთს ქვეყანაში, არც ერთს ხალხში იმდენი შესანიშნავი და ნიჭიერი ქალი არ გამოჩენილა ცხოვრების ყველა დარგში, პოლიტიკა იქნება ის თუ ხელოვნება. ესნანა დარკი, წმიდა უენევიევა, პარიზის მფარველად მიჩნეული, შარლოტა კორდე, ქ-ნი დე სევინიე, ქ-ნი დე-სტალი, ქ-ნი მენტენონი, ქ-ნი რამბულიე, ქ-ნი რეკამიე, ქ-ნი ვიუი ლებრენი, როზა ბონნერი, ქ-ნი დე უირაოდენი, დამრავლი სხვანი, რომელთ სახელი კარგათ ცნობილია არა თუ საფრანგეთში, უცხოელთათვისაც კი, და რომელთაც თავისი ღრმა კვალი დაუმჩნევიათ თვის სამშობლო ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

ამათში პირველი ალაგი უქირავს ერთად ერთს უორჯ-სანდს. თუ ქალების რიცხვში ვისმე ვუწოდებთ გენიოსს — ეს მხოლოდ უორჯ-სანდსა.

მისი ნამდვილი სახელი ამანტინ-ლიუსილ-ავრორა დიუ-
პენი არის. ის დაიბადა 5 ივნისს 1804 წ. პარიზში, საღაც
მისი გშობლები მალულად დაქორწინებულიყვნენ.

მამა მისი, მორის დიუპენი, მახლობელი ნათესავი იყო
საფრანგეთის ხელმწიფების ლუი XVIII-ს და კარლოს II-ს;
დედა მისი კი პარიზელი ფრინველების ვაჭრის ქალი იყო;
ამ ნაირად ურავ-სანდის სისხლში, როგორც ის თვითონ ხში-
რად ამბობდა, შერეული იყო მეფების სისხლთან უბრალო
ხალხის სისხლიც.

ურავ-სანდს ადრე გაეღვიძა დაკვირვებითი ნიჭი და ბა-
ვშვი ადრევე გაეცნო ისეთ გრძნობებს, რომელიც ჩვეულებ-
რივად სხვა ბავშვთათვის დიდხანს რჩება გაუგებარი.

დიდი-დედა მისი (მამის მხრით), ცნობილი მორიც საქონე-
ლის*) უკანონო ქალი, კარგად გაზრდილი, გამჭრიახი ჰქუის
და დიდის განათლების და გემოვნების პატრონი იყო.

განათლებული დედის შვილს, ბუნებისაგან ჰქუით და
მშვენიერის ხასიათით დაჯილდოვებულს, ურავ - სანდის
მამას კარგად ესმოდა ხელოვნება და უყვარდა იგი; ამასთან
არტისტული ტემპერამენტიც ჰქონდა. ხელოვნებაში მორის
დიუპენს ცველაზედ უფრო მუსიკა უყვარდა, მაგრამ ლიტერა-
ტურაც და მხატვრობაც მის გონებას და გრძნობას ბევრს რამეს
ეუბნებოდა: მისი წერილები იტალიიდან, რომელიც ურავ-
სანდს ის თავისცხოვრების ისტორიაში „Histoire de ma vie“
ნახენები აქვს, კარგად ამტკიცებენ როგორც მორის დიუ-
პენის ლიტერატურულ ნიჭს, აგრეთვე მის საუცხოვო არტის-
ტიულ გემოვნებას და გვიჩვენებენ, რა აღტაცებაში მოჰყავ-
და ურავ-სანდის მამა რათაელის, გვიდო რენის, ვინჩის და
სხვა დიდებულ მხატვართა ნაწარმოებებს.

ყველა ამასთან, მორის დიუპენი გულადი მეომარი იყო
და საუკეთესო აფიცერთა რიცხვში ითვლებოდა, მაგრამ სი-

*) საქონელ ხელმწიფის ავგუსტ II შეილი, შესანიშნავი მეომარი
და სარდალი, საფრანგეთის მარშალი და პოლონეთის მეფეთ ნამყოფი.



კვდილმა აღრე მოუსწრაფა დღეები და ოცდა-ათი წლის გაუკავშირდა
კაცი წუთი-სოფელს გამოასალმა.

ეორე-სანდის მამას ძალიან უყვარდა თავისი ცოლი, და
თავის დედისაც ღიღი პატივისმცემელი იყო; თავის სიცოცხ-
ლეში ის ძალიან ცდილობდა ამ თრ მისთვის ძვირფას აღა-
მიან შორის კარგი განწყობილება დაემყარებინა, და მუდამ
მშვიდობიანობის დარაჯად იყო, რაღაც რძალ-დედამთილი
ვერ ეწყობოდნენ როგორდაც ერთმანერთს: ეორე-სანდის
დედა მეტად აღვზნებულის, აჩქარებულის ხასიათის პატრონი
იყო, მრისხანე და სუსტი, კეთილი და ბოროტი ერთ და
იმავე ღრუს, იჭვიანი და უნდო; მისი დედამთილი კი, რო-
გორც მაღალის საზოგადოებას ჩვეული ქალი, თავ-დაჭრილი,
ამაყი და ცოტა არ იყოს დესპოტიურის ხასიათისა იყო.

მორის დიუპენის სიკელილის შემდეგ რძალ-დედამთილს შეა ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა: ორივეს გაგიუებით უყვარდა ავტორია, მაგრამ მის აღზრდაზედ სხვა-და-სხვა შეხედულობა მუდმივ შეტაკებას იწვევდა მათ შორის: ხანგრძლივმა ბრძოლამ თითქმის სიძულვილი დაბადა ამ ორ ქალთა შორის.

ავრორას ცოცხალმა ჰქუმ მაღლ შეაგნებინა მას ასეთი
ცუდი განწყობილება დიდების და დედის შუა, მისი კეთი-
ლი და მოწყალე გული ვერ შეურიგდა ამ გარემოებას, და
ბევრი სევდა და მწარე წამები გაატარებინა ავრორას მის სი-
ყმაწვილეში.

յուրյ-սանըն ծայնեցնուաց ռպնյօթի մուզարյուլո ხասատո վշարնակ, ու Վարդար յալո Ե՛նորագ մարտոռնա՞ն սբարյեց ու գրուս տացու ռպնյօթ ու ոյիշրյեցնու զարացրյուլո. ու, հոգորու յշտ-յշտո մոնո ծոլոցհագո, Տրյուան-Յոլո ամրկուցն, մա՞նակ տեխացը հոմանս, հոմյոլմուաց Տայպեռոց կյտոլմոն ծոնցնուացնու ու Վարդուանեցնու Տայս հանդցնու Տառըար զմուրյուլ Տայմեցն Սիաճուանցն յն.

სოფელ ნოპანში (ბერის პროვინციაში) თავის მამულში გაზრდილი ქორე-სანდი შეეჩინა სოფლის ცხოვრებას მას შეუყარდა როგორც წყნარი, მშეიღობიანი ბუნება თავისის სოფლისა და მის მიდამოებისა, ისე იქათრი მკვიდრნი—გლეხები. პატარაობისას ქორე-სანდის შირად ატარებდა დროს სოფლის გოგო-ბიჭებთან თამაშობაში და აქ ჩაენერგა მას ის ღრმა დემოკრატიული შეხედულობანი, რომელთაც შემდეგში ქორე-სანდი მტკიცედ იცავდა როგორც ცხოვრებაში, ისე თავის თხუზულებებში.

ქორე-სანდი თოთხმეტი წლის რო შეიქნა, მისმა დიდებამ მისცა იგი ერთ-ერთ პარიზელ პანსიონში, რომელსაც ინგლისელი ქალები განაგებდენ, და საღაც ქორე-სანდმა კარგათ შეისწავლა ინგლისური ენა. ეს სწავლა შემდეგში, როცა ქორე-სანდი ნოპანში დაბრუნდა, ძალიან გამოადგა მას დიდებულ ინგლისელ მწერალთა ნაწერების გაცნობისათვის. სოფლის ცხოვრების თავისუფლებას მიჩვეული ყმაწვილი ქალი ძნელად იტანდა მონასტრულ წესწყობილებას. მისი გონება კიდევ უფრო მიეცა ოცნებას, და გატაცების მძებნელი გული სარწმუნოებრივმა მისტიკისმმა შეიპყრო. სამი წელიწადი დაჰყო ქორე-სანდმა ამ პანსიონში და 1820 წელს დაბრუნდა თავისს სოფელში.

ნოპანის მდიდარმა წიგნთ-საცავმა სრულებით გაიტაცა ქორე-სანდი, და მისი ნორჩი გონება პოეტების, მორალისტების და ფილოსოფოსების ნაწარმოებებმა დაიპყრეს. მონტესკიე, ბოსსიუეტი, არისტოკრელი, ბექონი, ლეიბნიცი, მონტენი, ვირგილი, დანტე, რეუსსო—ი ის დიდებული მწერლები, რომელთაც ნაწარმოებებმა გაწროვნეს ქორე-სანდის გონება და დაუბადეს გულში ის დიადი მისწრაფებანი. რომელთაც შემდეგში ასე ბრწყინვალედ ემსახურებოდა თავისი ნიჭით ეს შესანიშნავი ქალი. ყველაზედ მეტად მისი სიყვარული

შოთავეები უან-ეაკ-რუსსომ, და ამ მწერლის აზრები დაწელდა შთავარ საფუძვლად უორუ-სანდის შეხედულობას ცხოვრების შესახებ, რადგან ამ დიდებული კაცის სიყვარული ბუნებისა-დმი, მისი დეიზმი, ყველა ადამიანის საერთო თანასწორობის ღრმა რწმენა და ეგრედ წოდებულის განათლებულ საზოგადოების მოწინააღმდეგობა ნაყოფიერ ნიაღავს ჰპოვებდნენ ახალ-გაზრდა ქალის გულში.

შექსპირის, ბაირონის და შატობრიანის მშვენიერმა თხუ-ზულებებმა ხომ სულ გაიტაცეს მაღალ ფარდებში ავრორას სული და გონება და მთაშორეს იმ მშვიდობიან და უფერულს ცხოვრების, რომელიც ოჯახში მის გარშემო სუფევდა. ავრორა სულ განმარტოებულად გრჩნობდა თავს, და მთელი მისი არსება შეიძყრო რაღაც გამოურკვეველმა სევდამ.

1822 წ. ახალგაზრდა ქალი მიათხოვეს ერთს აზნაურს დიუდევანს, სრულებით უმნიშვნელო კაცს, უნიჭოს და ამას-თან გაუთლელი ხასიათის პატრონს. რა საკვირველია, ახალ-გაზრდა ქალი, მდიდარი სულის და გონების პატრონი, ვერ შეეთვისა თავისის ქმრის მეტად ტლანქს ბუნების და ხა-სიათს; 1825 წლიდან იწყება მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება მეუღლეთა შორის.

სრული კონტრასტი ამ ორ ადამიანთა შორის როგორც ბუნებითი თვისებების გამო, აგრეთვე შეხედულობათა და მი-სწრაფებათა შესახებ, თან და თან ორივეს აცლის საერთო ნიაღავს; ავრორა მეგობრულ დამოკიდებულებას იქნებს სხვა კაცებთან, და დიუდევანი, რომელსაც არ სწამს წმინდა მო-ტივები ამისთანა მეგობრობისა, ცოლს ღალატს აბრალებს, აწვალებს და სტანჯავს მას თავისი ეჭვით და უნდობლობით. ორივე ცოლ ქმრის ცხოვრება თან და თან აუტანელი ხდება, და 1830 წ. უორუ-სანდი იძულებულია ქმარს თავი დაანებოს და ნოპანიდან პარიზში მიდის საცხოვრებლად.

აյ ის ჯერ-ჯერობით მხატვრობით ირჩენს თავს; მერე კი, ისევ თავის რჩენის გულისათვის, ერთ-ერთის მეგობრის რჩევით ლიტერატურას ჰკიდებს ხელს, ამავე წელს უორუ-

სანდი ერთ თავის მეგობართან უიულ სანდოსთან ერთად სწერს რომანს „Rose et Blanche“, მაგრამ უორე-სანდის ნიჭი ჯერ ვერ იჩენს თავის სიმძლავრეს.

ერთის წლის შემდეგ, 1831 წ. უორე-სანდი უკვე მარტო გამოსცემს რომანს „ინდიანას“ უორე-სანდის პსევდონიმით. ამ რომანში, რომელშიაც უორე-სანდმა გამოხატა თავისი ცხოვრება, თავისი იდეალები და თავისი შეხედულება ქორწინების შესახებ, მაშინადევ კრიტიკის და მკითხველ საზოგადოების ყურადღება მიიზიდა და დიდი სახელი მოუხვეჭა მის ავტორს. აქედან იწყება უორე-სანდის ლიტერატურული მოღვაწეობა და სიკვდილამდე ეს საოცარ და ნაყოფიერ ნიჭის პატრონი ქალი სწერს შეუსვენებლად, დაუღალავად წიგნს-წიგნზედ.

თავისს მწერლობის პირველ ხანაში უორე-სანდი ერთს და იმავე ტემას ეხება. „ინდიანა“, „ლელია“, „ქაჟ“ და „ვალიანტინა“—ში ის ისევ ცოლ-ქმრობის დამოკიდებულების განსჯას ანდომებს თავის ნიჭს, კაცის და ქალის სიყვარულს უთმობს პირველს ადგილს.

უორე-სანდი სიყვარულს ხატავს, როგორც ყოვლად მძლეველ გრძნობას, ღვთაებრივს თავისის შინაარსით. სიყვარული, მისი აზრით, ადამიანის ნებაზედ უფრო ძლიერია, ადამიანს არ ძალუდს მისი წინააღმდეგობა, და ვერც კანონი, ვერც საზოგადოებრივი პირმოთნე ზე-ჩეულება ვერ შებორკავს მის ტიტანურ ძალას.

უორე-სანდი, რომლის ყველა ნაწარმოებში ღრმა იდეალური გრძნობებია გამოხატული, სიყვარულსაც უაღრესს იღეალად ხატავს; სიყვარულს ის კაცის და ქალის ჩვეულებრივ დამოკიდებულებას კი არ ეძახის, არა—სიყვარულს ის მხოლოდ ისეთ გრძნობას უწოდებს, რომელიც უღვიძებს ადამიანს უაღრესს და უწმინდესს სულის ჰანგებს, რომელიც ამაღლებს სულს და გონებას და მთელს არსებას მსპეციალის შეაწირინებს მეორე არსების სიყვარულის გულისათვის. აი როგორ ახასიათებს უორე-სანდი ამ გრძნობას „ჰორასში“: მე ვეძახი ნამდვილს და პატიოსანს სიყვარულს მხოლოდ ისეთ

გრძნობას, რომელიც ჩვენ გვამაღლებს და ამაღლებს ჩვენს სულს შშვენიერის გრძნობებით და აზრებით, და გასაკიცხავ სიყვარულად ვთვლი ისეთ გრძნობას, რომელიც სულ-მდაბალ ეფოსიტებად და წვრილმანების მსხვერპლად ვვხდის. ამ შეხე-დულობით ყოველივე სიყვარული კანონიერი ან უკანონოა იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედობს ის ადამიანის გულ-ზედ და რა გრძნობებს და აზრებს ბადავს მასში, თუმცა კი ეგრედ წოდებული „საზოგადოება“ ხშირად აკანონიერებს გასაკიცხავს გრძნობას და ჰგმობს პატიოსანს სიყვარულს“.

ამ სიტყვებიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რა მაღალს და-ნიშნულებას აძლევს უორჯ-სანდი სივარულს, და თუ მის რომანებს დავაკვირდებით, გავიგებთ, რამდენად სცდებოდნენ ისინი, ვინც უზნეობას აბრალებდნენ უორჯ-სანდის ლიტე-რატურულ ნაწარმოებებს. უორჯ-სანდი სთვლის უზნეობად მხო-ლოდ ცოლ-ქმრობას, რომელიც დამყარებულია მარტოოდენ მხეცურ გრძნობაზედ, ანგარებაზედ და არა ერთმანერთის ღრმა პატივისცემაზედ და სიყვარულზედ, ერთმანერთის სუ-ლით ერთობაზედ, და ასეთი მაღალი შეხედულება ქორწინე-ბაზედ მის მოწინააღმდეგებს უზნეობის ქადაგებად და თვით ქორწინების, როგორც დაწესებულების, უარყოფად მიაჩნიათ.

ეხლაც კი, როდესაც ცოლ-ქმრობის და საზოგადოდ ქა-ლის და კაცის ურთიერთ დამოკიდებულების კითხვამ დიდი ნა-ბიჯი წასდგა წინ მსოფლიო ლიტერატურაში, და მკითხველმა საზოგადოებამ თითქმის ძირითადად შესცვალა აზრები ამ სა-განზედ, ჩვენ გვავიწყდება მხოლოდ, რომ პირველი ქადაგე-ბელი ასეთ ჰუმანიურის შეხედულობისა უორჯ-სანდი იყო, რომ იმ ზნეობის განახლებაში, რომლის მიზეზად ზოგიერთს ჩრდილოეთის მწერლების (იბსენის, ტოლსტოის და სხვა „მო-რალისტების“) ცხოველის აზრების გავრცელება მიაჩნიათ, დიდი ნაწილი უორჯ-სანდი უდევს.

პირ-იქით, ეხლაც ჩვენ შევხდებით აღამიანებს, რომელთ უორჯ-სანდი უზნეო ცხოვრების მქადაგებლად მიაჩნიათ, წა-რმოიდგინეთ აბა, როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა

ქორე-სანდის წიგნებს მე-XIX საუკუნის ოცდა-ათიანს წლებში, როდესაც საფრანგეთის საზოგადოებას მტკიცე ბურ-უაზიული ელფერი ედო. უნდა გაგეგონათ, რა რიგად ახასიათებდა ქორე-სანდს პირადად და მის ნაწერებს მისი ქმრის ვექილი, როდესაც 1837 წ. ქორე-სანდმა განქორწინების საქმე სამსაჯულოში დაიწყო! არ იყო ქვეყანაზედ ისეთი ბინძურობა, მას რომ არ დაებრალებინა საბრალო ქალისათვის. „ასეთი უზნეო და გარყვნილების მქადაგებელი წიგნების დამწერს არ აქვს ნება თავისი შვილების აღზრდისაო“, ამბობს ის, და ქორე-სანდის მოწინააღმდეგე ბურუჟაზული ქურნალები და მათი მოტრფიალე საზოგადოებაც კვერს უკრავდა იმის სიტყვებს.

საფრანგეთის ზოგიერთი კრიტიკოსი ქორე-სანდის ორიგინალობას ხედავს მხოლოდ ამ პირველის ხანის რომანებში და კიდევ სამ-ოთხ ნაწარმოებში, რომელთა სიუჟეტი სოფლის ცხოვრებიდან არის აღებული, დანარჩენებში კი ქორე-სანდი ვითომ და სხვის აზრებს ემორჩილება, სხვის იდეებს ავტორებს და მათ თავისის ნიჭის ძალით ბრწყინვალე ფორმას აძლევს და ძლიერ ფრთებს ასხამს. ქორე-სანდის მეგობარი, მწერალი და პოეტი ლატუშიც მას ბანს უწოდებს, თუმცა უმატებს, რომ ეს „ბანი აორკეცებს ხმასო“.

ეს იმდენად მართალია, რამდენადაც მართალია ის აზრი, რომ გარდა უდიდეს გენიოსისა, რომელსაც რაღაც უცნაურის ძალით მინიჭებული აქვს, აზრის წინამორბედობა, ყველა ადამიანი, გინდ დიდი ნიჭის პატრონიც იყოს, ამა თუ იმ წიგნიდან, ამა თუ იმ ადამიანისაგან, ამა თუ იმ საზოგადოებიდან იძნეს აზრებს და მიმართულებას, საკუთარ გონებით შეიმუშავებს ამ აზრებს და მერე ასე თუ ისე გამოიყენებს თვის ცხოვრებაში თავის თუ სხვის სასარგებლოდ.

მართალია, ქორე-სანდის ცხოველ გონებას მუდამ სწყუროდა ახალ-ახალის აზრების თუ შემეცნების შეძენა. მართალია, რომ მისი იდეების რკალი დიდათ გაფართოვდა მას შემდეგ, რაც ის დაუმეგობრდა და დაუახლოვდა მიუსსეს, ლამშე-

ნეს, მიშელს, პიერ ლერუს, უან რეინოს, ბარბეს, ლედლუ-
როლლენს და სხვა მის დროის ცნობილს მოღვაწეებს ლი-
ტერატურულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ასპარეზზედ.

ნიკიერი ქალი ღრმად ითვისებდა თავის დროის აზრებს
და მისწრაფებას, როგორც ღრუბელი სვამდა, თუ შეიძლე-
ბა ასე ითქვას, თავის დროის საკირ-ბოროტო კითხვებს.
არ დარჩა არც ერთი კითხვა, არც ერთი მიმართულე-
ბა, რომელიც აღელვებდა მეცხრამეტე საუკუნის საუკეთესო
შეილებს, რომ ეორუ-სანდს პასუხი არ გაეცა თავისის ცხოველ-
ნაყოფიერის ნიკით, ან ამ კითხვის თუ მიმართულების განს-
ჯას არ შედგომოდა. მის რომანებში, როგორც სარკეში იხა-
ტება არა მარტო მისი პირადი ცხოვრება, არამედ მისი თა-
ნამედროვე გონიერ საზოგადოების ვითარება და ცხოვრება,
იხატება ევოლუცია საზოგადო აზრისა და ლიტერატურულ
მიმართულებათა.

საფრანგეთის შესანიშნავი კრიტიკოსი ტენი ამბობს:

„ეორუ-სანდს არ აქვს არც ერთი სულ პატარა მოთხრო-
ბა, რომელსაც საფუძვლად ესა თუ ის ღრმა აზრი არ ედოს.
არავინ ისე ბეჯითად და არც ისე გულმოლგინედ არ ექვ-
მავებოდა ამა თუ იმ საკირბოროტო საგანს თუ მოვლენას თა-
ვის რომანების ან მოთხრობების შემწეობით. მისი ნაწერები
შესწავლის ღირსი არიან, რადგან მათ შემწეობით ადამიანს
შეუძლია შეისწავლოს მეცხრამეტე საუკუნის მორალური თუ
ფილოსოფიური ისტორია. ეორუ-სანდი არასდროს არ შეჩე-
რებული გონების განვითარებაში, მუდამ განაგრძობდა სწავ-
ლის და ცოდნის შეძენას. მის თანამედროვეთა შორის თით-
ქმის მარტო ის და კიდევ სენ-ბევი სრულის შეგნებით ცდი-
ლობდნენ თავიანთი აზრების გაფართოვებას და ახალ შემუ-
ცნებების და იდეების შეძენას“.

ამ რიგად და ამ თვისებების გამო ოცდა ათიან წლების
ბოლოში ეორუ-სანდი თავის მეგობარ ლამბერტს და პიერ ლე-
რუს დამარებით გაეცნო სოციალურ კითხვას და როგორც
ყოველთვის, როცა ის რამე საკითხს ეხებოდა, გულით და

სულით მიეცა მას. აქედან ვიწრო ინდივიდუალური ხასიათი მის რომანებისა იცვლება და აღვილს უთმობს სხვა უფრო საზოგადოებრივ მიმართულებას.

ის ღრმა სასოწარკვეთილება, რომელიც უორქ-სანდმა გამოხატა „ლელიაში,“ და რომელიც გამოწვეული იყო იმ დროის საზოგადოებრივის წეს-წყობილების და ქალის მდგრა-მარების უკამაყოფილობით, — ეს სასოწარკვეთილება შეიცვალა გულ-წრფელ აღტაცებით: უორქ-სანდმა დაინახა, რომ მარტო პირადი ბედნიერება არ არის ადამიანის დანიშნულება და კმა-ყოფილების გამოცანა, მან დაინახა საქმე, რომლის გულისფრი-საც ლირდა მუშაობა და ბრძოლა. ასეთი ცვლილება მის მიმა-რთულებაში გამოიწვია ჯერ-ჯერობით სენ-სიმონიზმის იდეების გაცნობამ და ლამშენეს და ლერუს გავლენამ, მერე-კი პირადმა გაცნობამ თვით მუშა-ხალხის მდგრამარეობისა და მის წარმო-მადგრენლო აზრებისამ.

ამ დროს, ესე ივი უცდა ათიან წლებში, საფრანგეთში დამთავრდა თან და თანი ზრდა ინდუსტრიალიზმის, და ეს ქვეყანა, რომელიც აქამომდე მარტო მეურნეობით ცხოვრობდა, შეიქმნა ეხლა მრეწველობის ერთ-ერთ უმთავრესს ბურჯად.

ქალაქებში ამის გამო თან-და-თან მატულობდა უმიწა-წყლო მუშა ხალხი, და ამასთან მატულობდა სიღარიბე და სიღატაკე. უორქ-სანდმა მიაქცია ყურადღება ამ ღარიბ-ღა-ტაქს ქალაქის მუშა-ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების გაცნობას და გარდა იმისა, რომ თეორეტიულად ეცნობებოდა მის მდგრამარეობას, პირადად გაიცნო მუშა ხალხის წარმომადგენლები, და ზოგიერთ მათგანთან მტკიცე მეგო-ბრული დამოკიდებულება დაიჭირა. რუსულ ურჩნალში, „Miri, ნიკი“ (ივლისი, 1904 წ.) მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილი ბ. კარენინისა, რომელიც უორქ-სანდის ცხოვრების ამ ეფოქს ეხება, და მშვენიერად ახასიათებს, როგორც თვით უორქ-სანდს, მის კეთილს, სათნოებით საცხეს ბუნებას, ყველა უბედურის და დაჩაგრულის მწყალობელს და მოსარჩელეს, აგ-

რეთვე მის მეგობრულ დამოკიდებულებას ზოგიერთ ნიჭით დაჯილდოვებულ მუშებთან.

ნიჭიერი პერდიგიე, ხელომით დურგალი, იყო პირველი, რომელიც გაიცნო უორე-სანდმა ამ წრიდან. პერდიგიე, პოეტი და პუბლიცისტი, ამასთან მცერმეტყველობით დაჯილდოვებული ორატორი, როგორც წერით ისე სიტყვით ემსახურებოდა მუშა ხალხის კითხვას, და იწვევდა მუშებს საერთო შრომისათვის, სწავლისათვის, იწვევდა მათ საერთო ძალით შებრძოლოდნენ სილარიბეს, უმეცრებას და ეკსპლუატაციას. ამ აზრით მან დასწერა რამოდენიმე წიგნი, რომელთ შორის უფრო ცნობილია „Compagnonage“ — „მოხელეთა კავშირი“. ამავე მიზნით პერდიგიემ სამჯერ მოიარა საფრანგეთი და თავისს აზრებს ავრცელებდა მუშა-ხალხში, რათა შეეგნებინებინა მისთვის ერთობის და საერთო ბრძოლის საჭიროება.

პირველად პერდიგიემ საფრანგეთი მოიარა 1840 წ. და ამ საქმეში მას მატერიალურად დაეხმარა უორე-სანდი. უგზანიდა პერდიგიეს მოგზაურობისათვის საჭირო ფულს და მის ცოლ-შვილს ინახავდა, სანამ ის პარიზში დაბრუნდებოდა.

პერდიგიე მაღლობით საესე წერილებს სწერდა კეთილს უორე-სანდს, და ამ მაღლობის გარდა თავის შგზავრობის შთაბეჭდილებებს უაღიანდდა. „ეს წერილები იმის გარდა, რომ მშვენიერის სტილით და ენით არიან დაწერილი, ავტორის ღრმა ჭკუას, დიდს განვითარებას, და თავის დროის აზრების სრულს შეეგნებას ამტკიცებენო“, ამბობს მ. კარენინი.

„პერდიგიე ორჯერ პოლიტიკურ ასპარეზზედაც გამოჩნდა: 1848 წ. ხმების დიდის უმეტესობით იყო ამორჩეული ნაციონალურ კრებაში, მერე კანონმდებელ კრებაში. 1852 წ., ნაპოლეონ III გამეფების შემდეგ ის იყო განდევნილი საფრანგეთიდან, და რამოდენიმე წელიწადი სამზღვარგარეთ დაჭყო. ერე კი დაბრუნდა პარიზში, და მესამე რესპუბლიკის დამყარების შემდეგ თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლები ემსახურა მას, როგორც ერთ-ერთ ოლქის მერის თანაშემწე. პერდიგიე მოკვდა 1875 წ.“

მეორე მუშა, რომელმაც ქორქ-სანდის გულითადი მეგობრობა დაიმსახურა, იყო ტულონელი კალატოზი, შარლ პონსი, ნიკიერი პოეტი, გონება განვითარებული და კეთილშობილი სულის პატრონი.

ქორქ-სანდი და მისი შეილები—ვაჟი და ქალი,—პონსის უყურებდნენ ისე, როგორც საუკეთესო მეგობარს.

ქორქ-სანდი მას და მის ცოლსა და შვილს ხშირად კვატიუობდა ნოჭანში, და შარლ პონსის, როგორც უახლოვეს მეგობარს, თავის გულის ნადებს ეუბნებოდა. მისი მიწერ-მოწერა პონსისთან, ამბობს კარენინი, მეტად საინტერესო არის, რადგან ქორქ-სანდის კხოვრების მრავალს საინტერესო ეპიზოდებს ეხება, და ამ შესანიშნავ მწერალ-ქალის შთაბეჭდილებას თუ გრძნობებს, ამ ეპიზოდებით გამოწვეულს, გვიხატავს. არა მარტო პირად ტემებს ეხებოდა ეს წერილები; ამ წერილებში ქორქ-სანდი საზოგადოდ ლიტერატურულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ კითხვების განსჯაში შედის, და კერძოთ პონსის ნაწარმოებთ ეხება; თავისი რჩევით და დარიგებით ეს საუცხოვო გულის პატრონი ქალი მუშა-პოეტს ნაწერების ნაკლულევანებას უსწორებს ხოლმე, და ამ მიზნით ხშირად დაწვრილებით არჩევს მისი ლექსების თითო სტრიქონს.

აი, მაგალითად, რას სწერს ქორქ-სანდი თავის ახილგაზღა მეგობარს ერთ-ერთს წერილში: „თქვენ უნდა წასდგათ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი წინ — რათა შეუერთოთ ველურ ბუნების დიდებულ აღწერას ადამიანის აზრი და გრძნობა, ესე იგი შეუერთოთ არტისტიული გრძნობა და მხატვრობა ჰუმანიურ და ზნეობრივ გრძნობას.

„თქვენი ზღვის ეტიუდები მეტად მშვენიერია, და, რა-საკვირველია, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ გირჩიოთ, დაანებოთ თავი ასეთ აღწერებს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს მშვენიერი, ძლიერი და კოლორიტით მდიდარი, მხატვრული ლექსები ნაყოფიერნიც იყვნენ, საჭიროა იდეია, აზრი. მათში კი იდეა არ არის საესებით შემუშავე-

ბული. თქვენი ლექსები ემსახურებიან ეგრედ წოდებულ ჟურნალების „ლოგნებას ხელოვნებასთვის“, და მე ეს ნაკლულევანებად მართია. თქვენს ულმობელს, მშვენიერს და დიაცს ზღვას მიუმატეთ მეტი გრძნობა, მეტი შთაბეჭდილება; შიშის ან ალ-ტაცებას, რომელსაც ეს ზღვა იწვევს თქვენს გულში, მიუმატეთ ღრმა, ადამიანური გრძნობა. ჩემის აზრით, ყოველი პოეტი უნდა გვიღვიძებდეს აზრსა და წარმოდგენის ნიჭის მხოლოდ იმისთვის, რომ მით უფრო აღვიძრან გულში საუკეთესო გრძნობანი“.

ეს რჩევა საინტერესოა ჩვენთვის როგორც მაჩვენებელი თანაგრძნობისა რომელითა ეკიდებოდა უორუ-სანდი პონისის ლიტერატურულ მოღვაწეობას, და აგრეთვე იმისიც, თუ როგორ უყურებდა უორუ-სანდი ხელოვნების დანიშნულებას; ამ საგანზედ ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი ქვემოდ.

მეორე წერილში უორუ-სანდი იწუნებს პონისის რამოდენსამე ლექსის ეროტიულ შინაარსს, და სწერს:

„თუ გინდათ იყოთ დიდებული პოეტი,—უნდა წმინდად შეინახოთ თქვენი გული, და მხოლოდ წმინდა გულიდან აღმოცენდება დიადი გრძნობა, და მაშინ გონებაც იპოვნის შესაფერ და ჰეშმარიტ ფორმას ამ გრძნობის გამოსახატად“.

ასეთს და კიდევ მრავალ სხვა დარიგებას აძლევდა უორუ-სანდი ახალგაზდა პონისის, და გულით და სულით უშართავდა ხელს მას ლიტერატურულ შრომაში და პირად ცხოვრებაშიც. მატერიალურადც ხშირად ეხმარებოდა პონისის, პერდიგიესაც, და სხვა მუშა პოეტებსაც, რომელზედაც ჩვენ ეხლა არას ვიტყვით, რადგან ეს მეტად გააგრძელებდა ჩვენს წერილს. პონისიც, და მასთან პერდიგიე, მაგრუ, უილიანი და სხვა მუშა ხალხის ნიჭიერი წარმომადგენლები, რომელთ უორუ-სანდთან ნაცნობობა და მეგობრობა პერდათ, თაყვანს სცემდნენ ამ სულით მშვენიერ ქალს, ენდობოდნენ მას, როგორც მათ საუკეთესო მეგობარს, და თავიანთ ცხოვრების სევდას თუ სიხარულს მას უზიარებდნენ.

საკვირველიც იქნებოდა, რომ მათ ლრმა პატივისცემა და სიყვარული არ ჰქონდათ ამ დიდებულ აღამიანისადმი, რომელიც ყოველთვის სიტყვით თუ სიქმით, ფულით თუ თავის ნიჭით ეხმარებოდათ მათ და გზის უკაფავდა ხალხის წარმოადგენელთ მათთვის ახალ ასპარეზზედ—ლიტერატურაში. ეორე-სანდმა ბევრი ეყადა, რომ ამ ნიჭიერ მუშა-პოეტთა ნაწარმოებთ კარგათ დახვედროდა მკითხველი საზოგადოება: გარდა ოთხის მშვენიერის წერილისა, რომელიც მან თავის ეურნალში დასწერა მუშა ხალხიდან გამოსულ პოეტთა და მათ პოეზიის შესახებ, ეორე-სანდმა კიდევ მშვენიერი წინასიტყვაობა დაუწერა პონსის და მაგიუს ლექსთა კრებულთათვის.

ერთი სიტყვით ეორე-სანდი გულით უთანაუგრძნობდა მუშა ხალხის მდგომარეობას, ამ ხალხის ნიჭის ყოველი ნაპერ-წკალი სიხარულს ჰვერიდა მას, და ეორე-სანდი, რამდენადც მას ღონე შესწევდა, სცდილობდა ამ ნაპერწკლისათვის ქარად ყოფილიყო, რომ დიდუეცხლად გაეღვივებინა იგი.

ასეთმა მცირდო კავშირმა მუშა ხალხის წარმომადგენ-ლებთან, მათი და საზოგადოდ მუშა-ხალხის ცხოვრების ზედმიწევნით გაცნობამ ის შედეგი იქონია პირადად ეორე-სანდი-სათვის, რომ დაუბადა მას რწმენა მუშა-ხალხის უპირატესობაზედ ეკრე წოდებულს „განათლებულ“ საზოგადოებასთან შედარებით.

და რადგან ის ყოველ თავისს რწმენას მაშინადვე კონკრეტულ ფორმას აძლევდა, ამიტომაც ეორე-სანდმა დასწერა რამდენიმე რომანი სოციალისტურ ტენდენციით, საცა მუშა-ხალხი გამოჰყავდა ყოველის ღირსებით შემკული.

ამ ხანას ეკუთვნის ერთ-ერთი მისი საუკეთესო რომანი „პორასი“, სადაც ეორე-სანდმა დაუპირდაპირა შესანიშნავის ფსიხოლოგიურის ნიჭის ძალით ტიპიური ბურუუა იყლისის მონარქიისა მუშა-ხალხის წარმომადგენელს და ეს ღაპირდა-პირება მეტად ვნებს ბურუუას, მაშინ როდესაც მუშა-ხალხის წარმომადგენელს სულის სიმშვენიერის შარავანდედით ამკობს.

ზოგიერთ კრიტიკოსს მუშა ხალხის ასეთი ბრწყინვალე ფერადებით დახატვა ეორე-სანდის საზოგადოდ იდეალისტურად მიმართულ ფანტაზის ნაყოფად მიაჩიათ, მაგრამ ზემო მოყვანილ კარენინის წერილიდან სჩანს, რომ ეორე-სანდი „პორასის“ უმთავრესს გმირის, პოლ-არსენის ტიპი დიდი სინამდვილით არის დახატული და ამ ტიპის დასახატავად ეორე-სანდს ცოცხალი მოდელი ჰყავდა პონსი და უილიანი, ნამეტურ უკანასკნელი მუშა-მწერალი. ზოგიერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან პირდაპირ გადმოტანილია ეორე-სანდის რომან ში, და, საზოგადოდ, მთელი დახასიათება პოლ-არსენის უილიანის სულიერ ვითარებასთან მეტად ახლო არის.

აგრეთვე მეორე თავის რომანში, რომლითაც კიდევ მუშათა კითხვის უბრუნდება ეორე-სანდი, და რომელსაც სათაურად „საფრანგეთში მოგზაურნის ამხანაგი“ ჰქვიან, ეორე-სანდს პერდიგიუს მსგავსი ხასიათი გამოჰყავს, და აქაც, როგორც სხვა ამ ხანის მის რომანებში, ეორე-სანდი სოციალისტურ ტენდენციებს იცავს, და თავის ღრმა სიყვარულს და პატივისცემას უბრალო ხალხისადმი; ეორე-სანდი გულით თანაუგრძნობს ხალხის მძიმე ცხოვრებას და ზიზღით უყურებს მათ, ვინც სიამოენების მეტს-არას ექებს ცხოვრებაში და ვისაც არაფრად მიაჩინა მუშა-ხალხის მდგომარეობა.

ეორე-სანდი არ დაქმაყოფილდა თეორეტიულად, თავის რომანების შემწეობით თავისი აზრების მუშათა კითხვის შესახებ გავრცელებით, — მან მიიღო მჭიდრო მონაწილეობა პრაკტიკულადაც თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ერთ ხანს იგი ბეჭდავდა პიერ-ლერუს, ლამენეს, ვიარდოს და პოლონელ პოეტის მიკუვეიჩის თანამშრომლობით უკრნალს „Revue Indépendante“, და 1843 წ.-კი თავის სამშობლოში რესპუბლიკანურ გაგაზეთის გამოცემას მოჰყიდა ხელი. ორივე ამ გამოცემაში ეორე-სანდი ესარჩელებოდა ხოლმე ქალაქის და სოფლის მუშა-ხალხს.

1844 წ. ეორე-სანდმა თავის სოციალისტური მიმართულება ცხადათ გამოსთქვა დიდ წერილში, რომელსაც სათაუ-

რად „პოლიტიკა და სოციალიზმი“, ჰქონდა. 1848 წ., რო-
დესაც საფრანგეთში რევოლუციამ იფეთქა, ეორე-სანდ
ცხარე მონაწილეობის იღებდა და თავის უურნალში „Cause
du peuple“ („ხალხის საქმე“) სწერდა „შუათანა კლასსებთან“
სიტყვას და თავისს შესანიშნავს „წერილებს ერის მიმართ“.

ერთი წლის განმავლობაში მისმა წერილებმა ისეთი კი-
ლო მიიღეს, რომელიც გვიმტკიცებს, რამდენად მთელი მისი
არსება შეცყრობილი იყო სოციალიზმის იდეებით. ერთ-ერთს
წერილში იგი იწვევს ნაციონალურ კრებას ლიბერალურ
არჩევნებისათვის, და აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ პირობაში
ხალხი „უკანასკნელ შველას მიმართავს— იარაღისას“.

1844 წ. იწყება ახალი ხანა ეორე-სანდის ლიტერატურულ მოღვაწეობისა. მისი რომანები „ეანნა“, „ეშმაკის ტბა“, „პატარა ფადეტტი“ და კიდევ რამდენიმე სხვა ჩვენ გვიზიდავს საფრანგეთის სოფლის ცხოვრებისაკენ, გვაცნობს სოფლის ხალხის ზნე-ჩვეულებას, ხასიათს და ამასთან სიყვარულს გვეკრის ამ ხალხის და სოფლის ბუნების მიმართ.

არც ერთს სხვა ხანის რომანებში უორქ-სანდს არ აქვს
ისე მჭიდროდ შეკავშირებული რეალური და იდეალისტური
მიმართულება: მისი დაკვირვებითი ნიჭი იჩენს აյ ღიღს სი-
ცხოველებს: შესანიშნავად გაღმოგვცემს უორქ-სანდი სოფ-
ლის ხალხის ცხოვრებას, მხატვრულად გვიხატავს მის
შრომას და მის მოსვენების დღეს, მის ენას და ზნე-ჩვეულე-
ბას, და ამით ვფიმტკიცებს, რამდენად გულით და სულით
შეეთვისა იგი თავისის სიყმაწვილიდანვე ამ მშრომელ ხალხს,
როდესაც მონაწილეობას იღებდა სოფლის ბაგშვების თამა-
შობაში, და მერეც, როცა ყოველთვის თანაუგრძნობდა

სოფლის ხალხს მის სევდაში და სიხარულში. უორე-სანდმა უმეტესი წილი თავისს სიცოცხლისა სოფელში გაატარა; სოფლის ხალხი მას კარგად იცნობდა და აფასებდა, და იმანაც კარგად იცოდა სოფლის ავი და კარგი. სოფლის ცხოვრებიდან იღებულ რომანებში საუცხოვო სინამდვილით აღმეჭდილ სურათებთან ერთად უორე-სანდმა არ ჰყო უარი თავისს უმთავრესს თვისებას; რომლის ბეჭედი ყველა მისს ნაწარმოებს აძევს, და რომლის წყალობით საფრანგეთის და უცხო კრიტიკოსებიც უორე-სანდს სთვლიან იდეალისტურ რომანის წარმომადგენლად.

„Mare au diable“ („უშმაკის ტბა“) — ის წინასიტყვაობაში უორე-სანდი თვითვე ახასიათებს ამ თავისს ნაწარმოებთ უმთავრესს თვისებას შემდეგის სიტყვებით: ჩემის აზრით, — ამბობს ის — რომანს უნდა ჰქონდეს მკითხველის გულში სიყვარულის აღმდერის დანიშნულება. ყოველი მხატვარი უნდა სცდილობეს თავდაპირველად მკითხველის გულზედ იმოქმედოს და შეი აღუძრას სიყვარულის გრძნობა მისგან დახატულ საგნებთა თუ არსებათა მიმართ. ამიტომაც მე ვერ ვუსაყველურებ მხატვარს, თუ მან სინამდვილეს გადააცილა და გაამშვენიერა სურათი... ხელოვნება არ შემიცავს არსებულის სიმართლის დახატვას, ის არის იდეალურის სიმართლის ძებნა და მისკენ მისწრაფება.“ ერთგან ის ამბობს: „მე და ბალზაკი სულ სხვა და სხვა ნაირად ვუყურებთ ცხოვრებას და სხვა და სხვა ნაირად ვხატავთ მას. ბალზაკი ხატავს ადამიანს ისეთს, როგორიც ის არის სინამდვილეში, და მე კი ისეთს, როგორიც უნდა იყოს.“

ხელოვნებაზედ ასეთ მის შეხედულობას ის შედეგი მოსდევს, რომ უორე-სანდის რომანებში ყოველთვის მეტად მიმზიდველი და გამშვენიერებული ადამიანებია გამოყვანილი, ნამეტურ უმთავრესი გმირები: ისინი არიან ყოვლის ღირსებით შემკულნი, ან და, წინააღმდეგ, უფრო იშვიათ შემთხვევაში მეტად გადაქარბებულ ცუდი თვისებებით არიან დაჯილდოვებულნი; მაშინ როდესაც მეორე ხარისხის ტიპები შესა-

ქორქ-სანდი

ნიშავის სინამდევილით არიან დახატული: უკანასკნელ შემთხვევაში ავტორის ნიჭი მუშაობს სრულებით დამოუკიდებლათ მის ტენდენციისაგან, და ამიტომაც მის მხატვრულ მეხსიერებას გამოჰყავს ნამდვილად ნახული ტიპები.

ქორქ-სანდი მტკიცედ მისდევს ხელოვნების დანიშნულებაზედ თავის შეხედულობას: არ არის არც ერთი მისი ნაწარმოები, მყითხველის გრძნობაზედ რომ არ მოქმედებდეს. მისი სოფლური რომანებიც ამ რიცხვშია. ქორქ-სანდი ისეთის სიყვარულით აგვიწერა თავის სამშობლო პროვინციის ბუნებას და ხალხს, რომ თითქმის ჩვენც, უცხოელებსაც გვაყვარებს ამ უბრალო, მაგრამ რაღაც პოეზიით საქსე პეიზაჟებს და ტიპებს. როგორც შევვარებული ადამიანი, რომელიც სცდილობს თავის სიყვარულის საგანი ყველას მოაწონოს, ისე ქორქ-სანდი, რომელსაც პატარაობიდანვე გულში ჩაენერგა თავის სოფლის ბუნების და მცხოვრებლების სიყვარული, ამ გრძნობის ძალით სხვასაც აყვარებს თავის ქვეყანას: ისეთის სინაზით აწერილი აქვს ეს ბუნება, ისეთი სიტკბოებით აღმენდილია ყოველი მისი სურათი, ისეთის რაღაც საიდუმლო აღტაცებით. გამსჭვალულია ყოველი მისი სტრიქონი, რომელსაც კი აქვს საგნათ სამშობლო კუთხის ცხოვრება თუ ბუნება.

საზოგადოდ ბუნების შეგნების გრძნობა ძალიან მახვილი აქვს ქორქ-სანდს: ეან-ეაკ-რუსსოს მოწაფე, ამაშიაც ქორქ-სანდი მის კვალს მისდევს. ბუნება მას უყვარს გატაცებით, ბუნებას ის „გრძნობს“ ყველა მისის ნერვებით. „წავიდეთ მინდვრებში და ტყეებში და ლალად გავალოთ გული და არა მარტო თვალები“, ამბობს ქორქ-სანდი ერთგან. სწორედ „გულით“ ეცნობება ქორქ-სანდი ბუნების ყველა მშვენივრებას, და ამ აღტაცებულის გრძნობით საქსე გულისაგან გაღმოსდულ მისი აღტაცებული და გულის წარმტაცი აღწერა ამა თუ იმ ადგილისა, ბუნების ამა თუ იმ სურათისა, და ეს გრძნობა ატყევევებს, იპყრობს მკითხველის გულს ისე, როგორც მას ჰქონდა შეცყრობილი ავტორის გული.

ბევრს მის რომანებში აქა-იქ ჩართული აქვს მომხიბლა-
ვი აღწერა იმ ქვეყნებისა, საცა იყორის უმოგზაურია თავის
სიცოცხლეში: მშვენიერი შვეიცარიისა, მის საუცხოვო ტე-
ბით და მთებით, თვალის წარმტაცი პირინეის მთების, ნა-
თელი, მოკაშვაშე პროვინციების, გრილი და ზღვის ტალღების
ხმაურობით გამხიარულებული ნორმანდიის და ყველა პოეტა-
თვის და მხატვართათვის საყვარელ იტალიისა.

ამ მხრით უორე-სანდს დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრან-
გეთის ლიტერატურის წინაშე: შატობრიანსა და უან-უაკ-რუს-
სოსთან ერთად მან ახალი და მძლავრი ნაკადული ჩაურთო
ამ ლიტერატურას და ბუნების სიტყვით მხატვრობას მტკიცე
ნიადაგი დაუდო.

მისი შემოქმედების უკანასკნელ ხანას შეადგენენ რომა-
ნები, რომელშიაც უორე-სანდი ისევ თავის პირველი რომა-
ნების ტემას უბრუნდება: როგორც „ინდიანა“ და „ლე-
ლია“-ში ქალის და საზოგადოდ ადამიანის პიროვნების უფლე-
ბას ესარჩილება უორე-სანდი, მაგრამ მისი კილო უფრო დამ-
შვიდებულია, მისი მოთხოვნილება საზოგადოების მიმართ ისე
მრისხანე და მკაცრი არ არის.

ამ მდიდარ სულში ქალის საუკეთესო გრძნობასაც გაუ-
კეთებია მკვიდრი ბინა,—დედის გრძნობას, და ის სამაგალი-
თო სიყვარული, რომელიც მას ჰქონდა თავის შვილების და
შვილი-შვილებისადმი, გამოიხატა როგორც სხვა და სხვა ნა-
წერებში, სადაც ის აგვიწერს თავისს პირად ცხოვრებას, თა-
ვის შვილების ყმაწვილობას, მათ შრომას, სარტარს თუ თა-
მაშობას, ისე ყველგან, საცა ის ყმაწვილებზედ ჩამოაგდებს
ლაპარაკს. ყველგან იხატება მისი უსაზღვრო სიყვარული მის
შვილებისადმი და საზოგადოდ სიყვარული ბავშვებისადმი: ამი-
ტომაც ისეთი სიტკბოებით და ფსიხოლოგიურ სიმართლით
სავსეა ბავშვების ტიპები, თუ მათ ცხოვრებიდან სცენები
ჩართული მის რომანებში. მაგალითად, რა სინაზით და სიყვა-
რულით აქვს აწერილი უერმენის ვაჟი „ეშმაკის ტბაში“! მხო-
ლოდ ადამიანს, რომელსაც ნამდვილად უყვარს ბავშვები, შე-

უძლია გაიგოს ასე ზედმიწევნით ბავშვის ბუნება და ასეთის სიტკბოებით აღწეროს იგი.

ბავშვებისადმი მის სიყვარულის უფრო ცხოველს ნაყოფს ჩვენ ჯედავთ ქორქ-სანდის მომხიბლავ ზღაპრების კრებულში, ბავშვებისათვის დაწერილს საუცხოვო ენით და შეუდარებელ პოეზიით საესეს.

ჩვენ ზემოდ გვქონდა მოხსენებული, რომ ქორქ-სანდის ნაწერებში, როგორც სარკეში, იხატება მისი თანამედროვე საზოგადოების სულიერი მდგომარეობა: აგრეთვე სარკისებრ გადმოგვცემენ მისი ნაწარმოები მის პირადს ცხოვრებასაც.

ამ ზღვა-გულში ირეოდა ათასი მძლავრი გრძნობა, სურვილი და მისწრაფება, და ყოველი მისი ტალღის კვალი აღბეჭდილია მისის დაუღალავის კალმით; არ არის არც ერთი აზრი, არც ერთი მისწრაფება, რომელიც მის თანამედროვე გონიერ საზოგადოებას აღელვებდა, რომ მისთვის ქორქ-სანდის არ ეპოვნა თავისს გულში კუთხე, და პასუხი არ გაეცა თავისის ნაყოფიერის ნიჭის შემწეობით. პირადი სიყვარული, სიყვარული კაცობრიობისადმი და ბუნებისადმი — ამ ამ სამის გრძნობით გამსჭვალულია ეს დიდი გული, ამ სამს გრძნობას ემსახურება იგი და ამ სამს გრძნობას ექმაგება მისი ნიჭი.

პირად სიყვარულსაც დიდი ადგილი ჰქონდა ამ დიდებულ და აღგზნებულ გულში, და მრავალ მის რომანებში არის გამოხატული ესა თუ ის ეპიზოდი მისი გულის ისტორიიდან.

ამ ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ხანა არის ქორქ-სანდის სიყვარული ალფრედ მიუსსეს, საფრანგეთის საუკეთესო პოეტისადმი. ამ ორის შესანიშნავის აღამიანის ურთიერთი დამოკიდებულება, იმათი საერთო ცხოვრების სევდა და სიხარული ორივე დიდებულმა ნიჭმა უკვდავ ჰყვეს მრავალის მათ ნაწარმოების შემწეობით.

მეტად მკაფიოდ აწერილი აქვს თავისი ცხოვრების ეს ხანა ქორქ-სანდს რომანში „Elle et Lui,“ (ერთი ქალი და ერთი კაცი) და მიუსსეს-კი რომანში „ამ საუკუნის შვილის აღსარება“,

და ამის გარდა მიუსსეს მრავალი ლექსი ამ სიყვარულის შთაბეჭიდილებით არის აღმცილი. ეორე-სანდის და მიუსსეს დიამეტრალურად წინააღმდევი ხასიათები ჰქონდათ: რამდენადაც ქალი იყო თავ-დაკერილი, მშეიღობიანი ხასიათის, მუდმივს მეტოდის ურობის ჩერეული, მრთელის და კეთილის, კაცობრიობის მიმართ ნდობით სავსე სულის პატრონი, იმდენად, კაცი იყო აღზნებული, თავ-დაუკავებელი, ყოველი მისის სურვილის და უინის ამსრულებელი, ცხოვრების მიმართ სკეპტიურის შეხედულების პატრონი, ოჯახის და ქალების სიყვარულით განებივრებული.

ასეთი კონტრასტი სუფევდა ამ ორ აღმანთა შორის როგორც ხასიათის, ისე ნიჭის ოვისებების მხრით, მაგრამ ამის მიუხედავად, შეიძლება, ამის გამოისობითაც მათ შეუყვარდათ ერთმანერთი, შეუყვარდათ თავ-დავიწყებამდე.

ერთი წლის განმავლობაში ეორე-სანდმა და მიუსსემ ერთად იცხოვრება, და ურთიერთ აღზნებული სიყვარულმა და საერთო შრომამ ეს ხანა მათ ცხოვრების საუკეთესო ხანად გადააქცია.

არტისტიულ და რომანტიულ ბუნების პატრონთ ორივე შეყვარებულთ შესაფერი ჩარჩო უნდოდათ ეპოვნათ თავიანთ სიყვარულისათვის, და ამიტომაც ისინი მშვენიერს ვენეციას ესტუმრებიან. მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ ისინი უკვე ცალ-ცალკე პარიზში ბრუნდებიან, რადგან ეორე-სანდი მიუსსეს ვიღაც იტალიელ ექიმზედ სცენის, თუმცა თვით ეორე-სანდი კი ამ განწყობილების დარღვევის მიზეზს მიუსსეს უპნაურს ხასიათს აბრალებს.

ასეა თუ ისე, მიუსსეს და ეორე-სანდის საერთო ცხოვრებას და მათ სიყვარულს დიდი გავლენა და შედეგი ჰქონდა თუთავესათვის: ალფრედ მიუსსეს არტისტიულმა გემოვნებამ გაწროვნა ეორე-სანდის კალამი და გააფართოვა მისი შეხედულობანი ხელოვნების სფერაში.

მაგრამ არც ეორე-სანდის მძლავრმა პიროვნებამ დასტოვა უგავლენოდ მიუსსეს შემოქმედება: ეორე-სანდთან განშო-

რების მერე მიუსსეს მუზამ უფრო რბილი ხასიათი მიიღო; უორეფ-სანდის კეთილმა უა პატიოსნებით სავსე ბუნებამ გან-დევნა მიუსსეს გულიდან ცინიზმი და უფრო გულ-წრფელი გახდა. ის სევდა, რომელიც უორეფ-სანდის ლალატმა გამოი-წვია მის გულში, მის ხასიათს უფრო სიმტკიცეს აძლევს და მისი ნიჭი, ტანჯვის ქარ-ცეცხლში გატარებული, საბოლოოდ მწიფდება.

მიუსსეს გარდა უორეფ-სანდის გული კიდევ რამდენიმე სხვა კაცსაც სცემდა თაყვანს. მან თავისთავზედ გამოსცადა სიყვარულის დიადი გრძნობა, ყველა მისის ავის და კარგის თვისებებით და შეიგნო ამ გრძნობის სრული გამმა. ცნო-ბილს კომპოზიტორს და მემუსიკეს შოპენს მიუსსეზედ არა ნაკლები ადგილი ეჭირა უორეფ-სანდის გულში, და მასთან ცხოვრებამ ბევრი უმაღლესი გრძნობა შეაგნებინა. შოპენი-სადმი სიყვარულმა მუსიკის მშვენივრება გააცნო უორეფ-სანდ-ზედმიწვნით, და ეს გრძნობანი და შთაბეჭდილებანი მან რა-მდენსამე რომანში გამოხატა.

„კონსუელო“, და „ლუკრეცია ფლორიანი“ უორეფ-სანდის ამ წესის ცხოვრებიდან ბევრ ეპიზოდებს შეიცავენ; ამ უკა-ნასკნელ რომანში, შოპენის გარდა, უორეფ-სანდი თავისს საკუთარს დახასიათებასაც იძლევა: ის თითქოს იმართლებს თავს საზოგადოების წინაშე, რომელიც მას უზნეო ცხოვრებას აბრა-ლებდა.

„არას დროს მე,—ამბობს ამ რომანში,—არ ვატყუებდი არავის: როცა მე აღარ მიყვარდა კაცი, მე ესპობდი მასთან დამოკიდებულებას. მართალია არა ერთხელ ვეფიცებოდი ჩემს საყვარელს, რომ ის მე მეყვარება სამარადისოდ, მაგრამ ყო-ველთვის ეს ფიცი გულწრფელი იყო, ყოველთვის, როცა მე შემიყვარდებოდა ახალი ვინმე, მე ის მიყვარდა ძლიერი გრძნო-ბით, და მე გულ-წრფელად დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული იყო. ვისაც ნე-ბავს, ნე მთვლის პატიოსან ქალად, მე-კი ჩემი თავი პატიო-სანი მგონია.“

ასე გულ-წრფელად აღიარებს სიყვარულში თავის ცვა-
ლებად ხასიათს ეორე-სანდი, და ასეთიც იყო ნამდვილად
ცხოვრებაში: მისი გულ-წრფელობა, მისი გულის სიკეთე მის
ნაკლულევანებას ავიწყებს აღმიანს, და ყველას, ვინც ამ
დიდებულის ქალის ნაწარმოებს გაიცნოს, მის დიდებულს
სულს შეაყვარებს, ყველა მისის ღირსებით და ნაკლულევა-
ნებით.

ეორე-სანდს, ლიტერატურულ ნიჭს გარდა, კიდევ გუ-
ლის მოგების ნიჭი ჰქონდა, და არ არის და არ ყოფილა ქვე-
ყანაზედ, მგონი, ისეთი აღამიანი, რომელსაც იმდენი გული-
თადი მეგობარი ჰყოლოდეს, როგორც ეორე-სანდს. ეორე-
სანდის მეგობრებთან მიწერ-მოწერამ მთელი ექვსი ტომი გაავ-
სო, ის, რაც არის უკვე გამოცემული, და კიდევ რამდენია,
რაც ჯერ არ არის ცალკედ გამოცემული, მაგალითად, ზემოდ
მოყვანილი კარენინის სტატიაში ჩართული პროლეტარ-
მწერლებთან მისი წერილები. თითქმის ყველა მისი დროის
შესანიშნავი პირები იყვნენ მისი კორრესპონდენტები;
მწერლები, პოლიტიკური მოღვაწეები, მხატვრები, ხელოვნე-
ბის ყველა დარგის მუშავნი თუ უბრალო აღამიანები, ყველა
მათვის, ვისაც სჭირია ეორე-სანდის რჩევა, თუ თანაგრძნო-
ბა, ეორე-სანდი ჰპოულობს დროს და სურვილს, რომ გა-
ამხნევოს, ანუკეთოს თუ მისი სიხარულის მოზიარე გახდეს.
საკვირველია ამ აღამიანის გულის სიკეთის გენიოსობა: უთვა-
ლავის რომანების და მოთხრობების, უურნალურ წერილების-
დამწერს, (მისი შრომა ასზედ მეტს ტომს შეიცავს), როგორი
გულ-კეთილობა უნდა ჰქონოდა, რომ სხვისთვის იმდენი ყუ-
რადღება მიექცია, სხვის ცხოვრებისათვის თანაეგრძნო. რამ-
დენ ახალგაზრდა ნიჭს ფრთა გაუშლია ეორე-სანდის გამამ-
ხნევებელ სიტყვის და დახმარების შემწეობით! მის კორრეს-
პონდენტთ შორის ნაპოლეონ III-ც იყო, როცა ის ჯერ პრინ-
ცი იყო და გამის სატუსაღოში იჯდა. თავის წერილებში ეორე-
სანდი პრინცს გულ-წრფელ აღტაცებას უცხადებს მის დემო-
კრატიულ შეხედულობათა შესახებ, და არც მერე, როდესაც

ნაპოლეონ III უღალატა მის მიერ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს, არ უმაღავს, რომ იგი თავის პრინციპებს არას-დროს არ შესცვლის და მუდამ ემსახურება. ნაპოლეონიც დიდი პატივისმცემელი იყო ამ შესანიშნავის მწერალ ქალისა და მისი წერილები ამ პატივის-ცემის გამომხატველია.

ტენს ისეთი მშვენიერი დახასიათება აქვს უორჯ-სანდის ლიტერატურულ მოღვაწეობისა, რომ ჩვენ მოვალეობათ ვთვლით ამოვწეროთ რამოდენიმე ადგილი: „ყველა მის წიგნებს რამე ლრმა აზრი აქვს, ფილოსოფური, სარწმუნოებრივი თუ მორალური, ყოველი მისი ნაწარმოები გულის თუ სკინიდისის პრობლემის გარდაწყვეტას სცდილობს. უორჯ-სანდი ყოველთვის „სამარადისო“ კითხვებს ეხებოდა, და ადამიანის ცხოვრების უაღრესს ინტერესების შესახებ კითხვებს აღძრავდა, თუ პასუხს იძლეოდა. არა თუ ეს კითხვები ლირნი არიან ყოველთვის აღამიანის გონების ყურადღებისა, ეს კითხვები, რომელსაც უორჯ-სანდი ეხება, არიან ყველაზედ უფრო დრამატიული, რადგან ნამდვილი და ყველაზედ უფრო ძლიერი დრამა ის არის, რომელიც აღამიანის გულში ხდება, და არა ის, რომელიც გარეგან ცხოვრებაში გამოიხატება.

გონების ტანჯვა, როდესაც იგი ექებს შეურყეველ რწმენას, დედის ძემუსთან ერთად მიღებულ რწმენის საკუთრად შექენილ რწმენაზედ შეცვლის სიძნელე, გულის ტანჯვა, როდესაც აღამიანი ვერ კმაყოფილება სიყვარულის გრძნობით, ნიკის განვითარება, ხასიათის ცვალებადობა, კეშმარიტების, სიმართლის თუ სიყვარულის ძებნა, სვინიდისის ქენჯნა, და აღამიანის გონების თუ გრძნობის შეცდომანი,—აი ის კითხვები, რომელიც ყოველთვის საინტერესო იქნებან ყოველი აღამიანისათვის, რადგან ყოველი ჩვენგანი როდისმე ამ ტრალიკულ კითხვების ან მსხვერპლი ან მაყურებელი ყოფილა. მხოლოდ ეს კითხვები შეადგენენ სამარადისო ნაწარმოებთა საიდუმლოებას. ამ თვისების გამო უორჯ-სანდის ნაწარმოები ყოველთვის აღამიანის გონებას და გულს მიზიდავენ მაშინაც, როდესაც მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთ მხოლოდ ისტორიული ინტერესი ექნებათ.

„ამ თვისებას გარდა უორჯ-სანდის სტილიც მას შეუდარებლად ხდის: მისი სტილი ჰგავს დიდებულს მდინარეს. ვერავინ, უკანასკნელ ორი საუკუნის კლასიკების გარდა, ვერ დაიქადნის ასეთ მჭერმეტყველობას, და ყოველთვის ეს მჭერ-



მეტყველობა თავის შესაფერ აღგილზეა! ვერსად ჩვენ ვენახავთ ისეთ მქერმეტყველობით სავსე დავას თუ ლაპარაკს, ისეთ აღზენებულ და ჩწმენით სავსე მონოლოგებს, და არც არავის სიტყვას არ აქვს ის ძალა, როგორც ჟორქ-სანდის გმირებს. მისი სიტყვა მოდის, როგორც დაუშრეტელი წყარო; ნაძალადევი ან უადგილო არც ერთია; მისი სტილი სავსე და თავისუფალია.“ ასეთი აზრი მის სტილზედ საერთოა საფრანგეთის და უცხო კრიტიკაში.

აგრეთვე საერთოა ის ალტაცება, რომელსაც იწვევს ჟორქ-სანდის მოღვაწეობა და მისი პიროვნება.

საერთო სიყვარულით და ალტაცებითვე დაჯილდოებული იყო ეს ნიჭით და სულით მშვენიერი ქალი მის თანამედროვე საზოგადოებისაგანაც და ეს სიყვარული და ალტაცება სიცოცლის ბოლომდე გაჰყვა. ბოლომდივე შერჩა მას მისი ნიჭის ძალაც, და სიკედილის რამდენიმე დღის წინედ მას კიდევ კალამი ხელში ეჭირა.

8 ივნისს 1876 წ. ამ დიდებულმა მწერალმა-ქალმა დალია თავისი შრომით, სიყვარულით და მეგობრობით გამშვენებული დღეები, თავის საყვარელ ნოპარში. მაგრამ მისი ნაწარმოები დარჩნენ და არა თუ ფრანგს, უცხოელსაც კი იგონებენ და აყვარებენ ამ მშვენივრებით სავსე სულს, ამ საუცხოვო იდამიანს, რომელსაც კაცობრიობა და ბუნება ასე მძლავრად უყვარდა. სამაგიეროდ კაცობრიობამაც გადაუხადა ეს სიყვარული და სამარადისო ხსოვნა უძღვნა მის დიადს სახეს.

„უორქ-სანდზედ რომ დავიწყოთ ლაპარაკი როგორც მას შექვერის, უნდა დაიწეროს მთელი დიდი ტომი. საჭიროა დაწვრილებითი ბიოგრაფიული კრიტიკა, ისეთი, როგორიც მხოლოდ ინგლისელებმა იციან ხოლმე“, ასე იწყობს ზემო მოყვანილს წერილს ტენი.

ჩვენ, რასაკვირველია, მეტად შორს ვართ ასეთ კრიტიკისაგან; ჩვენი სურვილი იყო მხოლოდ მოგვევონებინა ქართველ მკითხველისათვის დიდებული მწერალი-ქალის პიროვნება და ცოტაოდენ გაგვეცნო მისი ნაწარმოების მთავარი ხასიათი, მისის ისი წლის იუბილეის გამო.

ნანა ზურაბიშვილი.

616030

- 1) რეინისა და ქვანანგშირის მაღლები. 2) ხაბაზების დღეობა. 3) იაბლების მამა. 4) სარწმუნოებათა ისტორიის კონგრესი. 5) გლადისტონის ჰიმორულის განახლება. 6) 35 მეტია ორასზედ. 7) შეხიტულთა შეკიტროება ინგლისში. 8) ვარგას ვილა. 9) პოლონელის ჭრილი. 10) როგორ ახასიათებენ იაპონელები თავის თავს.

რკინისა და ქვა-ნახშირის მაღნები. ამ რამდენიმე წლის
წინად ამერიკული ვინე კარნეჯი ამტკიცებდა — ამერიკულ
შტატებში, ინგლისში და გერმანიაში მაღლე გამოილევა რკი-
ნის მაღანი და კაცობრიობა ურკინოდ დარჩებათ. კარნეჯის
დასამუშადებლად შემდეგსა სწერს ბრესლავლელი პროფეს-
სორი ჭრები: 1901 წელს 5400 მილიონი ფუთი რკინის მა-
ღანი იქნა შემუშავებული; აქცევან 1800 მილ. შეერთებულ
შტატებს ეკუთვნოდა, 1020 მილ. გერმანის და ლუქსე-
ბურგს, 7570 მილ. — ინგლისს, 480 მილ. — ისპანიას; შემდე-
გი ადგილი ეყირათ რუსეთს, საფრანგეთს, შვეციას, ავსტრიას.
მომავალში უპირველეს ალაგს დაიკურს სკანდინავიის ნახევარ-
კუნძული, ჩინეთის მაზრა შან-სი და ალჟირი. მომავალი რკი-
ნისა მჰიდროდ არის შეკავშირებული ქვა-ნახშირის საქმეს-
თან. მაინც და მაინც რკინის მაღანი ამერიკაში, ინგლისში
და გერმანიაში 200 წელიწადზედ ადრე არ გამოილევა. ინ-
გლისში ერთსა და იმავე დროს გამოილევა რკინის მაღანი და-
ქვა-ნახშირისა. სკანდინავიაში, ჩინეთში და ალჟირში იმო-
დენი მაღანი დევს მიწაში, რომ დიდი ხანი ეყოფა კაცო-
ბრიობას.

六

ხაბაზების დღეობა. ჩვეულებად არის ლონდონში — წელიწადში ერთხელ გამოფენა იმართება ყოველგვარ ნამცხვა-

რისა. ერთი კვირის განმავლობაში სამეცნიერო დარბაზში გამოფენილია ხაბაზების ხელოვნების სხვა-და-სხვა ნაწარმოები— მრავალი გემოს და ფორმის პური, დიდრომი ქადები, რომელთაგან ზოგი არშინ ნახევარზედ მეტია სისქით, და ტკბილეულობა. გამოფენა იმართება, რომ ხაბაზმა საზოგადოებას აჩვენოს და გააცნოს თავის საქონელი, მაგრამ რაკი მოწონებულს საქონელს იქვე უჩნდება მუშტარი, გამოფენას ბაზრული იერი ადევს და წლევანდელი გამოფენა პურისა და ფქვილის ბაზრად გადაიქცა. ხაბაზები ერთმანერთში აგროვებენ ფულს (200 ათას მანეთამდე) და ნივთებს და მრავალ ჯილდოებს ურიცებენ საუკეთესო პურის და ქადის გამომცხობთ. ამ ჯილდოს ზედ ერთვის ფქვილის ვაჭართაგან დანიშნული საჩუქარი: ერთმა ალათმა გამოაცხადა — ოცი ათას მანეთს მივცემ იმ ხაბაზს, რომელიც გამოფენისთვის ჩემი ფქვილის პურს გამოაცხობს და ჯილდოს იღებსო. ერთმა ლოვერპულელმა ალათმა გამოაცხადა — ლონდონს, ხაბაზების გამოფენაზედ ჩემი ხარჯით წავიყვან შსურველთ და მით დავუმტკიცებ, რომ ჩემი ფქვილისთანა ქვეყანაზედ არსად რა მოიპოვებაო. პურს აქვე გამოფენაზედ აცხობენ მაყურებელთა თვალ წინ დახელოვნებული ხაბაზები. წლევანდელ გამოფენაზედ საზოგადო ყურადღება მიიპყრო ერთმა მანქანამ, რომელიც აღამიანის დაუხმარებლივ ბულკებად აქცევს ფქვილს. საინტერესოა აგრეთვე მანქანა, რომელიც მათემატიკური სისტორით სჭრის პურს სასურველ ნაკრებად.

**

თბღების მამა, ორმოცი წელიწადია დოქტორი ბერნარდო ინგლისში თბღების და უპატრიონოდ მიტოვებულ ბავშვების მფარველობას ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში, სულ მცირე რომ ვთქვათ, 50 ათასი ბავშვი უპოვნია ლონდონის უღარიბეს უბნებში, ბინა გაუჩენია, ავადმყოფნი განუკურნავს, აღუზრდია და კაცად გაუხდია. დღესაც ათი ათასი ბავშვი ჰყავს გასაზრდელი. თბღებისთვის ბერნარდომ ასამდე თავშესაფარი გამართა ლონდონში და ინგლისის სხვა ქალაქებში.

ჯერ ისევ სტუდენტი იყო, რომ ამ საქმეს შეუდგა. პირველი წვლილი ობოლთათვის ერთ მოახლესაგან მიიღო; დღეს კი წლიური მისი ხარჯი ორ მილიონ მანეთს აღემატება და თუმცა უზრუნველყოფილი წყარო შემოსავლისა არაფერი აქვს, ფული მაინც არ აკლია. დოქტორს თავის წმინდა საქმეში ეხმარება მრავალი თანაშემწე, აგენტი, მასწავლებელი და მეტადრე ქალი. დადიან ლარიბ უბნებში, უპატრონო, ავადმყოფ ბავშვებს ეძებენ, სწამლობენ, ზრდიან და, რაკი წამოიზრდებიან ობლები, კანადაში გზავნიან ცნობილ პატიოსან ფერმერებთან. ამ გვარად აშორებენ ყმაწვილებს იმ გახრწნილს ნიადაგს, რომელსაც ლონდონის ქუჩა ჰქვიან. ფერმერებთან მიწერ-მოწერა აქვთ და არც კანადაში აკლებენ ამ უბედურთ ზრუნვას და მფარველობას.

**

სარწმუნოებათა ისტორიის ქონგრესს ბაზელში 250 მსწავლული დაესწრო. უდიდესი ყურადღება მიიპყრო მოხსენებამ ასურეთის ისტორიის მცოდნებს იერმიასისამ — მონოტეიზმი (ერთის ღმერთის თაყვანისცემა) ძველ ბაბილონელთა სარწმუნოებაში; ტოკიოელ მსწავლულის ვატანაბისამ — სარწმუნოებანი თანამედროვე იაპონიისა; დოქტორის სარაზენისამ — სარწმუნოებრივი შეხედულებანი პირვენდელ ერთა; პროჭესსორის კოლბახისამ — მხატვრობითი ხელოვნების გავლენა ეგვიპტის, ბაბილონის და საბერძნეთის სარწმუნოებაზედ.

**

გლობალურობის ჭრის განახლება იკისრა გრაფმა დურნევენმა, რომელმაც რამდენიმე ძალოვან მემამულეთა დახმარებით საზოგადოება შეადგინა ირლანდიის ბედის გასაუმჯობესებლად. საზოგადოების მიერ არჩეულმა კომიტეტმა ამას წინად გამოაცხადა თავისი პროერამმა, რომელმაც ტიბეტიც გადაავიწყა ინგლისელთ, რუს-იაპონიის ომიც. საზოგადოების აზრით — ბრიტანიას, შოტლანდიას და ირლანდიას შემდეგშიც საზოგადო პარლამენტი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ყოველი საქმე და საკითხი, რომელიც მთელს სამეფოს-კი არა, მარტო

ირლანდიას შეეხება, ირლანდიაშივე უნდა გადაწყვდეს სამეფო პარლამენტის და მართებლობისაგან დამოუკიდებლად. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შემოსავალ-გასავალს; ერმა სხვაზედ უკეთ თითონ იცის თავისი საჭიროებანი და თავის ფულს თითონ უფრო კარგად მოიხმარებს. საჭიროა დეცენტრალიზაცია—მოსპობა იმ წესისა, რომლის ძალით სამეფოს ყველა საქმეებს ერთი ცენტრი განაგებს—და გამოყენება ირლანდიის ადგილობრივ მოწოდების და გამოცდილ მამულის შვილთა. უნდა შეიცვალოს აგრეთვე აწინდელი მდგომარეობა სახალხო განათლებისა—სახალხო სკოლებიდან მოყოლებული უნივერსიტეტამდე. საჭიროა მემამულეთაგან მამულის შეძენა და ნაწილ-ნაწილად გაყიდვა, ისე რომ ყველა მეურნეს, დღეს უმამულოს, შეეძლოს საკუთარი მიწის ყიდვა.

**

35 რომ თანასზედ მეტია, ამგვარად ამტკიცებს პროფესორი სირმანდრიცი: იაპონიამ ვა წლის განმავლობაში გაცილებით მეტი გაიარა განათლების გზაზედ, ვიდრე რუსეთმა ორასის წლის განმავლობაში და მაშასადამე ხან-დახან 35 უფრო მეტია ორასზედაო. ქვეყანა ჩვენ დაგვცინის, ყველა ჩვენ გვიციუნებს განათლებულ ერთგან უკან ჩამორჩმას და ნეტავ ეხლა მაინც მოვიდნენ გონებაზედ ის ვაჟბატონები, რომელნიც სულ იმას ჰქადაგებდნენ სიტყვით და კალმით, რომ განათლება—გახრწნილება არისო.

**

შეხიზნელთა შეჯიშროება ინგლისში განიზრახა მართებლობამ და მისმა მომხრე პრესსამ; შემუშავებულ იქმნა ამ მიზნით ახალი კანონი ეგრეთ წოდებული Aliens Bill, მაგრამ იმისთანა ძალოვანი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდენ და სხვათა შორის კინელმ დიგბი, რომ მართებლობამ კენჭიც აღარ უყარა თავის წინადაღებას და უკანვე წაიღო. კინელმ დიგბი ამტკიცებდა—კიდეც რომ მიიღილო, შეუძლებელია მაგ კანონის ასრულება, რადგან მაშინ იძულებული შევიქნებით ყველა ქალაქში სტანციებზედ და ნავთსადგურზედ პოლიციე-

ლები დავაყენოთ და გამოვაძიებინოთ—მთხოვარი, ქურდი ან გარეუნილი ქალი ხომ არ არის ჩვენსა მომავალი? ამ უფლებას პარლამენტი, რაღა თქმა უნდა, ვერ მიანიჭებს პოლიციას. არც საკიროა შემოხიზნულთა შევიწროვება, რადგან ინგლისში გაცილებით ნაკლები ცხოვრობს უცხოელი, ვიდრე საფრანგეთში ან გერმანიაში, და ამათგანიც სულ უმცირესი ნაწილი—სრულიად შეუძლებელი—აწუხებს სახელმწიფო ხაზინას. ინგლისი იმავ თავითვე ბინას აძლევდა ყოველს სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ გარემოებათა გამოდევნილს და Aliens Bill-ის დაამტკიცოს პარლამენტმა, თავის წმინდა მოვალეობას უმტკუცნებს და არა სასურველ უფლებას მიანიჭებს პოლიციას. ან როდის უნანია ინგლისი თავისი სტუმართმოყვარეობა? ყველა ქვეყნებიდგან იკრიბებოდნენ პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დევნილნი—ჰუგენოტები, ფლანდრიიელები, გერმანელები, იტალიელები და სხვ. და ყოველთვის უხვად უხდიდნენ მასპინძელს მის ჰუმარილს; ახალი ხელოსნობა შემოჰქმდათ და ახალი წარმოება; ლანჯაშირის საფეიქროები, მაგალითებრ, ფლანდრიით შემოხიზნულებმა გააჩინეს; ჰუგენოტებმა გვასწავლეს მაუდის ქსოვა. შემოხიზნულთა შთამომავალთ შრავალი დიდებული მოღვაწე შესძინეს ინგლისს—ლაბუშერი, გარკორტი, დიზრაელი, როსსეტი. ჩრდილო დასავლეთ რუსეთიდგან შემოხიზნულთაც კი გვასარგებლეს და შემოიღეს მზა-ტანისამოსის და იაფ-ფასიანი ფეხსაცმელის შემზადება; იმათვე შესძლვნეს ინგლისს ცნობილი მოღვაწე ზანგვილი. თავის ეროვნებას მაღე ჰკარგავენ შემოხიზნულნი და მეორე თავიდამ დედა ენა აღარც კი იციან, ისე ერევიან ინგლისელებშიო.

**

გარგას გდეა—სამხრეთ ამერიკელი მწერალია, ესპანურად სწერს. უკანასკნელი მისი წიგნი „სისხლის-ძიება“ აღტაცებით მიიღო ყველა ჩაგრულმა და აღშფოთებით—ყველა მაგარელმა. ვილას ცალ ხელში შხამიანი გველი უჭირავს, რომლითაც თავის მტრება სცემს, და მეორეში დიდებისადმი

ამამალლებელი კიბე თავის მეგობრებისათვის. შესანიშნავი ვილა მით არის, რომ დიდ ნიკთან დიდი სიყვარული აქვს დამონებულ კაცობრიობისა.

ფრანგულ რევიუში შემდეგი ნიმუშია მოყვანილი „სისხლის-ძიებითგან:“ „რა ნებავდა ევროპას ჩინეთში? ჩინეთის განათლება, განა? სწორედ განათლება მიიტანა: ჯარები შეუსია, სამასი ათასი კაცი მოჰკლა, ქალაქები აიკლო და დასწვა სოფლები გაანადგურა, ქალები გააუპატიურა, ბავშვები ცხენის ფეხ ქვეშ სრისა.. ბერლინელმა სულთანმა ურცხვი ბრძანება მისცა თავის ჯარებს: არავინ დაინდოთ, ტყვედ არავინ დაიკიროთ! ხოცეთ და სისხლით გამაძლეთო!

სომხებს აწამებენ თათრებიო, შეძრწუნებულია განათლებული ევროპა. მერე ჩინელი კი აღამიანი არ არის? ვილჰელმის ქვეშევრდომი პოლონელი კი აღამიანი არ არის? რუსი კი აღამიანი არ არის, რომ ცხრა ტყავი სძვრება მათრასის ცემით? სად არის განათლებულ ევროპისათვის სიმართლე და მიუღომლობა?

რით განიჩევიან ერთმანერთისაგან სულთანი აბდულ-ჰამიდი, ჩვენი ბატონი და ვილჰელმ ჰიკენცულერნი? მონაშონაა, სტამბოლში იქნება ჯაჭვით შეკრული, ჩვენსა, თუ ბერლინში.

სომხებს აწამებენ თათრებიო! მერე ვილჰელმის იმედი რომ არა ჰქონდეს, განა მაგდენს გაბედავს აბდულ-ჰამიდი?

საშინელ ყოფაშია ქვეყანა,—მიწაზედ განართხული, ლაფში ამოსვრილი, შეგინებული და მონად ქმნილი. შემდგარან ზედ ვილჰელმები და — განათლებას ვემსახურებითო, — ბარბაროსად ქცევას უქადიან კაცობრიობას.“

**

შოლოხედის წერაღა. საინტერესო წერილია დაბეჭდილი გაზეთ „რუსში“ (№ 265 ამა წლისა) ერთის პოლონელის, ინჟინერ ზაბლოცისა: პოლონელი ვარ, პოლონეთში გაზრდილი და, რაკი თქვენი გაზეთი შეეხო ჩვენს ერს, ნება მიბოძეთ მეც გამოვთქვა ჩემი შეხელულება. გაუნათლებელი ხალხისა რა მოვახსენოთ, და განათლებული

ნაწილი პოლონელებისა კი რუსეთმა ვერ გაარუსა, და თავის დღეშიც ვერ გაარუსებს; პირიქით სიძულვილი შთაუნერგა. მაგრამ თუ სხეაფრივ მოიქცა, ვიდრე დღეს იქცევა, შეიძლება ჩვენი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს. ამისთვის საჭიროა უზირველეს ყოვლისა, რომ ჩვენში მცხოვრები რუსი რუსეთის ღალატად არ ჩამოგვართმევდეს ამ უბრალო და სრულიად ბუნებრივ კანონიერ სიტყვას: — „მე პოლონელი ვარ“. პოლონელის წინაშე პოლონეთის ღანძღვათრევა არაფრად მიაჩინათ ჩვენში მყოფ რუსებს და ვი იმისი ბრილი, თუ გაბრიყვდა და სამშობლოს წაესარჩილა ჩემი თანამებმულე; რუსეთის მოღალატეა, სეპარატისტია! დაიძინებენ. რაც უნდა დამეგობრებული და დაკავშირებული იყოს ჩემს ქვეყანაში რუსეთან პოლონელი, თავის ეროვნების დაცვას მაინც ვერ გაბედავს. ერთ განათლებულ რუსის ქალთან ბაასში სიტყვა „პოლონელი“ ვახსენე და უნდა გენახათ როგორ შემომიტია: არა გრცხვენიათ, ეგ სიტყვა როგორ წარმოსთქვითო?!. ჩვენს ენაზედ ღაპარაკის დევნაზე არას ვიტყვი, მაგას თქვენი გაზეთიც აღიარებს. სამწუხარო ის გახლავთ, რომ პოლონერად ღაპარაკს მარტო მართებობა კი არა, თვით რუსის საზოგადოებაც კი გვიშლის. მახსოვე გიმნაზიაში სასტიკად აკრძალული გვქონდა სამშობლო ენაზედ ღაპარაკი არა მარტო კლასში, არამედ შინაც. მასწავლებელი და აღმზრდელები, რომ უფრო უკეთ ეგდოთ ჩვენთვის ყური, სახლში დაიარებოდნენ და ბინას გვიჩხიკავდნენ — პოლონერი წიგნები ხომ არა გაქვთო?!. სამღვთო სჯულის მასწავლებელი დაგვინიშნეს ერთხელ, სრულიად ყმაწვილი მოძღვარი; რუსულში კოჭლობდა და სიტყვა რომ შამოაკლდებოდა, ხან და ხან პოლონერად აგვისნიდა; დიდი საკლდებოდა, ხან და ხან პოლონერად აგვისნიდა — კარი ყოველთვის ღია გქონდეს, როდესაც სამღვთო სჯულის გაკვეთილი იქნება, და აბა ენახოთ, კიდევ იხმარ პოლონერს სიტყვებსაო! მართლ-მადიდებელი მღვდელი დირექტორზედ უარესი იყო: სამღვთო სჯულის სწავლების მაგივრად ის „ურ-
 არება“

ჯულო და მწვალებელი“ პოლონელების ლანძღვას უნდებოდა; ნორჩის, განუვითარებელ ნიადაგს ხვდებოდა ეს თესლი სიძულვილისა, იზრდებოდა, ვითარდებოდა პოლონელთა ეროვნების მიწის პირიდგან აღვის სურვილად და... ჩვენ რადღა უნდა გვისაყვედურებდეთ რუს-პოლონელთა დღევანდელს საზარელ განწყობილებას?

შეშინებული ბავშვი ერთობ არას კითხულობდა პოლონურს. კლასში თავის ამხანაგ პოლონელებსაც რუსულად ელაპარაკებოდა და შინაც კი—კედლებსაც ყური აქვთო—რუსულს ხმარობდა. მაგრამ ეს შიში მეხუთე—მეექვეს კლასამდე ძლივს მიჰყვებოდა: ჩავარდებოდა გონებაში, აღეძვროდა ეროვნული თვითუნობიერება, გრძნობა უსამართლობისა, თვითმოყვარეობისა... და ხშირად სიძულვილისაც.

გაათავებდა კურსს... გიმნაზიიდგან ეროვნულ შეურაცხულფის და დამცირების მეტი არა ახსოვდა რა და რა საკვირველია, რომ სტუდენტი რუსებს მორადებოდა, პოლონელთა წრეში დატრიალებულიყო და განცალკევებულიყო. აბა გაბედოს პოლონელმა-სტუდენტმა და რუს-სტუდენტთან თავის ენაზედ ხმა ამოიღოს! საკვირველი ის არის, რომ რაც უნდა მოწინავე აზრთა მიმდევარი იყოს რუსი. სტუდენტი, მაინც ვერ შეუგნია, რომ პოლონელსაც აქვს უფლება და მოვალეობა დედა-ენის სიყვარულისა.

მე ინჯინერი გახლავართ. ჩემს ქვეყანაში თავისუფალი შესაფერი ადგილი რომ ვითხოვო,—ცივად მომახლიან: ადგილი არ არისო! და მეორე დღეს იმ ადგილს ივანოვს აძლევენ, ან სიდოროვს. მე კი უნდა გადავიხვეწო ჩემი ქვეყნიდგან და ლუქმა ცური ცხრა მთას იქით ვეძიო. მეც ვიტანჯები, ჩემი ნათესავებიც, ჩემი სწორამხანაგნიც, რომელნიც შინ დარჩნენ. ვიტანჯები იმიტომ, რომ რაც უნდა კარგ ალაგას და კარგ ხალხში ჩავვარდე, მაინც მოკლებული ვარ ყოველივეს ჩემს საყვარელს და შესისხლხორცებულს. თქვენი ივანოვი ან სიდოროვი კი მიბრძანდება განათლებულს ქვეყანაში, არის თავისთვის განცხრომით და გულს მარტო ის-

ღა უბრაზებს — რატომ არ ვუყვარვარ ჩემ მიერ განდევნილის ნათესავებს და მეგობრებსათ! ღმერთს შეხედეთ, ბატონო: გვდევნით, გვტანჯავთ და თან გვისაყვედურებთ — რატომ არ გიყვარვართო!

მოთმინების მეტი რა გაგვეწყობა? ვართ ჩვენთვის გა- ჩუმებულნი და ველით, ველით, ველით... ივანოვი და სიდო- როვი კი მედიურად დაგვცერიან და „ვაი დამარცხებულ- თაო! გაიძინან... გაჭირვების დროსკი, ჩვენს გულგრილობას რომ ხედავენ, ჩვენვე გვისაყვედურებენ უმიდურობას.

**

როგორ ახასიათებენ იაზონედები თავის თაქს. იაპონუ- რი გაზეთი კოკუმინინო-ტომი ინგლისურად იბეჭდება და 1897 წლის ერთს ნუმერში ასეა დახასიათებული იპონელი ერი: ძეველი ევგიპტის, ასურეთის და შემდეგ საბერძნეთ-რო- მის და დასავლეთ ევროპის განათლება დღეს მშვიდ ოკეანის ნაპირებზედ მდებარე ქვეყნებს მოეფინა. ეგრედ წოდებუ- ლი დასავლეთის კულტურა აქ სხვა ერს და სხვა კულ- ტურის შეხვდა, სრულიად განსხვავებულს თავის ბუნებით და მიმდინარეობით. განა არის სადმე ქვეყნად იმისთანა მრე- წველი და მომთმენი ერი, როგორიც ჩინელია? ან ისეთი პროგრესსიული და დიდსულოვანი, როგორიც იაპონელია? შშვიდ ოკეანის ყველა ნაპირს ჩინელებს შეხვდებით და ყვე- ლგან იმათ ეკუთვნის ვაჭრობა და მეურნეობა. ჩინელისათ- ვის სიცოცხლე — მოქმედება და მრეწველობაა; უსაქმურად ყოფნას სიკვდილი უჩიევნია. იმდენად ცოტა უნდება ჩი- ნელს საზოგადოდ, რომ სხვა ერის კაცი სიმშილით მო- კვდებოდა; თავის სამუშავოში ისე ცოტას სჯერდება, რომ ამ მხრივ მეტოქე არ მოექცებება. ამერიკელებმა სასტიკი კანონებით აუკრძალეს ჩინელებს მისვლა და მუშაობა: ეშინიანთ, თუ ერთი შემოგვეპარნენ და ფეხი მოიკიდეს, ყველაფერს ხელთ იგდებენ და ვაი ჩვენი ბრალიო. ჩვენ, იაპონელები, ჩვენი მეზობლებივით ღარიბად ცხოვრე- ბის ვერ შევძლებთ, ვერც იმათსავით ვიმუშავებთ, ქედგაუ-

სწორებლივ, მაგრამ ჩვენ იმითი ვჯობივართ, რომ ქონებულით არ ვკმაყოფილდებით და სულ მეტის და მეტის შეძენას ვცდილობთ. საცა კი ვიპოვნით რასმე კარგს, გამოსადეგს, ჩვენსას უფარგისს ვტოვებთ და უკეთესს ვითვისებთ. ჩვენი ქვეყნის განათლება სასწაული კი არ არის, ამ ეროვნული თვისების შედევრია. დასავლეთის კულტურა ჩვენ ღირსეულად დავაფასეთ, შეესცვალეთ იგი, უკეთ რომა ვთქვათ, განვწმინდეთ, გავასპერაკეთ ჩვენი ხისიათების შესაფერად. ვაკრობით, მრეწველობით, ხელოვნებით, თუ მეცნიერებით ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ დასავლეთ ერებთან შედარებით არც ჩვენი ერია ნაკლები ნიჭის პატრონი. გარდა ამისა ჩვენი ხალხი უფრო მსწრაფლ მრავლდება და, რა არის საკვირველი, რომ იაპონიამ დაისაკუთროს მშვიდ-ოკეანის მეუფეობა, მეტადრე ჩინეთთან ომის შემდეგ, როდესაც იაპონიამ საკვირველი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა და ქვეყანას თვალნათლივ დაუმტკიცა, რომ არავის ჩამოუვარდებოდა ასე ხელოვნებაში და არც ვაუკაცობაში. ჯერ გაიკვირვეს, მერმე შეშინდნენ. ზოგი იძახის — გავფრთხილდეთ, იაპონია იარაღს ისხამის; ზოგი — იაპონიამ წაგვართვა ყველგან აღემიცემაო; ზოგს კიდევ შურით უსივდება გული. ჩვენს წინააღმდეგ მრავალი მხრიდგან დაიწყეს ყაყანი. მაგრამ ქვეყანა მარტო კავკასიის მოდგმისთვის კი არ არის გაჩენილი. შემოქმედა — თუ კი არის საღმე — სხვა მოდგმის ხალხები იმისთვის კი არ გააჩინა, რომ ყურმოქრილი ყმა და მონები იყვნენ კავკასიის მოდგმისა, და ამომავალ მზის ქვეყნის შვილებს უწმინდეს თავის დანიშნულებად გაუხდიათ, დაამტკიცონ, რომ საწუთრო შექმნილია ყველასთვის და არა მარტო ერთის მოდგმის ერებისთვის.

პროფესიონი უკიტა იმავე შურნალში ამტკიცებს, სცდებიან ევროპიელნი მსწავლულნი, რომ ისტორიულ ერებად მხოლოდ არის მოდგმისას აღიარებენ და კაცობრიობის ისტორიად მარტო კავკასიური მოდგმის ერების ისტორია გაუხდიათ: ისტორიის საგანს მთელი კაცობრიობა შეაღებენ.

რაც უნდა გაუნათლებელი, ბარბაროსული იყოს ხალხი, მისი ისტორია მაინც ფრიად საინტერესო მასალას მისცემს მსწავლულს; დაწინააღმდეგება დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, ქრისტიანობის და კერპთთა ყველის ცემისა, განათლების და ბარბაროსობისა, მოკლებულია მეცნიერულს ნიადაგს, დამყარებულია სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობაზეც და თვით სიტყვა „მოდგმა“ ვერაფერს ახსნის ისტორიაში. განათლება პირველად აზიაში აღორძინდა, აზიელებისაგან შეიძინეს იგი ევროპიელებმა, მაგრამ აქედგან ის დასკვნა კი არ გამოდის, ვითომც აზიელების მოდგმას რაიმე უპირატესობა ჰქონდეს ევროპიელებთან შედარებით. ამგვარადვე, თუ ევროპიელებმა მეტის მეტად განავითარეს აზიელთაგან შეძენილი განათლება, იმიტომ კი არა, რომ ლეთის განვებისაგან ჰქონდათ რაიმე უპირატესობა მინიჭებული; ეს იყო შედეგი გარემოებათა და საკეთილოდ მოწყობილ ბუნებრივ პირობათა. აზის კონტინენტი თავის ნოყიერი მიწით და ზომიერად-თბილ ქვეყნებით ხელს უწყობდა განათლებას; მაგრამ მერმედს მის განვითარებისთვის კი ისეთი შესაფერი არ გამოდგა, როგორიც არის ევროპა თავის ზომიერი ჰავით და ზღვის პირის ბედნიერი მოხაზულობით. მოდგმათა განსხვავებით ვერ აიხსნება ის გარემოება, რომ აზიაში დესპოტიური სახელმწიფოები შესდგნენ, და საბერძნეთში კი დემოკრატიული, რაგან დიდი ხანი არ არის მას შემდეგ—თვით ევროპა დესპოტიური სახელმწიფოებით იყო სავსე. უწინდელს დროში ერთ ძლიერ სახელმწიფოდ დესპოტიურ მართვბლობის დაუმარებლივ ვერ შესდგებოდა და დემოკრატიული წეს-ყობილება მარტო წერილმან საზოგადოებაში შეიძლებოდა, მაგ. საბერძნეთში, ან შვეიცარიის მაზრებში. დიდი ნიკის პატრიონია ამერიკელი ხალხი, მაგრამ საკეთილო გეოგრაფიულ პირობებში რომ არ ყოფილიყო, ისიც ვერ შექმნიდა დღევანდელს უდიდეს რესპუბლიკას.

იქვი არ არის, როგორც უწინდელ დროში ბერძნები და რომაელები იყვნენ, დღეს საუკეთესო მდგომარეობაში

ევროპიელი და ამერიკელი ერები იმყოფებიან. მაგრამ როგორც ახალი ევროპა იუდეით, საბერძნეთით ან რომით მოვლენილმა მცნებამ კი არ იხსნა, არამედ მათ ნანგრევებზედ აღმოცენილმა მოძლვრებამ, აგრეავე კაცობრიობის განთავისუფლება დღევანდელ ევროპის და ამერიკის საქმე არ იქნება. ისტორიკოსები დასკინიან ძველ ბერძენთა წვრილმანს უთანხმოებას და უკიიქინებენ — ერთ ძლიერ ერად ვერ შეკავშირდათ! თანამედროვე ევროპიელთ თავი მოაქვთ — ეროვნული სახელმწიფოები შევქმენითო. მაგრამ უსამართლონი ვიქწებით, ვიფიქროთ, რომ ძველ ბერძენთ არ ჰქონდათ დღევანდელ ევროპიელთა ოდენი პოლიტიკური ნიჭი. ძველი საბერძნეოს დანიშნულება სულ სხვა იყო, აწინდელი ევროპისა სულ სხვაა, როგორადაც განსხვავებულნი არიან პირობანი მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებისა. ძველ ბერძენთა დედააზრი იყო — შეედგინათ. ცალცალკე რესპუბლიკები — ქალაქებადა დაეკავშირებინათ ერთმანერთში. რესპუბლიკები შეადგინეს, მაგრამ შეკავშირება კი ველარ მოახერხეს. ევროპიელთა დედა აზრი კი ის იყო — შეედგინათ ეროვნული სახელმწიფონი და შეერთებინათ ევროპიულ კავშირით. ეროვნულ სახელმწიფოთა შედგენა ევროპამ შესძლო, როგორადაც საბერძნეთმა რესპუბლიკებისა, მაგრამ ევროპიული კავშირი კი ვერა, და მაშასადამე პოლიტიკურ ნიჭით ახალ ევროპას არაფრით უჯობნია ძველ საბერძნეთისათვის. განსხვავება მარტო ის არის, რომ ბერძნები მცირე ასპარეზზედ მოქმედებდნენ და ევროპიელნი კი — გაცილებით ფართოზედ. ეროვნული განცალკევება დღეს უეჭველ ფაქტად იქცა, მაგრამ, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, ეს განცალკევება არ შეადგენს კაცობრიობის საბოლოო მიზანს. და თუ ახალმა ევროპამ ვერ შესძლო და ვერ აღასრულო განგებისაგან მინდობილი წმინდა მოვალეობა — ევროპიელ სახელმწიფოთა დაკავშირება, ისიც ისეთივე სუსტი გამოდგება, როგორიც ძველი საბერძნეთი იყო.

ამ მხრივ იაპონია არაფრით ჩამოუვარდება უუგანათლებულეს ევროპიელ ერებს. ინდოეთი პესსიმიზ-

მით¹⁾ და იდეალიზმით²⁾ არის გატაცებული და უკვე დაპკარგა პოლიტიკური არსებობა; ეროვნულ მხრივ იგი შთანთქმულია ნირვანაში³⁾ ჩინეთი ოპტიმიზმის⁴⁾ და რეალიზმის⁵⁾ მიმკოლია, მატერიალურ სიკეთის მეტი არა აწუხებს რა და კაცობრიობის უზენაეს ბედისას არასა ფიქრობს. ამ ორ უკიდურესს მიმართულებათა შორის იმყოფება იაპონია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ შევითვისოთ სხვა ერთაგან ყოველივე, რაც კი სათნო და სასარგებლო აბადიათ. ჩვენ შევაღინეთ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო. ევროპასავით იაპონიასაც ჰქონდა ფეოდალიზმი და დღეს, როგორც ევროპას, იაპონიას აქვს კონსტიტუციური მართებლობა. მართალია, კონსტიტუცია მხოლოდ 1899 წელს მოგვანიჭეს, მაგრამ არც ევროპიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები არის აგრეთვად ჩვენსაზედ უფროსი; პოლიტიკურ თავისუფლების სურვილმა ევროპაში ნაპოლეონის დაცემის შემდეგ იჩინა თავი. დღევანდელი კონსტიტუცია ინგლისისა 1832 წ. ადრე არ არსებობდა. პრუსიამ მიიღო თავის მეფისაგან პარლამენტალური წეს-წყობილება 1850 წ. და ავსტრია-ვენგრიამ 1867 წ.

პოლიტიკურად დღეს იაპონია ეროვნულ და კონსტიტუციურ განვითარების დარგზედ იმყოფება. მაგრამ ცოტა ხანი კიდევ და უველა ევროპიელ ერებს გადაჭარბებს მრეწველობით. ინგლისი დღეს უცხო ქვეყნების ვაჭრობით და წარმოებით ცხოვრობს, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნემდე მიწათ-მომქმედი სახელმწიფო იყო და იმოდენი პური მოჰყავდა, რომ ჰყიდდა კიდეც.

როგორც მხე აღმოსავლეთს ამოდის და დასავლეთს ჩადის, ესევე დაუბრუნდა დღეს სხივი განათლებისა პირვან-

1) პესსიმიზმი—ფილოსოფიური მოძღვანება—ქვეყნად კარგი არა არსებობს რაო. 2) იდეალიზმი—ნამდილად არა არსებობს რა და ყოველივე ცარიელი მაჩვენება არისა. 3) ნირვანა—მიცვალება და შეიდეგ უკუნითი სიმშეიდე ხულისა. 4) ოპტიმიზმი—ფილოსოფიური მოძღვრება—ყაველივე საამოდ არის მოწყობილო. 5) რეალიზმი—უარყოფა ის საგანთა, რასაც ჩვენი გრძნობით ვერ შევისწავლით.

დელს თავის აკვანს. დასავლეთმა განათლება აღმოსავლეთი-საგან მიიღო ჯერ ამ სამი ათასი წლის წინად და მერმე საშუალო საუკუნოებში; და ახლა თავის ვალს სარგებლით უხდის აღმოსავლეთს. ჩინეთისაგან მიღებულს კომპასში, თოფის წამალში და წიგნის ბეჭდვაში, დასავლეთი უგზავნის აღმოსავლეთს ხომალდებს, რკინის გზებს, ტელეგრაფს. აღმოსავლეთისაგან მიღებულს ფინიკურ ანბანში, ინდიურ ციფრებში, არაბულ მეცნიერებაში, აბრეშუმის და ბამბის შემუშავებაში და სხვა მრავალ მრეწველობასა და ხელოვნებაში, ევროპა უხდის ახალ მეცნიერებათა და ხელოვნებათა ნაწარმოებით. ჩვენ გვრწამს, რომ მომავალში აღმოსავლეთი კვლავ ხელთ იგდებს თავის გავლენას დასავლეთზედ, და მით შეამზადებს ახალს ხანს კაცობრიობის განვითარებისას, ხანს უფრო სრულის, უფრო სათნოიანის და შემძლებელის განვითარებისას, ვიდრე როდისმე არსებულა ამ ქვეყნად. ახალი ისტორია დასასრული კი არ არის, დასაწყისია კაცობრიობის ცხოვრების ახალი ხანისა, როდესაც ყველა ადამიანი ერთად ერთის ერის, კაცობრიობის, სრულუფლოვან შვილად იქნება აღიარებული, და რომელთან შედარებით ძველი, საშუალო და ახალი ისტორია—ერთა შორის შურის და სიძულფილის ისტორიად-ლა დარჩება.



შინაური მიმოხილვა

კლასიური და ეროვნული ინტერესები

ამ რამდენისამე თვეს წინად ქუთაისში დაიბეჭდა ერთი პატარა წიგნი კრიტიკულ-პოლემიკურის ხასიათისა, რომელ-საც სათაურად „ოცნება და სინამდვილე“ აწერია. ავტორი ამ წიგნაკისა, ბ-ნი ა. წულუკიძე, უკანასკნელ ხანებში თანამშრო-მლობდა გაზეთ „კვალში“ და, თუ არ ვსცდები, ნაწილი ამ „კრიტიკულ წერილისა“ მან დაბეჭდა კიდეც შარშან ხსენებულ გაზეთში. თავის მიმართულებით ავტორი ეკუთვნის ესრედ წოდებულ „მესამე დასელთა“ ჯგუფს პ la დ. თოფურიძე, რომელიც 1902 წელს ხანმოკლე ვარსკვლავად მოევლინა გაზეთ „კვალს“. ამით მე არ მსურს, რა თქმა უნდა, შეუ-რაცხოფა მივაყენო ბ-ნ წულუკიძეს და ნიკისა და ნაწერის ლიტერატურულ ლირსების მხრით იგი ბ-ნ თოფურიძეს გავუ-თანაბრო. ისინი ჰგვანან ერთმანეთს აზრის „სივიწროვით“ და არა ნიკითა და წერის უნარით. ამ მხრით ბ-ნი წულუკი-ძე დიდად აღემატება თავის თანამოაზრეს.

ბროშურა, რომელიც ჩვენ აქ ვახსენეთ, საკმაოდ ცო-ცხლად არის დაწერილი. გარდა ამისა, ავტორს და ავტორის მსგავს მწერლებს დიდი გასავალი და გავლენა აქვთ ქართველ მკითხველთა ერთ წრეში. დასასრულ, თვით ის საკითხები, რომლებიც აღძრულია ამ წიგნაკში, თავის თავადაც საყუ-რადებო და საინტერესოა. ყველა ქს გარემოებანი ჩვენ სა-კმაო საბუთად მიგვაჩინა, რომ ბ-ნ წულუკიძის ნაწერი ჩვენს

„მიმოხილვა“-ში აღვნიშნოთ და მისი მთავარი იდეები, ვითარება ქართველ ახალგაზრდათა მთელი ჯგუფის აზროვნების დამახასიათებელნი, ჩვენს მკითხველებს გადასცეთ და განვუმარტოთ.

როგორც ყველამ იცის, განვითარებულ და ეკონომიურად დაწინაურებულ ხალხებში საზოგადოება სხვა და სხვა კლასებად არის დაყოფილი. თითოეულ კლასს თავისი განსაზღვრული ეკონომიური ინტერესები აქვს, რომელნიც ერთი მეორისას არ ეთანხმებიან და ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგებიან. მთავარი წინააღმდეგობა ინტერესებისა არსებობს მდიდრებსა და ღარიბებს შეუ, ქონების პატრონთა და ქონებას მოკლებულთა შორის. ერთის მხრით მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა კლასი, მეორე მხრით უმამულო მიწათმომქმედი და ქირაზე მომტავე მუშა ხალხი,—აი ის კლასები, რომელნიც, ეკონომიურ ინტერესების მხრით, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან ცხოვრებასა და საზოგადოებრივს ურთიერთობაში. ეს იქიდგან წარმოსდგება, რომ წარმოების იარაღი (მიწა, მაშინები და სხ.) ყველას არა აქვს და ამიტომ მრავალი ხალხი იძულებულია კაპიტალისტებს მიექიანოს და სხვისი იარაღის შემწეობით იმუშაოს. მაგრამ ქირა, რომელსაც იღებს მუზამელი, იმდენი არაა, რამდენსაც მისი შრომა ჰქმნის, არამედ—ნაკლები. შრომის ზედმეტი ნაყოფი რჩება იარაღის ანუ კაპიტალის მეპატრონებს. ესაა რეალური საფუძველი იმ გაცხარებულ კლასიურ ბრძოლისა, რომელსაც ვხედავთ ჩვენ დღეს ევროპასა და საზოგადოდ დაწინაურებულ ქვეყნებში. მართალია, ჩვენში საზოგადოებრივი დიფერენციაცია და კლასიური დანაწილება ისე არაა გაზრდილი და განვითარებული, როგორც იქ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი კლასები და, მაშინადამე, კლასიური ინტერესები ჩვენშიაც არსებობენ და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაზღვრულ ელფერს სდებენ. ეს მართალია.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? ნუ თუ მთელი ხალხის ანუ ერის ცხოვრება მარტო კლასიურ ბრძოლისაგან შესდგება? ნუ თუ ერში არის მხოლოდ ინტერესები კლასიური, გამთი-შველი, და სრულიად არ არის მოტივები ეროვნული, სხვა და სხვა კლასთა შემაერთებელ-გამასოლიდარებელი?

ბ-ნი ა. წულიკიძე ჰეიქრობს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ კლასიური ინტერესები არსებობს და რომ ერის ცხოვრება მარტო ამ ინტერესების თანახმად სხვა და სხვა კლასთა მოქმედებით განისაზღვრება. იგი უარპყოფს „ეროვნულ საკითხებს“ და „ეროვნულ სოლიდარობას“. მხოლოდ და მხოლოდ კლასთა ბრძოლის თეორიაზე დაფუძნებული, იგი ეკამათება „ცნობის ფურცლის“ ერთ წინანდელ თანამშრომელს და ამტკიცებს, რომ არც ერთ იმ „საეროვნო საგან-ში“, რომელიც ამ „უკანასკნელმა ეროვნულ არსებობისა და განვითარების საჭირო პირობად დასახა, ქართველ მუშა ხალხს წილი არ უდევს და ვერ დავაინტერესებთო.

„ჩვენი საზოგადოებაო,—სწერდა „ცნ. ფურცლის“, ხელ-ნებული თანამშრომელი,—ჯგუფებად დაიყო. რასაკვირველია, ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი და მიწის მომქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიკურ წინააღმდეგობაში ცხოვრობენ, ამას ვერ უარპყოფთ; მხოლოდ, ამის მიუხედავად, ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ბადავენ ნიადაგს საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის.“

მანვე ერთ თავის წერილში სამი მთავარი საგანი დაასახელა ჩვენ ეროვნულ საკითხებად, რომელთა გარკვევა და განხორციელება დასახა კველი ქართველისათვის საინტერესოდ და სასურველოდ. ესენია: ა) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ქართველობაში; ბ) საქართველოს ტერიტორიისა და სასოფლო მეურნეობის შერჩენა ქართველთა ხელში და გ)

ქართულ ენის დაცვა და მწერლობის აყვავება ჩვენში. „მიწა და ენა—სწერდა ის—ორი ძირითადი ფაქტორია ჩვენის ცხოვრებისა, მიწა და მისი ნაწარმოები—ცხოვრების ეკონომიური საფუძველია; ენა და ცველა ის, რაც ენის საშუალებით გამოიხატება (ლიტერატურა, აზროვნება და სხვ.) ცხოვრების სულიერ ანუ პსიხიურ საფუძვლად ჩაითვლება... ეკონომიურ ურთიერთობის შინაარსს შეიცავს: გლეხი და მისი დამოკიდებულება მემამულესთან, მუშა და მისი დადამიკიდებულება მრეწველთან... კულტურულ ცხოვრების შინაარსს შეადგენს: ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების განვითარება“.

ასეთი აზრის გამოთქმისათვის ეს ავტორი ბურჟუაზიის ბაირახტრად გამოაცხადეს გაზ. „კვალში“. ასევე ბურჟუაზიის ქომაგად და ბაირახტრად სთვლის მას ბ-ნი ა. წულუკიძეც.

რასაკვირველია, ერთი საქმეა რაიმე აზრის გამოთქმა და მეორე — ამ აზრის საფუძვლიანად დასაბუთება. შეიძლება, აზრი თავის თავიდ სწორე და მართლი იყოს, ხოლო მისი დასაბუთება — ყალბი და შეუწყნარებელი. ამ შემთხვევაში საჭიროა დასაბუთების სიყალბის გამოაშკარავება და არა თვით იდეის უარისყოფა. ჩვენის აზრით, „ცნობის ფურცლის“ სენებული თანამშრომელი თავის ტეზისებს აქა-იქ ყალბად ასაბუთებს და ეს ბ-ნ ა. წულუკიძეს საკმაო მიზეზად მიააჩნია, თვით ტეზისებიც სასაცილოდ აიგდოს და შეცდომად გამოაცხადოს. მაგალითად, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების შესახებ „ტეზისების“ ავტორი სწერდა: „ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში კლასთა ბრძოლის ნიაღაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არა მედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ ილორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი, ე. ი. ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღემიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობი იქნება იგი თუ თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვ-

ნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. მართალია, ამ სახელში შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თვისი კერძო ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თვისი საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე.“

ცხადია, ამ სტრიქონების დამწერს ყალბად ესმის გაჭრობა-მრეწველობის განვითარების საქმე. ეს განვითარება სრულიადაც არ საჭიროებს, რომ მუშებმა თავის ეკონომიკურ ინტერესებზე ხელი აიღონ, კაპიტალისტს ნაკლებ ქირას დასჯერდნენ და ამით ვითომ მწარმოებელის მოგება გაადიდონ. იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი უმაღლესობამდის არის განვითარებული, მუშაც ბევრად მეტ ქირას იღებს და უფრო კარგად ცხოვრობს, ვიდრე იქ, სადაც მრეწველობა განვითარების დაბალ საფეხურზეა. მაგალითად, — რომ სულ ახალი ამბავი მოვიხსენით, — ამ რამდენისამე თვის წინად ამერიკიდან დაბრუნდა გერმანიის ერთი მაღალი თანამდებობის მოხელე, ალფერდ კოლბი, რომელიც რამდენისამე თვეს უბრალო მუშად იყო ამერიკაში. მას უნდოდა თავის თვალით ენახა ამერიკის მუშათა ყოფა-მდგომარეობა. ამისთვის მან გამოიცა-ლო სახელი, ჩაიცა მუშის ტანისამოსი და შევიდა მომუშავედ ერთ ქარხანაში. ნანახი და გაგონილი მას აწერილი აქვს აა-ვის წიგნში „Als Arbeiter in Amerika“. როგორც თვითონ ამბობს, მას, ვითარება ახლად შესულს, ხელობის არმცოდნეს და გამოუცდელ მუშას, კვირაში ეძლეოდა 20 მანეთი ანუ ოვეში 80 მანეთი. გამოცდილი და პროფესიონალურ ორგანიზაციებში მყოფი მუშები თვეში ქირად 160 მანეთზე მეტს იღებენ, ამბობს იგი. ეს ისეთი ქირაა, რომელიც ჩვენში არა თუ მუშას, არამედ ბევრ უნივერსიტეტებში კურს-დასრულებულებსაც არ მოესიმრებათ. კლასიური ბრძოლა და მუშის ქირის სიდიდე სრულიად არ აბრკოლებს მრე-



წველობის განვითარებას. პირიქით, მუშის დიდი ქირა ძვრი მოტივია ტეხნიკის გაუმჯობესობისა და ხელის შემწყობია წარმოების განაყოფიერებისა. ასე რომ შეცდომა, თუ გინმეს ჰქონია, რომ ვაკრობა-მრეწველობის განვითარების მომხრეობა მოითხოვს ლოლიკურად მუშა ხალხისთვის ყმობის ქადაგებას და ამათგან საკუთარ ეკონომიკურ ინტერესების უარყოფის მოთხოვნას.

ამიტომ მწერალი, რომელსაც სერიოზულიად სწადიან სა-
გნის გარკვევა, მარტო ვიწრო პარტიულ პროპაგანდისათვის
გამოსადევ წასისინებას კი არ უნდა დაკმაყოფალდეს, რო-
გორც ამას პ-ნი ა. წულუკიძე სჩადის მუშების მიმართ: აი,
შეპხედეთ, რა ყოფილა „ეროვნული საგანი“! დღეში სამ შა-
ურად უნდა იმუშაოთ, რომ ქართველი ბურეუაზია გაზარდოთ
და გააძლიეროთო. ყმობასა და სიღატაკეს გიქადაგებენ ბურ-
ეუათა ჯიბის გასავსებადო. პირიქით, სერიოზულმა მწერალმა
საკითხი უნდა გაარკვიოს ყოველ მხრით და არ უნდა ჩასთვა-
ლოს თავისი მიზანი შესრულებულად, თუ მან თავის მოწი-
ნაალმდევებს ესა თუ ის კერძო ყალბი მსჯელობა უჩვენა.
კხადია, „ცნ. ფურცლის“ თანამშრომელი შემცდარია, რო-
ცა ამბობს, რომ მუშა ხალხმა თავის ეკონომიკურ მდგომარე-
ობის გაუმჯობესობაზე ხელი უნდა აიღოს და ამ შემთხვევაში
„კერძო ინტერესი საერთო ინტერესს“ დაუმორჩილოსო. მა-
გრამ რა გამოდის აქედან? რასაკვირველია, არა ის, რომ ვი-
თომ ვაკრობა-მრეწველობის გაზრდა-განვითარება არ შეად-
გენდეს ქართველ ერის ოლორძინების პირობას და, მაშისადამე,
ჩვენს საერთო საგანს.

თითქოს ეს ბ-ნ ა. წულუკიძემაც იცის. „კლასთა ბრძო-
ლა და ნაციონალური ოლორძინება—სწერს იგი—ერთმა-
ნეთს სრულიად არ უარყოფენ; წინააღმდევ, ორივეს ერ-
თი წყარო აქვს—ვაკრობა-მრეწველობის განვითარება — და
ერთი მეორის განვითარების პირობას წარმოადგენს. ამას
მოწმობს მთელი ევროპის ისტორია: ყველა ერები ვაკრობა-
მრეწველობის ოლორძინებამ განვითარა; საქართველოს გა-

ფანტული და დაქუცმაცებული ნაწილები ეკონომიკურად ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებამ ერთმანეთს დაუკავშირა და ეს პროცესი დღითი-დღე მატულობს, რათა ბოლოს მთელი ერი ერთ უღელში ჩააბას სამუდამოდ და ევროპის გზაზე აზია არინიოს“.

თუ ეს ასევა, მაში მართალი ყოფილი ბ-ნ წულუკიძის მოწინააღმდეგე, როცა ამბობდა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება ჩვენში აუცილებელი პირობაა ქართველ ერის ნაციონალურ წარმატებისათ.

ჩვენ აქ ვახსენებთ „ცნ. ფურცლის“ თანაშრომელს არა იმიტომ, რომ პირადად მისი დაცვა გვინდოფეს, არამედ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ბ-ნ წულუკიძეს მასთან აქვს კამათი გამართული და მისი მსჯელობა „ცნ. ფურცელში“ მოთავსებულ წერილების შინაარსთან არის შეკავშირებული. თორებ ისე არც „ცნ. ფურცლი“-სა და არც სხვა ვინმეს დახმარება არ არის საჭირო იმ აზრის დასამტკიცებლიდ, რომ ერის კულტურული განვითარება არ შეიძლება, თუ მასში არ არის შრომის საზოგადოებრივი დანაშილება ფეხ-აღმული და ვაჭრობა-მრეწველობა იღორძინებული. ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება ნიშანეს ბურუუაზიულ წეს-წყობილების გამეფებას, რომელიც, ძველ ფეოდალურ წყობილებასთან შედარებით, დიდს პროგრესს და წინმსვლელობას მოასწავებს. მთელი თანამედროვე კულტურა ევროპის სახელმწიფოებისა ამ ახალ წესწყობილების ღვიძლი შვილია. განსაკუთრებით ჩვენში, სადაც საშუალო საუკუნეების ფეოდალურ ცხოვრების ნაშები სავებით არ დანგრეულა და ჯერ კიდევ ცოცხალია, სადაც ბატონ-ყმობა, შეიძლება ვთქვათ, ჯერაც არ მოსპობილა და მოქალაქებრივ ცხოვრების პირობები არ შექმნილა, პირობები, რომლებიც როვორც ვაჭარ-მრეწველისთვის, ისე მუშისთვისაც, როვორც ბურუუასთვის, ისე პროლეტარისთვისაც სასურველი და სასაჩვენებლოა, — ასეთ გარემოებაში, ვამბობთ ჩვენ, სასაცილოა კაცს მარტო კლასთა ბრძოლა ეკეროს პირზე და არ ჰედავდეს, რომ თვით ნიადაგი ამ კლასიურ

პრემია გადასაცემის ჯერ კიდევ უფროს წილად შესაქმნელი ჰქონდა გასავითარებელია.

ჩვენი ხალხი ისეთ ისტორიულ გარემოებაში ცხოვრობდა, რომ მან ვერ შევქმა კლასი მოქალაქეთა. ცხოვრების პირობებში სხვა ტომის ხალხს შეუწყო ხელი ვაჭრობა-მრეწველობის სარჩევლზე უფრო ძლიერი და მაღალი უფრო უფრო ძლიერი და თან და თან გაედიდებია და ამ სახით სოციალურ გავლენისა და ბატონობის მპყრობელი გამხდარიყო. ეს არის უძლიერობა არა ერთი რომელიმე კლასისა, არამედ მთელი ერისა. უფროს წილად ქალაქურ და, მაშინადამე, სამრეწველო ცხოვრებაში გაბმული ქართველი არის ან პროლეტარი, დღიური მუშა, არ მექურტნე, ლაქა, მოახლე, მზარეული, წვრილი ხელოსანი, მეწვრილმანე და სხვა ამგვარი. ხოლო ისეთები კი, რომლებიც მსხვილ წარმოებას მეთაურობენ, ფაბრიკებსა და ქარხნებს პატრონობენ, ეკონომიკურ ცხოვრებას წინამდლოლობენ, სახალხო ეკონომიკის ძალის ავითარებენ, ქართველებში თითებზე არიან ჩამოსათვლელნი. ქართველ მუშის ზედმეტი შრომა, ამისაგან შექმნილი სიმდიდრე გადადის არა ქართველ კაპიტალისტის ხელში, არამედ უცხო ტომის ბურჟუას ჯიბეში; უცხო ტომის მრეწველთა კლასი ჩვენში თანდათან მდირდება და ძლიერდება, ხოლო ქართველს ლატაკ პროლეტარიად ყოფნა დამახასიათებელ ბეჭედად ედება. ქართველის შრომა და ნაწარმოები ემატება უცხო ხალხს, რომელიც ამ შენაძენს ჰეთარჯავს შვილების გამოზრდაზე და თავის ცხოვრების კულტურულად მოწყობაზე. ამის გამო იზრდება მასში გონებრივი ძალა და ხალხოსნური თვითუნობიერება, იღვიძებს მწერლობა, ვრცელდება სკოლა და სწავლა-ცოდნა, მწიგნიბრობა, უურნალ-გაზეთობა, ერთის სიტყვით ერი ვითარდება კულტურულად,—მაღლდება გონებრივად და სულიერად, ემატება ეროვნული მადა, თავმოყვარეობა და თავმომწონეობა... დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთმა მათმა გაზეთმა მთელს ქართველობას ლაქიების სახელი გვიწოდა

და ჩვენი მოსამსახურებად აყვანა თავის მხრით ღვაწლად
დასახა და კიდეც წამოვაყვედრა...

და ამ დროს ჩვენს ახალგაზღებში მოიპოვებიან ისეთი,
რომელნიც ამტკიცებენ და ჰქადაგებენ, რომ ჩვენთვის სულ ერ-
თია, საქართველოში ვაქარ-მრეწველი ქართველი იქნება, თუ
სხვა გარეშე, უცხო ტომისაო. ჩვენ გვაინტერესებს კლასიური
ბრძოლა და მუშის ქირა და არა ის, თუ მრეწველი ვინ არის
და რა ეროვნებისაო. მართალია, მუშისთვის სულ ერთია,
ათ შაურ ქირას ვისგან მიიღებს იგი,—ქართველისგან ალებუ-
ლი ათი შაური სომხის გინდ რუსის ათ შაურზე მეტი არ
იქნება, მაგრამ ნუ თუ ამ საფუძვლით მისთვის სულ ერთი
უნდა იყოს, საქართველოში უცხონი იქნებიან ეკონომიკურად
გაბატონებულნი თუ ქართველი ბურჯუაზია? რომ ეს სულ
ერთი არაა, ამას პრატიკულ ცხოვრებაშიაც ხშირად ჰგრძნობს
ქართველი მუშა და ქართველი ინტელიგენცია, მიუხედავად
იმისა, „კლასიურ ბრძოლის“ მაღიარებელია იგი, თუ არა.
საკმარისია გაეიხსენოთ მთელი გროვა ქართველ ასე თუ ისე
ინტელიგენტებად მისაჩენ ახალგაზღებისა, რომლებსაც სავა-
ჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა კანტორების კარგი
ყველგან დაკეტილი ჰხედებათ და ცხოვრებაში ლუკმა პური
ვერ მოუპოვებიათ. ევროპაში „პროლეტარ ინტელიგენციის“
არსებობა შედეგია ეკონომიკურ ცხოვრების განვითარებისა;
ჩვენში კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ასეთივე მოვლენა გამოწვეუ-
ლია საზოგადოდ ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობით
და განსაკუთრებით ქართველებში მრეწველ-კაპიტალისტთა სი-
მცირით. ბ-ნი ა. წულუკიძე გვამშვიდებს, „კლასთა ბრძოლა“
მოსპობს ერთ დროს როგორც კლასობრივ დანაწილებას, ისე
ერთი ერის მეორე ერზე სოციალ-პოლიტიკურ ბატონობას
და ქართველი ერის მსწრაფლი აღორძინებაც მაშინ გაჩაღდებათ.
მართლაც, რას დავდევთ აწმყოს, თუ საზოგადოებრივი შრომით
შექმნილი სიმდიდრე მერმისში გასაზოგადოებრივდება და ჩვენ-
ვე დაგვიპრუნდება!.. კარგი იმედია, მხოლოდ საკითხი ესაა:
თუ მანამდის პავლეს ტყავი შერჩება...

რა თქმა უნდა, ბ. ა. წულუკიძეს და მის თანამოაზრებს ჩვენ ვერ მოვთხოვთ, — ქართველი კაპიტალისტები გამრავლეთა და ქართველებში ვაჭრობა-მრავალობა აღორძინეთო. არც მე და არც „სინამდვილის“ ავტორს ეს არ შეგვიძლია და ამიტომ თითქოს მთელი ეს კამათი პრაქტიკულად უაზრო და უშედეგო ჰქონდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ რაიმე პრინციპის მარტო იდეიურადაც ცნობასა და აღიარებას თავისი მნიშვნელობა აქვს, რომელიც არა იშვიათად კერძო შემთხვევებში პრაქტიკულადაც გამოიხატება... იდეიური სოლიდარობა ისეთ საკითხში, რომელიც ხალხოსნობის იღორძინებასა და წარმატებას შეეხება, ჰმატებს ერს ზნეობრივ ენერგიას და ძალას. ცნობა და შეგნება ისეთ საერთო პრინციპისა ლოლიკურად გამოიწვევს სოლიდარულ გონიეროვ მუშაობას ბევრ ისეთ სფეროში, რომელსაც საზოგადო კულტურული ხასიათი აქვს და რომელიც ჩვენისთანა პატარა ერს, გარდა „კლასიურ ბრძოლისა“, ასე დიდად ესაჭიროება.

სამწუხაროდ, ეს ორი სიტყვა — „კლასიური ბრძოლა“ — ბევრს ჩვენში დღეს ერთგვარ თილისმად აქვს მიჩნეული, რომელიც საკმარისია დაისწავლო, რომ ყველა ჩვენი შინაური საკითხები მოსხლეტით მოსჭრა და გაარკვიო. სრულებით საკირო არა თურმე ადგილობრივ გარემოებათა აწონ-დაწონვა და განსხვავებულ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობის გათვალისწინება. ბ-ნი წულუკიძე ისეთ „აჩქარებულ“ მსჯელობის მაგალითს წარმოგვალებებს არა მარტო აქ იღნიშულ საკითხში, არამედ სხვაშიაც, რომელსაც ასევე პრინციპიალური ხასიათი და კიდევ მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს სავანია ტერიტორიის ჯდაცა და საქართველოს მიწა-წყლის შერჩენა ქართველების ხელში.

დღეს ყველ შეგნებულ ქართველის დამაფიქრებელ და საჭირობორო საგანს ეს საკითხი შეაღენს. ყველანი ვხედავთ, რომ ქართველ თავად-აზნაურობის მამულები დღითი-დღე უფრო და უფრო ვალიანდება. ხშირია მამულების გაყიდვა და მათი ფალიან უცხო ხალხის ხელში გადასვლა. ქართველებს

ტერიტორია გვეკარგება და ხალხოსნობის ერთი მთავარი სა-
 ფუძველი და ნიადაგი გვიმცირდება. „საქართველოს მამულე-
 ბის უცხო ხალხის ფლობელობაში გადასვლა—ვწერდით ჩვენ
 ერთ წინანდელ წერილში—ისეთი დიდი და საყურადღებო
 საგანია, რომ ყველის უნდა გვაფიქრებდეს და სამოქმედოდ
 გვიწვევდეს. ამას აქვს მნიშვნელობა როგორც ეროვნული,
 ისე სოციალ-ეკონომიკური. ქართველთა მამულები და მიწა-
 წყალი გადადის სხვების ხელში, მაშინ როდესაც ჩვენი გლე-
 ხობა, მიწის სიმცირის გამო, აუტანელ მდგომარეობაში იმყო-
 ფება. მას არ აქვს არც შეძლება, არც ცოდნა და გამოცდი-
 ლება, რომ ის მამულები, რომლებსაც ბანკები თუ თავად-
 აზნაურნი ჰყიდიან, შეისყიდოს და თავის საკუთარ საჭარმო-
 ვო იარაღად გაიხადოს. გასაყიდი მამულები ჩვეულებრივ
 ფართო სივრცისა და დიდი ფასისა; ერთ ან ორ გლეხს არ
 შეუძლია მათი შეძენა, ხოლო ბევრთან ერთად შემხანაგება
 და ყიდვის სხვა-და-სხვა ფორმალურ მოთხოვნილებათა შესრუ-
 ლება ეძნელება და არ ეხერხება. აქ საჭიროა კერძო თაოს-
 ნობა და შეგნებულად მოქმედება, საჭიროა ენერგიული მუ-
 შაობა და კერძო პირთა შეერთებულის ძალით ამ დიდი საქ-
 მის მოწყობა და მოგვარება. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად
 მიგვაჩნია, რომ ჩვენში დაარსდეს კერძო ამხანაგობა ან საზო-
 გადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდეს მემამულეთა და ბანკე-
 ბისაგან მიწების შეძენა, მათი დაყოფა-დანაწილება და შემ-
 დეგ გლეხებისათვის მიყიდვა“.

ამ საგანზე, ჩვენს გარდა, ბევრ სხვასაც უფიქრია და უწერია
 ჩვენს მწერლობაში. ამავე საგანზე უწერია და საზოგადოე-
 ბის ყურადღება მოუქცევია იმ მწერალსაც, რომელსაც ბ-ნი
 წულუკიძე ეკამათება. „დავეხმაროთ, სწერდა თურმე იგი,—
 გლეხებაც მიწის შეძენის საქმეში; რაც მან ვერ შეი-
 ძინოს, შევურჩინოთ მიწა დანარჩენ ქართველობას. ამ განზრა-
 ხვით საჭიროა ჩვენში სპეციალურ ბანკის დაარსებათ.“ თით-
 ქოს ეს ისეთი საგანია, რომ ამისთვის მეცადინეობა და სა-
 ქმის სისრულეში მოყვანა ყველა ქართველისათვის სასურვე-

ლი და თანაგრძნობის ღირსი უნდა იყოს. მაგრამ ასე არ უცხოერის ამ საკითხს ბ-ნი წულუკიძე. იგი, ვითარცა „სინა-მდვილის“, მომხრე ფილოსოფოსი, ამგვარ „პატრიოტულ“ განზრახვას „ოცნებად“ და უნიადავო ჩხირკედელაობად სთვლის.

„აგრძარული კათხვა, —სწერს იგი, —ჩეენ ფრიად რთულ და სირიოზულ კითხვად მიგვაჩნია და მისი გადაწყვეტა და-წვრილებით გამოკვლევას მოითხოვს. ამიტომ ამ უამად შეუძლებლად მიგვაჩნია (ოღონდაც!) სტატისტიკურად ჩვენი სოფლის ცხოვრების ვითარების გამორკვევა. ამისთვის საჭირო მასალაც არ მოგვეპოვება (აპა!) და რომ იყოს კიდეც, ის ცალკე გამოკვლევის საგნად უნდა გახდეს. ჩვენთვის ამ უამად საქმია, მსჯელობის თეორიულ მხარეს ოდნავ შევეხოთ, რათა აგებული ოცნების კოშკი დაინგრეს და სინამდვილის მსხვერპლი გახდეს.“ ასე რიხით ლაპარაკობს ბ. წულუკიძე მაშინ, როცა მას არც „საჭირო მასალა მოეპოვება“ და არც „ჩვენი სოფლის ცხოვრების სტატისტიკურად გამოკვლევა შეუძლია“. რასაკვირველია, ფაქტებისა და სტატისტიკურ ცნობების შეკრება-აღნუსხვა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე „თეორია“-ის გადასკუბება, განსაკუთრებით. თუ „თეორია“¹ ისეთი ლირსებისაა, როგორიც ამ შემთხვევაში ბ-ნ წულუკიძის ნაწერში გვხვდება. იგი სწერს სიტყვა-სიტყვით: „ყველას ქარგად მოეხსენება, თუ როგორ აამოძრავა ეკონომიკურმა სივიწროვეშ ჩვენებური გლეხები: სვანი. რაჭველი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მიერეკებიან ქალაქებისაკენ და ადგილს დაედებენ. დიახ, შინ საცხოვრებელი არ ყოფნის და სხვაგან მიღის, ხოლო რაც აქვს სოფელში ისიც არ არის ყოველთვის უზრუნველყოფილი“. ეს ისეთი „თეორიაა, + რომელიც ბავშვმაც კი იცის.

ჩვენც „მოგვეხსენება,“ რომ ხალხი მრავლდება, მამული არ ჰყოფნის, ქალაქებში სამუშაოდ მიღის და აქ, მრეწველობის განუვითარებლობის გამო, ხშირად ადგილსა და ლუკმა პურს ვერ შოულობს. ამავე დროს ქართველთა მამულები იყიდება და

უცხოთა ხელში გადადის. ქართველი ელემენტი იქელება სოფლადაც და ჰერგავს უცხო ხალხის სასარგებლოდ ნიადაგს. და, აი, მწერლობა ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას და საზოგადოების ურჩევს: ვიღონოთ რამე, როგორც ეს სხვა ქვეყნებში უქმნიათ, დავაარსოთ რაიმე საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც მიზნად ჰქონდეს, ქართველ გლეხებს დახმაროს და მამული შეაძნინოს. მწერლობას სხვა არა შეუძლია რა, გარდა საკიროების აღნიშვნისა და რჩევის მოცემისა. ჩემის აზრით, ეს რჩევა სასარგებლოა და მისი აღსრულებისათვის ზრუნვა გამოსალებია; სხვა ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამგვარ დაწესებულებათ იქ დიდი სარგებლობა მოუტანიათ.

ბ-ნი წულუკიძე უარტყოფს ამ სარგებლობას და ამბობს, რომ რუსეთში საგლეხო ბანკმა, რომელსაც მიზნად აქვს მამულების შეძენაში გლეხებისათვის კრედიტით დახმარების გაწევა, რუსის გლეხობას მხოლოდ ზარალი მოუტანაო. ძნელია ისეთ კაცთან კამათი, რომელსაც შრომა არ მიუღია წესდება მაინც გაეცნო იმ დაწესებულებისა, რომელსაც უარტყოფს და ვნების მომტანად აღიარებს. მისი სიტყვით, სესხის გამტანთაგან საგლეხო ბანკისთვის მისაცემი პროცენტი შეადგენს თურმე „ $8\frac{1}{2}$ -ს მოკლე ვადით ($24\frac{1}{2}$ წლ.)“ და $7\frac{1}{2}$ -ს გრძელი ვადით ($34\frac{1}{2}$ წლ.)“. ეს ციფრები თავიდან ბოლომდის შოკორებულია. საგლეხო ბანკი $24\frac{1}{2}$ და $34\frac{1}{2}$ წლის ვადით სესხს არ იძლევა. მისი ვადებია: 13, 17, $26\frac{1}{2}$, $38\frac{1}{2}$ და $51\frac{3}{4}$ წელიწადი. სესხის სარგებლად ბანკი იღებს წელიწადში $4\frac{1}{2}$ %-ს და ბანკის ხარჯების დასაფარავად $10\%_0$ -ს. გარდა ამისა იგი ახდევინებს მოვალეს, რასაკვირველია, სესხად მიცემულ თანხას წლიურ პროცენტობით. 17 წლით აღებულ სესხში მოვალე იხდის სულ წლიურად $9\frac{1}{2}$ %-ს, ხოლო გრძელ ვადიან სესხში ($51\frac{3}{4}$ წლ.) $6\%_0$ -ს (და არა $7\frac{1}{2}\%_0$ -ს).

„რა გააკეთა ამ ბანკმა რუსეთში?“ კითხულობს -ნი წულუკიძე და ასეთ პასუხს იძლევა: „მამულების ყიდვა ამ ბანკის შემწეობით სრულიად საზარალოა. ეს ბანკი ისეთივე კომერციული დაწესებულებაა, როგორც ყველა სხვა ბანკები,

1897	წელს	13 ⁰ /0	ცყვ.	უმატებოლო	და	56 ⁰ /0	მზოლოდ	ნადელის	პატრონი
1898	"	14 ⁰ /0	"	"	"	61 ⁰ /0	"	"	"
1899	"	13 ⁰ /0	"	"	"	67 ⁰ /0	"	"	"
1900	"	12 ⁰ /0	"	"	"	62 ⁰ /0	"	"	"

თქვენ ჰედავთ, რომ ბანკით მოსარგებლენი „ყოველობის შეძლებული გლეხები“ არ ყოფილან. ბანკის საშუალებით მიწის შემზენ გლეხებს ჰქონდათ კომლზე საშუალო რიცხვით:

1897	¶	3,9	დენ.	სექტემბრის	აღებამდის	და	11,3	დენ.	სექტემბრის	აღების	შემდგ.
1898	"	6,0	"	"	"	"	13,1	"	"	"	"
1899	"	5,7	"	"	"	"	11,5	"	"	"	"
1900	"	6,1	"	"	"	"	13,1	"	"	"	"

ამ სახით ამ გლეხთა მიწათ-ფლობელობა გადიდდა 1897 წ.—189⁰%-ით, 1818 წ.—118⁰%-ით, 1999 წ.—101⁰%-ით და 1900 წ.—101⁰%-ით.

ბ-6 წულუკიძეს წაუკითხებს ერთი წერილი ქ. ც.—ვხისა, დაბეჭდოლი 14 წლის წინად „СЕВ. ВѢСТИКЪ“-ში, დასეთ „მომზადებას“ იგი სკამარისად სთვლის, საგლეხო ბანკის 20 წლის მოქმედება გაარკვიოს და მისგან მოტა-

ნიღი ზარალი ანუსხოს. მაგრამ რუსულ სტატიის ავტორი არსად არ ამბობს, რომ ვითომ საგლეხო ბანკის კლიენტები „ყოველთვის შეძლებული გლეხები“ იყვნენ. მის წერილში ნათევამია (№ 8, გვ. 7), რომ 1885—1888 წლებში ბანკიდან სესხის გამტან გლეხებში 47% — 28% იყო უმამულო ან მცირე-მამული: ნი, 29% — $35,82\%$ საშუალო ქონების გლეხობას შეადგენდა, ხოლო დანარჩენი $23,7\%$ — $36,1\%$ უფრო მსხვილ გლეხობის კატეგორიას ეკუთვნოდათ. და ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ ბანკი „ყოველთვის შეძლებულ“ გლეხებს აძლევდეს სესხს და მცირე-მამულიანებს კი არ ეხმარებოდეს.

ჩ. ყ.—ვ. ი უსაყვედურებს საგლეხო ბანკს, რომ ივი გლეხებს იმდენ სესხს არ აძლევს, რამდენიც საჭიროა მიწის პატრონისთვის სრულად ფასის გასასწორებლადათ. მას მოჰყავს ცნობები, რომელებიც ავტკიცებს, რომ აღებულ სესხზე გლეხებს უხდებათ ფულის დამატება მიწის გამყიდველთა გა-სასტუმრებლად. მისი სიტყვით, ეს დასამატი შეადგენდა 1884 წელს სესხის $13,56\%$ -ს, 1885 წ.— $16,93\%$ -ს, 1886 წ.— $18,26\%$ -ს, 1887 წ.— $18,58\%$ -ს და 1888 წ.— $21,68\%$ -ს. ამ „დასამატის“ მოხერხება კი მხოლოდ იმ გლეხებს შეუძლიათ, რომელნიც უფრო შეძლებულნი არიან, ამ ნაირად ბანკი შეძლებულთა დამხმარე გამოდისო. „მთავრობა რომ იკისრებდეს ხარჯს,—ამბობს ივი,—რომელიც საჭირო იქნება ზარალის დასაფარავად, და ამით შეძლებას მისცემდეს ბანკს ოპერაციებში ნაკლები „სიფრთხილე“ და მეტი გაბედულობა გამოიჩინს, იმ შემთხვევაში ბანკის მოქმედება უფრო დაუახლოვდებადა იმ დანიშნულებას, რომელიც უდევს მას საფუძლოად“. ერთის სიტყვით, წერილის ავტორი თხოულობს, რომ ბანკმა გაადიდოს გასაცემ სესხის ნორმა, ამით მოსპოს დად „დასამატის“ საჭიროება და ამგვარად ლარიბ გლეხებს გაუადვილოს მამულების შეძენა.

მას შემდეგ 1.4 წელიწადი გავიდა. ბანკის ძელი „წესდება“ შეიცავს, ბანკმა „გაბედული“ ოპერაციები დაიწყო და გლეხთა მიწათ-ფლობელობა შესამჩნევად გაადიდა. მაგრამ ამ

ოპერაციების გადიდებამ, რომელიც ნიშნავს საყიდლად მიწის მოთხოვნილების გადიდებას, რამოდენიმედ ხელი შეუწყო მიწის ფასების ზრდას და მოხერხებული ნიადაგი მისცა სპეცუ-ლაციას. ამიტომ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი რუსის მწერლები წინანდელის სულ წინააღმდეგ საყვედურს ეუბნებიან ბანქს. ისინი ამბობენ, ბანკმა ოპერაციები ნამეტნავად გააფარ-თოვა, სესხს ხელგაშლილად იძლევა და სპეცულაციას ფრთებს ასხაშო. ასეთი ხასიათისაა, მაგალ., ვაროპანოვის წერილი, რომელიც ბ. თოფურიძემ შარშან უკრიტიკოდ გაღმოსწერა „კვალში“. ამ აზრსვე იძეორებს ბ-ნა წულუკიძეც: „გლეხები ბანკის შემწეობით მიწებს გადიდებულ ფასებში ყიდულობენ. ამის მიზეზი ის არის, რომ მიწის მოთხოვნილება ბანკის წყა-ლობით მატულობს, სოფლის სხვა წოდებათა წევრნი და ჩარ-ჩები თავისი მეტოქეობით ასწევენ მიწის ფასს და ამნაირად მიწის მყიდველი უფრო მეტს იხდის ბანკის წყალობით, ვიდრე უბანკოდ გადაიხდიდა.“

ვინც კოტათი მაინც ჩახედულია ეკონომიკურ საკითხებ-ში, ეცოდინება, რომ საგლეხო ბანკი არ არის ერთად ერთი და არც მთავრი მიზეზი მიწის ფასების აწევისა. ჩვენში სა-გლეხო ბანკი არ არსებობს, მაგრამ მიწის ფასის ზრდა საკვირ-ველის სისწრაფით სწარმოებს. ასე სხვაგანაც. 1860 წლიდან 1883 წლამდის მიწის ფასმა იმატა ჩერნიგოვის გუბერნიაში $151\%_0$ -ით, ხარკოვისაში— $171\%_0$ -ით, პოლტავისაში— $203\%_0$ -ით (იხ. სემიონოვის „Россия“ ტ. VII, გვ. 139). ეს ის დრო იყო, როცა საგლეხო ბანქს ვერავითორი გავლენა ვერ ექნებოდა, რადგან არ არსებობდა. მიწის ფასების ზრდას, ერთი კი არა, მრავალი მიზეზები იქვე. მიწის ფასი დიდება, როცა, მაგა-ლითად, მიწა ნაყოფიერდება, წარმოების ტენიკა უმჯობეს-დება, მოსავალი იზრდება, ბაზრის პირობები მწარმოებლისთვის ხელსაყრელი ჰქდება. რუსეთის ოფიციალური სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ უკანასკნელ 15 წელიწადში მიწის მოსავალს რუსეთში თვალსაჩინო ზრდა და მატება ემჩნევა. საშუალო მოსავალი იყო დესეტინაზე (ჩეთვერთი):

თავად-ზენაურთა მიწებზე:				გლეხების მიწებზე:				
	კვავი	შერია	პური	კვავი	შერია	პური	მერი	
1886—1890 წ.წ.	5,25	7,75	4,75	6,00	4,50	6,75	4,25	5,50
1891—1895 „	5,75	8,75	5,25	6,50	5,00	7,25	4,75	5,75
1896—1900 „	6,75	9,00	5,50	7,00	5,75	7,75	4,75	6,00

(იხ. Сводъ статист. свѣд. по сельск. хоз. Россіи). შეიძლება, მოსავლის ასეთ ზრდას თავისი გავლენა ჰქონდეს მიწის ფასებზე. გარდა ამისა უკეველი გავლენა აქვს ხალხის გამრავლებას, მრეწველობის შედარებით ნელ განვითარებას, ფულის სიიაფეს და ბევრ კიდევ სხვას. ყველა ამ გარემოებებში საგლეხო ბანკი ერთი მიზეზთაგანია, რომელიც ხელს უწყობს მიწის ფასების აწევას. მაგრამ ეს ფაქტი საკმარისი არაა, რომ ბანკის სასარგებლო მნიშვნელობა ვინმემ უარჲყოს და მისი მოქმედების შედეგად მარტო ზარალი და ვნება გამოაცხადოს. როგორც ვთქვით, მოთხოვნილებას ზრდის და მიწის ფასს აღიდებს ხალხის გამრავლება, მაგრამ რას იტყოდით იმ კაცზე, რომელიც ამის გამო გლეხებს მაღტუსის თეორიის ქადაგებას დაუწყებდა?

რასაკვირველია, რუსეთის საგლეხო ბანკის ორგანიზაციაში არა ერთი და ორი ნაკლი მოიპოვება. სასოფლო მეურნეობის კომიტეტებმა შარშან სიჯაროდ აღიარეს ეს ნაკლულევანებანი და მოითხოვეს მათი მოსპობა და გლეხების სასარგებლოდ ხსენებულ დაწესებულების გაუმჯობესება. (იხ. უმაღლესად დამტკიცებულ საბჭოს მიერ წელს გამოცემული „ველევლადენიე“ სოსნოვსკისა). და ბ-ნი წულუკიძე მართალი იქნებოდა, რომ მარტო ამ ნაკლებზე გვითითებდეს. მაგრამ, როგორც იცით, ნაკლის ორნუსხვა სულ სხვაა და საგნის პრიციპიალურად უარისყოფა — კიდევ სხვა.

ყოველ შემთხვევაში, ნაკლულევანია საგლეხო ბანკი თუ უნაკლულო, ჩვენ მაინც მას არავინ გვაძლევს და, მაშასადამე, ჩვენს გლეხების „ზარალის“ საფრთხე არ მოელის. „მოამბის“ თებერვლის ნომერში ჩვენ გავაცანით მკითხველებს ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი, რომლიდანაც ჩანს, რომ მთაცრობას

რუს გლეხთა დასახლების საქმას მოსაწყობად უნდა ჩვენში სა-
გლეხო ბანკის განყოფილების დარსება. სანამ ეს მოხდებო-
დეს, სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი ვალდებულია, სა-
ქართველოს ის მამულები, რომელნიც მას საჯარო ვაჭრობით
დარჩენია ან შემდეგში დარჩება საკუთრებად, გაღმოსახლებულ
რუსის გლეხებს მიჰყიდოს და არა ჩვენს გლეხობას. და ასეთ
დროში, ამ გვარ ფაქტების ხანაში ბ-ნი წულუკიძე გულდა-
შვილებულად მოკახესენებს: „სურვილი ვერ წინააღმდეგია
ეკონომიკურ განვითარებასო“, და დარწმუნებულია, რომ ამით
ქართველ ხალხს კუთხის ასწავლის და თვითცნობიერების გზა-
ზე აყენებს...

ამ სახით, ბ-ნმა წულუკიძემ უარპყო ვაჭრობა-მრეწველო-
ბისა და ეკონომიკურ ილორძინების საერთონო ინტერესი და
მნიშვნელობა, უარპყო ტერიტორიის დაცვის საკითხი, რო-
მელიც, მისი სიტყვით, მიკარებისათანავე „სანამდვილის მსხვე-
რპლი“ ჰქონდება. ჩვენ ვნახეთ,—რა საბუთებით და რა ავლა-დი-
დებით. მარამ ყველა ეს არაფერია შედარებით იმ „მოძღვრება-
სთან“, რომელსაც შეიცავს ჩვენი ავტორის წიგნი ენის საე-
რთონო მნიშვნელობის შესახებ. და ჩვენ ამ წერილის წერა უფ-
რო იმიტომ დავიწყეთ, რომ განსაკუთრებით ამ „მოძღვრება-
ზე“ მიგვექცია ჩვენი მკითხველის ყურადღება.

ჩვენ, უბრილო მომაკვდავებს, დედა-ენა და დედა-ენაზე
ალორძინებული მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება და სხვ.
ისეთი საგანი გვვინია, რომელსაც ქართველ ერის ყველა კლა-
სებსა და წოდებათ ძვირფასად უნდა მიაჩნდეთ, რადგან უამი-
სოდ შეუძლებელია ქართველი ხალხის სახოვალოებრივი და
კულტურული განვითარება. ბ-ნი წულუკიძე ამ შემთხვე-
ვაშიაც სხვა აზრისაა. „იმის თქმა, რომ ენა, ლიტერატურა ყვე-
ლასთვის ერთნაირად ძვირფასი და საპატრიონოა, არაფერს არ
არკვევსო,—გვასწავლის იგი. ეს მხოლოდ შაბლონური აზრის
განმეორებაა, რომელსაც საზოგადოებრივი თვითცნობიერები-
სათვის არავითარი სარგებლობა არა აქვსო“.

გავიცნათ თვით ბ-ნ წულუკიძის „თქმა“, რომელიც ას-
 საკვირველია, „შაბლონური“ არაა და „საზოგადოებრივი თვით-
 ცნობიერებისათვისაც“ ნამდვილი „სარგებლობის“ წარმომად-
 გენელია. „ქართველ ბურუუზისათვის—განაგრძობს ის—ქარ-
 თული ენა აუზილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს: მართლ-
 მსჯულებას იგი სხვა ენაზე დაეძებს, მეცნიერებას სხვაგან ეწა-
 ფება, უპრალი სავაჭრო რეკლამებასაც კი სხვა ენაზე სწერს.
 მისი ოჯახიდან ქართული ენა სრულიად განდევნილია, ვით
 „არა დადაცური“ ენა. მის ბავშვებს ევროპიელი „გუვერ-
 ნანტკები“ თავს ცელებიან; მხოლოდ საქველ-მოქმედო მიზნით
 თუ იშერენ რომელიმე ქართულ გაზეთს,—ისიც ხშირად გა-
 უსხსნელი დევს სამწერლო მაგიდაზე .. ერთის სიტყვით, ქარ-
 თული მათთვის ფუფუნებას შეადგენს... ქართველ ბურუუს-
 თვის ქართული ენა საარსებო კითხვას არ წარმოადგენს: ყი-
 ღულობს უცხოელისაგან, ჰყიდის უცხოეთში; შინაური ბაზა-
 რიც არა თხოულობს მისგან ქართულის ცოდნას ზედმიშევნით.
 შეილი ქართული ენის ცოდნით მოხელე ვერ გახდება; თავი-
 სუფალი პროფესიები: ვექილობა, ექიმობა და სხვ. უცხო ენის
 ცოდნას უფრო მოითხოვნ და რამდენად უფრო მეტს უცხო
 ენაზე მეცადინებოს, იმდენად უკეთესი სპეციალისტი ჰქდება.
 მეცნიერი, შთამომავლობით ქართველი, მეცნიერულ ნაწარ-
 მოებს უცხო ენაზე სწერს, და თუ ვინმე პატრიოტულის მო-
 საზრების გამო ქართულ ენაზე მეცნიერული შრომა დასწერა,
 წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თაროებზე წლი-
 დან-წლიამდე ხელუხლებლად იჩინჩება.

„თუ ევროპაში ბურუუზია იყო ერის სულიერი სიმდიდ-
 რის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი
 იქნება,—ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებ-
 რივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტეირთი
 აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასავლეთელი თანამოძმე-
 ბის ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედ-
 როვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმავითარე-
 ბელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი

ერის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირატრე და მან უნდა გააკეთოს დიალი „საერო - საქმე! ბევრს ეს სიტუვები, ვიცი, ლიმილს მოჰვერის; ბევრისთვის გაუგებარია ხალხის ახეთი სიძლიერე, რაღან მათი „არისტოკრატიული სინაზე“ ვერ შერიგებია მუშის ტლანქ შეხედულებას, ვერ გაუგია, რომ მის ღარიბ ტანისამასში გახვეულია ძლიერი ძალა და ამიტომ მათთვის ოცნების სამეფო დაგვილოცნია, რაღან მდიდრულად მორთულ სალონებში ღარიბზე ფიქრს აბა რა გემო ექნება! ჩვენ კი ისევ სინამდვილეს მივანდობთ ჩვენს მომავალს და ამ „ხალხზე“ ავაგებთ ჩვენს „იმედს“. ჩვენი „ხალხი“ ქართულ ენაზე ლებულობს პირველდაწყებით საზრდოს გონიერისას, ამ ენაზე უზიარებს თანამომექებს თავის ჭირ-ვარამს, მისს ოჯახში ქართული ენაა გამეფებული, ის აწყდება თეატრის კარებს ქართული წარმოდგენების დროს, სულგანაბული ყურს უგდებს ქართველ „ლექტორს“ და ამიტომ „სახალხო მოღვაწეობაც“ თავიდანვე ხალხის საქმედ ჰქონდება ჩვენში“.

ეს გახლავთ ბ.ნ წულუკიძის „არა შაბლონური“ აზრი. მთელს ამ მრავალსიტყვაობაში ორი მთავარი და ასე თუ ისე გასაგები აზრია გამოთქმული. პირველი ისა, რომ ქართველ ბურჟუაზიაში (და „ბრწყინვალე“ წოდებაში, დავუმატებთ ჩვენ) უცხო ენის ხმარება და ქართულის აბუჩად აგდება ხშირი მოვლენაა, და მეორე—რომ დაბიო ხალხი მტკიცედ დგას დედა-ენაზე, რაღან ერთად ერთი ქართული ენა შეაღებს მის-თვის საზოგადოებაში პსიხიურ ურთიერთობის გამოხატვის სახსარს და ამიტომ ქართული გაზრდი და წიგნი უფრო ვრცელდება და მკიონველს პოულობს ამ დაბიო ხალხში, ვიდრე ბურჟუაზიასა ან „ბრწყინვალე“ წოდებაში“. მართალია, ბ.ნი წულუკიძე ისე ლაპარაკობს ქართველ ბურჟუაზიაზე, თითქოს ინგლისში ან გერმანიაში იყოს. მთელ საქართველოში არ მოიძებნება ათოოდე ისეთი ბურჟუა, რომელთაც ოჯახებში „გუვერნატკები“ ჰყავდეთ დაქირავებული. მართალია, ჩვენი „გარეშე პირობები“ ისეთ მიზეზად მიაჩნია მას, რომელნიც იწვე-

ვენ და ვითომ აუცილებლადაც უნდა იწვევდნენ ქართველ ბურუუაზის მიერ ქართულ ენის მოძულებას. აეწყდება ან ვერ ამჩნევს, რომ ჩვენისთანა „პირობებში“ მცხოვრებ ხალხთა ბურუუაზია და უურუუაზიული ინტელიგენცია (მაგალ., სომხების, პოლონელების) სრულებითაც არ ივიწყებს თავის დედა ენს; ეს ჰედება იმის წყალობით, რომ მათ შეგნებული აქვთ ეროვნული იდეა და ნაკლებ სწამთ წულუკიძისებური „თეორია“. მაგრამ, მიუხედავად იმისა, ჩვენი ავტორის აქ აღნიშვნული ორი აზრი, *cum grano salis*, სინამდვილეს ჰხატავს და ამიტომ გასაგები და მისაღებია.

მხოლოდ ძნელი გასაგებია ის, თუ „საზოგადოების მეორე კლასმა,—მატერიალურად ხელმოკლე მშრომელმა ხალხმა“ როგორ უნდა შეისრულოს ჩვენში ის როლი, რომელსაც სხვა-გან ბურუუაზია ასრულებს, როგორ უნდა შეიქნეს იგი „ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი“, ესე იგი როგორ უნდა ააღმოჩინოს ამ „გონებრივად ახლად აღმოჩინებულმა მშრომელმა ხალხმა“ ქართული ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, ეროვნული კულტურა? ვთქვათ, იგი „აწყდება თეატრის კარებს ქართული წარმოდგენების დროს, სულ-განაბული ყურს უგდებს ქართველ („—იან) ლექტორს“, მაგრამ ეს, გვვინია ჩვენ, ნიშნავს იმას, რომ იგი ჰგემობს იდეას, აზრს, ხოლო კი არ ჰქმის ამას მწერლობაში; იგი ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, მომხმარებელია და არა მწარმოებელი. ვთქვათ, „დასავლეთელ თანამოძმეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმავითარებელი სკოლა მისთვის“, მაგრამ ნუ თუ ამ „სკოლა ში შეძენილი ცოდნა“ საკმარისია, რომ მთელი ერის პრესა, ლიტერატურა, მეცნიერება და კულტურული სამართლებების? ნუ თუ „დასავლეთელ თანამოძმეების ისტორიის“ გაცნობა, ისიც ქართველ „ლექტორის“ შემწეობით, ისეთი თილისმა, რომ მთელ ჩვენ ხალხს გააძლობს და ლიტერატურის მქონებელ ერის სახელ-საც მოგვიხვეჭს? საკვირველია. „დასავლეთელ თანამოძმეებს“, რომელნიც თავის „ისტორიის“ თვითონვე ჰქმიან, თავის სამ-

შობლოში ასეთი ყოვლად-შემძლებლობა არ ემჩნევათ. ევროპ-
 ის ერების „სულიერ სიმდიდრეს“ რომ „ბურუჟაზიული კულ-
 ტურა“ მოვაკლოთ, იცით, მყითხველოთ, რა დარჩება? მხოლოდ
 ათიოდე წიგნი მეცნიერულის ღირსებისა ის მეცნიერული
 წიგნებიც, რომლებიც „თანამოძმებების“ ბიბლიოთეკას ეკუთ-
 ნის, ბურუჟაზის წრიდან გამოსულ კაცებისაგან არის დაწე-
 რილი. ჩვენში კი „დასავლეთელთა“ ისტორიაც სასწაულებს
 ახდენს და ღარიბ ქართულ მწერლობას მარტიდ ამდიდრებს.
 სასწაულს ისეთ მოვლენას ეძინიან, რომელსაც ადამიანი ბუნე-
 ბის კანონის საშუალებით ვერ ახსნის. ჩვენც, რასაკვირველია,
 არ შევიძლია ასეთი სასწაულის გაგება და წარმოდგენა; ბ-ნ
 წულუკიძის აზრით, შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენი „არისტო-
 კრატიული სინაზე ვერ შერიგებია მუშის ტლანქ შეხედულებას,
 ვერ გაუგია, რომ მის ღარიბ ტანისამოსში გახვეულია ძლიერი
 ძალა“, რომელიც მეცნიერთა თავებს გამოიბამს და ქართულ
 ლიტერატურას აღორძინებს.

ჩვენ, „სასწაულების“ დაუხმარებლად, ასე „დაბიურად“
 გვესმის ეს საგანი. ლიტერატურის გასავითარებლად, მყითხველს
 გარდა, საჭიროა მწერალი. მწერლისთვის — განსაკუთრებით
 ქართველ მწერლისთვის — სწავლა და ცოდნა მაინცა და მაინც
 სავალდებულო არაა, მაგრამ საჭირო კია. ხოლო სწავლა თა-
 ვისით არ ვარდება ზეციდან: მის შესაძენად საჭიროა თავისუ-
 ფალი დრო, ხანგრძლივი მუშაობა და ფულის დახარჯვა. არც
 ერთი ეს არ აქვს პროლეტარს, მაშასადამე, კაპიტალისტურ
 წეს-წყობილებაში იგი ვერც მწერლობას ჩაუდგება მეთაურად
 და ვერც მეცნიერებას გაავითარებს. ასე ყოფილა ეს სხვაგან
 და ასე ჩვენშიაც.

ბ-ნ წულუკიძეს, რომელსაც ყოველგვარ მოვლენის ასახ-
 ნელად „კლასთა პროლა“ აქვს მზა-მზარეულად, ჰეონია,
 რომ ბურუჟაზიულ საზოგადებაში ალიარებული სამეცნიერო
 კეშმარიტებანი, მორალური პრინციპები, ლიტერატურა, ფილო-
 სოფია, ხელოვნება პროლეტართა კლასს არ გამოადგება და
 ამაებს იგი ვერ შეითვისებს, რადგან მათში იხატება ბურუჟუ-

ზის კლასობრივი ინტერესებით. ენაც კი მხოლოდ კლასობრივ ბრძოლის იარაღად მიაჩნია ჩვენს ავტორს. „თქმა არ უნდა, —სწერს იგი, —ყველა სათვის სასურველია ამ იარაღის გამახვილება, განვითარება, მხოლოდ ეს განვითარება ხდება არა „საერთო მოქმედების ნიადაგი“, არამედ ამ „ნიადაგის“ აღმოსაფხვრელია, მოსასპობად. სანამ თანამედროვე ცხოვრების პირობები არსებობდნ, მისი ძირითადი უკულმართობა ფესვიანად არ ამოთხოილა, მანამ ენაც არ არის „საერთო მოქმედების ნიადაგი“.

ამგვარად, ყველგან და ყველაფერში ბრძოლაა და კლასობრივი ინტერესი. ბ-ნი ს. ხუნდაძე ქართულ გრამატიკის ადგენს, რომ ბურუუაზის „ბრძოლის იარაღი გაუმახვილოს“. ბ-ნ ი. გოგებაშვილის „დედა-ენაც“ ასეთივე დანიშნულებით იბადება. „ვეფხის ტყაოსნის“ პოეზია გადაფუჩქებული კლასობრივი ინტერესებია, „ბეჭი ქართლისა“, „თორნიკე ერისთავი“, „კაცია ადამიანი“, „ელგუჯა“, საერთოდ მთელი ლიტერატურა გაბატონებულ კლასის ხელ-საყრელ აზრ-შეხედულებათა გამომხატველია. ჰეშმარიტება ორნაირია: ბურუუაზიული და მუშური. ყიფიანის „არითმეტიკაში“ ორჯერ ორი ოთხადაა ნაანგარიშვი, მაგრამ საპროლეტარო მათემატიკა ამას ვერ შეიწყნარებს, ვინაიდგან ეს აქსიომაა ბურუუაზიული, კლასობრივ ინტერესზე აგებული, რომელიც „მშრომელის გათვით-ცნობიერების“ საქმეს ყალბ გზაზე დააყენებს...

ეს ბ-ნ წულუკიძის ისეთ ღრმა და ფართო „ფილოსოფიურ“ შეხედულებას მოწმობს, რომ ჩვენ მის წინააღმდეგ, თუ არ ამ კილოთი, სერიოზულად ვეღარაფერს ვიტყვით...

ფ. გოგიაჩაშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა

1. კომბი. კლემანსოს წერილი.—2. ირლანდია; ინდოეთი.

ვალდეკს—რუსომ დაუფასებელი სამსახური გაუწია საფრანგეთის დემოკრატიას თავის ხერხიანისა და ენერგიულის ბრძოლით კლერიკალების წინააღმდეგ. მაგრამ თავის მემკვიდრეთ რომ კომბი არ ამოვრჩია, მისგან დაწყებული საქმე დაუმთავრებელი დარჩებოდა. ვალდეკ-რუსოს სხვა ტალანტებთან კაცის ცნობის ნიჭიც ჰქონია: კომბი მანამდე თითქმის უცნობი პიროვნება იყო, როლი მისი საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი, მეორე ხარისხოვანი იყო. დღეს კი ეს მეორე ხარისხოვანი პოლიტიკური მოღვაწე მთელ განათლებულ კაცობრიობის ყურადღებას იკარბდს. დღიდან პირველ მინისტრიად გახდომისა კომბი დაუშრეტელის ენერგით, შეურყეველად მიღიოდა და მიღის დემოკრატიის იდეალის განხორციელებისაკენ—საფრანგეთი, კათოლიკე სახელმწიფო, წმინდა ეკლესიის უხუცეს ასულად წოდებული, უნდა გახდეს ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკა. საფრანგეთის რესპუბლიკის ეხლანდელი პირველი მინისტრი ჩვენ თვალ წინ გაიზარდა და გახდა შესანიშნავი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

საფრანგეთის დიდ რევოლუციის შემდეგ რომის პაპსა და კათოლიკე ეკლესიას არ ჰყოლია საფრანგეთში ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგე.

კომბი სიღარიბეში დაიბადა და გაიზარდა. პატარაობისას და ახალგაზღობაშიაც ბევრი სიმწარე გამოუყდია. მა-

მა მისი სოფლის ღარიბი დურგალი იყო და ბევრი შვილები ჰყავდა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, იყი ვერ იფიქრებდა შვილებისათვის სწავლა მიეცა. კომბის ბიძა მღვდელი იყო და ამ ბიძამ გამოსთხოვა მას უფროსი შვილი სასულიერო სემინარიაში მისაცემად, რომ შემდეგ ესეც მღვდელი გამხდარიყო. ამ გვარად კლერიკალისმისა და კათოლიკე ეკლესიის მომავალი მტერი იეზუიტების აღზრდილია. კომბმა გაათავა სემინარია, მიიღო ჯერ ბაკალავრის ხარისხი, შემდეგ დოქტორის დიპლომი: სადოკტორო დისერტაციის საგანი თომა აკვინელის თხუზულებანი იყო, იმ თომა აკვინელისა, რომლის ყოველი სიტყვა სახარების სიტყვაზე მაღლა მიაჩნია რომის ეკლესიის ღვთის-მეტყველებს.

როგორც ვთქვით, კომბი მეტად ღარიბი იყო; მამაც მოუკვდა და დიდი ოჯახი მას დააწვა თავზე. სასულიერო კარიერა რომ არ მიეტოვებია (ბიძა ხომ ამ კარიერისათვის ამზადებდა), უზრუნველ ყოფილი იქნებოდა მატერიალურად და თავის და-ძმებსაც ადვილად შეინახავდა. მიუხედავათ ამისა კომბმა არ ისურვა სასულიერო პირად გახდომა და მიზეზი ამისა მისი პატიოსნება და კეთილ-სინილისიერება იყო: პატიოსანი და კეთილ-სინილისიერი კაცი მხოლოდ მაშინ იკისრებს რაიმე მოვალეობას, როცა თვითონ სწამს და სჯერა ამ მოვალეობისა. ახალგაზდა კომბი ხედავდა, რომ მისი რწმენა წინააღმდეგი იყო სასულიერო წოდების დედა-აზრისა, და ისევ სიღარიბე და გაქირვება არჩია ორპირობასა და მოტყუილებას. თავისა და თავისიანების სარჩენად კომბმა მასწავლებლობას მოჰკადა ხელი და დილიდან საღამომდე ბავშვებს ასწავლიდა; ღამე კი თავდადებული მუშაობდა, რომ საექიმო ეგზამენისათვის მომზადებულიყო. რკინის ხასიათი და ნების ძალა იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში კომბს თავის სურვილი განეხორციელებია. საექიმო დიპლომის მიღების შემდეგ კომბი დასახლდა ერთ პატარა ქალაქში და პრაქტიკა დაიწყო.

დიდი ექიმის სახელი არ მოუხვეჭია მომავალ პირველ მინისტრს, ავათმყოფები ბევრ ფულს არ აძლევდნენ, მაგრამ

სამაგიეროთ დიდი პატივისცემა დაიმსახურა თანამოქალაქეებისა. ჯერ მერად (ქალაქის თავიდ) აირჩიეს, შემდეგ პროვინციალურ საბჭოს წევრად და ბოლოს სენატორადაც. და დღეს უბრალო და ღარაკ დურგლის შეილი დიდებულ საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი მინისტრია და, როგორც ვსოდეთ, მთელ განათლებულ კაუნიბრიობის ყურადღებას იპყრობს.

თუ დემოკრატები და თავისუფალი მოაზრენი თანაგრძნობით და პატივის ცემით შესცემუბლიკის პირველ მინისტრს, სამაგიეროთ ძველი წესის მოტრფიალენი და მთელ ქვეყნის მორწმუნე კათოლიკენი წყევა-კრულვით იხსხენებენ კომბის სახელს. რა ინტრიგები არ გაჰმართეს, რომელ ცილის წამებას არ მიჰმართეს, რომ კომბის სახელი ტალახში გაესვარათ. პირველ მინისტრის მტრების დასახასიათებლად საკმარისია შემდეგი ფაქტი: ბრეტანში (საფრანგეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილი); იქ ჯერ კიდევ აქვს გავლენა კათოლიკე სამღვდელოებას) გაუკრცელებით დიდის ხელოვნებით დახატული სურათი; სურათზე წარმოდგენილია მოხუცებული ქალი და მისი პატარა შვილის შვილები. ბავშვები კრძალვითა და შიშით უგდებენ ყურს თავიანთ დიდ დედის ლაპარაკს — ამ ეამად ქვეყანაზე გამოჩნდა ანტექრისტი, ამბობს მოხუცი ქალი, და სახელად ქვიან კომბიო; ამ ანტექრისტემ განდევნა სარწმუნოება და დაღუპა საფრანგეთის რესპუბლიკა. კომბმა თურმე კარგად იცის, ვინ არის ამ სურათის გამვრცელებელი, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია პასუხის გებაში მიეცა იგი. სისულელესა და ბოროტებას ხალხის განათლება სპობს და არა სასამართლოო, — სწერს ამ ამბის გადმომცემი, — და ეს კარგად ესმის პირველ მინისტრს.

თავისუფლების და თავისუფალ აზრის შეურიგებელი მტრები ნიანგის ცრემლებს ლვრიან — რესპუბლიკელები მტარებლები გახდნენ, გვდევნიან, სარწმუნოების აღსარების ნებას არ გვაძლევენო. ასეთ შინაარსის წერილი გამოუქვეყნებია, სხვათა შორის, გრაფ დე-მენს. გრაფს პასუხი გასცა უორუ კლემანსომ.

„გრაფი დე-მენი და მისი მეგობრები დიდი ბატონები ბრძანდებიან და ამიტომაც ვერ შეჩინებიან იმ გარემო-ებას, რომ უბრალო მომაკვდავთ, რომელთაც არ სწამთ კა-თოლიკე ეკლესია, აღარ სურთ ფული იხადონ იმ სასულიე-რო წოდების შესანახად, რომელიც სარწმუნოების სახელით ძველადგანვე მჩაგვრელებს უდგა მხარში ჩაგრულების წინა-აღმდევ. სინიდისის თავისუფლება ნებას აძლევს უკელას ქი-სა მაგრაც თავმოკრული პქნდეს და ფული არ გაიღოს იმ სასულიერო პირისათვის, რომლის რწმენა მისას ეწინააღმ-დევება; და ეს სინიდისის თავისუფლებაა, რომ აუტანელ მტარევალობად მიაჩნია გრაფ დე-მენი... გრაფი დე-მენი თვა-ლებს ხუჭავს, რომ არ დაინახოს კოცონი, რომელზედაც იგი სიამოვნებით სხვებს გაგზავნიდა, და ჩივილს მოჰყვება, რო-ცა თვალხილულები მეგობრულად უმტკიცებენ, რომ კოცო-ნი მის ეკლესიის შექმნილია და რომ ის, რასაც ჩვენ ვავრ-ცელებთ, თავისუფლებაა. დიდ რევოლუციის შექმნილი თავისუფლება მტარევალობაა რომის ეკლესიისათვის, რომლის ერთი მთავარი წარმომადგენელთაგანი გრაფი დე-მენია“.

შემდეგ კლემანსო ამტკიცებს, რომ ის ხალხი, რომელიც პრივილეგიებით სცხოვრობდნენ და ბატონობას იყვნენ მი-ჩვეული, იშვიათად გაიგებს, თუ რა არის თავისუფლება... ამიტომაც არის, რომ ხშირად სრულიად გულწრფელად იცა-ვენ ხოლმე მტარევალობას თავისუფლების სახელით. თავისუ-ფლება ყოველთვის უარყოფილი და დევნილი ყოფილა ამათ-გან იმ სულელურ იმედით, რომ პიროვნებასთან აზრიც დაი-ღუპებოდა. სხვაზე გაბატონება — ი დე-მენისებურ პირების თავისუფლება და რა საკიონველია, თუ დე-მენს თავისუფლე-ბის დარღვევად მიაჩნია, როცა მას სხვის თავისუფლების მოსპობის ნებას არ აძლევენ. „რა არის ნამდვილი თავი-სუფლება, ამ ბატონებმა არ იციან; ვიცით ჩვენ, ვისიც წინაპრებმა სისხლი დაღვარეს თავისუფლებისათვის. ვინ იყო მტერი მწერლობის თავისუფლებისა? ეკლესიის წარმომადგე-ნელნი, რადგან ეკლესიის ბატონობა შეუძლებელია იქ, სა-

დაც ლაპარაკის და წერის თავისუფლებაა. ვინ შემოიღო პრე-
 სის თავისუფლება? ჩვენ, რესპუბლიკულებმა, და ეხლა ჩვენ
 მტრებს შეძლება აქვთ თავისუფლად გვლანძლონ და ცილი
 გვწამონ. ვინ იყო შეკრების თავისუფლების წინააღმდეგი?
 ეკლესიის წარმომადგენელნი, რადგან ამათი მთავრობა ვერ
 შერიგებია იმ აზრს, რომ მოქალაქეთ უფლება აქვთ შეიკრი-
 ბონ, მოილაპარაკონ და საერთო მოქმედებისათვის შეთანხმ-
 დნენ. ვინ შემოიღო შეკრების თავისუფლება? ჩვენ, რესპუ-
 ბლიკულებმა, და დღეს რესპუბლიკის მტრებს შეუძლიანთ თა-
 ვი მოიყარონ და ითაბირონ, თუ როგორ დაამხონ რესპუ-
 ბლიკა. ვინ იყო წინააღმდეგი ასოციაციის თავისუფლებისა?
 ეკლესიის წარმომადგენელნი, რომელთაც კორპორაციის პრი-
 ვილეგია, უპირატესობანი მიაჩნდათ ასოციაციის თავი-
 სუფლებად, იმ კორპორაციისა, რომელიც სპობს ადამიანის თავი-
 სუფლებასა და პიროვნებას. ვინ შემოიღო ასოციაციის თავი-
 სუფლება? ჩვენ, რესპუბლიკულებმა და მერე ისე, რომ პირო-
 ვნების უფლებანი ხელშეუხებელი დარჩნენ. ყველა ეს თავი-
 სუფლებანი შემოვიდეთ ჩვენ, რესპუბლიკულებმა; თქვენ კი
 ყოველთვის წინააღმდეგი იყავით და იცავდით მხოლოდ თქ-
 ვენ პრივილეგიებს. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ თავისუფლებას და
 მიუხედავთ თქვენის წინააღმდეგობისა, სინათლეს შევიტანთ
 ხალხის გონებაში, თქვენ გონებაშიც, თუ იგი გაქვავებული
 არ არის საბოლოოთ. თქვენ დღეს გვწყვევლით, მაგრამ ხვალ
 თქვენი შვილები ლოცვას დაგვიწყებენ. თქვენ მხოლოდ ისე-
 თი საზოგადოება გქმნდათ, სადაც ბატონები და ყმები არიან,
 და, სამწუხაროდ, ეგრეც იყო. მხოლოდ თავისუფლებას შეუ-
 ძლია ნამდვილ ადამიანის შექმნა სულის ყველა ძალთა მუდ-
 მივ განვითარების გზით“.

გრაფი დე-მენი მეთვრამეტე საუკუნის ცნობილ ენცი-
 კლოპედიისტის ჰელვეციუსის ჩამომავალი ყოფილა. კლემან-
 სის მოჟყავს ეს ფაქტი და მშობს: „გრაფი დე-მენი ძალიან
 შორს არის თავის წინაპრისაგან, რომელსაც დიდი წილი
 უდევს რევოლუციის მომზადებაში. მაგრამ როგორც ჰელ-

ვეციუსი, ისე გრაფი დე-მენიც ვერ ითავდებებს თავის ჩამო-
მავლობისათვის; ამათთვის ვანთავისუფლებთ ჩვენ საფრან-
გეთს.“

დიდათ საინტერესო და საგულისხმიეროა საფრანგეთის შინაგანი პოლიტიკური ცხოვრება. ჩაგრამ ნაკლებ საინტერესო არც ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებაა. პირიქით, უფრო საგულისხმიეროც არის ჩვენთვის, რადგან სახელმწიფოსა და ეკლესის შეტაკებას ჩვენთვის უფრო თეორეტიული ხასიათი აქვს და ის კი, რაც ინგლისში ხდება, პრაქტიკულ ინტერესაც არ არის მოკლებული...

თითქმის მთელი შეცხრამეტე საუკუნე ირლანდია ტანჯუ-
ლი და წამებული იყო ინგლისის მთავრობისაგან: პოლიცია, ჯაშუშები, უსინიდისო მოსამართლე, მაგარი ციხე და სახრჩო-
ბელა — ის რას იმეტებდნენ ინგლისის კონსერვატორე-
ბი და ლიბერალები ირლანდიისათვის, როცა ეს უკანასკნელი ამოძრავდებოდა თავის აუტანელ მდგომარეობის გასაუმჯობესე-
ბლიად. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ინგლისის ძალ-
მომრეობათ, მტარვალურ პოლიტიკასაც ბოლო მოედო: ირ-
ლანდიელების თავდადებულმა და განუწყვეტილმა ბრძოლამ ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ, ამ მთავრობის პოლიტიკის სრულმა უნაყოფობამ გონის მოიყვანა ჯერ ინგლისის ლიბერა-
ლები და ბოლოს კონსერვატორებიც.

ორი მიზეზი იყო წყარო ირლანდის უბედურ მდგომა-
რეობისა — ავრარული დამოკიდებულებანი და თვითმმართვე-
ლობის მოსპობა. ირლანდიაში გაბატონებული იყვნენ დიდი მემამულენი, ლენდ-ლორდები; ირლანდიელი გლეხი მხოლოდ მოიჯარადოდ იყო, მემამულის მიწაზე მომუშავე და მემამულის ნება-სურველისაგან დამოკიდებული. ამიტომაც სიღატაკე და შიმშილობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ირლანდიაში. ამ ეკო-
ნომიურ უბედურებას ორკეცებდა პოლიტიკური მდგომარე-
ობაც — ირლანდიის პატრიო-მმართველი ინგლისის პარლამენტია. მართალია, ინგლისის პარლამენტში ასამდე ირლანდიელი დე-
პუტატია; ეს დეპუტატები თავგამოდებით იცავდნენ და იცა-

ვენ ირლანდიის ინტერესებს, მაგრამ დიდი უმრავლესობა ინ-
კლისელებია და საქმეც თავის სურვილზე და ნებაზე მიჰყავთ.
ამიტომაც ირლანდიის ყოველი კეთილისმყოფელი იმის ცდაში
იყო და ორის, რომ ხალხს საკუთარი პარლამენტი შესძინოს:
ირლანდიის ხალხი ერთია და მისი მმართველი ადგილობრივი,
საკუთარი პარლამენტი უნდა იყოს, თვითონ ერის წარმომა-
დგენლებისაგან შემდგარი.

1902 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო უინდგე-
ნის დიდმნიშვნელოვანი აგრარული კანონ-პროექტი; სახელ-
მწიფო აძლევს მეტად იაფ-ფასიან სესხს ირლანდიის გლეხ-
კაცობას ლენდ-ლორდების მამულების შესასყიდათ; ეხლა
ყოველ ირლანდიელს შეუძლია გამოართვას ფული ხაზინას
და საჭირო მამული შეიძინოს წინადვე გადაჭრილ ფასით.
სარგებელი, რომელიც უნდა აძლიოს გლეხები ხაზინას, ნა-
კლებია, იმ იჯარაზე, რომელსაც იგი ნებამულეს აძლევდა.
„ლენდ-ლორდიზმი ჯერ კიდევ არსებობს ილანდიაში, მა-
გრამ იგი იმ ბრალდებულსა ჰგავს, რომელსაც სიკვდილით
დასჯა გადაუწყვიტეს და ამ სისჯელის მოლონდინშია“, —
სთვა რედანონდგა ამ რეფორმის შემდეგ.

დარჩა პოლიტიკური რეფორმა და ესეც მაღლე განხორ-
ციელდება. ამ რვა წლის წინად სოლსბერის სამინისტრომ
შემოილო ირლანდიაში ურცელი საერთო და საქალაქო
თვითმმართველობა. ამით დაკმაყოფილდებიან ირლანდიელე-
ბი და პომრულს, საკუთარ პარლამენტს აღარ მოითხოვენო,
ჰფიქრობდნენ კონსერვატორები. მაგრამ კარგად ვერ იანგა-
რიშეს — ირლანდია დღესაც მოწადინებულია თვითონვე
იყოს თავისი ბატონ-მმართველი; ინგლისის პარლამენტი სამარ-
თლიანად, ხალხის ნამდვილ საჭიროების მიხედვით ვერ შეს-
ძლებს განაცოს ირლანდია. ბევრს ეგონა, რომ აგრარულ რე-
ფორმის განხორციელების შემდგ მაინც მისწყდებოდა პომ-
რულზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს თვით მმართვებლობის სასარ-
გებლოდ ლაპარაკი ისეთ წრებშიაც დაიწყეს, სადაც წინად
მხოლო მისი გმობა და გაჰკიცხვა ისმოდა.

ამ ბოლოს დროს ირლანდიაში შესდგა ეგრედ წოდებული „ირლანდიის რეფორმის ასოციაცია“. ასოციაციის მეთაურნი არიან — ლორდი დიონჩრევენი, ლორდი ლუუტსი, სერ ალ-ჯერნონ კუტ და სხვები, სულ ნამდვილი ლენდ-ლორდები, კონსერვატორების პოლიტიკის მიმდევარნი ტრადიციით.

ირლანდიის ლენდ-ლორდები ზოგი ინგლისელია ჩამომავლობით, ზოგიც ირლანდიელი. ამ უკანასკნელებს თავისი უპირატესობრივი მდგომარეობა შეენიშვი აქვთ მიაი, რომ ინგლისელების შემოსევის დროს ხალხს უდალატეს და მტრის ბანაჟში გადავიდნენ. როგორც ვიცით, შემოსეული მტერი მოქმედებს როგორც იარაღით, ისე მოყიდვითაც, რომ განხეთქილება ჩამოაგდოს ხალხის სხვა და სხვა წრეებში. გავიდა დრო და ეძმი და ირლანდიელ მებატონეთა ერთ ნაწილში იღვიძებს გრძნობა მოვალეობისა ხალხის წინაშე. ამათგან უფრო გაპედულები პირდაპირ და აშეარად მიეწრნენ ირლანდიელ ნაციონალისტებს (რედმონდი, მაგალითად, დიდი მემატულე); ზოგი კი პოლიტიკაში კონსერვატორების მხარეზე იდგნენ და მოვალეობას ხალხის წინაშე იმით იხდიდნენ, რომ ეროვნულ ხელოვნებას და სამშობლო ენის აღორძინებას მფარველობას უწევდნენ. (ჩვენში ხომ ასეთებიც სანთლით საძებნი არიან!) ამ წრეს ეკუთვნიან ზემოთ დასახელებული პირებიც. ცხოვრების მეაცრმა სინამდვილემ ესენიც გამოაფხიზლა და დაანახვა, რომ პლატონიური სიყვარული ეროვნულ საქმისადმი ფუჭი და უნაყოფოა, რომ საკიროა აუცილებლად ვრცელი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა — წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული საქმე მოკლებული იქნება რეალურ ნიადაგს.

ინიციატივა აგრძარულ რეფორმის საქმის პრაქტიკულად დაწყებისა ამ ლენდ ლორდებს ეკუთვნის: კონფერენციის გამართვა ლენდ-ლორდებისა და ირლანდიელ ნაციონალისტებისა ამათი გამართული იყო და ამ კონფერენციის მოჰყვა უინდგემის ცნობილი კანონ-პროექტი.

დღეს პოლიტიკურ რეფორმასაც მოჰყიდეს ხელი ლენდ-ლორდებმა. მართალია, ამათი პროექტი პოლიტიკურ რეფორ-

მისა ვერ დააკმაყოფილებს საესებით ირლანდიელ მამულის-შეი-
ლებს, მაგრამ ამ პროექტის განხორციელება ისეთი დიდი ნა-
ბიჯი იქნება ირლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელ-
ზედაც არა თუ დაპყრობილი, ზოგი დამპყრობელი ხალხიც
კი ვერ ოცნებობს...

ირლანდიას ესაქიროებათ,—ამბობენ ხსენებული ლენდ-
ლორდები,—ვრცელი თვითმმართველობა ყველა ადგილობრივ
საქმეების მოსავლელად, რაც, მათის აზრით, სრულიად არ
ეწინააღმდეგება ირლანდიასა და დიდი ბრიტანიის საპარლამენ-
ტო კავშირს. ირლანდიას უნდა ჰქონდეს სრული კანტროლი
თავის ფანანსებისა; მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ეკო-
ნომია და ხალხის კეთილდღეობის აღდგენა. „ჩვენ დარწმუნე-
ბული ვართ აგრეთვე, რომ დადგა დრო მივცეთ ირლანდიას
უფლება თავისითვის თვითონვე გამოსცეს კანონები“—ო.

პროექტის ავტორების აზრით, ირლანდიაში უნდა დაარ-
სდეს საფინანსო საბჭო: „დღეს ირლანდიის საკიროებათა და-
საქმაყოფილებლად ყოველ წელს იხარჯება სამოც მილიონაშ-
ებე; ამ ფულის განაწილება რომ მცოდნე კაცებს მიენდოს,
ირლანდია ბევრს მოიგებს“—ო. ინგლისის პარლამენტი სრუ-
ლიად უნდა განათავისუფლდეს ირლანდიის საფინანსო საქმეე-
ბისგან და იგი უნდა მიენდოს ირლანდიის საფინანსო საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარევ მეფის მოადგილე იქნება, მის ამხანა-
გად—ირლანდიის საქმეთა მინისტრი; წევრი 24 იქნება, თორ-
მეტი ინგლისის პარლამენტისაგან დანიშნული და თორმეტიც
არჩეული. პროექტის ამ პუნკტში კიდევ სჩანს ის უნდობ-
ლობა ლენდ-ლორდებისა ხალხისადმი, რომელიც იმ თავით-
ვე დასჩემებია კონსერვატორების წრეებს: თუ კი ადგილობ-
რივი მცოდნე პირებია საკირო საქმის საკეთილოდ გაძლი-
ლისათვის, რატომ ხალხმა არ აირჩიოს ყველა ეს პირები? მა-
გრამ ამ ნაკლითაც რომ განხორციელდეს ეს პროექტი, დიდი
საქმე იქნება, მით უმეტეს, რომ ერთხელ შექმნილ დაწესებუ-
ლების გაუმჯობესება უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ერთხა-
შად შემოლება უნაკლულოსი.

გარდა საფინანსო საბჭოსა უნდა დაარსდეს საკანონმდებლო საბჭო; ეს საბჭო განიხილავს ყველა იმ კანონ-პროექტებს, რომელიც კი ირლანდის ადგილობრივ საქმეებს შეეხება. აქაც წევრები ზოგი დინიშნული იქნება და ზოგიც არჩეული. ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლა გადაიხადა ირლანდიამ, ბევრი სისხლი დაღვარა, უამრავი მსხვერპლი შესწირა ეროვნულ საქმეს და ი აღწევს კიდევ მიზანს: თვით შეურიგებელი მტრები ირლანდის ეროვნულ საქმისა მოლბენ და დღეს მზად არიან თვითმართებლობა, ე. ი. თავისუფლება მიანიჭონ ერს.

ინგლისის სამფლობელოებ შორის გარდა ირლინდიისა მოკლებულია თვითმართებლობასა და თავისუფლებას ინდოეთიც. ერთსა და იმავე მიზეზს ყველგან ერთი და იგივე შედევი მოსდევს: ინდოეთშიაც დიდი უკმაყოფილებაა, აქაც თხოულობენ რეფორმას, არსებულ წეს-წყობილების შეცვლას. მაგრამ ინდოეთი უზარ-მაზარი ქვეყანაა, უამრავ ხალხით დასახლებულია; აქ საქმე უფრო რთული, ძნელია, მით უფრო, რომ თვითონ ხალხი ვერ არის მომზადებული, პოლიტიკურად გაწერთნილი და განვითარებული. მაგრამ ეს გაწვორნა და განვითარება დღითი დღე ისრდება და ეს ზრდა არ გამოპარვია გამოცდილებით ქუთა განსწავლის ინგლისელს.

ეხლახან ლონდონში გამოსულა სერ ჰენრი კოტონის წიგნი „ახალი ინდოეთი“. წიგნი ფრიად საინტერესოა და თავის დროშედაც გამოვიდა, იწერება „რუსკია ველომოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი.

სერ ჰენრი კოტონი მიმართულებით კონსერვატორია; ინდოეთს კარგად იცნობს, რადგან ოცდაათი წელიწადი მსახურებდა იქ. ავტორი აღნიშნავს „ახალ ინდოეთის“ გაჩენის: ინდოეთმა გამოიღვიძა და საზოგადოების თვითშეგნების გზას დაადგა. როგორ უნდა მოიქცეს ინგლისი, გადაეღობოს და შეაფერხოს ეს მოძრაობა, თუ ხელი შეუწყოს და დაეხმაროს? ავტორი კონსერვატორია და მოსალოდნელი იყო, რომ მთა-



ვრობას სასტიკ ღონისძიებათა ხმარებას ურჩევდა, მაგრამ მარტინ შიგნიში.

დიდი ბრიტანია უნდა დაეხმაროს ინდოეთის აღორძინების საქმეს და ეხლინდელ სამმართველო წესის მაგიერ თანდა-თან შემოიღოს უფრო მაღალი ფორმა მმართველობისა—აღ-მოსავლეთის უზარმაზარ იმპერიის საჭმებს უნდა განაგებდნენ მისი საკუთარი წარმომადგენელნი.

სერ ჰენრი კოტონი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ასეთი პოლიტიკა არის საუკეთესო საშუალება ინდოეთის შე-რჩენისა და სხვათაგან მის დაპყრობის შეუძლებლობისა. მტერს მხოლოდ მაშინ შეეძლება სამას მალიონიან ქვეყნის დაპყრობა, როცა თვითონ ინდოეთი მოისურვებს ინგლისის დაშორებას. თუ ინდოეთი თავისუფალი ქვეყანა იქნება, იგი არ მოისურვებს სხვა დამპყრობელს დაემორჩილოს.

ეხლა ინდოეთში როგორც საკანონმდებლო, ისე აღმა-სრულებელი უფლება მეფის მოადგილისა და მის საბჭოს ხელ-შია; საბჭო შესდგება ექვსის კაცისაგან, რომელთაც მთავრობა ნიშნავს ხუთის წლით. საკანონმდებლო მიზნისათვის საბჭო-ში იწვევს მეფის მოადგილე 16 წევრს; რვა უთუოდ არა მო-ხელენი უნდა იყვნენ; ამ რვაში სამი ან ოთხი ინდოელია. ინდოეთის რვა პროვინციიდან, ოთხს ცალკე საკანონმდებლო საბჭოები აქვს. ყველა ამ საბჭოებში და მთელ აღმინისტრაცია-ში თანამდებობანი სულ ინგლისლების ხელშია და დიდ ჯამა-გირებსაც იღებენ. ინგლისლებმა ბევრი გზები გაიყვანეს ინდო-ეთში, სკოლებიც ბლომად გახსნეს, მაგრამ მთელი სისტემა მა-რთვა-გამგეობისა ეგრედ წოდებული „განათლებული დესპო-ტისმი“ იყო. ინგლისელი ყოველთვის ინდოელზე მაღლა აყე-ნებს თავის თავს; ასებულ გამგეობის სისტემა თხოულობს, რომ ინდოელი დაბლიდან მაღლა უყურებდეს ინგლისელს.

მაგრამ ოცის წლის განმავლობაში ინდოეთში ისეთი დი-დი ცვლილება მოხდა, რომ „განათლებული დესპოტისმი“ აღიარ არის ხელ-საყრელი პოლიტიკა ინგლისისათვის. ინდო-ელების საზოგადოებრივ თვით-შეკნების განვითარება გასაო-

ცარის სისწრაფით მიღის წინ. არსებული სისტემა მართვა გამგეობისა და მკარებული იყო იმ გარემოებაზე, რომ ინდოეთის მცხოვრები, სარწმუნოების სხვადასხვაობის მიზნით, განცალკევებულნი იყვნენ ერთმანერთისაგან. დღეს კი ვხედავთ, რომ მაჰმადიანები, ბუდისტები და ბრამანები შეერთებულის ძალით მუშაობენ საერთო სამშობლოს ასაღლორძინებლად. ინდოეთის საზოგადოებრივი ოვით-შეგნების გამომხატველია პროვინციალური კრებები, ეროვნული კონგრესები და პრესა. პროვინციალური კრებები მზადებენ მასალის ეროვნულ კონგრესისათვის, რომელიც ყოველ წელს იმართება ხოლმე.

უკანასკნელ კონგრესზე ხუთი ათასი დელეგატი იყო. ეს არის მომავალ იდეილობრივ პარლამენტის ჩანასახი. ისინი, ვინც წინად დაშორებული იყვნენ სარწმუნოების მიზნით და ერთ ოთახში ყოფნა, კი შეუძლებლად მიაჩნდათ, ეხლა ერთად იკრიბებიან და თანხმობითა და მშეიღებიანათ თათბირობენ ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საშუალებებზე.

ინდოეთის პრესა პარლამენტიან სახელმწიფოების ოპოზიციის როლს ასრულებს. ინგლისის კონსერვატიული უურნალ-გაზეთები დიდ უკმაყოფილებას აცხადებდნენ ინდოეთის პრესის ხასიათისა და მიმართულების გამო; მაგრამ ამათაც კი შერცვათ, როცა წინანდელმა მეფის მოადგილემ პასუხის გებაში მისცა უურნალის რედაქტორი ერთი პოემის დაბეჭდვის გამო: მეფის მოადგილემ პოემის შინაარსი ისე გაიგო, ვითომც ავტორი ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყებას ქადაგობდა. მივაქცევ მეითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მეფის მოადგილემ უურნალი კი არ დახურა (ამის უფლება მას არა აქვს), სასამართლოში იჩივლა—პრესა თავისუფალია ინდოეთში.

სერ ჰენრი კოტონი დიდათ აფასებს აღგილობრივ პრესის დამსახურებასა და ღვაწლს. „ამ ოცის წლის განმავლობაში ინდოეთის საბრალო პატარა ფურულები გადაიქცნენ სერიოზულ და გავლენიან ორგანოებად, რომელიც შესანიშნავის დამოუკიდებლობითა და ძალით მსჯელობენ მთავრობის მოქმედე-



ბის გამო“. მწერლობა თურმე დიდის სიფხნელით ადვენებს თვალყურს აღმასრულებელ ორგანოების ბოროტ-მოქმედებას და აღუნიშვნელს არ დასტოვებენ. „ადგილობრივ პრესას მეტად დიდი გავლენა აქვს ხალხზე; იგი აღვიძებს მასში მოქალაქობრივ თვით-შეგნებას და მამულის შვილურ გრძნობას... თუ ამ მოვლენაში რამე საშიშია, ეს თვით ინგლისის მთავრობის პოლიტიკაა. ინგლისელები თანაგრძნობით უნდა შეხვდენ ინდოეთის საზოგადოებრივ თვით-შეგნების გაღვიძებას და ხელი შეუწყონ უფრო მაღალ საამართოებლო ფორმების შემოღებას“. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამყარება ჰარმონიისა მკვიდრთა და ინგლისელები შორის. ძველი სისტემა აღარ ვარგა: მან შევქმნა ღრმა უნდობლობა ხალხისა მთავრობისადმი და ეს უნდობლობა იზრდება თვითშეგნების ზრდასთან ერთად.

თავისუფალი ინდოეთი არ მოისურვებს ინგლისის მოშორებას და ინგლისის მტრის მხარეზე გადასვლასო,—ამბობს სერ ჰენრი კოტონი;—დიდი ბრიტანის ინტერესი მოითხოვს ინდოეთს თავისუფალი წესწყობილება მიენიჭოსო.

როცა ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი ასეთი შორს გამ-
ჰვრეტელობით და საზრიანობით უცქერიან რთულ პოლიტი-
კურ კითხვებს, დიდ ბრიტანიას შიში არ უნდა ჰქონდეს
„ყვითელ საფრთხისა.“ ყვითელი საფრთხე იმათთვის არის სა-
შიში, ვინც უკმაყოფილების მეტს არას სთესს დაპყრობილ
ხალხებ შორის, ვინც დევნითა და შევიწროვებით სულს უხუ-
თავს დაპყრობილს...

ରେଧାକ୍ଷତିରଣ

გამომცემელი
ს. ჯაბაშვილი

მოკლე მინეალური კიზია

საელიალური ნაწილე

შ ე ს ა გ ა დ ი

ავოგადრო-ერ რის კანონის განმაზრება კანონიგის მიერ. ზოგი-
 ერთ მარტივ და რთულ მოლეკულა ატომიურ შედევნილების გა-
 მოყელეა. მოლეკულების და ატომების წ-ნის გაგება. ქიმიურ მიმზიდველობის გამოანგარიშება. ქიმიურ თ.ნასწორაბევების შედევ-
 ნა. რამოდენიმე მაგალითი რთულ მოლეკულან ნივთიერებებისა.
 მარტივ და რთულ მოლეკულთა სფეროები და მათ ილიუსტრაცია
 სურათებით.

სანამ გაზოვან ელემენტის წყალმბადის გაცნობას შეუ-
 დებოდეთ, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნიან უფრო
 ვრცლად შევეხოთ ავოგადრო-ეერარის კანონს, რომელიც
 აღიარებს, რომ ორს ერთნაირ ტანის გაზებში ერთ და იგი-
 ვე პირობებში მოლეკულებთა ერთნაირივე რიცხვი იმყოფე-
 ბა. საჭირო არის, რომ მკითხველი რაც შეიძლება კარ-
 გად ჩაუკეირდეს ამ კანონის დამამტკიცებელ საბუთებს, ცხა-
 დად დარწმუნდეს მის აუცილებლობაში, რადგან უამისოდ
 შეუძლებელია უხილავ ატომთა ურთიერთ შორის დამოკიდე-
 ბულების გამორკვევა, შესწავლა. ამ კანონის კეშმარიტებაში
 დარწმუნებულ მკითხველს მეტის მეტად გაუადვილდება მარ-
 ტივ და რთულ ნივთიერებათა მოლეკულების დარღვევა-აშე-
 ნების კანონების და საზოგადოდ ქიმიურ ენის, ქიმიურ ფორ-
 მულების და რეაქციების გაცნობა-შესწავლა.

ავოგადრო-ერარის კანონის ქეშმარიტებას ძალიან გადასაცემად განმარტებს გერმანელი მუცნიერი კრიონიგი კრისტიანი. ამ მეცნიერის აზრით ყოველივე გაზის მოლექულები მუდმივ მოძრაობაში არიან; ისინი რაიმე დახურულ კურპელში ერთ გვერდიდგან მეორე გვერდისკენ მიემურებიან, მოხვდებიან ამ უკანასკნელს და ბურთივოთ უკუმცულნი პირველსავე გვერდისაკენ მიექანებიან; შემდეგ ისევ მეორე გვერდისაკენ, აქედგან კიდევ პირველისაკენ და ასე ამ რიგად განაგრძობენ მოძრაობას, სანამ ისინი დახურულ კურპელში დამწყვდეულნი არიან. რაღა თქმა უნდა, გაზის კურპელიდგან გამოშვების შემდეგ მოლექულები დაუბრკოლებრივ გარჩიან ჰაერში და მის მოლექულებთან ერთად მოძრაობენ ატმოსფერაში. რომ ჰაერს, გარდა ქარისებურ დიდ მოძრაობისა, სხვა უფრო პაწაწა მოძრაობებიც, უკეთ რომ ვსახულია, პაწაწა ნაწილების მოძრაობაც ემჩნევა, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ჩვენ ბნელს ოთახში მზის სხივს შევუშვებთ და მას გვერდიდგან შევხედავთ. ასეთ სხივში უკველია ყველას შეუმჩნევია პაწაწა მტვრის ნაწილების მოძრაობა, რომელიც აშკარაა ჰაერის ნაწილების მოძრაობით არის გამოწვეული. მზის სხივში პაწაწა მტვრის ნაწილები და მაშასადამე ჰაერის ნაწილებიც სწორის გზით მოძრაობენ ან ქვეიდგან — ზევითკენ, ზეიდგან ქვევითკენ, ან და მარჯვნიდგან მარცხნით, მარცხნიდგან მარჯვნით. ასეთ უბრალო დაკვირების შემდეგ ჩვენ ადვილად გავიგებთ კრიონიგის საბუთებსაც ზევით აღნიშნულ კანონის შესახებ.

ვსთქვათ რაიმე კუბისებურ დახურულ კურპელში მოთავსებული არის რომელიმე გაზი. როგორც ვიცით, კუბში სიგრძე, სიფართე და სიმაღლე ერთნაირი უნდა იყვეს; ჩვენს კუბში ვსთქვათ სამივე მიმართულება ე. ი. სიგრძე, სიფართე და სიმაღლე სათითაოდ უდრის რაიმე ზომას ა-ს. გოჯა იქნება ეს ზომა, ადლი, სანტიმეტრი ან სხვა რაზ, ეს ჩვენთვის სულ ერთია. ყველა მოლექულების რიცხვი, რომლებიდანაც კი შესდგება კუბში მოთავსებული გაზი, ვსთქვათ უდრის N-ს. კუბში მო-

თავსებული N მოლეკულები უნდა მოძრაობდნენ სამ მიმართულებული 1
ლებით ე. ი. სამ ჯგუფად, თითოში $\frac{1}{3}$ N-ის — ერთი ჯგუფი
კუბის ქვედა გვერდიდან ზედამდე და უკან, მეორე მარჯვენა
გვერდიდან მარცხენამდე და უკან, ბოლოსაც მესამე წინა
გვერდიდან უკანამდე და ისევ წინა გვერდამდე. თუ ეხლა
ჩვენ ჩავუკირდებით თითოეულ მოლეკულის მოძრაობას
გვერდიდგან-გვერდამდე და უკან, როგორც მაგალითად რე-
ზინის ბურთის მოძრაობას ოთახის ერთ კედლიდგან მეორემ-
დე და უკან პირველსავე აღგილამდე, აღვილად მივხვდებით,
რომ ასეთ ერთ დასრულებულ მოძრაობის დროს მოლეკულ-
მა უნდა გაიაროს გზა 2 ა, რადგან ჩვენი კუბის სიგრძე,
სიფართე და სიმაღლე უდრის ა-ს. ეხლა დაუშვათ, რომ კუ-
ბი დამწყვდეულ გაზის თითოეულ მოლეკულის წონა უდ-
რის=მ და მის მოძრაობის სისწრაფე კი ე. ი. ის მანძილი,
რომელიც შეუძლიან გაირბინოს ასეთ წონის მოლეკულს
ერთ წუთში (რასაკვირველია, თუ წინ არავითარი დაბრკო-
ლება არ დახვდება) ვსოდეთ უდრის ა. რაკი მოლეკულის
წონა და სისწრაფეც ვიცით, ცხადია აღვილი წარმოსადგენი
უნდა იყვეს მოლეკულის მოძრაობის ძალის რაოდენობაცა
ერთ გვერდიდგან მეორე გვერდზედ მივარღნის დროს. მართ-
ლადაც ავილოთ ასეთი უბრალო ფიზიკური მაგალითი; ვსოდეთ
კაცს ჰსურს თავის ლონით ოთახში კარები შეანტერიოს და
პირდაპირ მიწოლით ვერაფერს გახდა, მაშინ ცხადია ის მო-
შორდება კარს რამოდენიმე მანძილზედ, იქიდგან სწრაფად გა-
მოიქცევა, გაქანებული დაეტაკება კარს და ამ რიგად მოწი-
ნაალმდევე ძალის უფრო აღვილად დასძლევეს.

რამდენადაც უფრო სწრაფად მოძრაობს ერთი და იგი-
ვე წონის ნივთიერება, ცხადია იმდენად უფრო მეტია მისი
მოძრაობის ძალა, ასე რომ ჩვენი მოლეკულის მოძრაობის
ძალა ერთ გვერდიდგან მეორეზედ მივარღნის დროს უნდა
უდრიდეს ამ მოლეკულის წონას გამრავლებულს მისსავე სის-
წრაფეზედ ე. ი. მ. ა-ს. როგორც ფიზიკიდგან ვიცით, კე-


დელზედ მიგდებული ბურთი უკვე ვარდება ისეთისაც მანამ ლით, რა ძალითაც მიგდებულ იქმნა კედელზედ; სწორედ ესავე უნდა ითქვას ჩვენს მოლექულზედაც, რომელიც მოხვდა მეორე გვერდს ზევით აღნიშნულ ძალით=m. ა და მაშასადამე უკუ იქცა ამავე ძალით და მოხვდა პირველ-სავე გვერდს; ასე რომ თითოეული მოლექული 2 ა მანძილის გავლის დროს იჩენს ძალას, რომელიც უნდა უდრი-დეს ორჯერ m. ა-ს=2 m. ა-ს.

თუ კი თითოეულ გვერდიდგან გვერდამდე მოძრაობის დროს ან ყოველ 2a მანძილის გავლის დროს მოლექული იჩენს 2m. ა ძალას და ერთ წუთში კი ასეთ 2a მანძი-ლებს გაივლის იმდენჯერ, რამდენჯერაც ერთ წუთში გავ-ლილ მანძილში, ა-ში იმყოფება პატარა მანძილი 2a ე. ი. $\left(\frac{u}{2a}\right)$ ჯერ, აშკარაა ყოველ ერთ წუთში მოლექული იჩენს $\frac{u}{2a}$ ჯერ მეტ ძალას, ვიდრე 2 a მანძილის გავლის დროს ესე იგი $2 \text{ mu. } \frac{u}{2a} = \frac{m \cdot u^2}{a}$

$\frac{1}{3}$ N მოლექულები კი კუბის ერთ სიპრტყიდგან მეორე სიპრტყისაკენ მოძრაობის დროს გამოიჩენენ რასაკვირველია $\frac{1}{3}$ N ჯერ მეტ ძალას ე. ი. $\frac{1}{3} N \frac{m \cdot u^2}{a}$. თუ კი გვსურს გავიგოთ რანაირის ძალით მოძრაობენ ერთი წუთის განმავლო-ბაში მოლექულები ჩვენი კუბის მთელ სიპრტყიდგან სიპრტყემ-დე კი არა, რომელიც უდრის a^2 , არამედ პარამეტრი სიპრტყიდ-გან, რომელიც უდრის 1^2 ; ცხადია მაშინ ჩვენი კუბისათვის გამოანგარიშებული ძალა უნდა დავამციროთ იმდენჯერ, რამ-დენჯერაც ჩვენი კუბის გვერდი ანუ სიპრტყე a^2 უფრო დიდია პარამეტრი კუბის სიპრტყეზედ 1^2 ე. ი. a^2 ზედ $- \left(\frac{1}{3} N \frac{m \cdot u^2}{a} \right)$:

$a^2 = \frac{1}{3} N \frac{m \cdot u^2}{a \cdot a^2} = \frac{1}{3} N \frac{m \cdot u^2}{a^3}$; a^3 კი წარმოადგენს საზოგა-დოდ როგორსამე კუბს ან როგორც საზოგადოდ სწერენ

v-ს (ნიშნავს ტანს); ასე რომ ეს ძალა იქნება $\frac{1}{3} N \frac{m}{v} u^2$ ამნა-
ირად $\frac{1}{3} N \frac{m}{v} u^2$ წარმოადგენს იმ ძალას, რომლითაც გა-
ზის მოლეკულები მოქმედობენ კუბის ყოველ ერთეულ სიპრტ-
ჟენედ ერთის წუთის განმავლობაში; უკეთ რომ ეს სისტემა უკეთ ერთეულ სიპრტყეს ანუ ერთ კვადრატულ მილლი-
მეტრს რამე ჭურჭლისას, რომელშიაც მოთავსებული არის
ესა თუ ის გაზი, მოუდის $\frac{1}{3} N \frac{m}{v} u^2$ ზედდაწოლის ძალა.



ვსთქვათ ჩვენ ვერცხლის წყლით საესე ჭიქის მილი (იხილეთ სურათი) ერთის მხრით შეკავშირებული და ღია თა-
ვით კი ვერცხლის წყალშივე ჩაშვებული შესაფერ საშუალე-
ბით ას სანტრიმენტამდე ესე იგი ა-მდე ერთ გვარ გაზით
გავავსეთ. ასეთ შემთხვევაში ჭიქის მილში დამწყვდეულ გა-
ზის მოლეკულების ზედდაწოლის ძალა ვერცხლის წყალზედ
აშკარაა უნდა უდრიდეს გარეგან მოწინააღმდეგ ჰაერის ზედ
დაწოლის ძალის; ეს უკანასკნელი, როგორც ფიზიკიდების ვი-
ცით, უდრის ჰაერის ზედდაწოლის ესე იგი 760 მ ბარომეტრი-
სას იმ ვერცხლის წყლის ზედდაწოლის გამოკლებით, რომე-

ლიც მოთავსებულია ჭიქის მილში ა-დან ბ-მდე. თუ ჩვენ ჰაერის გარეგან ზედდაწოლის აღვნიშნავთ როგორც მიღებული არის საზოგადოდ ლათინურ ასო P-თი, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვექნება დავსწეროთ შემდეგი თანა-
 სწორობა $P = \frac{1}{3} N \frac{m \frac{n^2}{v}}{v}$, რადგან როგორც ცსთქვით გაზის

შინაგანი ზედდაწოლა ამ გვარ პირობებში ყოველთვის უდრის ჰაერის გარეგან მოწინააღმდეგე ზედდაწოლას. ამ უკანასკნელ ფიზიკურ ფაქტის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ თუ იმ ჰაერის ტემპერატურა, საკა ასეთი გაზი-
 ანი მიღი არის მოთავსებული, არ იცვლება და არ იცვლება აგრეთვე ჰაერისავე ზედდაწოლა, დამწყვდეულ გაზის ტანის რაოდენობა ოდნავადაც არ იცვლება და მუდამ ერთი და იგი-
 ვე დარჩება. მაშ ვიქონიოთ მხედველობაში, რომ, ზევით აღ-
 ნიშნულ თანასწორობაში N წარმოადგენს ჭიქის მილ ა-ზე მოთავსებულ ერთგვარ გაზის მოლეკულების რიცხვს, V ამ მილ-
 ში მოთავსებულ გაზის ტანის რაოდენობას, M—ამ გაზის მოლე-
 კულის წონას, U—მოლეკულის სისწრაფეს და ბოლოსაც P—
 გარეგან მოწინააღმდეგე ზედდაწოლის ძალას. ეხლა ავილოთ სწორეთ პირველი მიღის ტანის ოდენა მეორე ამგვარივე ჭიქის მიღი ბ და ესეც პირველსავით გავავსოთ ვერცხლის წყლით და თითის შემწეობით ღია ბოლოთი იმავე ვერცხლის წყალში ჩასდოთ, რომელშიაც მოთავსებულია პირველი მი-
 ლი. შემდეგ ცსთქვათ შესაფერ საშუალებით შეუშვით ამ მილ-
 ში 50 კუბ. სანტ. პირველისავე გაზისა და 50 კუბ. სანტი-
 მეტრი სხვა რომელიმე გაზისა, ასე რომ სულ მიღში 100
 სანტიმეტრი გაზი მოვათავსეთ ესე იგი იმდენი, რამდენიც
 პირველში, ხოლო კი სრულიად სხვანაირი შერეული. *) რო-
 გორც გამოცდილება ყოველთვის გვიჩვენებს ხოლმე ასეთ შემთხვევაში შეშვებულ გაზის ტანის რაოდენობა, თუ კი

*) მიღებში შესაშვები გაზები ერთნაირ ტემპერატური ა და ჰაერის ზედდაწოლის პირობებში უნდა იყვნენ მოგროვილი შესაფერ გაზის მოსათავსებელ პურპურში.

გარეგანი პირობები, ესე იგი ჰაერის ტემპერატურა და
ზედაშოლა ერთი და იგივე რჩება, მუდამ; იმოდენივე რჩება,
რამოდენიც არის პირველს მიღმი მოთავსებულ ერთ გვარ
გაზის ტანის რაოდენობაც. რაღა თქმა უნდა, აშკარაა ამ მე-
ორე არა ერთგვარ, შერეულ გაზისათვისაც შეგვიძლიან და-
ვსწეროთ იმ გვარივე თანასწორობა, როგორიც გამოვიყვა-
ნეთ და დავსწერეთ პირველ ერთ გვარ გაზისათვისაც. ვსთქვათ
მეორე შერეულ გაზის მოლექულების რაოდენობა უდრის
 N' ; ამ გაზის ტანი = V' ; მოლექულის წონა = M' ; მოლექულის
სისწრაფე = U' ; გარეგან მოწინააღმდეგი ზედაშოლა P' , მა-
თინ $P' = \frac{1}{3} N' \frac{m' u'^2}{v'}$; პირველი თანასწორობა კი არის
 $P' = N \frac{m u^2}{v}$.

გავამრავლოთ ორივე ნაწილი თანასწორობებებისა ერთი
და იგივე რაოდენობაზედ ვსთქვათ პირველის $\left(\frac{3}{2} V'\right)$ ზედ

$$\frac{3}{2} P' V' = \frac{3}{2} \times \frac{1}{3} N' \frac{m' u'^2 \cdot v'}{v}$$

$$\frac{3}{2} P V = \frac{3}{2} \times \frac{1}{3} N \frac{m u^2 v}{v'}$$

$$\text{საბოლოოთ } \beta^o \frac{3}{2} P' \quad V' = N' \frac{m' u'^2}{2}$$

$$\frac{3}{2} P' - V' = N' \frac{m u^2}{2}$$

შევადაროთ ეს ორი თანასწორობაები ერთი ერთმანეთს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გარეგანი ჰაერის მოწინააღმდეგე ზედდაწოლა პირველ გაზისათვის უდრის 760 mm. მინუს ზედდაწოლა ვერცხლის წყლის რაოდენობასა პირველ მილის სიმაღლის ა-დგან მოკიდებული გ-მდე, მეორესათვის 760 mm. მინუს ზედდაწოლა ვერცხლის წყლისა მეორე მი-

ლის ბ, დგან გ-ანამდევე. სიმაღლეები კი ა-დგან გ-მდე და ბ,-დგან გ-მდე ერთი და იგივე არის, რადგან ერთნაირს მიღებში ორთავე გაზების ტანები ერთნაირნივე რჩებიან; მაშა-სადამე P', უდრის=P-ს. როგორც ვსთქვით, გამოცდილებისა და მიხედვით ერთნაირის ტემპერატურის და ჰაერის ზედდაწოლის პირობებში ორთავე გაზების ტანები ერთნაირნივე არიან, მაშასადამე V' უდრის V-ს დასასრულ $\frac{m'u'^2}{2}$ და $\frac{m u^2}{2}$ წარმოადგენენ შერეულ და არ შერეულ გაზების მოლეკულთა მოძრაობის ძალა-მუშაობას; რომ ამ ორ მიღებში მოთავსებულ გაზების მოლეკულები სხვა და სხვა ძალით ზედმოქმედებდნენ მიღებში მოთავსებულ ვერცხლის წყალზედ ერთნაირს ტემპერატურის და ჰაერის ზედდაწოლის პირობებში, მაშინ ხომ ვერცხლის წყალი ამ ორ მიღებში სხვა და სხვა სიმაღლეზედ უნდა მდგარიყო და პირველ გაზის ტანი V აღარ უნდა უდრიდეს მეორე გაზის ტანს V'-ს. გამოცდილება კი გვიჩვენებს, როგორც ზევით დავინახეთ, რომ V უდრის V' და მანძილი (ა,—გ) უდრის მანძილს (გ—გ)-ს ესე იგი ვერცხლს წყალი ორთავე მიღებში ერთი და იგივე სიმაღლეზედ სდგას. სჩანს $\frac{m'u'^2}{2}$ უნდა უდრიდეს $\frac{m u^2}{2}$ და თუ კი ეს ასეა, მაშ აუცილებლად ამ ორ თანასწორობაში N უნდა უდრიდეს N' ესე იგი ერთნაირის ტემპერატურის და ჰაერის ზედდაწოლის პირობებში ერთსა და იგივე ტანის გაზებში მიუხედავად იმისა მარტივი ნივთიერებანი არიან ისინი თუ რთული, ერთგვარნი თუ შერეულნი, ერთი და იგივე მოლეკულთა რიცხვიც უნდა იმყოფებოდეს.


რაკი ავაგადრო-უერარის კანონი სავსებით გავითვალისწინეთ, ჩეენ ეხლა ადვილად შეგვიძლიან მკითხველისათვის ჯერ ბურუსით მოცულ მოლეკულებს და ატომებს უფრო მეტი შუქი მოვფინოთ, უფრო ადვილად წარმოსადგენი სახე მივსცეთ. ამისათვის აუცილებელია ცოტა ნაადრევად დავასახელოთ ორი გაზოვანი ელემენტი ესრედ წოდებული ზევით ნახსენები წყალმბადი, უფერული გაზი, რომელიც არის ერთი წყლის შემად-

გენელი ნაწილთაგანი და მეორე ქლორი ყვითელ-წამწვანო
 გაზიური საჭმელ მარილის შემადგენელი ნაწილთაგანი. აქ მე
 არ შევეხები დაწვრილებით ამ ორ გაზოვან ელემენტების მი-
 ღების საშუალებებების და მათ თეისებებების აღწერას, ვიტყვი
 მხოლოდ, რომ პირველი გაზოვანი ელემენტი წყალმბადი, რო-
 გორც შემდეგ დავინახავთ, უმსუბუქესი ელემენტია. უფერუ-
 ლი და სუნს მოკლებული, მეორე კი მძიმე, ფეროვანი და
 გლახა შეტად მაწყინარ სუნისა. თუ ჩვენ შესაფერ საშუალე-
 ბებით კიქის კურქლის შემწეობით ავსწონით ქიმიურ სას-
 წორზედ ერთნაირ პირობებში ერთნაირ ტანის რაოდენობას
 ქლორისა და წყალმბადისას, ჩვენ დავინახავთ, რომ განსაზ-
 ღრულ ტანის ქლორი აიწონის ვარ-ჯერ მეტს, ვიდრე ამავე
 ტანის წყალმბადი. როგორც უკვე ვიცით, ერთნაირს პირო-
 ბებში ორ ერთნაირ ტანის სხვა და სხვა გაზებში ერთი და
 იგივე მოლეკულთა რიცხვიც უნდა იყვეს. ვსოდეთ ერთნაირ
 ტანის ქლორში და წყალმბადში იმყოფება თითოეულში N პაწა-
 წინა ნაწილები ანუ მოლეკულები. თუ კი გამოცდილება
 გვიჩვენებს, რომ ერთნაირს პირობებებში განსაზღვრულ ტანის
 ქლორი იწონის ვარ-ჯერ მეტს ვიდრე ამნაირივე ტანის წყალ
 მბადი, ცხადია შეგვიძლიან ვსოდეთ, რომ N მოლეკული
 ქლორისა იწონის ვარ-ჯერ მეტს, ვიდრე N-ივე მოლეკულები
 წყალმბადისა; ამნაირისავე უფლებით შეგვიძლიან აგრეთვე
 ვსოდეთ, რომ ქლორის ერთი მოლეკული იწონის ვარ-ჯერ
 მეტს, ვიდრე ერთივე მოლეკული წყალმბადისა. ამნაირად თუმ-
 ცა ჩვენ არ აგვიწონია სასწორზედ ქლორის და წყალმბადის
 მოლეკულები (ეს ხომ შეუძლებელიც არის), მაგრამ მიუხედა-
 ვად ამისა ჩვენ ჩვენს გონებაში საოცარის სავსებით გავიგეთ
 ორ სხვა-და-სხვა ელემენტების მოლეკულების შედარებითი
 წონა. ეხლა წარმოვიდგინოთ, რაიმე კიქის კურქლში ჩვენ
 აურიეთ ერთი-ერთმანეთში ერთნაირი ტანის ქლორი და
 წყალმბადი; ასეთ არევის შემდეგ უფერული წყალმბადი და
 ყვითელ-მომწვანო ქლორი წარმოადგენენ მოყვითალო მექა-
 ნიკურ ნარევს, რომელიც სინათლის, ელექტრონის ან ცე-

ცხლის ზედ-გავლენით სწრაფათ იფეთქებს ხოლმე, ყვითელ ფერს ჰქარგავს და იქცევა ახალ რთულ უფერულ მუვე-გაზოვან ნივთიერებად, რომელსაც უწოდებენ სახელად ქლორ-წყალმბადს, ქლორ-წყალმბადის სიმჟავეს ინუ მარილის სიმჟავეს. აშერაა ამნაირად გაჩენილ ერთგვარ რთულ ნივთიერებაში მხოლოდ ქლორი და წყალმბადი უნდა შედიოდეს, ასდგან მექანიკურ ნარევში მხოლოდ ეს ორი გაზი შედიოდა. როგორც შემდეგ დავინახავთ, გამოცდილება ყოველთვის გვიჩვენებს, რომ ერთი ტანის წყალმბადი ვსოქვათ 100 კუბ. სანტიმეტრი ამავე ტანის ესე იგი 100 კუბ. სანტიმეტრ ქლორთან ქიმიურად შეერთების დროს წარმოშობს ხოლმე ორ ამხელავე ტანს, ესე იგი 200 კუბ. სანტიმეტრ ახალ-რთულ უფერულ გაზოვან ნივთიერებისას. ამ ფაქტების შემწეობით ჩვენ გვეძლევა საშუალება ჩავიხედოდ ღრმად ამ იღუმალ ქიმიურ რეაქციაში და გამოვარკვიოთ ძალიან იღვილადა თუ როგორ სწარმოებს ქლორის და წყალმბადის მოლეკულების ქიმიური ზედ-მოქმედება ახალის რთულ-მოლეკულის წარმოსაშობლად და რას უნდა წარმოადგენდნენ თვით მოლეკულები როგორც აქ ორ გაზოვან ელემენტებისა, აგრეთვე წარმოშობილ რთულ ნივთიერებისა, ქლორ-წყალმბადისა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ერთი ტანი წყალმბადისა და ერთი ამხელავე ტანი ქლორისა ქიმიურად შეერთების შემდეგ წარმოშობენ ხოლმე ორ ტანს ახალ რთულ ნივთიერებისას, ქლორ-წყალმბადისას. ავოგადრო-ეურის კანონისადა მიხედვით შეგვიძლიან ვსოქვათ, რომ N მოლეკული წყალმბადისა და N ივე მოლეკული ქლორისა იძლევიან 2 N მოლეკულებს რთულ ნივთიერების ქლორ-წყალმბადისას. თუ კი ეს ასეა, მაშიც ცხადია ერთი მოლეკული წყალმბადისა და ერთი მოლეკული ქლორისა იძლევა ორ მოლეკულ ქლორ-წყალმბადისას. ვსოქვათ ჩვენ აღვნიშნეთ ქალალდზედ წყალმბადის ერთი მოლეკული თეთრ ოთხკუთხედად (იხილე სურა-

თი) ქლორის მოლეკული კი ამხელავე მაგრამ ხაზებით აჭრე-






ლებულ ოთხ-კუთხედად. როგორც ვიცით, ქიმიურად შეერთების შემდეგ ამ ორ სხვა და სხვა მოლეკულებისაგან უნდა წარმოსდგეს ორი ერთნაირივე მოლეკულები ქლორ-წყალმბადისა. ეს უკანასკნელები აღვნიშნოთ ქაღალდზედ ორ პირველ ოთხკუთხების ხელავე ერთად დახატულ ჯერ-ჯერობით თეთრ ცარიელ ოთხ-კუთხეებად. ასეთგვარი ერთად აღნიშვნა ორ ქლორ-წყალმბადის მოლეკულებისა გვიჩვენებს მხოლოდ, რომ ერთი მოლეკული წყალმბადისა და ერთი მოლეკული ქლორისა აჩნის რთულ ნივთიერებას და რიცხვი კი ამ უკანასკნელ ნივთიერების მოლეკულებისა უდრის ორს. რაც შეეხება ამ ორ რთულ მოლეკულების შედგენილებას, ეს ხომ მოლეკულების ამგვარ აღნიშვნის შემდეგ მეტად ადვილი გასავებია. მართლაც თუ კი ერთ თეთრ ოთხ-კუთხედისაგან და მეორე ამხელავე აჭრელებულ ოთხკუთხედისაგან აუცილებლად უნდა შესდგეს ორი სრულებით ერთნაირი ოთხკუთხედები, აშკარაა თითეული უკანასკნელ ოთხკუთხეებთაგანი სულ უმცირეს უნდა შეიცავდეს ერთ ნახევარ ცარიელ ოთხკუთხედისას და ერთსავე ნახევარს მეორე აჭრელებულ ოთხკუთხედისას. ესავე უნდა ითქვას მოლეკულებზედაც, ესე იგი უნდა ვსთქვათ, რომ თითეული მოლეკული ქლორწყალმბადისა შეიცავს ნახევარ წყალმბაზის მოლეკულს და ნახევარსავე ქლორის მოლეკულს. აი ეს ნახევრები წყალმბადის და ქლორის მოლეკულებისა მეცნიერებაში ცნობილი არიან ატომების სახელით. ასე რომ ატომებისადა მიხედვით უნდა დავსკვნათ, რომ წყალმბადის მოლეკული შესდგება ორ ერთნაირ წყალმბადის

అత్రమెడిసాగాన, ఎగ్రోత్వే జ్ఞానరోస మంల్యేయుల్లిప శ్వేసదగ్రేభా నీ
 గ్రహితొనాిర జ్ఞానరోస అత్రమెడిసాగాన, రత్నుల్లి నొవొటిఏర్ రేబిస,
 జ్ఞానార్థ్యాలమ్భాదిస మంల్యేయుల్లి కి గ్రహ అత్రమ త్యాలమ్భాదిసాగాన
 డా గ్రహ అత్రమ జ్ఞానరోసాగాన. త్వ కి త్యాలమ్భాదిస అత్రమిస త్వి-
 నాస మిగొల్డ్ బత గ్రహితాఫ, మాశిన క్రూచాదిస త్యాలమ్భాదిసావ్వే మంల్యే
 యుల్లిస త్వినా ఉన్డా ఉద్రోధైస నీరు; జ్ఞానరోస మంల్యేయుల్లి కి
 అవ్యోగాదరొఱ్యేరొరోస కానొనిస డా మికోడ్విస నొంచిస 35-జ్యేహ మెత్రిస,
 గొఫర్ త్యాలమ్భాదిస మంల్యేయుల్లి గ్స్ గ్సి 35 \times 2 = 70. ఐస
 నీరి జ్ఞానరోస అత్రమి త్యాలమ్భాదిస అత్రమితాన శ్వేదార్హేబిత ఉన్-
 డా నొంచిస 35. జ్ఞానార్థ్యాలమ్భాదిస మంల్యేయుల్లి, రంగాంర్ ప
 వొప్పిత, శ్వేచ్ఛావ్ గ్రహ అత్రమ త్యాలమ్భాదిస డా గ్రహ అత్రమ జ్ఞానరోస,
 మాశాసాదామ్ మిసి త్వినా ఉన్డా ఉద్రోధైస 36. అమ నొంచిస జ్ఞానర
 త్యాలమ్భాదిస డాబోమ్మిచ్చెఫ్ప్లాఫ సాంగిర్ ప్యాపొల్ త్వినిత గ్రహితి
 నొంచిస త్యాలమ్భాదిసా డా 35 నొంచిస జ్ఞానరోసా, ఐసెతి త్వి-
 నితి డామొకిఫ్ఫెబ్యుల్గ్రేభా కి, రంగాంర్ ప డావొనాఖ్యేత, మిష్యుడిస నీ
 గ్రహితొనాిర త్రాంగేబిస త్యాలమ్భాదిస డా జ్ఞానరోస. రంగాంర్ ప శ్వేమిఫ్ఫ
 డావొనాఖ్యేత, త్యాలమ్భాదిస అత్రమి మెచ్చెన్యోర్హేబాశి అంచిశ్చెనావ్యే
 బొల్మిఫ్ లాతిన్చురొస ఐసెతి . జ్ఞానరోసాస నీరి లాతిన్చురొ
 ఐసెతిత — CL. H — నొంచిస ప్యాపొల్ త్యాలమ్భాదిస గ్రహ అత్రమిస
 డా మిస త్వినాస — గ్రహితి; గ్స రిప్చెం — గ్రహితి ఐస గ్లె-
 ప్యాల్టోత్వోస ఒగ్యుల్లిసబెబ్ధా. CL నొంచిస జ్ఞానరోస గ్రహ అత్రమిస డా
 అమావ్య డారొస్వ్య మిస త్వినాస 35-స. త్యాలమ్భాదిస మంల్యేయుల్లిస
 అంసానిశ్చెనావ్యాఫ సింగ్రేబ్ నీరాజ్యే గ్రహ అత్రమి గ్లె; అమ గ్వా-
 రాఫ్ఫ్ సింగ్రేబ్ జ్ఞానరోస మంల్యేయుల్లిస CL2; తిర్చెవ్వెల్లిస త్వినా
 నీచ్చెబా 2, మెంచ్రేసి కి 70. జ్ఞానర త్యాలమ్భాదిస మంల్యేయుల్లి,
 రంమెల్లోప శ్వేచ్ఛావ్ గ్రహ అత్రమ త్యాలమ్భాదిస డా గ్రహ అత్రమ
 జ్ఞానరోస అత్రమ త్యాలమ్భాదిసాన శ్వేచ్ఛేబిత గ్రహితాఫ డాసిగ్రోల త్యాల-
 మ్భాదిస డా జ్ఞానరోస అత్రమిబిత, సాంగ్లెలిఫ్పంబర్ HCL; త్వినా అమ
 రత్నుల మంల్యేయుల్లిసా, అశ్వారూప, ఒగ్యుల్లిసబెబ్ధా 36. అత్రమ
 జ్ఞానరోస అత్రమ త్యాలమ్భాదిసాన శ్వేచ్ఛేబితి ర్యాజ్చ్రొస గ్వాసల్మెస
 అగ్రోత్వే సాంగ్లెలిసబాస గాఫాగావ్లింపి త్వాల్పి సాంగ్లోగాదిపి జీ-
 మిష్యుర మిమ్మిప్పెవ్వెల్లిస గాంచొమ్మొ-అంగారొశాప్. రంగాంర్ ప శ్వేచ్ఛే
 డావొనాఖ్యేత, నీ అత్రమ త్యాలమ్భాదిస శ్వేచ్ఛేబిత సిండ్రేబా త్యాల-


მბადის ერთი მოლეკული, ასე რომ ერთ ატომ წყალმბადს მასში მოთავსებულ ქიმიურ-ენერგიის ზედგავლენით შეუძლიან მიიჩიდოს, შეიერთოს მხოლოდ ერთი თავის ბადალი წყალმბადისავე ატომი. მაშ თუ ეს ასეა და თუ სხვა და სხვა ატომების მიმზიდველობის გასაზომავად ერთ ატომ წყალმბადის მიმზიდველობას ვაღიარებთ, უნდა დაუშვათ, რომ ერთ ატომ წყალმბადის მიმზიდველობა უდრის ერთს, რადგან ერთი ატომი წყალმბადისა იზიდავს ანუ იერთებს ერთს ამავე უმსუბუქეს ელემენტის ატომს. უნდა წარმოვიდგინოთ ვითომც თითეულ წყალმბადის ატომს თითეული კაკვი ჰკრავს, რომლის შემწეობითაც მას შეუძლიან მეორე ატომის კაკვს შეუერთდეს და ამ რიგად ორ ატომიანი წყალმბადისავე მოლეკული შეადგინოს. ქიმიაში წყალმბადის ატომის საკვებით აღსანიშნავად სწერენ ხოლმე ასო H და წინ კაკვის მაგივრად მოკლე და პატარა სწორ ხაზს გაუსვამენ ხოლმე ამნაირად H—; ეს ერთი ხაზი იმას ნიშნავს, რომ წყალმბადის ატომის ქიმიური მიმზიდველობა უდრის ერთს. რადგან ქლორის ატომის ქიმიური მიმზიდველობა წყალმბადის ატომის მიმზიდველობას უნდა შევადაროთ და ვიცით აგრეთვე, რომ ერთ ატომ წყალმბადისას შეუძლიან მხოლოდ ერთივე ატომი ქლორი შეიერთოს ქლორ-წყალმბადის გასაჩენად, ცხადია ქლორის ატომსაც წყალმბადის ატომთან შესაერთებლად იმოდენივე მიმზიდველობა ჰქონია, როგორც მეორის ატომს; ასე რომ ქლორის ატომის მიმზიდველობაც წყალმბადთან შეერთების დროს უდრის ერთს და ასეთი მიმზიდველობა აღინიშნება ამნაირად CL—

ქიმიური რეაქცია კი ქლორსა და წყალმბადს შეა შეგვიძლიან გამოვხატოთ შემდეგის თანასწორობაებით: ან მოლეკულების შემწეობით:



$$\text{წონით } 2 + 70 = 72. \quad \circ. 1 + 35 = 36.$$

ଓଡ଼ିଆରେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



როგორც ეს ადვილად გასაგები მაგალითი ქიმიურ რეაქციისა, აგრეთვე ყოველივე სხვა რეაქციებიც ქიმიურ თანასწორობით აღნიშნულნი საუკეთესო დამასურათებელი ფაქტებია ნივთიერების მუდმივობის კანონისა, რომელიც როგორც უკეთ ვიცით, აღიარებს, რომ წონა წარმომშობილ ნივთიერებებებისა ყოველთვის უდრის მის წარმომშობ ნივთიერებებების წონათა ჯამს.

ელემენტების აღწერის დროს ჩვენ შეგვხდება ბევრი
 რთული მოლეკულები, რომლებიც შეიცავენ არა ორ ატომს
 სხვა და სხვა ელემენტებისას, როგორც, მაგალითად, ქლორ-
 წყალმბადის მოლეკული HCl , არამედ ბევრად უფრო მეტ
 რიცხვს სხვა და სხვა ატომებისას. ასეთ რთულ მოლეკულებში
 სხვა და სხვა ატომები სხვა და სხვა ქიმიურ მიმზიდველობის რიც-
 ხვსაც შეიცავენ წყალმბადის მიმზიდველობასთან შედარებით.
 პირველ სამიიდ ელემენტების გაცნობის დროს ჩვენ იძულე-
 ბული ვიქნებით ზოგიერთ ქიმიურ რეაქციების გასაცნობლად
 მიემართოთ ნაადრევად სხვა და სხვა რთულ მოლეკულებს,
 მაგალითად ამგვარებს SO_4 H_2 , $KClO_3$, HgO და MnO_2 .
 პირველი წარმადგენს რთულ ნივთიერებას გოგირდის სიმ-
 ჟავის პაწაწა, ფიზიკურადად დაუშლელ ნაწილს ანუ მოლე-
 კულს, რომელიც შესდგება ერთ ატომ გოგირდისაგან S ,
 ოთხ ატომ გაზოვან ელემენტის მევგბადისაგან O_4 და ორ
 წყალმბადის ატომებისაგან H_2 ; მეორე არის მოლეკული რთულ
 ნივთიერების ბერტოლდს (ამ ნივთიერების მიმღების გვარია) მარილისა და შეიცავს ერთ ატომ მარტივ ლითონ კალიუმი-
 სას, ერთ ატომ ქლორისას Cl და სამ ატომ მევგბადისას O_3 ;
 HgO -არის მოლეკული რთულ ნივთიერებისა ესრეთ წოდე-
 ბულ ვერცხლის წყლის ჟანგისა და შეიცავს ერთ ატომ მარ-
 ტივ ლითონ ვერცხლის წყლისას და ერთ ატომ მევგბადისას.
 ბოლოს MnO_2 -არის მოლეკული რთულ ნივთიერების ესრეთ

წოდებულ მანგანუმის გადაეანგისა და შეიცავს ერთ ატომურ მარტივ ლითონ მანგანუმისას და ორ ატომ მენებადისას 02. სხვა და სხვა პირობების ზედ-გავლენით შესაძლოა ასეთ გვარ რთულ-მოლეკულს მოვაშოროთ ესა თუ ის ატომებიანა და ამ უკანასკნელთა მაგივრად მასში სხვა ატომები მოვათავსოთ და ამ რიგად მივიღოთ ახალ ნივთიერებათა მოლეკულები. აქ მოყვანილ რამოდენიმე რთულ-ნივთიერებათა მოლეკულების აღნიშვნით ჩვენ გვსურდა მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა მაინც მიგვეცა მკითხველისათვის იმ ქიმიურ ნიშნებზედ, ფორმულებზედ, რომლებიც ძალა-უნებურად უნდა ვიხმაროთ წყალმბადის და მეავბადის აღწერის დროს. გვახსოვდეს მხოლოდ რომ $\text{SO}_4 \text{H}_2$, KLLO_3 , HgO და MnO_2 იგივე პატარი ფიზიკურად ვეღარ დასაშლელი ნაწილები არიან, როგორც მაგალითად წყალმბადის, ქლორის და ქლორ-წყალმბადის მოლეკულები H_2 , CL_2 და HCl . ჩვენ დავინახეთ, რომ ავოგადრო-ერართის კანონით ერთნაირს პირობებში ერთნაირის ტანის გაზებში ერთი და იგივე მოლეკულთა რიცხვიც უნდა იმყოფებოდეს, მაგალითად ერთნაირის ტანის წყალმბადში, ქლორში, ქლორ-წყალმბადის სიმჟავეში, გოგირდის სიმჟავეში (გაზოვან მდგომარეობაში) და სხვებში ერთი და იგივე წყალმბადის (H_2), ქლორის (CL_2), ქლორ-წყალმბადის (HCl) და გოგირდის სიმჟავის ($\text{SO}_4 \text{H}_2$) მოლეკულთა რიცხვიც უნდა იმყოფებოდეს. თეორეტიულ ნაწილში ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნეთ, რომ სხვა და სხვა მრავალ ატომიან და უბრალო ორ ატომიან მოლეკულთა ერთ რიცხვობა ერთნაირის ტანის გაზებში აისწენდა მოლეკულთა სივრცითი სფერების დაშვებით და აქ კი ამ კითხვის ჩვენ უფრო ვრცლად შევეხებით. ასეთ გვარ სფერების გასათვალისწინებლად წარმოვიდგინოთ, რომ ანდამანტის ნაკერს ჩვენ ირგვლივ უხსლოვებთ ლითონ რკინის პატარია ბურთს; ასეთ შემთხვევაში ჩვენ შევამჩნევთ, რომ ანდამანტი მხოლოდ განსაზღვრულ მანძილზედ იწყებს ლითონის ბურთზედ მოქმედებას; ასე რომ თუ ჩვენ იმადგილს, საცა ანდამანტი სძევს, წერტილით აღვნიშნავთ და ანდამან-

ტის ირგვლით ყველა იმ განსაზღვრულ, წერტილებით ჰდნდებულსავე ადგილებს, საცა კი ლითონის პაწაწა ბურთი ანდა-მანტის ზედგავლენას იჩენდა ხოლმე ერთი მეორეს ხაზით შევუერთებთ, ჩვენ მივიღებთ სიპრტყეზედ აღნიშნულ რგოლს, რომ-ლითაც შემოზღუდული არის ანდამანტის მოქმედების ძალა. თუ კი ანდამანტს სივრცეში წარმოვიდგენთ და გონებაში აღნიშნავთ ყველა იმ წერტილებს, რომლებიდანაც ანდამან-ტი უნდა იწყებდეს ზედმოქმედებას სივრცეში მოთავსებულ პაწაწა ლითონის ბურთზედ, ჩვენ ადვილად წარმოვიდგენთ იმ ბურთისებურ სივრცეს ან სფერის, რომელშიაც უნდა მოქმე-დებდნენ ანდამანტის ძალები. ყოველივე ქს უნდა ითქვას მოლეკულებზედაც. მოლეკულებიც შეიცავენ მოლეკულიალურ ძალებს, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სივრცეში; თვით მოლეკულები, თავიანთ სფერებთან შედარებით მეტად პატარა ტანისანი არიან. ერთნაირ პირობებში ყველა გაზე-ბის მოლეკულთა სფერები ერთნაირნი არიან, ასე რომ ერთ ნაირს სფერებში უბრალო ორ ატომიანი მოლეკულიც, რო-გორიც მაგალითად არიან H_2 CL₂, HCl და მრავალ ატო-მიანი მოლეკულიც მაგალითად SO₄²⁻ H₂-ც მოთავსდებიან. გა-ზოვან რთულ ნივთიერების ქლორ-წყალმბადის მისალებად ჩვენ ავიღეთ ერთნაირ პირობებში ორი ერთნაირი ტანის წყალმ-ბადი და ქლორი და მათ შეერთების შემდეგ მივიღეთ ორი ამხელავე ტანის რთული ნივთიერება. ქალალდზედ ჩვენ შე-გვიძლიან ყოველივე ქს ამნაირად აღვნიშნოთ.